

ტექსტოლოგიური ხელვაები
ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და
შემოქმედების გაბინისათვის

ლინკა



ნაციონალური
სამუშაო

თბილისი, ერეკლესის 7; ტელ.: 551 95 31 90

თბილისი

2016



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
The Ivane Javakhishvili Tbilisi State University



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

სამეცნიერო პროექტი „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე“ - ახალი ტექსტოლოგიური კვლევები (ორენოვანი გამოცემა)“ (FR/317/1-20/13) ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე კრებულში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project “Ilia Chavchavadze: Detailed Chronology of Life and Works” – New Textual-critical Investigations (Bilingual Edition) (FR/317/1-20/13) is being made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.
www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

რედაქტორი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მანია ნინიძე**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ISBN 978-9941-0-8977-0

UDC (უაკ) 821.3531 (092 ჭავჭავაძე, ი.) 6-674

რედაქტორისაგან

მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეები მათ მოღვაწეობასთან დაკავშირებული საცნობარო ხასიათის გამოცემებიდან ინფორმაციულად ყველაზე ტევადია. ისინი ასახავს როგორც არქივების მონაცემებს, თხზულებათა ბიბლიოგრაფიებს და სხვათა პუბლიკაციებს ამ პიროვნებებზე, ისე ცნობებს მათ მიერ განხორციელებულ და დოკუმენტურად დადასტურებულ თითოეულ ქმედებაზე. ქართველი მეცნიერების - ილია გორგაძისა და ნოდარ გურგენიძის მიერ 1987-2003 წლებში გამოქვეყნებული ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგისა და იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეები ათწლეულების მანძილზე რჩებოდა ქართველ მკვლევართა სამაგიდო წიგნებად, მაგრამ დრომ მოიტანა მათი შევსებისა და ხელახალი გამოცემის აუცილებლობა.

რამდენადაც მატრიანეში შესატანად მასალას სჭირდება დათარიღება, პირთა იდენტიფიკაცია და ატრიბუცია, ეს კი ტექსტოლოგიური კვლევის ძირითადი მიმართულებებია, გარდაცვლილი მეცნიერების - ილია გორგაძისა და ნოდარ გურგენიძის მიერ დაწყებული საქმე რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განაგრძო ტექსტოლოგთა ჯგუფმა, რომელიც მატრიანისთვის ინფორმაციის მოპოვების პარალელურად აწარმოებდა შესაბამის სამეცნიერო კვლევებს. იმის გამო რომ წინა გამოცემებზე ავტორები ინდივიდუალურად მუშაობდნენ და მასალის მეცნიერული ანალიზი გათვალისწინებული არ იყო, ისეთი ინფორმაციები, რომლებსაც თარიღის დაზუსტება, ავტორის ან ადრესატის დადგენა სჭირდებოდა, წიგნის გარეთ რჩებოდა, ხოლო სხვადასხვა წყაროებში არსებული ხარვეზები მატრიანეში პირდაპირ მეორდებოდა.

რამდენადაც ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი

ცხოვრების განვითარებაში, განვიზრახეთ თავდაპირველად გვემუშავა მისი მატთანის სრულყოფაზე. ეს გადანიშნულია იმითაც იყო მოტივირებული, რომ უკვე გვექონდა კონკრეტული ორიენტირები, სადა უნდა გვეპოვა ამ გამოცემის შესავსებად საჭირო მასალა და როგორ მიგვეცა მისთვის მატთანში შესატანი სახე.

ნიგნი თავდაპირველად გამოქვეყნდება ელექტრონული სახით. მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მატთანის ციფრული ფორმატი კარგა ხნის დამკვიდრებული პრაქტიკაა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი ინფორმაციის მოსაპოვებლად ყველაზე მოსახერხებელია და უდავოდ ესაჭიროება მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის მქონე საქართველოსაც.

ილია ჭავჭავაძის პოპულარობიდან გამომდინარე, ამ ნიგნის მკითხველთა შორის მოიაზრებიან არა მხოლოდ მეცნიერები, არამედ საზოგადოების სხვადასხვა წრის წარმომადგენლებიც. ამიტომ შევეცადეთ გაგვეთვალისწინებინა განსხვავებული სახის მოთხოვნები. რამდენადაც აკადემიური პერსონალისთვის მთავარია ინფორმაციის სიზუსტე, მატთანში შეტანილი ყველა ფაქტი გადამოწმდა წყაროებთან, ხოლო იმის გამო, რომ რიგითი მკითხველისთვის მნიშვნელოვანია საკითხავი მასალის იოლად აღსაქმელი ფორმა, მატთანის ტექსტი განიტვირთა სამეცნიერო მსჯელობების, პირობითი აღნიშვნებისა და წყაროებზე მითითებებისაგან. ეს ყველაფერი ჩავიტანეთ ბმულებში, რომლებიც თითოეული ანოტაციის ბოლოს არის განთავსებული და თუ არ მოისურვებთ, არ ჩანს. „უხილავ“ დანართებში წარმოდგენილია რუბრიკები: „წყარო“, „დათარიღება“, „ატრიბუცია“ და „პირთა იდენტიფიკაცია“. წინა მატთანში მითითებული იყო მხოლოდ წყაროები, მაგრამ ისიც ტექსტის შიგნითვე და თან არა ყოველთვის.

პროექტის განხორციელების პროცესში მატთანის ანოტაციათა რიცხვი ერთიორად გაიზარდა, კვლევის შედეგებმა კი, ციფრული ბაზებისა და თანამედროვე ტექსტოლოგიური

ტექნოლოგიების წყალობით, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისეული ფაქტების გარდა, დათარიღდა: 166 პირადი წერილი, 7 ლექსი და მისთვის მიწერილი 10 ბარათი; დადგინდა 8 თხზულების ადრესატი, დაზუსტდა არაერთი მნიშვნელოვანი ტექსტის ავტორობის საკითხი და თხზულებებში მოხსენიებული 100-ზე მეტი პირის ვინაობა.

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანის“ სამეცნიერო საძიარკველს. იმ ფუნდამენტურ მეცნიერულ ძიებათა შედეგები, რომლებიც მატიანის ანოტაციებში, გამოცემის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძალიან მოკლედ აისახა (ორიოდე სიტყვის ჩანაცვლებით ან ჩამატებით, თითო დაზუსტებული რიცხვით და სხვ.), აქ სრულად არის წარმოდგენილი. მკითხველს საშუალება ეძლევა თვალი მიადევნოს კვლევისა და არგუმენტირების მთლიან პროცესს.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება იმდენად მრავალმხრივი და მრავალშრიანია, ვერ ვიტყვით, რომ თუნდაც ერთი რომელიმე საკითხის შესწავლა საბოლოოდ დასრულდა. მთავარია, უკვე ჩატარებული კვლევები წინ გადადგმული ნაბიჯი იყოს და ნიადაგს უმზადებდეს შემდგომ მეცნიერულ ძიებებს.

ქეთევან ხითაროშვილი

მასალაზე ილია ჭავჭავაძის შესახებ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომათა ოქმებიდან

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეში შესატანად საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომათა ოქმების დამუშავების მიზანი იყო ილია ჭავჭავაძის, როგორც საზოგადო მოღვაწის, სამოქალაქო აქტივობების სფეროების დადგენა-დაზუსტება, მისი სააზროვნო უნარებისა და ტენდენციების ხასიათის გამოვლენა. პიროვნების, ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძის, საქმიანი თუ ფსიქოლოგიური პორტრეტის კვლევის გარდა, აღნიშნული საარქივო მასალა შეუცვლელ წყაროდ გვევლინება XIX ს-ის ბოლო პერიოდის საზოგადოების სამოქალაქო კულტურის მრავალშრიანი სურათის წარმოსაჩენად. მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეში, რომელიც 1987 წელს შეადგინეს ილია გორგაძემ და ნოდარ გურგენიძემ არ არის შესული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომათა ოქმების მონაცემები.

ილია ჭავჭავაძე არა მხოლოდ ესწრებოდა საზოგადოების მიერ გამართულ ათობით სხდომას, არამედ თავმჯდომარეობდა მათ. თითოეულ საკითხსა და პრობლემას ის საზოგადოების წევრებთან ერთად საგულდაგულოდ განიხილავდა და ყველა დადგენილებას ცალ-ცალკე აწერდა ხელს. იმ სხდომათა ოქმებს, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე არ ესწრებოდა, ხელს აწერს ნიკო ცხვედაძე. შესაბამისად, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ იმ სხდომათა ოქმებზე, რომლებსაც, ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა ან სიტყვით გამოდიოდა.

მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში ოქმებში სრულად არ არის მოცემული ამა თუ იმ პიროვნების ვინაობა. ისინი მითითებულია მხოლოდ გვარით ან ინიციალებით, რითაც რთულდება მათი იდენტიფიკაცია და ოქმებში მოცემული ინფორმაციის ადეკვატურად გაგება. კვლევის შედეგად მოხერხდა ასეთი სახით წარმოდგენილი პირების ვინაობის დადგენა. მაგ: ყიფიანი/ [მიხეილ] ყიფიანი - არითმეტიკის სახელმძღვანელოს ავტორი; ნაკაშიძე/ [მელქისედეკ] ნაკაშიძე - ქართული გალობის ლოტბარი და სხვ.

ბუნებრივია, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომის ოქმები იმ პერიოდისათვის აქტუალურ საკითხებს მოიცავს. დიდი დრო ეთმობა საზოგადოების ყოველთვიურ ფინანსურ ხარჯთაღრიცხვას, მისი შემოსავლის დანვრილებით აღნუსხვასა და დაზუსტებას. 1892 წლის 20 ოქტომბრის სხდომის ოქმის თანახმად, თვის დასაწისში საზოგადოების სასარგებლოდ შეგროვდა 1319 მან. 23 კაპ., რომლისგანაც დაიხარჯა 1218 მან. და 60 კაპ. მითითებულია და დაკონკრეტებული ქობულეთის სკოლის ფონდისთვის გამოყოფილი თანხები. ასევე, ყურადღება ეთმობა საზოგადოებისთვის შექმნილ სარგებლიან საბანკო ქალაქებს. 1892-1893წწ., 1899წ. და სხვა წლების სხდომის ოქმებში ზედმიწევნითაა დაანგარიშებული თითოეული თვის ფინანსური შემოსავალ-გასავალი.

სხდომებზე განხილული თემებიდან შესაძლოა გამოიყოს შემდეგი საკვანძო საკითხები:

საგანმანათლებლო საქმე

1879 წელს ქართველი ინტელიგენციის მიერ დაარსებულმა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავიდანვე გაამახვილა ყურადღება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განათლების მდგომარეობაზე, აღრიცხა სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობა სკოლების დასაარსებლად. საზოგადოების ინიციატივით, სკოლები დაარსდა არაერთ ქალაქსა თუ სოფელში. ოქმებში დაცული მონაცემებით შესაძლებელია თბილისის, ბათუმის, წინარეხის, თონეთის, ხელთუბნის, სენაკის,

კავკავისა და სხვა სკოლების ისტორიის აღდგენა და შესწავლა¹. საზოგადოების წევრები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას სკოლის მასწავლებლის ვაკანტურ ადგილზე წარმოდგენილი კანდიდატების დოკუმენტაციის შესწავლაში. საზოგადოება სისტემატურად აწვდიდა სახელმძღვანელოებსა და სასკოლო ინვენტარს სხვადასხვა სკოლას.

საარქივო მასალის მიხედვით, ჩანს, რომ საზოგადოებასა და სკოლებს შორის ორმხრივი თანამშრომლობაც არსებობდა. გვხვდება ფაქტები, როდესაც სკოლების ადმინისტრაცია ცდილობდა, საზოგადოებაში ქველმოქმედი ადამიანები გაეწვერიანებინა და ამ გზით ის ფინანსურად გაეძლიერებინა. მაგალითად, 1883 წელს ბათუმის სკოლის მასწავლებელმა - მოსე ნათაძემ საზოგადოებას გაუგზავნა ახალი წევრებისაგან მიღებული 58 მან. და აცნობა, რომ შედგა დრამატული წრე, რომელიც წარმოდგენებს გამართავდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ და ამ მიზნით პიესებს ითხოვდა. თავმჯდომარემ - ილია ჭავჭავაძემ პიესების შერჩევა საზოგადოების ერთ-ერთ აქტიურ წევრს - პუბლიცისტ გიორგი თუმანიშვილს მიანდო.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება არა მხოლოდ ფინანსურად ეხმარებოდა სკოლებს, არამედ სისტემატურად თვალყურს ადევნებდა მათ შინაგანაწესსა და მდგომარეობას. ისინი განსაზღვრავდნენ სასკოლო პროცესის დაწყებისა და არდადეგების თარიღს. მათ მიერ დაარსებული სკოლების შესამოწმებლად ხშირად აგზავნიდნენ რევიზიას.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები სხდომებზე ხშირად განიხილავდნენ ამა თუ იმ სკოლაში შექმნილ პრობლემურ საკითხებს. პირველ რიგში, ისინი ადგილზე სწავლობდნენ შექმნილ ვითარებას და ცდილობდნენ პრობლემების იქვე მოგვარებას.

1. იხ. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომის ოქმები ბათუმის სკოლის შესახებ“, ბათუმის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა“ მასალები, 2014 წლის 1-2 სექტემბერი.

1897 წლის 22 აგვისტოს სხდომის ოქმში ერთ-ერთი განსახილველი საკითხი ეხებოდა სენაკის სათავადაზნაურო სკოლის პრობლემებს. ამ სკოლაში ჯერ კიდევ 1893 წლიდან იყო მცდელობა, რომ დაწყებითი განათლება მეგრულ ენაზე წარმართულიყო. ამ იდეის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის წარმოიქმნა დაპირისპირება, რაც წლების განმავლობაში გრძელდებოდა. უთანხმოება კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორად დაინიშნა პავლე ივანეს ძე სავიჩი. გუბერნიის სკოლების ინსპექტორები კანონით მას ექვემდებარებოდნენ, მაგრამ სენაკის სკოლის ინსპექტორი სამსონ ყიფიანი წინააღმდეგობას უწევდა უსამართლო დადგენილებების გატარებას, რამაც ვითარება უფრო დაძაბა. 22 აგვისტოს სხდომამ სენაკის სკოლაში მდგომარეობის უკიდურეს ზომამდე მიყვანის გამო საყვედური გამოუცხადა როგორც ინსპექტორს, ისე მასწავლებლებს, მაგრამ მიღებული დადგენილებით, სამსონ ყიფიანი ისევ დარჩა თავის თანამდებობაზე (ვიდრე მის საკითხს უფრო დაწვრილებით განიხილავდნენ), სენაკის სკოლის ორი მასწავლებელი კი ჩაანაცვლეს ბათუმის სკოლის პედაგოგებით. სასწავლებლის მთელ კოლექტივს ეუწყა, რომ დაკავებულ თანამდებობებზე მათი სამომავლოდ დარჩენა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ შეძლებდნენ ისინი მშვიდ და საქმიან თანამშრომლობას.

რეცენზირების ინსტიტუტი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი პრეროგატივა რეცენზირების ინსტიტუტი იყო. სხდომაზე ხშირად ამ თუ იმ პიროვნების ნაწარმოებს ან თარგმანს გადასამოწმებლად აძლევდნენ საზოგადოების წევრებს, რომელთა რეცენზიის მიხედვით წყდებოდა მათი გამოცემის საკითხი. კვალიფიციურ და კომპეტენტურ რეცენზენტთა ჯგუფი გარკვეული დროის განმავლობაში სწავლობდა სხვადასხვა თხზულებასა და თარგმანს და მათი დაბეჭდვის მიზანშეწონილობას ადგენდა.

1892 წლის 16-18 სექტემბრის სხდომის ოქმის თანახმად, ალექსი ჭიჭინაძეს განსახილველად გადაეცა ივანე როსტო-

მაშვილის ხელნაწერი „შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება“.

ალექსი ჭყონიასა და გიორგი წერეთელს გადასამონმებლად გადასცეს დუტუ მეგრელის მოთხრობა „ფეჩია“ (1892 წ. 25 ნომბერი)

დააკმაყოფილეს პეტრე უმიკაშვილის თხოვნა მის მიერ ნათარგმნი ორი ნაწარმოების „ცისა და ქვეყნის ამბავი“ და „აუცერით ბავშვებს“ დაბეჭდვის შესახებ და მიანდეს ექ. თაყაიშვილს შემდეგი ხელნაწერების („საქართველოს ცხოვრება“ და „ისტორია დარღვევისათვის უკანასკნელ წმინდა ქალაქისა იერუსალიმისა რომაელთა კეისრისა ტიტესაგან“) გადამონმება (1893 წლის მარტი).

შემომწირველები

ცნობილია, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების მოძიება და შენახვა იყო, რაშიც მას ეხმარებოდა ინტელიგენცია, სასულიერო პირები, რომელთა ჩართულობა საერთო ქართულ საქმეში თანდათანობით ამდიდრებდა და ქმნიდა ქართულ ხელნაწერთა კოლექციას, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელითაა ცნობილი და დღეისათვის დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში (S კოლექცია). არაერთ ოქმში აისახა შემომწირველების მიერ ისტორიული ხელნაწერების, მონეტებისა და სხვა ნივთების შეწირვის ფაქტები, რის გამოც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება პრესის საშუალებით მადლობას უხდოდა მათ. ერთ-ერთ შემომწირველად ჩანს ილია ჭავჭავაძეც.

1893 9 თებერვალის სხდომის ოქმის თანახმად, მადლობა გადაუხადეს ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილს სხვადასხვა ხელნაწერის (სძლისპირნი, მხედრულით ნაწერი, მე-18 საუკუნე; ანტონ კათალიკოსის მიერ შედგენილი რიტორიკა; ძველი აღთქმის აპოკრიფული წიგნი; ბაქარის მეუღლის, ანნას, წერილი მოსკოვის მიტრიპოლიტს) და თამარ მეფის მონეტების შეწირვის გამო.

1892 10 მარტის ოქმში ყურადღება გამახვილებულია ილია ჭავჭავაძის შეწირულობაზე. მან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა მეფე ერეკლე II-ის, თეიმურაზ II-ის, დარია დედოფლის და კათალიკოსის ანტონ II-ისა სურათები. მისი შეწირულობები საზოგადოებისადმი, რასაკვირველია, მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა.

1895 წლის 21 თებერვალს ალექსანდრე ზუბალაშვილმა მუზეუმის ასაშენებლად საზოგადოებას გადასცა მიწის ფართობი. 1904 წ. 15 მაისს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდე ოქროპირიძემ საზოგადოებას გადასცა გარკვეული თანხა და 25 წლის იუბილისთვის აღუთქვა ყოველწლიურად ას-ასი მანეთის შეწირვა.

არსებობს ამგვარი შემოწირულობის არაერთი შემთხვევა. სხვადასხვა წლის ოქმების მონაცემებით, ქველმოქმედთა შორის ფიგურირებენ: ალექსანდრე სარაჯიშვილი, იოსებ დავითაშვილი, სტეფანე ზუბალაშვილი, ივანე და კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელები, ფილიმონ ქორიძე და სხვები.

გარდა შემოწირულობებისა, საზოგადოების სასარგებლოდ იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, წარმოდგენები, მეჯლისები. ზოგ შემთხვევაში ამ ღონისძიებების ინიციატორი და ორგანიზატორი ილია ჭავჭავაძე იყო (იხ. 1880 წ. 27 ნოემბრის სხდომის ოქმი). საზოგადოების შემოსავლის გასაზრდელად კონცერტები და ლატარიის გათამაშებები ტარდებოდა თბილისსა თუ ბათუმში.

წიგნიერების გავრცელება და საგამომცემლო საქმე

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ მიმართულებას - საზოგადოებაში წიგნიერების გავრცელებას - შესაბამისი ბაზისი სჭირდებოდა. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებდა საგამომცემლო საქმის ხელშეწყობას, სტამბების დაარსება-განვითარებას, რაც ბუნებრივია, საზოგადოების სხდომათა ოქმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ამ წყაროს მიხედვით, შესაძლებელია იმ პერიოდის ბიბლიოთეკების, წიგნის მაღაზიების და სტამბების ქსელის სრული სურათის აღდგენა.

საზოგადოების ინიციატივით, ბიბლიოთეკები და სამკითხველოები გაიხსნა საქართველოს არაერთ ქალაქსა და სოფელში: თბილისში, ბათუმში, რუისში, წყალტუბოში და სხვ. 1892 წლის 3 მარტის სხდომაზე საზოგადოების წევრებმა დანვრილებით განიხილეს სახალხო ბიბლიოთეკების გახსნისა და წიგნებით მომარაგების საკითხი, მათი მოწყობის ფინანსური ხარჯთაღრიცხვა, განსაზღვრეს ბიბლიოთეკის გამგის მოვალეობები და მკითხველის მიერ წიგნებით სარგებლობის წესები. გადაწყვიტეს, რომ ამ მნიშვნელოვანი საქმის მოსაგვარებლად დახმარებისთვის თბილისისა და ქუთაისის ბანკებისთვის მიემართათ.

70 სხდომის ოქმში, რომლებიც ჩვენ დავამუშავეთ და მატყიანეში შევიტანეთ ანოტაციების სახით, კიდევ არაერთი საინტერესო ფაქტია წარმოდგენილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობიდან და პირადად ილია ჭავჭავაძის ნაღვანიდან.

ვფიქრობთ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომის ოქმების დამუშავებული და ანოტირებული ვარიანტი დააინტერესებს საზოგადოების ფართო წრეს, რადგან მასში ჩანს ის ღვაწლი, რომელიც ამ დანებებულებამ, მისმა ერთ-ერთმა დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა - ილია ჭავჭავაძემ გასწიეს საქართველოში წიგნიერების გასავრცელებლად და განათლების დონის ასამაღლებლად. ამ მასალის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატყიანის სრულყოფილი სურათის წარმოჩენა.

ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტები

(მონაცემთა კვლევა და ანოტირება)

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანის სრულყოფისათვის მოვიძიეთ და დავამუშავეთ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ილია ჭავჭავაძესთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული საარქივო დოკუმენტები. აღნიშნული მასალა შეუცვლელ წყაროდ გვევლინება XIX ს-ის საქართველოს ბოლო პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის მრავალმხრივი სურათის წარმოსადგენად. 1987 წელს ილია გორგაძისა და ნოდარ გურგენიძის მიერ შედგენილ მატთანეში, გარკვეულწილად არის ასახული საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალა, თუმცა გამოვლინდა არაერთი ისეთი დოკუმენტიც, რომლებიც მათ წიგნში არ გვხვდება. ამ მასალის ერთი ნაწილი გაბნეულია საქართველოს ეროვნული არქივის სხვადასხვა ფონდში.

ხშირ შემთხვევაში საარქივო დოკუმენტებში სრულად არ არის მოცემული ამა თუ იმ პიროვნების ვინაობა. მითითებულია მისი მხოლოდ სახელი ან სტატუსი. კვლევის შედეგად დაზუსტდა ამ პირთა ვინაობა, რაც ხელს შეუწყობს საარქივო დოკუმენტების ადეკვატურად გაგებასა და გააზრებას. მაგ: კონსტანტინე [ორლოვსკი] - თბილისის გუბერნატორი (1860-1876); [მიხეილ ვლადისლავლევი] - 1887-1890 წლებში სანკ-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორი. ნიკოლოზ [ზიოროვი]-თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი. გურიის სკოლებზე მზრუნველის - ანტონ ნაკაშიძის სტატუსი დადგინდა გაზეთ „დროების“ მეშვეობით¹.

საქართველოს ეროვნულ არქივში ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებული საარქივო მასალა მრავალფეროვანია და ღირებული შინაარსობრივ-თემატური თვალსაზრისით. ჩვენ მი-

1. გაზ. „დროება“, 1876 NN56, 61, 59, 72

ერ დამუშავებული სხვადასხვა ხასიათისა და კატეგორიის დოკუმენტებიდან შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი ანგარიშგასანევი თემატური ბლოკები:

ბიოგრაფიის ამსახველი მასალა

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო წრეებში ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია კარგად არის ცნობილი და შესწავლილი, ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა მიკვლეული მასალა ილიას გენეალოგიის შესახებ - დედის მარიამ (მაგდა) ბებურიშვილის ხაზით. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ 1792 წლის 2 აგვისტოს მეფე ერეკლე II-მ ქრისტეფორე (ხაჩატურ) ბებურიშვილს აზნაურობის სიგელი უწყალობა¹.

საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტებში დაცულია ცნობები ილია ჭავჭავაძის სამოქალაქო და საზოგადოებრივი აქტივობების შესახებ. 1875 და 1881 წლებით თარიღდება საბუთები, რომლებიც ასახავს თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ ილიას ნაფიც ვექილად მიღებისა და მისი თხოვნის თანახმად, ამ მოვალეობისაგან გათავისუფლების თაობაზე. არაერთგზის გვხვდება ილიას კერძო საკუთრების დამადასტურებელი საბუთები. მაგალითად, თბილისის ანდრეევის ქ. N22-ში ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის პროექტი, თბილისის საქალაქო უბნის არქიტექტორის - კ. მარკოროვის დასკვნა, თბილისის ქალაქის გამგეობის საბუთი ჭავჭავაძის სახლის პროექტის დამტკიცების შესახებ და სხვ.

ილია ჭავჭავაძესთან პირდაპირ და ირიბად დაკავშირებული დოკუმენტების გარდა, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია მისი უნიკალური ფოტოები. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ფოტოს, როგორც საარქივო მასალას, გარკვეულწილად, ნარატივის ფუნქცია ენიჭება. ის აცოცხლებს და ინახავს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან ფაქტებს. ფოტოკოლექციაში გვხვდება ილიას პორტრეტები, ჯგუფური ფოტოები. ეს ფოტოები გადაღებულია როგორც ფოტოსალონებში, ისე ბუნებრივ გარემოში. მათი ავ-

1. სეა, ფ. 214, საქ. 3837.

ტორები არიან: ალექსანდრე როინაშვილი, დიმიტრი ერმაკოვი, ი. პანფილოვი, ს. ლევიცკი და სხვები. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ამ ფოტოკოლექციიდან გამოცემისთვის ერთჯერადი გამოყენების მიზნით დავამზადებინეთ გარკვეული ფოტოების ციფრული პირები.

საგამომცემლო საქმე

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტები გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას იმდროინდელი საგამომცემლო საქმიანობის შესახებ, რაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით შესაძლებელია ამ საზოგადოების მიერ სტამბის გამართვის ისტორიის აღდგენა. ამ სტამბის მიზანი იყო ქართული წიგნების ბეჭდვა, წიგნიერების კულტურის დანერგვა და საგანმანათლებლო საქმიანობის დახვეწა. 1886 წლის 26 ივლისს ილია ჭავჭავაძემ სოფ. საგურამოში უმასპინძლა ქართველ მოღვაწეებს: პეტრე უმიკაშვილს, ილია ოქრომჭედლიშვილს, ილია წინამძღვრიშვილს, ილია ბახტაძეს, გრიგოლ ყიფშიძეს, ალექსანდრე ჭყონიას, გიორგი ქართველიშვილს, სოლიკო და მიხეილ მაჩაბლებს, დიმიტრი ბაქრაძეს, რომლებმაც ამ შეხვედრაზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით იმსჯელეს ქართული წიგნების გამოსაცემად საკუთარი სტამბის შექმნისა და გამართვის აუცილებლობის საკითხზე. მათი გადაწყვეტილებით, ახლად დაარსებულ გამომცემლობას მოგებაც უნდა მოეტანა. სტამბის ღირებულება განისაზღვრა 15 ათასი მანეთით. მის შექმნას საზოგადოებას ჰპირდებოდნენ ილია ოქრომჭედლიშვილი და გიორგი ქართველიშვილი¹. სამწუხაროდ, საზოგადოებამ თბილისში სტამბა ვერ დაარსა, მხოლოდ ქუთაისის განყოფილებამ შექმო 1913 წელს მისი გამართვა².

1. სეა,ფ.481,აღწ.1,საქ.120

2. ტ. ხუნდაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, 1960, გვ. 58.

ბუნებრივია, საგამომცემლო საქმის კარგად წარმართვისთვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ნიშნავდა ხოლმე წიგნის გამოცემის კომისიის სხდომებს, რომლებზეც ისმებოდა საკითხი ამა თუ იმ წიგნის დაბეჭდვის შესახებ.

1890 წლის დეკემბრის თვეში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დადო ხელშეკრულება ილია ჭავჭავაძესთან მისი თხზულებების სრული კრებულის ერთგზის გამოცემის შესახებ. ხელშეკრულების პირობების თანახმად, ავტორსა და გამგეობას თანაბრად უნდა გაენაწილებინათ თითოეული ტომის მოგება, ავტორისთვის კი უსასყიდლოდ უნდა გადაეცათ გამოცემის 20 ეგზემპლარი¹. დოკუმენტში კარგად ჩანს იმდროინდელი საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმი და მკაფიოდაა განსაზღვრული ავტორისა და გამომცემლის ვალდებულებები.

წიგნების გამოცემის კომისიის პირველ სხდომაზე განიხილეს ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებების დაბეჭდვის საკითხი. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან გამოსაცემად შეარჩიეს: „კაცია-ადამიანი?“, „გლახის ნაამბობი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და „ოთარაანთ ქვრივი“². მოხმობილი საარქივო მასალიდან შესაძლებელია ილია ჭავჭავაძის თხზულებების საგამომცემლო ისტორიის რეკონსტრუქცია, ასევე, კარგად ჩანს, მისი რომელი ნაწარმოებები სარგებლობდა განსაკუთრებული პოპულარულობით მისივე სიცოცხლეში.

საინტერესოა ის ფაქტებიც, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება არ ივნყებდა იმ უნივერსიტეტებს, რომლებშიც ქართველი სტუდენტები სწავლობდნენ და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სისტემატურად გზავნიდა ქართულენოვან წიგნებს. 1884 წლის 8 ნოემბერს საზოგადოებამ ხარკოვის უნივერსიტეტს შესწირა წიგნები, მათ შორის ილია ჭავჭავაძის შემდეგი ნაწარმოებები:

1. სეა, ფ. 481, აღწ. 1, საქ. 250.

2. 1902 წლის 2 ნოემბერი; სეა, ფ. 481, აღწ. 1, საქ. 25.

„განდეგილი“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“ და „დიმიტრი თავდადებული“. ხარკოვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გასაგზავნის წიგნების ნუსხას ხელს აწერს ილია ჭავჭავაძე¹.

სასკოლო საქმე

როგორ ცნობილია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პრიორიტეტს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სკოლების გახსნა წარმოადგენდა. ისინი ამ საქმის ხორცშესხმას დიდ დროსა და მნიშვნელოვან ადამიანურ თუ ფინანსურ რესურსებს ახმარდნენ. საზოგადოების ინიციატივით, სკოლები დაარსდა ისეთ პატარა სოფლებშიაც კი, როგორებიცაა: ჩოჩხათი, ხვანჭკარა, გომარეთი და სხვ. ილია ჭავჭავაძეს, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს (1879-1885), ხოლო 1885 წლიდან, საზოგადოების თავმჯდომარეს, სისტემატურად მიმართავს სხვადასხვა სკოლის მასწავლებელი (ეგნატე ინგოროყვა, ლუკა კერესელიძე და სხვები) და წლიურ ანგარიშს წარუდგენდნენ. ისინი დაწვრილებით სწერენ სკოლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ; აცნობებენ სკოლის მოსწავლეების რაოდენობასა და იმ სახელმძღვანელოების ჩამონათვალს, რომლითაც ასწავლიან ამა თუ იმ სკოლაში. უგზავნიან სასკოლო ინვენტარის სიას, რომელიც სკოლას ესაჭიროება, სთხოვენ შუამდგომლობას საქართველოს გარკვეულ კუთხეში სკოლის გახსნის შესახებ და სხვ. მაგალითად, 1881 წლის 28 ივნისს გურიის სკოლებზე მზრუნველი — ანტონ ნაკაშიძე მიმართავს ილია ჭავჭავაძეს, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს, აღწერს გურიის სოფ. სურების გეოგრაფიულ მდებარეობას, მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და აღნიშნავს, რომ მცხოვრებთა განათლების დონე ძალიან დაბალია, მხოლოდ ერთეულებმა იციან წერა-კითხვა. სთხოვს, რომ საზოგადოების შემწეობით სოფ. სურებში გაიხსნას სასოფლო-სამეურნეო

1. სეა, ფ. 481, აღწ. 1, საქ. 79.

სკოლა¹. მართლაც, 1884 წლის 5 სექტემბრის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომაზე გადაწყდა გურიის სოფ. სურებში სკოლის გახსნა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ ერთ-ერთ დოკუმენტში ილია ჭავჭავაძე აყალიბებს ვლადიკავკაზის სასწავლებლის ქართველი მოსწავლეებისათვის სხვადასხვა საგნის: საღვთო სჯულის, ქართული და რუსული ენებისა და მათემატიკის სწავლების მეთოდებს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მწერლის აქტიურობასა და მის მუდმივ ჩართულობას სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემაში².

როგორ ცნობილია, 1880-იან წლებში სამეგრელო რუსეთის სეპარატისტული მიზნების ერთ-ერთი პლაცდარმი გახდა. რუსეთის იმპერიამ ერის დასასუსტებლად და გადასაგვარებლად მეგრელები არაქართველებად გამოაცხადა და მათი მფარველობა იკისრა, რაც იმით გამოხატა, რომ გადაწყდა სკოლებიდან ქართული ენა განედევნათ და მეგრულად სწავლება შემოედოთ. ამ რეაქციის ხელმძღვანელები იყვნენ მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი, ეგზარქოსი პავლე და სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი. მათ გვერდში ედგა ზუგდიდის მაზრის სოფელ ცაიშის სკოლის მასწავლებელი თადა აშორდია, რომელიც მეგრული ანბანის შექმნას რუსული და ქართული ასოების გამოყენებით ცდილობდა.

რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძეს სხვა საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ანტაგონისტური დამოკიდებულება ჰქონდა რუსეთის მიზნებისა და აშორდიას სეპარატისტული განწყობის გაღვივების მცდელობის მიმართ. იგი არა მხოლოდ საქმით ცდილობდა დაპირისპირებოდა ცარიზმის მიზნებს, არამედ გაზეთ „ივერიის“ მეშვეობით ამხელდა კიდევ მათ. საქართველოს ეროვნული არქივში დაცულია 1887 წლის 28 აპრილით დათარიღებული თადა აშორდიას წერილი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ კირილე პეტრეს ძე იანოვსკის სახელზე, რომელშიც აუწყებს მას, თუ როგორ გალანძღეს და დაე-

1. სეა, 481, აღწ. 1, საქ. 48.

2. სეა, ფ. 481, აღწ. 1, საქ. 173.

მუქრნენ მეგრული ანბანის შედგენის გამო ოზურგეთის მახრის თავადაზნაურთა წინამძღოლი ვარლამ ერისთავი, მწერალი კონია დადიანი და აკაკი წერეთელი, ვინმე გ. მამფორიამ კი დუელშიც კი გამოიწვია. აშორდიას ინფორმაციით, 1885 წლის 11 იანვრის ცირკულარის წინააღმდეგ ხალხის დასარაზმად სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში თითქმის ყოველთვიურად იკრიბებოდნენ დიმიტრი ყიფიანი (ვიდრე გადაასახლებდნენ), ილია ჭავჭავაძე და მათი თანამოაზრეები, ხოლო იმის წარმოსაჩენად, თუ როგორ უპირისპირდებოდა ხელისუფლების გადაწყვეტილებებს ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“, აშორდია დანვრილებით აღწერს სამსონ ყიფიანის სტატიას „წერილი კუდიანეთიდან“¹, რომელშიც, მისივე განმარტებით, კუდიანების უფროსად - როკაპად თავად წერილის ადრესატი კირილე იანოვსკია გამოყვანილი, მის ქვეშევრდომ დემონებად კი - ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორი ფ. ლევიცკი (იონა მეუნარგიას ცნობით, აშორდიას „მამინაცვალი“) და თბილისის სახალხო სკოლების ინსპექტორი, მეგრული ანბანის ერთ-ერთი ავტორი - ალექსეი გრენი. მეორე სტატია, რომლის შესახებ წერს აშორდია, არის ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანის ფელეტონი „კაი ხუმრობაა!“², რომელშიც, წერილის ავტორის თქმით, მას ცოცხლად მარხავენ და წესს უგებენ. აღმფოთებული აშორდია იანოვსკის სწერს, რომ ველარ ახერხებს თავის შეკავებასა და უმორჩილესად სთხოვს, რომ დააჩქარონ მისი ანბანის ბეჭდვა³.

ილია ჭავჭავაძეს, როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეს, მიმონერა აქვს იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძესთან, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძესთან, ლორან ბროსესთან (მარი ბროსეს ვაჟი), თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ ნიკოლოზ [ზიოროვთან], მასწავლებელ ანდრია ლულაძესა და სხვებთან.

1. გაზ. „ივერია“, 1887, 11 იანვარი, N7, გვ. 1-3.

2. გაზ. „ივერია“, 1887, 22 თებერვალი, N39, გვ.1-3.

3. სეა, ფ. 422, აღწ. საქ. 2891.

1891 წლის 8 თებერვალს ილია ჭავჭავაძე აცნობებს იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეს, რომ საზოგადოებამ ის საპატიო წევრად აირჩია მწიგნობრობის გავრცელების საქმეში შეტანილი წვლილისთვის. იქვეა დაცული ეპისკოპოს გაბრიელის წერილი ილია ჭავჭავაძისადმი. მასში ადრესანტი დიდ პატივად მიიჩნევს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრობას და მზადყოფნას გამოთქვამს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის საქმიანობაში¹.

როგორც ვხედავთ, საქართველოს ეროვნულ არქივში მიკვლეული მასალა, ძირითადად, ეხება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობასა და ილია ჭავჭავაძის აქტივობას ამ ორგანიზაციის მართვაში. დოკუმენტებში ნაკლებად გვხვდება საარქივო მასალები მისი მხატვრული შემოქმედებიდან. ვფიქრობთ, საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტების და ფოტოების საფუძველზე მომზადებული ანოტაციები დიდ დახმარებას გაუწევს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევით დაინტერესებულ მეცნიერებს, სტუდენტებს და ფართო საზოგადოებას.

1. სეა, ფ. 481, აღწ. 1, საქ. 303.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალები

(მონაცემთა კვლევა და ანოტირება)

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანის შესავსებად დავამუშავეთ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ილია ჭავჭავაძის პირადი არქივი და მოვიძიეთ მის შესახებ სხვადასხვა საზოგადო მოღვაწის ფონდში არსებული მასალა. აღნიშნული საარქივო დოკუმენტები მნიშვნელოვანია XIX საუკუნის ბოლო პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მასში აქტიურად ჩართული ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივი მოღვაწეობის სურათის აღსადგენად. 1987 წელს ილია გორგაძისა და ნოდარ გურგენიძის მიერ შედგენილ მატთანეში კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დოკუმენტაციის მხოლოდ მცირე ნაწილია შეტანილი. მოძიებული დოკუმენტების მიხედვით, შესაძლებელია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და საზოგადოებრივი აქტივობის სრული სურათის მეტ-ნაკლებად რეკონსტრუქცია. თემატურად მრავალფეროვანი მასალა წარმოაჩენს მას, როგორც სხვადასხვა სფეროში მოღვაწე პიროვნებას.

მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ ხშირად დოკუმენტებში პიროვნებები მითითებულია მხოლოდ სტატუსით ან გვარით და სახელის ინიციალით. კვლევის შედეგად დაზუსტდა მათი ვინაობა, რაც ხელს შეუწყობს საარქივო დოკუმენტის ადეკვატურად გაგებას. მაგ: [ოლლა] ლებედვეა (აღმოსავლეთ-მცოდნეობის საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე), [ივანე] სულხანიშვილი (სოფელ ნიქოზის ტაძრის განმაახლებელი კომიტეტის წევრი), [მაქსიმილიანე ზაქარიას ძე] ჭავჭავაძე (თელავისა და თიანეთის მაზრების თავადაზნაურთა წინამძღოლი), ბარონი [ემანუელ] ნოლდე (მინისტრთა კომიტეტის მდივანი) და სხვა.

სხვადასხვა ხასიათისა და კატეგორიის მოძიებული საარქივო ერთეულებიდან შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი საკვანძო საკითხები:

ბიოგრაფიის ამსახველი მასალა

მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია მეცნიერთა მიერ კარგად არის შესწავლილი, მაინც აღმოჩნდა ისეთი დოკუმენტები, რომლებიც აზუსტებს ამ ბიოგრაფიის ცალკეულ დეტალებს. ასეთია, მაგალითად, მისი საზღვარგარეთული პასპორტი, რომელიც 1900 წლით თარიღდება. ცნობილია, რომ ის ჯანმრთელობის გაუარესების გამო სამკურნალოდ წავიდა გერმანიასა და ავსტრიაში. პასპორტში გვხვდება ავსტრია-უნგრეთის საკონსულოს ნებართვა საზღვრის გადაკვეთის შესახებ. მოცემულია ზუსტი მონაცემები საზღვრის დატოვებისა (1900 წლის 27 ივნისი) და დაბრუნების თაობაზე (1900 წლის 10 სექტემბერი); (N19¹). ასევე, დაცულია თბილისის ყოვლადწმინდა სამების საეკლესიო დავთრიდან ამონაწერი ილია ჭავჭავაძისა და ოლა გურამიშვილის ქორწინების შესახებ, რომელსაც ხელს აწერს მღვდელი ვასილ კარბელაშვილი (თბილისის ყოვლადწმინდა სამების ეკლესიის წინამძღვარი). დოკუმენტში დაკონკრეტებულია ქორწინების თარიღი — 1863 წლის 10 აპრილი და მათი მეჯვარეების ვინაობა (ილიას მხრიდან ჯვრისწერას ესწრებოდნენ დავით ყიფიანი და ნიკოლოზ ჭავჭავაძე, ხოლო ოლას მხრიდან — ფლიგელ-ადიუტანტი პოდპოლკოვნიკი ილია ჩოლოყაშვილი და „კოლეჟის ასესორი“ სულხან თუმანიშვილი). წყვილს ჯვარი დასწერა მღვდელმა ნიკოლოზ არდაზიანმა (N 51). მეცნიერთა ერთი ნაწილი დღესაც მიიჩნევს, რომ ილია ჭავჭავაძე 1901 წელსაც იმყოფებოდა საზღვარგარეთ. ასე რომ ყოფილიყო, ეს აუცილებლად იქნებოდა აღნუსხული

1. **შენიშვნა:** სტატიაში გამოყენებული ყველა დოკუმენტი დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირად ფონდებში. ილია ჭავჭავაძის საარქივო ნომრები მითითებულია ფრჩხილებში.

მის საზღვარგარეთის პასპორტში. შესაბამისად, ანოტაცია პასპორტის ამონაწერის შესახებ კიდევ ერთი არგუმენტია ამ თვალსაზრისის გასაბათილებლად. ასეთივე აზრთა სხვადასხვაობა იყო ილია ჭავჭავაძის ჯვრისწერის თარიღთან დაკავშირებითაც. ზოგი მიიჩნევდა, რომ ეს მოხდა 21 აპრილს და ეს თარიღი იყო მითითებული მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების 1987 წლის მატრიანეშიც, მაგრამ, ვფიქრობთ, საეკლესიო ჩანაწერი და ის ფაქტი, რომ 10-დან 21 აპრილამდე მისი მიმონწერა ოლლა გურამიშვილთან აღარ გრძელდება (მანამდე მათ თითქმის ყოველდღიური მიმონწერა ჰქონდათ), საბოლოოდ გვარწმუნებს, რომ ჯვრისწერა 1863 წლის 10 აპრილს მოხდა.

არაერთგზის გვხვდება ილიას კერძო საკუთრების დამდასტურებელი საბუთები. მაგალითად, თბილისის ანდრეევის ქ. N 22-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის საბინაო დავთარი, რომელშიც ჩანს მობინადრეთა ვინაობა, ასაკი, აღმსარებლობა, სოციალური სტატუსი და საქმიანობა (N29). 1903 წელს ილია ჭავჭავაძე ავსებს კერძო მამულის მფლობელებისთვის გათვალისწინებულ სავალდებულო კითხვარს. მასში დაკონკრეტებულია მამულის ადგილმდებარეობა, მიწის ფართობი და სხვა (N 26). აქვე იწახება ილია ჭავჭავაძის მიერ შედგენილი ხელწერილები, რომლებიც სამეურნეო სფეროს ეხება. ის თავად წყვეტს თავის მამულში მოწეული მოსავლის განკარგვის საკითხს, ამა თუ იმ პიროვნებას გარკვეული თანხის სანაცვლოდ უთმობს მიწას ცხვრის საბალახოდ, ზრუნავს ნისქვილის მოწყობაზე, ირჩევს მოჯამაგირეებს და სხვა.

ილია ჭავჭავაძემ 1889 წლის 1 ივლისს თბილისის მოქალაქეს სვიმონ არუთინოვს მიჰყიდა წინამურსა და საგურამოში მოწეული მოსავალი (N 670).

1903 წლის 28 ოქტომბერს ის მოჯამაგირედ ნიშნავს დუშეთის მაზრის სოფელ საგურამოში მცხოვრებ სანდრო უნდილაშვილს. დოკუმენტში პუნქტების სახით მოცემულია მოჯამაგირის მოვალეობები (N 676).

საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

საზოგადოებრივი აქტივობის თვალსაზრისით, ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია მეტად მრავალფეროვანია. ის გვევლინება პოლიტიკოსის, ფინანსისტის, იურისტის, ჟურნალისტის, კარგი მმართველის როლებში. ყურადსაღებია მისი, როგორც ქველმოქმედის სახე. საგულისხმოა, რომ ის ხშირ შემთხვევაში გვევლინება საქველმოქმედო საქმიანობის მედიატორადაც.

სოფელ ნიქოზის ტაძრის განმაახლებელი კომიტეტის წევრები ([ივანე] სულხანიშვილი, გიორგი საძაგლიშვილი, იოანე დავითაშვილი) სთხოვენ ილია ჭავჭავაძეს, რომ მან გაიღოს ფულადი ან სხვა სახის შეწირულობა ეკლესიის აღსადგენად (1889წ., 28 თებერვალი); (N 12).

1906 წლის 22 სექტემბერს თელავისა და თიანეთის მაზრების თავადაზნაურთა წინამძღოლი [მაქსიმილიანე ზაქარიას ძე] ჭავჭავაძე სთხოვს ილია ჭავჭავაძეს, რომ გაიღოს შესანიშნავი ყვარლის დაზარალებული მოსახლეობისთვის (N 47).

ხშირ შემთხვევაში ჩვენთვის უცნობია, რამდენად აკმაყოფილებს ილია ჭავჭავაძე ყველა პირისა თუ ორგანიზაციის თხოვნას. საფიქრებელია, რომ ის უმეტესწილად ცდილობს დახმარების განეწიოს ინდივიდუალურად ან როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე.

1876 წლის 5 მარტს იღებს ალექსანდრე ცაგარელის წერილს, რომელშიც მადლობას უხდის ქართველი ხელმოკლე სტუდენტებისთვის განეული შემწეობისთვის¹. იმავე წლის 25 მაისს ალექსანდრე ჭყონია პარიზიდან სთხოვს ფინანსურ დახმარებას, რათა შეძლოს სწავლის დასრულება (N655). 1876 წლის 7 ივლისს იღებს მისივე წერილს, რომელშიც აცნობებს, რომ მიიღო ილია ჭავჭავაძის მიერ მისთვის საფრანგეთში გაგზავნილი თანხა (200 მან); (N656).

1. კ. კინურაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, 1974, გვ. 189

ილია ჭავჭავაძე - „ივერიის“ რედაქტორი

ილია ჭავჭავაძის მიერ დაფუძნებულ ამ პერიოდული გამოცემის მიზანს წლების განმავლობაში წარმოადგენდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაღვივება და თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის იდეური ბრძოლა. „ივერია“ ყოველთვის იყო სახელისუფლებო და საზოგადოებრივი მანკიერებების წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო, რის გამოც მასში დასაბეჭდ სტატიებს ხშირად ედებოდა კავკასიის საცენზურო კომიტეტის ვეტო. „ივერიამ“ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული მწერლობის განვითარების საქმეშიც. მასთან თანამშრომლობდნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ლომოური და სხვები. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია საარქივო მასალები, რომლებშიც ილია, როგორც გაზეთის რედაქტორი, იწვევს ამა თუ იმ პიროვნებას თანამშრომლობისთვის. 1885 წელს ის მიმართავს ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ მაჩაბელს და აცნობებს, რომ 1886 წლის 1 იანვრიდან გამოვა ყოველდღიური გაზეთი „ივერია“, უგზავნის პერიოდული გამოცემის პროგრამას და სთხოვს თანამშრომლობას¹. გარდა საზოგადოებრივი და ლიტერატურული საქმიანობისა, „ივერიის“ თანამშრომლები რედაქტორთან ერთად აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას საქველმოქმედო ღონისძიებებშიც.

პეტრე გრუზინსკის მიერ შედგენილი ხელწერილის თანახმად, ილია ჭავჭავაძე გადასცემს მას გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში შეგროვებულ 1000 მანეთს ქოლერისგან დაზარებულ გლეხთა დასახმარებლად (1892 წ., 15 ოქტომბერი); (N679).

1892 წლის 29 აპრილს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ილია ჭავჭავაძისგან იღებს 3081 მანეთს და 19 კაპიკს, რომელიც შეკრიბეს „ივერიის“ რედაქციაში ბარათაშვილის, ბაქრაძის, ყაზბეგის, დავითაშვილი-

1. ხეც, მიხეილ მაჩაბლის არქ. N355.

სა და გურიელის თხზულებათა გამოსაცემი ფონდების შესაქმნელად (N 15).

ალექსანდრე სარაჯიშვილის პირად არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით შესაძლებელია თვალი მივადევნოთ მისთვის გაზეთ „ივერიის“ რედაქტორის უფლება-მოვალეობების გადაცემის ისტორიას. 1901 წლის 24 ოქტომბერს „ივერიის“ გამომცემელი ამხანაგობის მიერ გამართულ სხდომაზე განიხილეს სარაჯიშვილის წინადადება ილია ჭავჭავაძის მიერ მისთვის რედაქტორის უფლებისა და გაზეთის მიყიდვის შესახებ. გადანყდა, რომ სარაჯიშვილის რედაქტორად დამტკიცების შემთხვევაში, ის ჭავჭავაძეს ექვსი თვის განმავლობაში თანდათანობით გადაუხდოდა 3000 მანეთს¹. ილია ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიის“ რედაქტორის უფლების გადაცემას სარაჯიშვილისთვის ჯანმრთელობის გაუარესებით ხსნის:

[1901 წლის 16 ნოემბერს] ილია ჭავჭავაძე მიმართავს კავკასიის საცენზურო კომიტეტს და ითხოვს, ავადმყოფობის გამო გაათავისუფლონ გაზეთ „ივერიის“ რედაქტორობიდან, ხოლო მის ადგილზე დროებით დანიშნონ ალექსანდრე სარაჯიშვილი.

ალექსანდრე სარაჯიშვილი მიმართავს კავკასიის საცენზურო კომიტეტს და ითვალისწინებს რა ილია ჭავჭავაძის ავადმყოფობის ფაქტს, თანახმაა, რომ ექვსი თვის ვადით დაინიშნოს გაზეთ „ივერიის“ რედაქტორად ([1901 წლის ნოემბერი]²).

კავკასიის საცენზურო კომიტეტმა დააკმაყოფილა ილიას თხოვნა და 1901 წლის 4 დეკემბრიდან გაზეთ „ივერიის“ რედაქტორია ალექსანდრე სარაჯიშვილი. სარაჯიშვილი დაკისრებული ვალდებულების პარალელურად, იხდის გაზეთის შესყიდვის თანხას. 1902 წლის 8 ივნისს ილია ჭავჭავაძემ შეადგინა ხელწერილი, რომლის თანახმად, ალექსანდრე სარაჯიშვილისგან მიიღო 1000 მანეთი გაზეთ „ივერიის“ რედაქტორის უფლების გადაცემასთან დაკავშირებით³.

1. ხეც, ალექსანდრე სარაჯიშვილის არქ. N3.

2. ხეც, ალექსანდრე სარაჯიშვილის არქ. N8.

3. ხეც, ალექსანდრე სარაჯიშვილის არქ. N7.

ილია ჭავჭავაძე - სახელმწიფო საბჭოს დეპუტატი

1906 წელს ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს, რასაც საზოგადოების დადებითი რეაქცია მოჰყვა. 1906 წლის 13 აპრილს მოსკოვის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი პეტრე ტრუბეცკოი აცნობებს, რომ ის აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად (N38). ილია ჭავჭავაძის არქივში ინახება ტრუბეცკოისადმი გაგზავნილი დეპუტატის პირი, რომლის თანახმად, თელავის თავადაზნაურობა მადლიერებას გამოხატავს მისი დეპუტატად არჩევის გამო. ადრესატი ამ დეპუტატს უგზავნის ილიას (N 39). ცნობილია, რომ სახელმწიფო საბჭოში ის აქტიურად იბრძოდა სიკვდილით დასჯის კანონის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთის იმპერიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დღის წესრიგიდან მოიხსნა.

1906 წლის 22 ივნისს ილია ჭავჭავაძე იღებს სახელმწიფო კანცელარიის მიმართვას, რათა გამოცხადდეს თავადაზნაურთა საკრებულოში სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე, რომელზეც უნდა განეხილათ კანონპროექტი სიკვდილით დასჯის შესახებ. დოკუმენტში დაკონკრეტებულია სხდომის გამართვის თარიღი — 23 ივნისი (N 44).

ილია ჭავჭავაძის პირად არქივში ინახება მისი, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრის სავიზიტო ბარათებიც (N N102, 1055).

მიმონერა

ილია ჭავჭავაძის პირადი არქივი მდიდარია ეპისტოლური მემკვიდრეობით. მრავალრიცხოვანი და წარმომადგენლობითია ადრესატთა და ადრესანტთა წრე. მას აქვს სისტემატური მიმონერა ქართველ, უცხოელ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებთან (ივანე გვარამაძე, მოსე თოიძე, დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი ყიფიანი, მარჯორი უორდროპი, ბარონი დე ბაი, ევსტაფი დობეცკი, დიმიტრი ყიფიანი და სხვა). ბუნებრივია, რომ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართათვის მნიშვნელოვანია მისთვის გაგზავნილი წერილები, რომელთა უმრავლესობა გამოუქვეყნებელია და სა-

ზოგადოებისათვის ნაკლებად არის ცნობილი. წერილები თემატურად მრავალფეროვანია და ასახავს ილიას საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფართო სპექტრს. ეპისტოლეები, ძირითადად, კერძო და საქმიანი ხასიათისაა; ეხება ქართულ ბანკსა და „ივერიის“ საგამომცემლო საკითხებს, ადრესატს ხშირად სთხოვენ ფინანსურ შემწეობასა და რჩევებს ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად. ჩანს, მისი აქტივობა პოლიტიკის სფეროში.

ყურადსაღებია ილია ჭავჭავაძის მოურავების გიორგი გიგინაშვილისა და ნოშრევან ჯაფარიძის წერილები, რომლებშიც უგზავნიან მამულის მოსავლისა და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საკითხების ზედმინევენით ანგარიშს.

1898 წლის 4 დეკემბერს იღებს ყვარლის მოურავის გიორგი გიგინაშვილის წერილს, რომელშიც აცნობებს, რომ 5 წლის განმავლობაში ადრესატისგან მიიღო ჯამაგირის სახით 270 მანეთი. სწერს ნისქვილის შემოსავლისა და ქვევრებში ღვინის რაოდენობის შესახებ (N 480).

იღებს ნოშრევან ჯაფარიძის წერილს, რომელშიც სწერს რთველის შესახებ (1905 წლის 8 ოქტომბერი; N561).

გარდა კონკრეტულ ადრესანტ-ადრესატთა, მიმონერაში გვხვდება სხვადასხვა დაწესებულების სახელით გაგზავნილი წერილებიც.

წერილების დათარიღება

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ილია ჭავჭავაძისადმი სხვადასხვა პირის მიერ გაგზავნილი წერილები, რომელთა გარკვეული რაოდენობა დაუთარიღებელია. მნიშვნელოვანი ნაწილი, ძირითადად, დავათარიღეთ პერიოდული გამოცემების საფუძველზე. ილია ჭავჭავაძის არქივში ინახება ალექსანდრე ყაზბეგის უთარილო წერილი (N626), რომელშიც ადრესანტი სწერს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ბათუმის სკოლის მასწავლებლის მოსე ნათაძის ინფორმაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მას თითქოს ყაზბეგისგან მიუღია 63 მანეთი სკოლის სასარგებლოდ და შემდეგ ეს თანხა გადაუცია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ-

ცვლებელი საზოგადოებისათვის. ყაზბეგი განმარტავს, რომ საქმის ვითარება რეალურად სხვაგვარად იყო: ის რამდენიმე პირთან ერთად გაეცნო სკოლის მდგომარეობას და მის დასახმარებლად, საზოგადოებისგან დამოუკიდებლად ჭიდაობა გამართეს, შემოსული თანხა კი ბათუმის სკოლის მასწავლებელს მინდობილობით გადასცეს. 1886 წლის 10 ოქტომბერს გაზეთ „ივერიის“ (N218) ფურცლებზე დაიბეჭდა ნათაძის წერილი „ბ-ნო რედაქტორო!“, რომელშიც მადლობას უხდის ყაზბეგს ბათუმის სკოლის სასარგებლოდ ჭიდაობის გამართვისათვის. შესაბამისად, ბარათს ვათარილებთ 1886 წლის ოქტომბრის მიწურულით.

საინტერესოა ზაქარია ერისთავის რამდენიმე წერილი, რომლებიც ეხება სოფ. ოძისში საკუთარი სახსრებით სამეურნეო სკოლის გახსნასა და ილიას ჩართულობას ამ საქმეში. სამივე წერილი დაუთარილებელია, ბარათებზე მოცემულია მხოლოდ თვე და რიცხვი (31 მარტი, 25 აპრილი და 19 ნოემბერი). აღნიშნულ წერილებს ვათარილებთ 1895 წლით შემდეგი გარემოებები გამო: ვფიქრობთ, რომ პირველი წერილი (31 მარტი), რომელშიც ადრესანტი სწერს რომ აპირებს სოფ. ოძისში საკუთარი სახსრებით გახსნას სამეურნეო სკოლა, 1894 წლის 9 დეკემბრამდე ვერ იქნება დაწერილი, რადგან მანამდე ოფიციალურად არ იყო დადასტურებული ზაქარია ერისთავის მიერ სკოლის ასაშენებლად თავადაზნაურობისათვის თავისი მამულის ჩუქების ფაქტი. მეორე მხრივ, რამდენადაც 1895 წლის სექტემბერში გაზეთი „ივერია“ წერილების მთელ ციკლს უძღვნის ამ სკოლის საკითხს, ჩანს, რომ ილია მასში უკვე ჩართულია. შესაბამისად, ბარათიც 1895 წლის 31 მარტს უნდა იყოს დაწერილი. რაც შეეხება მეორე წერილს, 1895 წლის 24 აპრილს ზაქარია ერისთავმა გაუგზავნა გუბერნიის მარშალს თავისი პირობები მის მიერ შემოწერილ მამულში სკოლის აშენებასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მეორე წერილი (25 აპრილი) სწორედ იმავე წლის მომდევნო დღეს არის დაწერილი და ილიას ხელი უნდა შეეწყო თავადაზნაურობის მიერ ამ პირობების მიღებაში. სამივე წერილის 1895 წლით დათარიღებას კიდევ უფრო ამტკიცებს შემდეგი ფაქტი: მესამე წერილში

(19 ნოემბერი) ადრესანტი სწერს, რომ ოძისის სამეურნეო სასწავლებლის დირექტორად სურს დანიშნოს ქიმიის პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი. 1895 წლის გაზეთ „კვალში“ (N37, გვ.5) დაიბეჭდა პეტრიაშვილის თანხმობა ოძისის სამეურნეო სასწავლებლის ხელმძღვანელობის თაობაზე.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება კიდევ ერთი უთარილო წერილი, რომლის ადრესანტია ანტონ ფურცელაძე. ის სწერს ილიას ბაბაევის საქმის თაობაზე. 1906 წლის 12 იანვარს ცნობის ფურცლის სურათებიან დამატებაში დაიბეჭდა წარმომოხებით პოლონელი მხატვრის ჰენრიკ შრინევიკის ნახატი „დიდუბეში ზარბაზნით დაზიანებული ბაბაევის სახლი დეკემბერში“. თუ გავითვალისწინებთ ამ ფაქტს და იმასაც, რომ ანტონ ფურცელაძე 1905 წლიდან იყო თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე, ბაბაევის სახლი კი, როგორც ჩანს, 1905 წლის დეკემბერში ზარბაზანს დაუზიანებია. საფიქრებელია, რომ ეს სახლი დაგირავებული იყო ბანკში, შესაბამისად, მისი დაზიანება ღირებულებას დასწევდა. სწორედ ამასთან დაკავშირებით უნდა იყო წერილში საუბარი. ამგვარად, ბარათს ვათარილებთ 1906 წლის იანვრით.

ილია ჭავჭავაძის პირადი არქივი მოიცავს მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველ მნიშვნელოვან მასალასაც. ინახება ილიას პოემების, ლექსების, პუბლიცისტური წერილების ავტოგრაფები ვარიანტული სხვაობებით, რომელთა საარქივო ლიტერები ზედმიწევნით გადავამოწმეთ და მითითებული პაგინაციის მიხედვით აღვწერეთ.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის სახელთან დაკავშირებული კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მრავალფეროვანი საარქივო მასალა შეუცვლელ წყაროს წარმოადგენს მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების მატეიანის სრულყოფისათვის. ვფიქრობთ, რომ დოკუმენტების ანოტირებული ვარიანტები დიდ დახმარებას გაუწევს მეცნიერებსა და დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას ილიას საზოგადოებრივი საქმიანობის კვლევისას.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა დუშეთის მომრიგებელ მოსამართლედ

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მატრიანეზე მუშაობა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს მკვლევარს, რადგან მას უხდება კიდევ ერთხელ გადაავლოს თვალი ამ ბუმბერაზი საზოგადო მოღვაწისა და შემოქმედის ყოველდღიურ ცხოვრებას, გაიხსენოს მრავალი უკვე ცნობილი ფაქტი და შემოქმედებითი სიხარული განიცადოს თუ აღმოაჩენს, რომ კიდევ რაიმე ინფორმაცია არსებობს, რაც მკვლევრების ყურადღების მიღმა დარჩენილა. როგორც ახალმა კვლევებმა გვაჩვენა, მართლაც გამოვლინდა მრავალი საინტერესო ფაქტი, რომელიც ახალ მატრიანეში უნდა აისახოს, რათა უფრო სრულყოფილად გამოჩნდეს ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ის პერიოდი, როდესაც ილია თბილისის გუბერნიის დუშეთის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იყო. საკვლევი მასალა თავმოყრილია „საისტორიო მოამბეში“¹. აქ არის რუსულ ენაზე შედგენილი 40—მდე ოქმი. აღსანიშნავია, რომ იმ დროს სასამართლო საქმეები, დუშეთშიც კი, რუსულად წარმოებდა. ყველა ოქმს ხელს აწერს მომრიგებელი მოსამართლე, თავადი ილია ჭავჭავაძე.

აი, როგორ აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძე დუშეთში:

1864 წლის 28 ოქტომბერს ალექსანდრე II-მ ნიცაში ხელი მოაწერა აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმობის გაუქმების ბრძანებულებას. ილია ჭავჭავაძე ამის გამო ქუთაისიდან გამოიხმეს (სადაც საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით, გენერალ-გუბერნატორის საგანგებო მინდობილობით, მოხელედ იყო გამწესებული) და 1864 წლის 8 ნოემბერს მომრიგე-

1. „საისტორიო მოამბე“, 19-20, 1965 წ.

ბელ შუამავლად გაგზავნეს დუშეთში, სადაც 1868 წლის 1 თებერვლამდე დაჰყო.

ილიამ ამ პერიოდში მთელი დუშეთის მაზრის მთიანეთი ფეხით შემოიარა. ის სახნავი მიწებისა და საძოვრების აზომვა-აღწერაში მონაწილეობდა და ცდილობდა გლეხებს დახმარებოდა. გასაზომ თოქს გლეხის სასარგებლოდ ჭიმავდა და გადაბიჯების ნაცვლად გადახტომით აფიქსირებდა მიწას. ამის გამო გლეხებმა სიყვარულით „გადახტი ბატონი“ შეარქვეს.

1866 წლის ნოემბერში დუშეთის მაზრის მომრიგებელი შუამავალი, ილია ჭავჭავაძე, ფულადი ჯილდოთი, 1867 წლის 21 აპრილს - „კოლეჟსკი რეგისტრატორის“ ჩინით, ხოლო 1868 წლის 10 თებერვალს „ნარჩინების ნიშნით“ დააჯილდოვეს.

1868 წლის 1 თებერვალს კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებით „თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე დაინიშნა თბილისის გუბერნიის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლედ¹. ილიამ დუშეთში ამ თანამდებობაზე 1873 წლის მაისის ბოლომდე იმუშავა. შემდეგ საკუთარი სურვილით წამოვიდა დუშეთიდან და აღარასოდეს უმუშავია სახელმწიფო სამსახურში². ამის მიზეზი ის იყო, რომ ლიტერატურულ შრომას მოწყდა. გასაჭირი, სიღარიბე, სიმარტოვე, როგორც თავად წერს, „სუდის ნაწილის სიდამპლე და სიმყრალე“, სულს უხუთავდა. ამ პერიოდში დანერა „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“, რომელიც მომრიგებელ შუამავლად სამსახურის დროს „ნაპოვნი საგნებითა“ და საკუთარი თვალით ნანახი და განცდილი ისტორიებით შეიქმნა. ეს ნაწარმოები გამოქვეყნდა გაზ. „დროებაში“³. ამავე პერიოდში დაინერა „დროების“ პირველი ნომრისთვის „ზოგიერთი რამ“, რომელიც იმდენად გამოირჩეოდა „ეროვნული რადიკალიზმით“, რომ ცენზურამ აკრძალა და მხოლოდ 10 წლის შემდეგ დაიბეჭდა.

1. „ლიტ: მემკვ“.1, გვ. 579-571, გაზ. „დროება“ 1868, №6, გვ.2.

2. „საისტ. მოამბე“, III.1947, გვ. 275.

3. გაზ. „დროება“, 1867 წ. №33, გვ. 2-6.

ილიამ სისხლის სამართლის მრავალი საქმე განიხილა და განაჩენი გამოიტანა. „საქმეები“ ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ხასიათისა იყო და, ამდენად, ნაკლებად საინტერესო, თუმცა, მწერალს შეიძლება, კიდევ გამოდგომოდა, როგორც საბაზი მნიშვნელოვანი თხზულების შესაქმნელად ან პროტოტიპების შესარჩევად.

ილია ჭავჭავაძის მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობისდროინდელი ოქმები წარმოდგენას გვიქმნის იმ რთულ, მომაბეზრებელ, ზოგჯერ უაზრო საქმიანობაზე, რომელსაც ყოველდღიურად ეწეოდა ახალგაზრდა იურისტი, დიდი მიზნებით, ოცნებებით, გეგმებით, აღსავსე საზოგადო მოღვაწე და მწერალი. ამ პერიოდში ილიას საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობის არეალი შეზღუდული იყო, ამიტომ მისი მეგობარი მწერლები, ჟურნალისტები რამდენჯერმე ეწვივნენ დუშეთის მომრიგებელ მოსამართლეს და სთხოვეს, სამწერლო და საგამომცემლო საქმიანობას დაბრუნებოდა, სადაც მას შემცველი არ ჰყავდა... ილიამ ეს თხოვნაც გაითვალისწინა, როცა საბოლოოდ თქვა უარი სახელმწიფო სამსახურზე.

თბილისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება ილია ჭავჭავაძის მიერ შედგენილი ოქმების დედნები და ხელნაწერები, რომლებშიც ასახულია მის მიერ წარმოებული საქმეები და გამოტანილი განაჩენები.

ილია, როგორც ყოველთვის, ობიექტური, მტკიცე, მოუსყიდველი და სამართლიანი მსაჯულია. მისთვის უცხოა სოციალური, ქონებრივი, სამსახურებრივი ან სხვა რაიმე ნიშნით უპირატესობის მქონე დამნაშავეს მფარველობა, ოდნავი მიკერძოებაც კი.

აღნიშნული დოკუმენტებიდან ვეცნობით კომპეტენტურ, განათლებულ, პრინციპულ, სამართლიან მოსამართლეს, რომელიც გლეხს და თავადს, მდიდარს და ღარიბს მხოლოდ კანონიერად, პირადი სიმპატია-ანტიპათიის გარეშე ასამართლებს. მისი ბრძნული გადაწყვეტილებების წყალობით, ერთი შეხედვით, უტყუარი დამნაშავე გამართლებულა და ცრუპენტელა მომჩივანი კი დასჯილა. ასეთი იყო მაგალითად, დიაკვან იოსებ უსიტოვის საქმე, რომელსაც საამ ფერესოვი ედავებო-

და გასესხებულ ფულს, მას ჰქონდა ხელწერილი დიაკვნის ხელმოწერით და ჰყავდა ორი მონძე. გამოძიებამ დაადგინა, რომ ხელწერილი ყალბი იყო და მონძეებიც ცრუობდნენ. ილიამ ურჩია თაღლით მემამულეს, უკან წაეღო სარჩელი და, რაკი უარი მიიღო, საქმე თბილისში, სამხარეო სასამართლოს გადაუგზავნა¹.

სამოქალაქო დავები სასამართლოს ყოველდღიური საქმიანობა იყო. ილია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა უსამართლოდ არ დაჩაგრულიყო ქალი, არასრულწლოვანი ან ავადმყოფი, არ გაყალბებულიყო ანდერძი და სხვ. ასე დაიცვა მან ქვრივი ქეთევან კორაშვილი მოძალადე ნათესავისგან, რომელიც მოტყუებით სახლს ართმევდა (ოქმი N4 და 5), გაათავისუფლა არასრულწლოვანი არუთინ დალაქიშვილი მისთვის შეუფერებელი სამუშაოსაგან (მამამ მცირეწლოვანი შვილი არაკანონიერად მიაქირავა კაცს, ვისი ვალიც ჰქონდა); ასევე ფული დაუბრუნა პაციენტ ბექაურს, რომელსაც წამალი გამოუნერა ექიმობის უფლებების არმქონე პირმა (ოქმი N1, N13). მოსამართლე ილიამ მრავალი დანგრევის პირას მისული ოჯახი გადაარჩინა და ცოლ-ქმარი შეარიგა (ოქმი N6, 7, 16, 20), ჯარიმისაგან იხსნა გლეხი წულიაშვილი, რომელსაც თავადი იოსებ კლიმიევი (კლიმიაშვილი) უჩიოდა, რომ გლეხმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. გამოძიებით დადგინდა, რომ თავადმა თავში ჩაარტყა წულიაშვილს და მხოლოდ ამის შემდეგ შეაგინა გლეხმა... მოსამართლემ გაამართლა ბრალდებული, ხოლო არაკეთილსინდისიერ თავადს სასამართლო ხარჯების დაფარვა დააკისრა.

თუ ერთ შემთხვევაში თავგასული მებატონე დაისაჯა, მეორე შემთხვევაში, გლეხი პეტრიაშვილი აღმოჩნდა ცრუ მომჩივანი, რომელიც ცილს სწამებდა თავად ხიმშიაშვილს, რომ ხარი წაართვა. გამოძიებით დადასტურდა, რომ პეტრიაშვილი ცრუობდა და თავადი ხიმშიაშვილი გამართლდა, დამნაშავეს კი სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება დაეკისრა².

1. „საისტორიო მოამბე“, 19-20, 1965, გვ. 396.

2. „საისტორიო მოამბე“, 19-20, 1965, ოქმი N28.

ხშირია საოჯახო კონფლიქტებიდან გამომდინარე საჩივრები. მაგ. გლეხი გიორგი ქურხული მოითხოვს ცოლის დასჯას, რომელიც უარს აცხადებს ქმართან თანაცხოვრებაზე, ილია განუმარტავს მომჩივანს, რომ ეს არ არის სისხლის სამართლის დანაშაული და ეს სამოქალაქო სასამართლომ უნდა განიხილოს. ცოლმა, ილიას წინადადება — შერიგებულიყვნენ, არ მიიღო, საერთოდ არ გამოცხადდა სასამართლოში. სამაგიეროდ, შერიგებით დასრულდა ბაბისა და ასტარახ იკაცაშვილების უთანხმოება (ქმარს საყვარელი ჰყავდა).

საინტერესო იყო შემდეგი ისტორია: აბანოს თემის მღვდელი უჩიოდა რუისის მცხოვრებ ამჩორიკოს, რომელმაც კანონიერი ცოლი სახლიდან გააგდო და სახლში მოიყვანა თავისი ძმის ქვრივი, რომელთანაც, როგორც გაირკვა, ხუთი წლის სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა. მათ ჰყავდათ საერთო შვილი, როგორც „რძალი“ აღიარებდა, მაგრამ ამჩორიკო უარყოფდა ამ ფაქტს. ისინი მეორე ხარისხის სისხლის აღრევის დამნაშავეებად ცნო მოსამართლემ და ორივეს 6 თვე მონასტერში ყოფნა მიუსაჯა, რათა ცოდვა მოენანიებინათ (ოქმი N35).

ილიამ დუშეთში მუშაობის დროს მრავალი ადამიანი იხსნა უსამართლო სასჯელისგან და დიდი სიყვარულიც მოიხვეჭა, მაგრამ მტრებიც გაიჩინა, ანგარებიანი, მომხვეჭელი, მახეზლარა, ძალაუფლების მოყვარე ამპარტავანი ადამიანების სახით, რომელთაც არ აძლევდა საშუალებას უსამართლოდ დაეჩაგრათ ვინმე.

ილია ჭავჭავაძე, თავისი თანამდებობიდან გამომდინარე, იძულებული იყო ისეთი აბსურდული პრობლემები ეკვლია და შეესწავლა, როგორიცაა მკითხავები და მათ მიერ მოტყუებული ადამიანები. 1872 წლის 25 ივნისს ილიამ, როგორც დუშეთის განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ, შეადგინა ოქმი (N 37) მღვდელ გაბრიელ გუდიევის საჩივარზე მკითხავების საქმესთან დაკავშირებით.

კობის მღვდელმთავარმა იტონმა მიიღო აბანოს თემის მღვდლის გაბრიელ გუდიევის მოხსენება, რომ მის თემში გამოჩნდნენ მკითხავი ქალები და კაცები, რომლებიც ხელს უშ-

ლიან მრევლს ნამდვილი მართლმადიდებლური წესების აღსრულებაში. სხვადასხვა მიზეზით აგროვებენ შემოწირულობას ფულისა და საქონლის სახით, იქცევიან უზნეოდ და მათ შორის მრავალცოლიანებიც არიან.

მომრიგებელმა მოსამართლემ შეისწავლა საქმე და დაადგინა, რომ საჩივარს არ ჰქონდა საფუძველი, რადგან მკითხაობა არ ისჯება კანონით. ხალხის მოტყუებაზე კი პასუხისმგებელია პოლიცია და ეს არ არის სასულიერო პირის საქმე. ასევე არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, დამნაშავეების სახელი და გვარიც კი. ამდენად, მოსამართლე ილია ჭავჭავაძემ გუდიევის სარჩელი წარმოებაში არ მიიღო¹. რა თქმა უნდა, ამ განაჩენით მღვდელი გაანაწყენა, ისევე როგორც თავადი გიორგი ხიმშიაშვილი, რომელმაც გლეხი დათიკა წამალაძე ერთ დღეს ორჯერ სცემა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მოსამართლემ იგი დამნაშავედ სცნო (1872 წ. 11 სექტემბერი) და მიუსაჯა, როგორც სამი თვით ციხე, ასევე სასამართლო ხარჯების დაფარვა².

1870 წლის 10 ნოემბერს ილიამ სამართლიანად ისევ გლეხის მხარე დაიჭირა, როდესაც აზნაურმა ალექსიშვილებმა დროებით ვალდებული ეკალაძის მიწიდან უნებართვოდ წაიღეს 12 მანეთის ღირებულების თივა. აზნაურებს ექვსდღიანი პატიმრობა მიესაჯათ, გლეხს კი ზარალი აუნაზღაურეს დამნაშავეებმა³.

მსგავსი საქმე განიხილა ილიამ 1871 წლის 28 იანვარსაც. დროებით ვალდებულ გლეხს, სოსიკა ხუბულურს, აუნაზღაურდა თავადი ამილახვრებისაგან (გიგო და მიხეილ) მიყენებული ზარალი, ხოლო თავადები, რომლებმაც ცემეს გლეხი და პირადი ნივთები წაართვეს იმის გამო, რომ მან არ გადაიხადა ზედმეტი თანხა მიწის არენდისათვის, ორი თვით საპატიმროში აღმოჩნდნენ.

1. „საისტორიო მოამბე“ 19-20, 1965 წ. გვ. 432-33.

2. „საისტორიო მოამბე“ 19-20, 1965 წ. გვ. 434-35.

3. „საისტორიო მოამბე“ 19-20-, 1965 წ. გვ. 428.

როგორც დრომ აჩვენა, დუშეთი, მაინც, მცირე ასპარეზი აღმოჩნდა ისეთი დიაპაზონის მოღვაწისათვის, როგორც ილია ჭავჭავაძე იყო და პროგრესულად მოაზროვნე ქართველ ინტელიგენტთა დაჟინებულმა თხოვნამ, რომ ის სამწერლო, საგამომცემლო, საზოგადოებრივ მოღვაწეობას დაბრუნებოდა, შედეგი გამოიღო. მან დატოვა დუშეთი და ამის შემდეგ, მე—19 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას ილია ჭავჭავაძის ნათელი გონება წარმართავდა აკაკი წერეთელთან, დიმიტრი ყიფიანთან, ვაჟა-ფშაველასთან, იაკობ გოგებაშვილთან, ივანე მაჩაბელთან, ნიკო ნიკოლაძესთან და სხვა დიდ ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად.

„საისტორიო მოამბეში“ დაბეჭდილი სასამართლოს ოქმები ილია ჭავჭავაძის ყოველდღიური ცხოვრების ერთგვარი „დღიურია“, ეს ფაქტები ძველ მატყინეში არ არის ასახული. ამდენად კიდევ ერთი ახალი შტრიხით შეივსო ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, რაც გაამდიდრებს ახალ მატყინეს.

შარლოტა კვანტალიანი

ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიების ავტორის მასალები

„ახალ მატყინეზე“ მუშაობის პერიოდში მრავალი ნაკლებად ცნობილი ან უცნობი ფაქტი გამოვლინდა XIX ს. ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიებიდან.

ილია ჭავჭავაძე დიდი გულშემატკივარი იყო ქართული თეატრისა. იგი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ბეჭდავდა რეცენზიებს, კრიტიკულ წერილებს თეატრის პრობლემებზე, სპექტაკლებზე, მაგ. „ივერიაში“¹ წერილს უძღვნის მაკო საფაროვას ბენეფისს, აღნიშნავს ბენეფიციანტის კარგ თამაშს („ბარაქალა მასწავლებლო“). შექებუ-

1. „ივერია“, 1886 წ. 27 ნომბერი, N257

ლი ჰყავს მსახიობები ნ. გაბუნია, ვ. აბაშიძე, დ. ანყურელი. წერილი „ქართული თეატრი“¹ დრამისა და კომედიის მნიშვნელობას ეხება. ამ თვალსაზრისით განიხილავს დადგმას „ალერსთა ბადეში“ და მასში მონაწილე მსახიობების: მაკო საფაროვას, ნ. გაბუნიას, ვ. აბაშიძის, ვლ. მესხიშვილის და დ. ანყურელის თამაშს. რეცენზიას უძღვნის ოსტროვსკისა და სოლოვიოვის სამმოქმედებიან კომედიას „ბედნიერი დღე“², აქაც მისი საყვარელი მსახიობები თამაშობენ და ისიც არ იშურებს მათთვის საქებ სიტყვებს. ესენი არიან: ნ. გაბუნია-ცაგარელი, ვლ. მესხიშვილი, ვ. გუნია და სხვ.

ილია ჭავჭავაძის გატაცება თეატრით ახალგაზრდობიდან მოდიოდა და თავადაც ჰქონია სურვილი სცენაზე ეთამაშა. მან 1858 წ. თბილისის ყოფილი I გიმნაზიის დარბაზში დადგა ცოცხალი სურათები შექსპირის „მეფე ლირიდან“. ლირი თავად მწერალი ყოფილა. ვკითხულობთ სარედაქციო წერილში³.

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ დრამატული ნაწარმოების წერა სხვა პოეტურ თხზულებებზე უფრო ძნელია. იგი დრამატული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და გამგეობის წევრი იყო. ქართულ თეატრალურ დასს ხშირად უჭირდა და ილია მას მუდმივად ექომაგებოდა. 1888 წელს მწერალი აქვეყნებს მოწინავეს⁴, სადაც საზოგადოებას თეატრის გასაჭირს აცნობს, ამბობს რომ ძნელია თეატრის პატრონობა, შენუხებულია იმის გამო, რომ დრამატული საზოგადოება დროებით თეატრის დახურვას აპირებს. საზოგადოება შიშობს, ვაითუ, რომელიმე მსახიობმა სპექტაკლის წინ (უსახსრობის გამო) უარი განაცხადოს თამაშზე. ილია სასცენო მოღვაწეობას დიდად აფასებს, ის ეროვნულ საქმედ მიაჩნია და მოთმინებისაკენ და გონიერებისკენ მოუწოდებს თეატრის მესვეურებს.

-
1. „ივერია“, 1886, 4 დეკემბერი, N263
 2. ივერია“, 1886, 7 ოქტომბერი, N215.
 3. გაზ. „გამარჯვება“, 1962, N118, 25 ნოემბერი, გვ. 3.
 4. „ივერია“, 1888, N23

„დროებაში“ (1879 წ. 7 აპრილი, N 72) იბეჭდება „დღიური“ სადაც აღნიშნულია: „გაჩნდა იმედი, რომ დაარსდება მალე სამუდამო თეატრი... ითარგმნება სხვადასხვა პიესა“ იქვე სინაზულია გამოთქმული იმის გამო, რომ „ექვსიოდე წლის წინად დანიშნული იყო საჩუქრად ოცი თუმანი დიდი ორიგინალური პიესის დამწერისთვის და აქამდე ეს საჩუქარი არავის მიუღია“. „დროება“ 1879 წ 20 აპრილს კვლავ უბრუნდება „ქართული თეატრის საქმეს“. წუხს იმის გამო, რომ ვორონცოვის დახმარებით გახსნილმა თეატრმა, გ. ერისთავის ნასვლის შემდეგ, „აუყვავებლად დაიყვავილა“ და გაქრა.

მალე თეატრს უანგარო ქველმოქმედებიც გამოუჩნდნენ, მათ შორის მაიორი იოსელიანი, როლმაც 1879 წლის 18 მაისს 300 თუმანი შესწირა ქართულ თეატრს. დაარსდა კომიტეტი და საჯარო კრების მოსაწვევად ილია ჭავჭავაძის ხელმოწერილი ბარათები დაიგზავნა¹.

მრავლად მოიპოვება ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე განათლებას. ხელს უწყობდა სოფლებში სკოლების გახსნას. მაგ. წინარეხში, ქმწკგს-ის ხელშეწყობით, ნიკო ცხვედაძესთან ერთად, სკოლა გახსნა, სადაც პედაგოგმა სალომე მალალაშვილმა ლიტერატურულ საღამოზე მოინვია ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე და მისი ძმა იოსები, რომელთაც „ჩანჩქერის წყაროსთან“ გაუმასპინძლდა. სკოლაში კი ბავშვებმა წარმოადგინეს „კაკო ყაჩაღი“. კაკოს როლს ასრულებდა მოსწავლე მიხეილ ქეშელაშვილი, ზაქროს — მისი კლასელი, ილიკო ბერბიჭაშვილი. ილიკოს მამამ თურმე ხალხური ლექსი წაიკითხა კომპზე და მწერალმა ბევრი იცინა. მას „სპექტაკლი“ მოეწონა და მოსწავლეები და მასწავლებელი შეაქო².

საინტერესოა, რომ კაკოს როლის შემსრულებელი მიხეილ ქეშელაშვილი, სტუმრად ეწვია გერმანიიდან ახლადდაბრუნებულ ილიას, რომელიც იქ სამკურნალოდ იმყოფებოდა. ქეშელაშვილს აინტერესებდა რა პოლიტიკური ვითარება იყო ევ-

1. ი. გრიშაშვილი, ლიტ. ნარკვევები, სახელგამი, თბ. 1952, გვ. 342

2. დ. ხორგუაშვილი — „ილია ჭავჭავაძე სოფ. წინარეხში“. გაზ. „გამარჯვება“, 1962, 16 ნოემბერი N113.

როპაში. მწერალმა სურვილი შეუსრულა და როცა გაიგო ვინც იყო წინარეხელი სტუმარი, მისი მასწავლებელიც გაიხსენა და მოიკითხა¹.

ილია ჭავჭავაძე ხშირად სტუმრობდა სკოლებს. მასწავლებელი ნ. როსტიაშვილი იხსენებს: თბილისის ქართულ გიმნაზიაში მოსწავლეთა საღამოზე მობრძანდა ილია. საღამოს დაწყებამდე გამუდმებით ელაპარაკებოდა ველიჩკოს — გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორს. საღამოზე იმღერეს ნიკ. და ივანე ყარაღაშვილებმა, ირაკლი ჯანდიერმა და ალ. ჩოლოყაშვილმა. ამავე გუნდში მღეროდა მე-6 თუ მე-7 კლასის მოსწავლე ვანო სარაჯიშვილი. გუნდმა პირველ ნომრად შეასრულა „ჩემო კარგო ქვეყანავ“, როდესაც ვანოს ხმა გაისმა ილიამ მოსვენება დაკარგა, ხან დგებოდა, ხან ჯდებოდა, ბოლო ფრაზაზე კი — „ან-მყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია“ — ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე. მოსწავლე ირაკლი ბაზაძემ ზეპირად წაიკითხა ადგილები „კაცია-ადამიანიდან?!“, შესვენებაზე მწერალი ბავშვებში გაერია. ვანო სარაჯიშვილი მოძებნა, გულში ჩაიკრა, აკოცა, შეაქო და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. ერთი მოსწავლე, ირაკლი ჯანდიერი, მხარზეც კი შეისვა. ყველას მოგვეფერა. ხშირად მოდიოდა ჩვენს გიმნაზიაში“.

ერთხელ, გიმნაზიაში სტუმრობისას (დაახლოებით 1888-90) სადაც ნიკო ცხვედაძე ახლდა, ილია ჭავჭავაძემ ბავშვები სახლშიც მიიპატიჟა და გულუხვად გაუმასპინძლდა. მათ შორის იყო 10 წლის ნიკოლოზ ჯანდიერი, რომელიც მომავალში მწერლის მკურნალი ექიმი გახდა. ექიმი ჯანდიერი ხანდაზმულობაში სწორედ ისეთ წვერს ატარებდა, როგორსაც ილია ჭავჭავაძე, როდესაც მას მკურნალობდა (1900 წ.). ამის შესახებ კი დ. რჩეულიშვილი გვიამბობს², რომელმაც 1962 წელს გაიცნო ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერი.

ილია ჭავჭავაძე დიდი გულშემატკივარი იყო თანამედროვე თუ უფროსი თაობის მწერალთა შემოქმედებისა, ზრუნავდა

1. გაზ. ალაზნის განთიადი“, 1962, 29 ნოემბერი, N121, შეხვედრა ქართულ გიმნაზიაში

2. დ. რჩეულიშვილი, დიდი პაციენტი, გ. „თბილისი“, 1962 წ., 26 ნოემბერი, N254, გვ. 3.

მათი შემოქმედების გამოცემა-გამოქვეყნებაზე, წერდა მათზე. რედაქტორობდა მათ კრებულებს. ასე, მაგალითად 1881 წელს მან და გ. თუმანიშვილმა პეტრე უმიკაშვილთან ერთად მოამზადეს და გამოსცეს ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებული¹.

ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი უერთმანეთოდ თითქმის წარმოუდგენელია. ისინი შეთანხმებულად მოქმედებენ ქვეყნის საკეთილდღეოდ, თუმცა, ზოგჯერ კამათობენ კიდეც, მაგრამ მალე რიგდებიან. ეტყობა რალაც ჭორი ჰქონდა ყურმოკრული რუს მწერალს ვასილ ველიჩკოს, რომელმაც რაფიელ ერისთავის იუბილესთან დაკავშირებულ ნადიმზე (რომელიც 1892 წლის 22 სექტემბერს გაიმართა) სადაც აკაკი და ილია იმყოფებოდნენ, უთქვამს: „ვისურვებდი, რომ ილიას და აკაკის ერთმანეთი ჰყვარებოდათ“. აკაკის მაშინვე უპასუხნია: „რა საჭიროა იმის ნატვრა, რაც არსებობს და ხელში გვიჭირავსო“².

ილია ჭავჭავაძეს ძალიან მოეწონა ახალგაზრდა, ჯერ კიდევ საზოგადოებისთვის უცნობი, ვაჟა-ფშაველა. მან შეუცდომელი ალლოთი მასში დიდი პოეტი დაინახა და „ივერიაში“ მოსულ ვაჟას გასამხნეველად ჰონორარსაც კი აძლევდა, მერე ჰონორარი გაუზარდა და ბოლოს ყოველთვიური ჯამაგირი დაუნიშნა³. ჟურნალ „განთიადის“ მონინავეში ვკითხულობთ: „ახლა ადვილად წარმოიდგენთ, თუ პატიოსანი, თავმოყვარე ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი, რატომ იყო გაუტეხელი, დაუზარელი და თავდადებული ქართული მწერლობისათვის და ჩვენ ამას უნდა ვუმადლოდეთ ილიას, და მხოლოდ ილიას...“

XIX-XX სს-ის ქართულ სალიტერატურო და საპოლიტიკო პრესაში უხვად არის მასალა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მას აქებენ, თაყვანს სცემენ, აკრიტიკებენ, აძაგებენ, ემუქრებიან, ცილს სწამებენ. მოკლედ მთელი მისი მოღვაწეობა, ყოველდღიური საქმიანობა, მთელი ქვეყნისთვისაა ცნობილი, თუმცა, ხშირად, ძნელია ტყუილ-მართა-

1. სოლ. ცაიშვილი, ლიტ. ნარკვევები, თბ., 1965, გვ. 32.

2. სოლ. ხუციშვილი, ლიტ. ნარკვევები, თბ., 1965, გვ. 21

3. სარედაქციო წერილი, ჟ. „განთიადი“, 1915, N13, გვ. 3.

ლის გარჩევა. ჩვენამდე გამოქვეყნებულ „მატიანეში“, რა თქმა უნდა, მრავლადაა დაფიქსირებული ამგვარი ფაქტები, მაგრამ კვლევამ გვიჩვენა, რომ ქართულ პრესაში არსებული „ზღვა მასალა“ საზოგადოებისთვის საინტერესო უამრავ ინფორმაციას ინახავს, რომლის ნაწილი ჩვენც გამოვამზეურეთ. მაგ., 1900 წელს „კვალში“ გამოქვეყნდა ცნობა, რომ გიორგი წერეთლის დასაფლავებაზე ვილაც კირვალიძემ ზიზლით მოიხსენია „ივერია“, ასეთ მოღვაწეებს სდევნიდაო. იგი ამტკიცებდა, 101 ხელმოწერა მაქვს, რაც ჩემს საქციელს ამართლებსო. ეს ფაქტი მოხდებოდა 1900 წლის 16 იანვარს, რადგან გიორგი წერეთელი ამ დღეს დასაფლავეს.

ილია ჭავჭავაძე „ივერიაში“ გამოეხმაურა ამ პუბლიკაციას „ახალმოსულის“ ფსევდონიმით. მას არ სჯერა, რომ ვილაც გლეს კირვალიძეს 101 კაცი ემხრობა. იგი ამბობს: „იმისთანა საქმეში, საცა ლიტერატურული სჯა და ბაასია, ხმები უნდა აიწონოს და არ დაითვალოს. გნებავთ საქართველოში ათიათას კაცს მოვანერინებ ხელს, რომ დედამიწა ხარის რქაზე დგას, მაგრამ ამ ათიათასს გალილეის ერთი ხმა გადასწონისო. თუ კაცი ნულია, გლესია თუ თავადი, ათასი ამისთანა ნული, მხოლოდ ნული იქნება და მეტი არაფერი“...

„დასელების“ ბელადმა ნოე ჟორდანიამ დაამახინჯა ილია ჭავჭავაძის აზრი და მის წინააღმდეგ გამოიყენა: ხალხს მიმართა — ილია ყველას ნულებად გთვლითო... ამ პერიოდიდან იწყება განსაკუთრებით უსინდისო, ყოვლად უზნეო შეტევები მწერალზე, მისი სახელის ლაფში ამოსვრა, რამაც (ყველაფერთან ერთად) შეამზადა ნიადაგი ილიას ვერაგული მკვლევლობისა.

არჩილ ჯორჯაძემ ნოე ჟორდანიას წერილი, „ქართული პრესის გამო“ მონათლა „ნიმუშად მიდგომილ და ცალმხრით ლიტერატურულ ნაწარმოებისა“¹, კიტა აბაშიძეც ეხმიანება ამ ფაქტს გაზ. „ერში“, ის იცავს ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც ჟორდანია და მისი მომხრეები უწოდებენ: მატყუარას, ქარაფშუტას, უმეცარს, ორპირს, მის გამოსვლებს კი — „ავლაბრული

1. არჩილ ჯორჯაძე. გაზ. „ერი“, 1913. N2, 2 ნომბერი., გვ.1.

გინებით შემკულ უაზრო როტვას“. კიტა აბაშიძე ასკვნის: „დიდებული მოძღვრის (ილიას) პოლემიკის კილო ნოე ჟორდანის პოლემიკის კილოსთან „პირდაპირ სალონების მასლაათად არის მისაღებიო“¹.

ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი მეგობარი ამტკიცებს — იგი სახლში მჯდომი იყო, გარეთ გამოსვლა არ უყვარდაო, მაგრამ ფაქტები გვეუბნება, რომ მწერალი ბევრს მოგზაურობდა. შ. სულთანისვილი გვაცნობს მის მოგზაურობას გორსა და გორის მაზრაში². 1893 წელს ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას მამას გორში სტუმრად მიუწვევია ილია ჭავჭავაძე და მის პატივსაცემად მაღალი საზოგადოება შეუკრებია. მკვლევრის გადმოცემით, მწერალი ხშირად დაიარებოდა გორში ბაბაღე ბარათოვის (ბარათაშვილის) ოჯახში. ბაბაღე თურმე ხშირად კითხულობდა მის ლექსს „გახსოვს ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში“..., რაც ავტორს, ალბათ დიდ სიამოვნებას გვრიდა.

სხვათა შორის, „ქალაქის თამაში“ არაერთხელ არის ნახსენები სხვადასხვა ხასიათის პუბლიკაციაში თუ პირად წერილებში. დიდი მოღვაწის ეს „სისუსტე“ უნდა შევაფასოთ, როგორც ერთგვარი განტვირთვა იმ ტიტანური შრომის შემდეგ, რასაც იგი ყოველდღიურად ეწეოდა.

არტემ ახნაზაროვი, რომელიც „ივერიაში“ მუშაობდა და თავისი ერთგულებისთვის ილიას ძალიან უყვარდა, ღიმილით იხსენებს რამდენიმე ეპიზოდს მათი ურთიერთობიდან³. ერთხელ სააღდგომოდ, წინასწარ თუმანი უთხოვია ილიასთვის. მწერალს უარი უთქვამს, არ შეიძლებაო. მერე სახლში დაუპატიჟნია, სადილის შემდეგ ქალაქი უთამაშია მასთან და სამივე ხელი წაუგია. არტემი ფიქრობს, რომ შეგნებულად წააგო, რომ მისთვის ფული მიეცა. მეორე ეპიზოდი აკაკისა და ილიას მეგობრულ ურთიერთობას ეხება, აკაკი წერეთლის მცირე

1. ერთი პილატეთაგანი (კიტა აბაშიძე) — გ. „ერი“, 1913, 3 ნოემბერი, გვ. 1-2.
2. შ. სულთანისვილი — „ილია გორსა და გორის მაზრაში“, გაზ. „გამარჯვება“, 1962 წ. N118, გვ. 2.
3. არტემ ახნაზაროვი — „სამი მოგონება“, გ. „თბილისი“ 1962 წ. 27 ნოემბერი, N278.

„ოინებს“: ერთ ლიტერატურულ საღამოზე, სადაც ილიამ ლექსი წაიკითხა, ერთი ადგილი დაავიწყდა და წიგნი გადაშალა, სადაც სანიშნე ეგულეობდა, მაგრამ სანიშნე ვილაცას ამოელო. მწერალი მიხვდა, ვინც იზამდა ამას. კითხულობდა ლექსს „ერთ ბედ ქვეშა ვართ...“ და დაავიწყდა: „რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას...“ მიბრუნებულა აკაკისკენ და „ის უშლის ლექსს ამოსვლასო.“ აკაკი წამომდგარა და ზეპირად უთქვამს ეს ლექსი¹.

ილია ჭავჭავაძეს მეგობრული და ნათესაური კავშირი ჰქონდა ბარათაშვილებთან. ეს პირადი წერილებიდანაც ჩანს. წერილი², რომელსაც ხელს აწერს „შენი ილია ჭავჭავაძე“, დაუთარილებელია, მისი ადრესატია კოლა (ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავი, ნიკოლოზ ბარათაშვილის დის, კატოს შვილი). მწერალი მას აცნობებს, რომ არქიელთან წასვლა არ შეუძლია; რადგან ღამე ათია. მას მეფისტოფელს უწოდებს, რომელმაც სული თუ არა, მაგრამ ჯიბე მაინც წაუწყმიდა. ილიას „უხარია“, რომ კოლასაც წაუგია და ახლა მაინც შეეძლება მისი გულშემატკივრობა.

სხვა წერილი, ისევე კოლასთან მიწერილი, საქმიანი და სერიოზულია. მწერალი სთხოვს მას, შეატყობინოს ვახტანგ ორბელიანის ასულს, მარიამს, რომ მზადა აქვს მისი მამის ბიოგრაფია, რომელიც მისი თხოვნით დაწერა. ეს ბიოგრაფია უნდა დართვოდა ლექსთა კრებულს, რომლის გამოცემასაც აპირებდა მარიამ ორბელიანი ილიას, იაკობ გოგებაშვილისა და პეტრე უმიკაშვილის რჩევით. მწერალი ბარათში გამოთქვამს სურვილს, რომ ეს ბიოგრაფია წაუკითხოს „ვახტანგოვნას“ კოლას თანდასწრებით. ილია ჩქარობს, დიდმარხვის სამშაბათამდე ვედარ შევხვდებით, ამიტომ დღესვე, ორშაბათს, უნდა შევიკრიბოთო. ცნობილია, რომ წერილი 1892 წელს დაიწერა. წიგნი, რომელიც 1894 წელს დაიბეჭდა ილიას დაწერილ ბიოგრაფიასთან ერთად, „დაცენზორებულია“ (ი. გრიშაშვილის ტერმი-

1. არტემ ახნაზაროვი — „სამი მოგონება“, გ. თბილისი, 1962 წ., 27 ნომბერი, N278.

2. ი. გრიშაშვილი, ლიტ. ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1964, გვ. 389.

ნია — შ.კ.) 1892 წელს. პუბლიკაციიდან ჩანს, რომ წერილი გაზაფხულზე, „მარხვის დანყებამდე“ დაინერა, ამას ილიაც ადასტურებს, მაგრამ როდის წაუკითხა ილიამ „ვახტანგოვნას“ მამის ბიოგრაფია ზუსტი დღე არ ვიცით.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ახალი მატიანე, მრავალი საინტერესო მასალით გამდიდრდება და მომავალ თაობასაც დარჩება საკვლევო და აღმოსაჩენი.

შარლოტა კვანტალიანი

მასალები ილია ჭავჭავაძის შესახებ XX საუკუნის პრესიდან

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და შემოქმედება მეცნიერ-მკვლევართა, ჟურნალისტთა, ისტორიკოსთა, პოლიტიკოსთა შეუწელებულ ინტერესს იწვევდა და იწვევს, როგორც მის სიცოცხლეში, ასევე მისი მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ. მათგან მრავალი ფაქტი ცნობილი და დაფიქსირებული აღმოჩნდა წინამორბედი მემატიანეების მიერ მაგრამ მკითხველი ახალ მატიანეში მაინც მრავალ სიახლეს ნახავს. განსაკუთრებით უხვი იყო მასალა პოეტის საიუბილეო წლებში. ჟურნალ-გაზეთები განსაკუთრებით რეგიონული პრესა მთელ ნომრებს უძღვნიდნენ ამ დღეს. მოგონებები, ანალიტიკური წერილები ძვირფას მასალას შეიცავს მატიანის შესავსებად. მრავალი ავტორი დაუსრულებლად ტრიალებს წინამურის ტრაგედიის გარშემო, ეძებს მიზეზებს და ნამდვილ დამნაშავეებს, ვინც ეს საშინელება ჩაიდინა.

გაზ. „თბილისში“ ნინო ჩიხლაძე გვანჯდის ცნობას იმის შესახებ, რომ 1884 წელს ილიას გაუმართავს საღამო არტურ ლაისტის პატივსაცემად და ქართველი მწერლები დაუპატიჟნია მის გასაცნობად. ამის შესახებ ოღლა გურამიშვილი წერილს სწერს ეკატერინე გაბაშვილს და, ილიას სახელით, მა-

საც ეპატიჟება კვირას, 3 საათზე. ეს წერილი 1 ივნისამდე იქნება გაგზავნილი, რადგან სალამო 1 ივნისს, კვირას, 3 სთ-ზე შედგა¹. არტურ ლაისტისათვის განკუთვნილი სადილი, სადაც არაერთმა სტუმარმა თქვა სადღეგრძელო, გაგრძელებულა მტკვრის პირას „ვაზის“ ბაღში. აღტაცებულ ლაისტს უთქვამს ილიასთვის: „მე როცა თქვენს ლექსს — „მტკვრის პირზედ“ ვთარგმნიდი, ვერც წარმოვიდგენდი, რომ ამ მტკვრის პირას თქვენთან ერთად ნადიმად ჯდომა მომიხდებოდაო“².

ილიას მეგობართა შორის მრავალი უცხოელი მწერალი, მეცნიერი, მთარგმნელი და მოგზაური იყო. შ. გოზალიშვილი გვაცნობებს, რომ 1900 წელს, 28 ნოემბერს მას ვენიდან წერილი მიუღია ე. მადალენასგან. ეს ფაქტი ცნობილი იყო, მაგრამ ის რომ მადალენა საქართველოში კარლ გოლდენის თარგმანებითა და დადგმებით დაინტერესებულა და სთხოვს ილიას მოსწეროს ამის შესახებ, არ იყო ფართოდ ცნობილი. წერილი იტალიურადაა დაწერილი. ადრესანტი ბოდიშს იხდის რომ არ იცის ქართული და რუსული, მაგრამ იმედოვნებს, რომ ილიამ, როგორც განსაკუთრებული ერუდიციის მქონე ადამიანმა იცის იტალიური³. შ. გოზალიშვილი ამავე გაზეთში წერს, რომ 1888 წ. ივლისში ინგლისურ გაზეთ „აკადემიაში“ დაიბეჭდა მორფილის წერილი ქართულ ენასა და ლიტერატურაზე, სადაც ილია დახასიათებულია, როგორც უდიდესი საზოგადო მოღვაწე.

მ. ხიდაშელი აქვეყნებს ფაქტს, რომ 1877 წელს მარი ფელისიტე ბროსემ ფრანგულად თარგმნა „კაცია-ადამიანი?!“ და მისი ორი ხელნაწერი (შავი და თეთრი) ინახება ბროსეს

1. ნინო ჩიხლაძე, „მწერლის მეუღლე“, გ. თბილისი, 1962, 3 ნოემბერი, გვ. 3.
2. შ. გოზალიშვილი, „ილია და მისი საზღვარგარეთელი მეგობრები“, გაზ. „ყვარელი“, 1965, 30 ნოემბერი, N65, გვ. 3—4.
3. შ. გოზალიშვილი, „ილია და მისი საზღვარგარეთელი მეგობრები“, გაზ. „ყვარელი“, 1965, N70, გვ. 3.

არქივში ლენინგრადში. ნერილის ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ეს თარგმანი დღემდე არ გამოქვეყნებულა¹.

მრავალ საყურადღებო ფაქტს გვანვდის პროფესორი სოლ. ცაიშვილი ილია ჭავჭავაძის ცხოვრების შესახებ². მკვლევარის გადმოცემით 1881 წლის 6 თებერვალს ქართველ მოღვაწეთაგან შედგა რუსთველის პოემის ტექსტის დამდგენი რედაქცია, რომლის თავმჯდომარედაც აირჩიეს ილია ჭავჭავაძე. მან დაავალა იონა მეუნარგიას, რათა ეზრუნა, რომ მიხაი ზიჩის მისთვის გასაგებ ენაზე წაეკითხა „ვეფხისტყაოსანი“, რაც დაეხმარებოდა მხატვარს, ილუსტრაციები პოემის შესაბამისი ყოფილიყო. მიხაი ზიჩმა მართლაც შესანიშნავი ილუსტრაციები შექმნა.

სოლ. ცაიშვილი დამატებით ცნობას გვანვდის იმის შესახებ, რომ ეკატერინე ჭავჭავაძის უფროსმა ვაჟმა, ნიკოლოზ დადიანმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა მამის დანატოვარი ქართული ხელნაწერებისა და წიგნების მდიდარი ბიბლიოთეკა. ამ შემოწირულობას „ივერია“ დიდი ზეიმით შეხვდა³. იქვე ვგებულობთ, რომ გორდის საზაფხულო სასახლეში დაცული არქივის სრული კატალოგი კომისიის ჩამოსვლამდე შეადგინა აკაკი წერეთელმა. ისიც საყურადღებოა, რომ სწორედ სამეგრელოდან გამომგზავრებისას უთქვამს ილიას ცნობილი ფრაზა: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახე“⁴.

ამავე ფაქტს ადასტურებს ლუდუკი ბარქაია⁵. იგი აგრძელებს ამ ამბავს: ილია სამეგრელოდან ქუთაისში გამგზავრებულა. აქ წარმოთქმული სიტყვა ასე მთავრდებოდაო: „აქ ყოფნა წარუხოცელ სახსოვრად დარჩება ჩემს გულში. ასეთი

1. მ. ხიდაშელი, „დიდი მეცნიერი ჰუმანისტი“, გაზ. თბილისი“, 1962, 15 ნოემბერი, N268, გვ. 3.

2. სოლ. ცაიშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“, 1965, თბ., გვ. 108.

3. სოლ. ცაიშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“, 1965, თბ., გვ. 106.

4. სოლ. ცაიშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“, 1965, თბ., გვ. 1-7.

5. ლუდუკი ბარქაია, გ. „ალაზნის განთიადი“, 1962 წ. 23 ნოემბერი, N121, გვ. 4.

თავაზიანი ხალხი მე არსად მინახავს“. ბანკეტზე კი, მკვლევარი სოლ. ხუციშვილის მტკიცებით, ილიას წაუკითხავს ლექსი სათაურით „ძვირფას კოლხიდელთ“, რომელიც ასე იწყება: „ამერიდან იმერეთში ვიყავ ძმების მოწვეული / გზა-გზა მხიბლავ ბუნებათა სრულად დატკბა ჩემი გული / მიველ, ვნახე გადამლილი საუცხოო თაიგული!..“ ეს ლექსი იმერეთში სტუმრობის გამოძახილი უნდა იყოსო. ლექსი დაკარგულა, ბოლოს ის მკვლევარს პოეტის პირადი არქივის დამუშავებისას აღმოუჩენია.

ილიას მოგზაურობა აფხაზეთში შ. ფურცხვანიძეს აღუწერია წერილში „შეხვედრა სოხუმში“¹. ილია ჭავჭავაძე გაგრიდან სოხუმში ჩვიდა 1903 წლის 22 მაისს. იგი ამ დღეს თავად გიორგი შერვაშიძის თანხლებით სოხუმის ხეივანში სეირნობდა. 24 მაისს შერვაშიძის სახლში სადილი გაიმართა, სადაც ილიას პატივსაცემად მიიწვიეს სოხუმში გასტროლებზე მყოფი თბილისის დრამატული დასი. ილია ყვავილებით მორთული ეტლით მიაბრძანეს შეხვედრაზე, იგი თავის აღტაცებულ სიტყვას ასე ასრულებს: „დღეს აქამომდე ამ მშვენიერს აფხაზეთს — ქართველთა მინა-წყალს, ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე შევინახეთ კიდევ...“ ილია აფრთხილებს ადგილობრივ მოსახლეობას, არ გაყიდონ მინები, რომელთაც თანდათან ეუფლებოდნენ უცხოელები. ილია ხელში აყვანილი მიაცილეს ეტლამდე, ის, იმავე დღეს, გემით გაემგზავრა ბათუმში.

ბევრჯერ დაფიქსირებულა ფაქტი, რომ ილიას ძალიან უყვარდა უბრალო ხალხი, მათთან ყოფნა, საუბარი. არ უკადრისობდა მათთან ურთიერთობას. სწორედ ამის დასტურია დავით ნავდარაშვილს ერთი მოგონება².

20 ივლისს სამწუხაროდ, წელი უცნობია, ერთ-ერთ „ილიაობაზე“ მოხუცმა გლეხმა თავიამ სახალხოდ დალოცა ილია,

1. შ. ფურცხვანიძე, „შეხვედრა სოხუმში“, გაზ. „თბილისი“, 1962, 17 ნოემბერი, N270, გვ. 3.

2. დავით ნავდარაშვილი, „ილია ჭავჭავაძე დაჩაგრულთა ქომაგი“, გაზ. „გამარჯვება“, 1962, N116, გვ. 3.

შესვა, შეავსო ჯამი და ალავერდი მეზობელს გადაულოცა, მაგრამ არავის უნდოდა მისი დანალევი ჯამიდან დალევა. ეს ილიამ დაინახა, ჩამოართვა ჯამი, ბოლომდე დალია და გლახს საქორრეზე აკოცა.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ყველაზე მეტი პუბლიკაცია ილიას გარდაცვალების, შემდეგ, მის აშკარა თუ ფარულ მტრებს ეხება. „ნარკვევი“, რომელიც ხელმოუწერელია¹. „სახალხო გაზეთში“ (1913 წ., ივლისი) დაბეჭდილი ნერილის კომენტარია: „ნარკვევის“ ავტორი წერს: „უკუფაგდოთ წუთიერთ მანც ყოველი პარტიობა... საღი, ადამიანურის თვალთ შევხედოთ მომხდარს, — საშინელს ამბავს და ჩვენს თავსაც. განვიცადოთ სრული ვაება იმ ეროვნული ტრაგედიისა, რომლის შინაარსია ილიას მოწამებრივი სიკვდილი... შემდეგ ავტორი მთელს ერს ადანაშაულებს ილიას მკვლელობაში: „ვსთქვათ გაბედულათ, შეგნებულათ, გულმართლად, ახდილათ, რომ გადავცდით ბრმები, უგუნურები საზღვარს და ბინძური, მომაკვდინებელი ხელი აღვმართეთ ერის სიამაყის და დიდების წინააღმდეგ...“

გაზეთ „ნიშადურში“ დაბეჭდილი ნერილის² ავტორი წერს, რომ „ილია არ მოუკლავს მთელ ერს, იგი მოკლეს კაიამ და იუდამ, იმ მნიგნობრებმა, რომელთაც დიდებული პოეტის ავტორიტეტი ხალხში საპარპაშო ასპარეზზე წინ ელობებოდა. თავისი გიჟური ფანტაზიით წარმოიდგინეს, რომ, თუ ილიას კვარცხლბეკიდან გადმოაგდებდნენ, პიედესტალზე თვით დასხდებოდნენ.“

კიტა აბაშიძე ილიას მკვლელობას აფასებს, როგორც ველურობას და უგუნურობას. ერი მას მოეკიდა ავაზაკურად და მხეცურადო, აღნიშნავს კრიტიკოსივ.

1. „ნარკვევი“, გაზ. „იმერეთი“, 1913, 30 ივლისი, N112.

2. ქართველი „პოეტის მკვლელები“, გაზ. „ნიშადური“, 1908, N38.

3. კიტა აბაშიძე — ქართული ლიტერატურა 1907წელს“ - გაზ. „ისარი“, 1908 წ. 6 იანვარი, N5.

მიხეილ ჯავახიშვილი 1904 წელს „ივერიაში“ რედაქციის გამგედ იყო მიწვეული, აქ გაიცნო დიმიტრი ჯაში, რომელიც ჯერ ასოთამწყობი იყო, შემდეგ ქრონიკის გამგე გახდა და ბოლოს, მას შემდეგ რაც ილიას მოურავი მოკლეს მეუღლესთან ერთად, მოურავადაც მოუხერხეს დანიშვნა. მას ამაზრზენ პიროვნებად ხატავს მიხეილი. ორმაგი აგენტი იყო. ოლღას ეზიზღებოდა და მის გაგდებას აპირებდაო. როცა ჯავახიშვილს ილიას მკვლელობის ამბავი გაუგია, მეორე დღესვე წასულა საგურამოში. იგი წერს: „ელდა მეცა, როცა იქ დიმიტრი ჯაში დამხვდა, ალლომ მიკარნახა, რომ ილიას მკვლელობის მონაწილე იყო“¹.

გაზეთების პუბლიკაციების უმეტესობა დაუფარავად ადანაშაულებს დასელებს ილიას „მკვლელობის მომზადებაში“, ისეთი გარემოს შექმნაში, როდესაც შეცდომაში შეყვანილი, უმეცარი ადამიანები თანაუგრძნობდნენ კიდეც მკვლელებს. საზოგადოების საუკეთესო ნაწილმა კი კარგად იცოდა, რა განძიც დაკარგა საქართველომ. რუსეთის სათათბიროშიც ილია „ყელზე ადგა“ რუსეთის მთავრობას თავისი უკომპრომისო და პატრიოტული მოღვაწეობით, ამიტომ ბევრი მათგანი დაუფარავად თანაუგრძნობდა მკვლელებს...

XX საუკუნეების ყურნალ-გაზეთებში კიდეც უამრავი მასალაა, რომლებიც მოგვითხრობს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და აისახება მატრიანეში.

1. მ. ჯავახიშვილი, „წინამურა“, თხზ. ტ. VI, გვ. 471—13.

რას გვინაგბობს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მახიანა

მასალები თხზულებათა ოცტომეულის I-VII ტომებიდან

ვისაც უნდა ვთხოვოთ ყველა დროის ათი უდიდესი ქართველის დასახელება, სხვა მამულიშვილებთან ერთად აუცილებლად წარმოთქვამენ ილია ჭავჭავაძის სახელს. დიახ, ყველამ იცის, რომ ილია ერის მამაა, რომ მთელი ცხოვრება ქვეყნის სამსახურში გალია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცოტას თუ აქვს გასიგრძეგანებული, რამდენად დიდია მისი ღვანლი სამშობლოს წინაშე. ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების მატინისათვის თვალის ზერელე გადავლებაც კი საკმარისია, რომ განცვიფრება ვერ დამალოს კაცმა. ძნელი წარმოსადგენია, ასეთი კოლოსალური შრომა გასწიოს ერთმა ადამიანმა, თანაც ეპოქაში, როცა არც კომპიუტერი იყო გამოგონებული, არც ტელეფონი, არც ავტომობილი და არც ტექნიკის სხვა საოცრებები, რომლებიც ასე გვიზოგავენ დროს და ასე გვიიოლებენ ყოფას.

ერთ-ერთი წყარო „მატიანის“ შევსებისა, არის ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა (ოცტომად), რომლის ბეჭდვა 1987 წელს დაიწყო და, მიზეზთა გამო, დღემდე გრძელდება. ილია ჭავჭავაძის ამ გამოცემის პირველი შვიდი ტომი 1987-2005 წლებში დაიბეჭდა. უნდა აღინიშნოს, რომ 1987 წლის მატინანეში თითქმის მთლიანადაა შეტანილი ხსენებულ ტომებში წარმოდგენილი მასალა, მაგ-

რამ გამოვლინდა არაერთი ისეთი მონაცემი, რომელიც აღ-
ნუსხული არ აღმოჩნდა.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ახალი
ელექტრონული მატრიანის ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა
ამ უკანასკნელის შევსება წყაროების შესახებ არსებული ინ-
ფორმაციით. ახალ ელექტრონულ მატრიანეში I-VII ტომების
ყველა ტექსტს ახლავს მონაცემები ხელნაწერი თუ ნაბეჭდი
წყაროს არსებობის შესახებ. ამასთან, დაზუსტდა, ხელნაწე-
რი წყარო ავტოგრაფია, ავტორიზებული ასლი თუ უბრალოდ
ასლი. ეს ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთ-
რებით ხელმოუწერელი ტექსტის ატრიბუციისათვის. მაგ.:
წერილი „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“ არასოდეს და-
ბეჭდილა, მისი ხელნაწერი უსათაუროა, უთარილო და ხელ-
მოუწერელი, მაგრამ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აღნიშ-
ნული ხელნაწერი ავტოგრაფია¹, ის არგუმენტი, რომელიც
ამართლებს მასალის ელექტრონულ მატრიანეში შეტანას; წე-
რილი „სხარტულა“, რომელიც ჟ. „საქართველოს მოამბეში“
1863 წელს გამოქვეყნდა ხელმოწერით „გ. ჩ.“ პ. ინგოროყვამ
და ალ. აბაშელმა ილიასეულად ჩათვალეს ჯერ კიდევ 1927
წელს, მაგრამ ავტოგრაფის² აღმოჩენამ საკითხს საბოლოოდ
მოჰფინა ნათელი და ა. შ.

ნაბეჭდი წყაროს შემთხვევაში, სადაც ამის შესაძლებ-
ლობა იყო, მითითებულია, იღებდა თუ არა ილია პუბლიკაცი-
ის მომზადებაში მონაწილეობას, რაც თავისთავად ძალზე სა-
ყურადღებო ინფორმაციაა. ასე, მაგალითად, მატრიანეში არ
იყო მითითებული, რომ 1892 წლის მარტში ილიამ გულდას-
მით იმუშავა თავის თხზულებათა პირველი ტომის მომზადე-
ბაზე: მან ყველა ტექსტი საგრძნობლად გადაამუშავა და ისე
შეიტანა წიგნში. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა, რომ

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის არქივი, N161.

2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის არქივი, N163.

აკადემიურ გამოცემაში ამ ნაბეჭდ წყაროს ხშირად ავტოგრაფზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ნაბეჭდი წყაროების შესწავლამ აჩვენა, რომ 1987 წლის მატთანში ბევრგან არ იყო შეტანილი ავტორის სიცოცხლეში განხორციელებული მრავალი გამოცემა და პუბლიკაცია. ნუსხას დაემატა 3 ათეულზე მეტი ახალი ჩანაწერი იმ პუბლიკაციების შესახებ, რომლებიც ობიექტური მიზეზების გამო იყო გამორჩენილი. გარდა ერთეული ტექსტების პუბლიკაციებისა, გამორჩენილი აღმოჩნდა საკუთრივ ილიას ნაწარმოებების კრებულიც (მაგ.: ილია ჭავჭავაძის ლექსების კრებული, რომელიც 1904 წელს დაიბეჭდა თბილისში); ასევე, მატთანში არ იყო დასახელებული ზოგიერთი იმგვარი კრებული, რომლებშიც სხვა ავტორების თხზულებებთან ერთადაა წარმოდგენილი ილიას ნაწერებიც; ასეთებია, მაგალითად, 1882 წელს გამოსული კრებული „სალამური“, 1892 წელს გამოსული კრებული „ჩანგი“; 1894 წელს ოზურგეთში დაბეჭდილი კრებული; 1895 წელს გამოსული სასიმღერო ლექსების კრებული; 1898 წელს არქიმანდრიტ კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ შედგენილი „სიტყვიერების თეორია“, რომელშიც შეტანილია ილიას ლექსები; 1900 და 1904 წელს ბათუმში დაბეჭდილი კრებულები; 1906 წელს ივ. გომელაურის მიერ გამოცემული კრებული „ქართველი მწერლები“; 1906 წელს დაბეჭდილი „ბუნების კარი“, რომელშიც იაკობ გოგებაშვილმა ილიას რამდენიმე თხზულება შეიტანა და სხვ.

მატიანეში ზოგჯერ არ იყო ასახული ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მომენტები. მაგალითად, მატთანში ნაჩვენებია იყო, რომ 1876 წლის 16-19 მაისს ილია მონაწილეობდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკის კრების საქმიანობაში, მაგრამ არ იყო მითითებული, 1876 წლის 18 მაისს¹ „დროებამ“ რომ დაბეჭდა ილიას მიერ ამ

1. გაზ. „დროება“, 1876, N51, გვ.: 2.

კრებაზე წარმოთქმული სიტყვა; ეს გარემოება თავის დროზე აღნიშნული იყო თ. ნაკაშიძისა და ნ. კორძაიას მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიაში, მაგრამ რატომღაც გამოჩნათ მატიანის 1987 წლის გამოცემაში. ილიას „სიტყვა“ იდეალური ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება დარჩეს მოგებულნი ფულის დაბანდებით არა მარტო ბანკი, არამედ უბრალო ხალხიც; სამწუხაროდ, დღევანდელ ბიზნესმენებს ძალიან უჭირთ ამგვარი „ოქროს შუალედის“ პოვნა თავიანთ საქმიანობაში. ილიას მიერ სათავადაზნაურო ბანკის გამგეობისათვის შეთავაზებული წინადადება ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანია და, ამასთანავე, გაჭირვებული ხალხისათვის ქმედითი დახმარების განწევის საშუალებასაც იძლევა.

1987 წლის მატიანეში არ იყო მითითებული, რომ 1902 წელს „საქართველოს კალენდარში“ დაიბეჭდა ილიას წინასიტყვაობა¹, რომელიც 1877 წელს გამოცემულ „ივერიის“ პირველ ნომერს დაურთო ავტორმა და ა.შ. განახლებულ მატიანეში ეს და ბევრი სხვა ლაფსუსიც გასწორდა.

ხშირია შემთხვევა, როდესაც პუბლიცისტი გარკვეული რიგის საკითხებზე სტატიებს ერთი და იმავე სათაურით ბეჭდავს, რათა მკითხველი უმალ მიახვედროს, რა ტიპის ინფორმაციას მიაწვდის. ამ თვალსაზრისით არც ილია ჭავჭავაძეა გამონაკლისი. „ივერიაში“ იგი სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს სათაურით „შინაური მიმოხილვა“. იდენტიფიკაციის გასაადვილებლად მსგავსი სათაურით დაბეჭდილი ტექსტებისათვის ახალ ელექტრონულ მატიანეში ყველგან დაემატა სტატიის პირველი ფრაზის დასაწყისი (მაგ.: 1882 წლის ოქტომბრის შუა რიცხვები — გამოდის „ივერიის“ მეათე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა („მოხელეების ბედი...“); 1882 წლის ნოემბერი — გამოდის „ივერიის“ მეთერთმეტე ნომერი, რომელშიც ქვეყნ-

1. საქართველოს კალენდარი 1903, თბ., 1902, გვ. 412-424.

დება ილიასეული „შინაური მიმოხილვა („ბ-ნ მეისნერის პროექტი...“); 1883 წლის იანვრის ბოლო — გამოდის „ივერის“ პირველი ნომერი, რომელშიც ქვეყნდება ილიასეული „შინაური მიმოხილვა („ქუთაისის ბანკი...“); 1883 წლის მარტის დასაწყისი — გამოდის „ივერის“ მეორე ნომერი, რომელშიც ქვეყნდება „შინაური მიმოხილვა („შორიდან თითქო...“). და ა. შ.

როგორც წესი, 1987 წლის მატიანეში არ იყო მითითებული, გააჩნდა თუ არა ტექსტს ვარიანტები და თუ გააჩნდა, რამდენი. მატიანის ახალ, შევსებულ ელ. ვერსიაში ყველა მსგავსი შემთხვევა ცალ-ცალკეა აღნუსხული და შესაბამისი თანმიმდევრობით განლაგებული. მაგ.: 1860 წლის ნოემბერი — ჟურნალი „ცისკარი“ (N11) ბეჭდავს ლერმონტოვის „ჰაჯი-აბრეკის“ ილიასეულ თარგმანს, ეს უკვე გადაამუშავებული ტექსტია და მეორე ვარიანტად შეიძლება მივიჩნიოთ. მოგვიანებით, „ქართველთა ამხანაგობის“ მიერ გამოცემულ კრებულში თარგმანის მესამე, გადაამუშავებული რედაქციაა შეტანილი; 1858 წლის 15 დეკემბერი - ილია ქმნის „გუთნისდედის“ მეორე ვარიანტს. ამავე დღეს წერს ლექსებს „ქართველის დედა“, რომელიც რამდენჯერმე გადაამუშავა და „მაშინ დავსკტებები“ (პირველი ვარიანტი); 1859 წელს ილიამ, სავარაუდოდ, გადაამუშავა ლექსი „ქართველის დედას“, რადგან 1892 წლის გამოცემის სარჩევში შექმნის თარიღად 1859 წელი მიუთითა; (ცხადია, კვლევის გარეშე ამ ცნობას ვერ დავეყრდნობით, რადგან ილიას შეეძლო თარიღი ისე მიეთითებინა, როგორც ახსოვდა; მით უფრო, რომ ამდაგვარი ინფორმაცია დასტურდება თანამედროვეთა მოგონებებში).

რიგ შემთხვევაში 1987 წლის მატიანეში ტექსტი არასწორად იყო დათარიღებული, რაც ავტორის ან გამომცემლის უნებლიე შეცდომით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ახალ გამოცემაში ყველა საეჭვო მონაცემი დაზუსტებული და გასწორებულია. მაგ.: მატიანის წინა გამოცემაში წერია, რომ

1858 წლის 17 ივლისს ილია წერს ლექსს „უცხოეთში“. სინამდვილეში ამ დღეს პოეტმა შექმნა ლექსი „ლოცვა“ („მამაო ჩვენო...“).

დათარილებასთან დაკავშირებით ცვლილების განხორციელება ზოგჯერ განაპირობა ვითარების ლოგიკურმა შეფასებამ. მაგ.: 1891 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ ილიას ხელმოწერით რწმუნების ქალაქი და ინსტრუქცია გაუგზავნა ალ. ხახანაშვილს დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის მისაღებად. მწერლის თხზულებათა ოცტომეულის მე-17 ტომში ტექსტი მომზადებულთა მიერ დათარიღებულია ასე - (1891 წ. დეკემბერი - 1892 წ. იანვარი)¹. ვინაიდან ე.წ. რწმუნების ქალაქი, როგორც ჩანს, დათარიღებულია 11 დეკემბრით, სავარაუდოდ, ინსტრუქციაც ამავე დღეს გაიგზავნებოდა. ამდენად, შესაძლებლად ვცანით თარიღის დაზუსტება ამგვარად: „1891, 11 დეკემბერი“ და მატიანეშიც ასე შევიტანეთ.

ზოგჯერ თხზულების შექმნის მიახლოებითი თარიღის განსაზღვრაში თითქოსდა სრულიად განყენებული ფაქტიც გვეხმარება. ასე, მაგალითად, მივიჩნით, რომ 1892 წლის მაისის ბოლოს უნდა შეექმნა ილიას ლექსი „ეკატერინე სარაჯიშვილისას“. არსებობს ლექსის ორი ავტოგრაფი: ერთი მუყაოს ნაჭერზეა დაწერილი, მეორე - ფოტოზე. სავარაუდოდ, ავტორმა ჯერ „შავად“ შექმნა ექსპრომტი და შემდეგ წაანერა სასაჩუქრე ფოტოსურათს. ლექსის დასათარიღებლად კი გამოვიყენეთ შემდეგი ცნობა: 1892 წლის მაისში წიგნების ბეჭდვის ქართველთა ამხანაგობამ პეტერბურგიდან მიიღო მისივე დაკვეთით დაბეჭდილი ილიას პორტრეტი მწერლის თხზულებათა პირველ ტომში მოთავსებული სურათის შესაცვლელად. შესაბამისად, ადვილი შესაძლებელია, ლექსიც ამავე ხანებში შექმნილიყო.

1. იხ.: ჭავჭავაძე, ი., თსკ (ოც ტომად), XVII, 2012, გვ. 162-163, 444.

მატიანეში ზოგჯერ დაუთარილებელი ნაწარმოები ისე იყო შეტანილი ამა თუ იმ წლის განყოფილებაში, რომ არ იყო განმარტებული, თუ რატომ მიიღეს ამგვარი გადაწყვეტილება. თხზულებათა სრული კრებულის I ტომის შენიშვნების მიხედვით ყველგან დაზუსტდა ინფორმაცია (მაგ.: „ღამე“ - 1857 წ. ამ ლექსის ავტოგრაფი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი N106) დაუთარილებელია, მაგრამ პ. ინგოროყვა „წერის ხასიათის მიხედვით“ მას აკუთვნებს ილიას სტუდენტობისდროინდელ ნაწერებს და აძლევს ფართო თარიღს - 1857-1861. ამგვარი განმარტების შემდეგ უკვე გასაგებია, რა პრინციპით თარიღდება ტექსტი.

აღმოჩნდა, რომ ზოგ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძემ ავტოგრაფისეული ეპიგრაფი აღარ დაურთო ნაბეჭდს. მატიანეში ამის შესახებ ინფორმაცია არ იყო, რაც ჩვენ შევავსეთ (მაგ.: 1858 წლის 15 ივლისს დაწერილ ლექს „სიზმარი“ („ტივალ სივრცეში“...) ილია ეპიგრაფად ურთავს ვ. სკოტის სიტყვებს: „რა არს სიზმარი? იგივე ცხოვრება ნამდვილ, მაგრამ სიზმარში მარტო გამოხატულება წარმოებს“¹. ბეჭდურ ვერსიაში ლექსს ეპიგრაფი აღარ აქვს. ეს ინფორმაცია თხზულების შემოქმედებითი ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და, შესაბამისად, ის უსათუოდ უნდა ასახულიყო მატიანეში.

მასალის შესწავლამ გამოავლინა ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთი და იმავე ლექსის ორი ავტოგრაფი სხვადასხვა თარიღსა და სათაურს უჩვენებდა, რაც მატიანეში მითითებული არ იყო. მაგ.: 1858 წლის 23 ივლისს ილიამ დაწერა ლექსი „უცხოეთში“. ავტოგრაფში ლექსს ჰქვია „მთვარეს“. ლექსის ორი ავტოგრაფი არსებობს; ერთში 23 ივნისია დაწერის თარიღი, მეორეში კი - 23 ივლისი. ამგვარ შემთხვევებში სწო-

1. იხ.: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, ავტოგრაფი N108, ფ. 60.

რება განხორციელდა შესაბამისი კვლევის ჩატარების კვალობაზე; ასევე, მათიანეში ნათქვამია, რომ 1859 წლის 30 ნოემბერს ილია წერს ლექსს „ოჰ, სად არიან, სიჭაბუკე, სიტკბონი შენნი?“, მაგრამ არ არის დაზუსტებული, რომ ავტორაფში ლექსს ჰქვია „ჩემი სიჭაბუკე“; მათიანე უთითებს, რომ 1858 წლის 23 ივლისს ილია ტიარლევოში ამუშავებს ლექსს „უცხოეთში“, მაგრამ აღარაა აღნიშნული, რომ თხზულებას ავტორაფში ჰქვია „მთვარეს“.

წინა მათიანე თითქმის არასდროს უთითებს, ესა თუ ის ნაწარმოები ავტორის სიცოცხლეში იყო თუ არა გამოქვეყნებული, რაც, ვფიქრობთ, ყველა შემთხვევაში უნდა დაზუსტებულიყო. მაგ.: 1858 წლის 1 აგვისტოს დაწერილი ლექსი „ლოთის რჩევა“ ილიას სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. იგი პირველად 1914 წელს გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მის. გედევანიშვილისეულ გამოცემაში. ანალოგიური ვითარებაა რამდენიმე სხვა ნაწარმოებთან დაკავშირებითაც. ასე, მაგალითად, ილია 1858 წლის 27 ივნისს თარგმნის პუშკინის ლექსს „ანგელოზი“, რომელიც მის სიცოცხლეში არასოდეს გამოქვეყნებულა. ასევე, ილიას სიცოცხლეში არ დაბეჭდილა 1858 წლის 28 აგვისტოს დაწერილი ლექსი „ლოცვა“ („ოდეს დემონი..“), 1859 წლის 18 იანვარს დაწერილი ლექსი „მითხარ მიყვარხარ...“ ავტორმა დაიწუნა (ჯვარედინადაა გადახაზული) და არასოდეს გამოუქვეყნებია. ასევე, ილიას სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა 1859 წლის 26 დეკემბერს შექმნილი ლექსი „დაკარგული ედემი“. 1860 წლის აპრილის ბოლო-მაისის შუა რიცხვებში დაწერილი ლექსი „ძმის სიკვდილზედ.“

არა მარტო ლექსები, ილიას სიცოცხლეში ზოგიერთი პუბლიცისტური წერილიც არ დაბეჭდილა. ასეთია, მაგალითად, 1861 ივნისი-სექტემბერში დაწერილი სტატია — „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“. ილიას ეს წერილი „ცისკარში“ დასაბეჭდად 20 სექტემბერს უკვე გაგზავნილი ჰქონდა.

ნესით, ჟურნალის მე-10 ნომერში უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. ჟურნალის ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი განცხადება იუნყებოდა, რომ რედაქციას მიღებული აქვს ილია ჭავჭავაძის სტატია „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“, მაგრამ მისი დაბეჭდვა ვერ ხერხდება და მკითხველს ჰპირდებოდნენ, რომ ტექსტს შესთავაზებდნენ შემდეგ ნომერში. მაგრამ, მიუხედავად ამ დაპირებისა, არც ჟურნალ „ცისკრის“ ნომერის ნომერში დაბეჭდილა ილიას წერილი „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“. იგი პირველად გამოქვეყნდა მწერლის გარდაცვალების შემდეგ თბუღებათა ცხრატომეულის მეოთხე ტომში.

ზოგ შემთხვევაში მათიანეში არაზუსტად იყო დაფიქსირებული ნაწარმოების სათაური („ერთხელ ჯდა ჩემთან ლამაზი ქალი...“ — „ერთხელ ჰჯდა ჩემთან ლამაზი ქალი...“; „ლოყით მომეპყარ...“ - „ლოყით მოეპყარ...“ და ა. შ.), ჟანრი (ლექსი - პოემა - მაგ.: „ქართლის დედა“), ამონარიდი („მას აქეთ, რაც შენ მე შემეყვარდი, აღარ შორდება ჩემს გულს ურვა...“), ადრესატი (მაგ.: სოფიო ჩაიკოვსკაია - საშა ჩაიკოვსკაია); ილია ლექსს „ვიხილე სატრფო“ უძღვნის გენერალ ჩაიკოვსკის ასულს. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა აზრი, რომ ილიას სატრფოს სოფიო ერქვა, რაც, სავარაუდოდ, სიმართლეს არ შეეფერება. სოფიო გენერლის ძმისწული იყო და არა ქალიშვილი. გენერალ ილია ჩაიკოვსკის, ცნობილი რუსი კომპოზიტორის, პეტრე ჩაიკოვსკის მამას, ორი ქალიშვილი ჰყავდა: უფროსი ზინაიდა და უმცროსი ალექსანდრა. გურამ შარაძემ ყურადღება მიაქცია პეტრე ჩაიკოვსკის ბიძის ფუნდამენტურ ნაშრომს, რომელშიც მითითებულია, რომ ალექსანდრას ახალგაზრდობაში საშენკას, სანიას, სანიუმას ეძახდნენ. ამდენად, სწორია კ. აფხაზის ცნობა იმის თაობაზე, რომ ილია გამიჯნურებული იყო არა სოფიო პეტრეს ასულ (ილია ჩაიკოვსკის ძმისწული), არამედ საშენკა (ალექსანდრა) ილიას ასულ ჩაიკოვსკაიაზე, რომელიც მართლაც ღვიძლი და

იყო გენიალური კომპოზიტორისა), ეპიგრაფი (მაგ.: ილია 1860 წლის 12 ივლისს ქმნის ლექსის „მუშა“ მეორე ვარიანტს. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად, ლექსის ეპიგრაფად გამოყენებული სტრიქონები ნ. ა. ნეკრასოვს ეკუთვნის)¹. კვლევამ დაადასტურა, რომ აღნიშნული ფრაგმენტი სხვა ავტორის თხზულებიდანაა.

სადაც ეს შესაძლებელი იყო, დაზუსტდა, რომელი კონკრეტული ავტორის რომელი ნაწარმოების მიბაძვით ჰქონდა ილიას ესა თუ ის ლექსი შექმნილი, რაც მათიანეში არ იყო მითითებული (მაგ.: მათიანეში არ იყო აღნიშნული, რომ ლექსი „ჩემი თარიარალი“ ალ. ჭავჭავაძის „მუხამბაზი ლათაიურის“ მიბაძვითაა დაწერილი; ასევე, მათიანე გვაუწყებს, რომ ლექსი „სიხარული“ 1859 წლის 3 მარტს ილიას უცნობი ავტორის მიბაძვით შეუქმნია. დღეისათვის ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე დაზუსტებული ინფორმაცია არსებობს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა ვარაუდი, რომ ამ ლექსის შესაქმნელად ილიას ბიძგი მისცა ჰაინეს „ლამენტაციების“ ეპიგრაფმა - კერძოდ, ამ ეპიგრაფის პირველმა სტროფმა².

მატიანეში ზოგჯერ საერთოდ არ აღმოჩნდა ინფორმაცია ამა თუ იმ ნაწარმოების (ლექსი, პუბლიცისტური წერილი, სიტყვა..) შექმნის შესახებ, რაც ყველა შემჩნეულ შემთხვევაში აღვადგინეთ (მაგ.: 1859 წელს ილია წერს ლექსს „სიზმარი“ („ძამო, სურვილით...“), რომელიც დაუთარილებელია და გადახაზულია ავტორის მიერ. ილიას სიცოცხლეში ის არასოდეს გამოქვეყნებულა. პ. ინგოროყვას ვარაუდით, ლექსი შექმნილია არა უგვიანეს 1859 წლის 30 ნოემბრისა; 1863 წლის 30 აპრილამდე ილია წერს წინასიტყვაობას ლ. ჯანდიერაშვილის მიერ რუსულიდან თარგმნილი ზალცმანის თხზუ-

1. იხ.: ჭავჭავაძე ი., თსკ, თბ., 1987, ტ. I, გვ. 374.

2. დ. ლაშქარაძე, გერმანული კლასიკური ლიტერატურა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, თბ., 1981. გვ. 105-106.

ლებისათვის, რომელიც იბეჭდებოდა „საქართველოს მოამბის“ ნომრებში (N3,4,8,9) სათაურით „თხრობა ყმანვილების აღზრდაზე“; 1877 „ივერიის“ N11-ში ილია აქვეყნებს წერილს - „საპოლიტიკო მიმოხილვა (ინგლისი...)“; „ივერიის“ ამავე ნომერში იბეჭდება წერილი „საპოლიტიკო მიმოხილვა (უცნაური მდგომარეობა..)“; 1877 „ივერიის“ N13-ში ილია აქვეყნებს წერილს - „საპოლიტიკო მიმოხილვა („ეხლანდელმა საფრანგეთის“...)“; 1883 წლის 4 სექტემბერს წერს სტატიას „შინაური მიმოხილვა („ამას წინათ“...)“, რომლის დაბეჭდვაც აკრძალა საცენზურო კომიტეტმა და ა. შ.).

საყოველთაოდ ცნობილია, მეცნიერთა რამდენ თაობას გაუწია ფასდაუდებელი სამსახური ილია გორგაძისა და ნოდარ გურგენიძის მიერ მომზადებულმა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანემ. ვიმედოვნებთ, აღნიშნული გამოცემის ახალი, შევსებული და გადამუშავებული ელექტრონული ვერსია კიდევ უფრო ეფექტურ დახმარებას გაუწევს ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისა თუ ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

მასალა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მახინჯისათვის

თხზულებათა ოცტომეულის VIII-XIV ტომებიდან

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ელექტრონული მატრიანე საგულისხმო მასალით შეავსო მწერლის თხზულებათა სრული კრებულის (ოც ტომად) VIII-XIV ტომებიდან ამოკრებილმა ინფორმაციამ.

კვლავაც მნიშვნელოვან სიახლედ რჩება მატრიანეში წყაროების დაზუსტება, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელმოუწერელი ტექსტის ატრიბუციისას (მაგ.: წერილი „ცალკე საკითხები“¹ ილიას კრებულებში არასოდეს დაბეჭდილა, ნაბეჭდი წყარო ხელმოუწერელია, მაგრამ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აღნიშნული ტექსტი² შეტანილია ილია ჭავჭავაძის პირად საარქივო ფონდში დაცულ ხელნაწერ კრებულში, რომელიც პირადად ილიას დაკვეთითაა შექმნილი, უკვე სერიოზული არგუმენტია, რაც ამართლებს მასალის როგორც ოცტომეულის შესაბამის ტომში³, ისე - ელექტრონულ მატრიანეში შეტანას; ასევე, საგულისხმოა სტატია „წერილები სხვადასხვა რაგინდა-რაზე“ - წერილი პირველი („პატივცემულო თადეოზ! მრავალი კოკა წყალი ჩაივლიდა ავლაბრის ხიდს ქვეშ...“)⁴. ეს ტექსტი, რომელსაც

1. „ივერია“, 1886, 29/V, N114, გვ. 2.

2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, ხელნაწერი კრებული N1052, გვ. 375.

3. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VIII, 2007.

4. გაზ. „ივერია“, 1889, 25 აპრილი, N85.

ხელს „სფირიდონ ჩიტორელიძე“ ანერს, პირველად შევიდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში. ერთხანს სადავოდ ითვლებოდა, „სფირიდონ ჩიტორელიძე“ მიხ. ყიფიანის ფსევდონიმი იყო თუ ილია ჭავჭავაძისა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ილია ჭავჭავაძის პირად საარქივო ფონდში დაცულმა ხელნაწერმა ასლმა¹ საბოლოოდ მოჰფინა ნათელი საკითხს: ხელნაწერი კრებულის შესაქმნელად ვარლამ ჭილაძეს ილიამ 1885 წელს დაუდო ხელშეკრულება, ანუ ჯერ კიდევ მაშინ, როცა მიხ. ყიფიანი ცოცხალი იყო. ამდენად, თუკი „სფირიდონ ჩიტორელიძე“ მიხ. ყოფიანია, ხსენებული სტატია ამ ხელნაწერ კრებულში ვერ მოხვდებოდა.

ზოგიერთი ნაბეჭდი წყარო ამჯერად პირველად მოხვდა აკადემიურ გამოცემაში, თუმცა ირიბი დასტური ილიას ავტორობის შესახებ დიდი ხანია არსებობდა. ასეთია ათობით მოწინავე (მაგ.: თუნდაც 1886 წლის 15 მაისს „ივერიის“ N104 გამოქვეყნებული უსათაურო და ხელმოუწერელი სარედაქციო წერილი, რომელიც ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობას შეეხება), რომელთა შესახებ იონა მეუნარგია ჯერ კიდევ 1886 წლის 10 აპრილს წერდა ნ. ნიკოლაძეს: „ივერია“ გამოდის. ორ-სამ მოწინავე სტატიებს გარდა, რაც რომ პოლიტიკური და არაპოლიტიკური სტატიები იყო, სულ ილიასი არის“. ამ ცნობას ადასტურებს გაზ. „ივერიის“ თანამშრომელი არტ. ახნაზაროვიც: „ივერიის“ გაზეთად გადაკეთების პირველ ორ-სამ წელიწადს ილია თითქმის ყოველდღე მეთაურ წერილებსა წერდა გაზეთისათვის და ეს წერილები ხელმოუწერლად იბეჭდებოდა. თუ სხვა ვინმე სწერდა მეთაურს, მხოლოდ მაშინ აღინიშნებოდა წერილის ბოლოში დამწერის ვინაობა, ფსევდონიმი ან სახელისა და გვარის ინიციალები“.

ნაბეჭდ წყაროებთან დაკავშირებით ასევე გაირკვა, რომ მატიანეში არ იყო დასახელებული ავტორის სიცოცხლეში

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, ხელნაწერი ასლი NS-1568-ბ.

განხორციელებული მრავალი პუბლიკაცია. ნუსხას დაემატა 7 ათეულზე მეტი ახალი ჩანაწერი 1886 -1891 წლებში გამოქვეყნებული იმ პუბლიკაციების შესახებ, რომლებიც ობიექტური მიზეზების გამო არ იყო მოხსენიებული მატრიანეში. ობიექტურ მიზეზებში, ცხადია, პირველ რიგში ვგულისხმობთ ატრიბუციის დადგენასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც მეცნიერთა არა ერთი და ორი თაობის შრომას ითხოვს, რათა სათანადო სიზუსტით აღინუსხოს ყველა ნიუანსი.

ახალი აკადემიური გამოცემის VIII — XIV ტომებში ახლად შეტანილი პუბლიკაციების ატრიბუციის საკითხებზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ლ. ჭრელაშვილი, ლ. გვარამაძე, ლ. მეგრელიშვილი, იოსებ ლორთქიფანიძე და ა. შ. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ მკითხველისათვის ახალი აკადემიური გამოცემის ფორმატში უკვე ხელმისაწვდომია ილიას ნააზრევის გაცნობა საერთაშორისო პოლიტიკის (მაგ.: „დავა საზღვრის გამო რუსეთსა და ჩინეთს შორის“, „ირლანდიის თვითმმართველობის უფლება და მისი მოწინააღმდეგენი“, „პრინციების განდევნის საქმე“, „ბავარია და ბისმარკი“, „დასთა შორის ბრძოლა პარლამენტში“, „მთავარი ალექსანდრე და ბულგარეთის პრობლემა“, „ბელგიის საომარი მზადება“, „საიდუმლო შეთანხმების გამომზეურება“, „სამთა კავშირის“ ბატონობის დასუსტება ევროპაში“ და ა. შ.), საშინაო პრობლემების (მაგ.: „პასუხი „Новое Обозрение“-ს, „ქუთაისის თეატრის მშენებლობის გამო“, „საშემოსავლო გადასახადის შემოღება“, „ჭაჭისაგან არყის გამოხდაზე შეღავათიანი საბაჟო წესების შემოღება“, „ზემსკი ნაჩალნიკის“ შემოღების აუცილებლობა“, „კრება საადგილმამულო გადასახადის განერის თაობაზე“, „სახელმწიფო ბანკის გამართვა თავადაზნაურთათვის“, „სახელმწიფო ბანკის შეღავათიანი კრედიტი თავადაზნაურთათვის“, „რამდენი უნდა მიეცეს მუშაკაცს ცეცხლის გასაქრობად“, „რედაქტორის

შენიშვნა“, „ნარკვევი“ (ჟურნალ-გაზეთებიდან), „ქალაქის გამგეობის მტკივნეული საკითხები“ და ა. შ.), სამეურნეო (მაგ.: „ვაზის ავადმყოფობა მილდიუ“, „ხელობის სწავლების სიკეთე სოფლის სკოლებში“ და ა. შ.), თუ სხვა არსებითი მნიშვნელობის საკითხების შესახებ (მაგ.: „დავით იესეს ძე ჩუბინიშვილი“, „პროფესორ დ. ჩუბინაშვილის მემკვიდრეების კეთილი თაოსნობა“, „ილია ოქრომჭედლიშვილი“ და სხვ.).

გამოვლინდა 4 ათეულზე მეტი ისეთი სტატია, რომელთა დაბეჭდვის შესახებ (ცხადია, პირველი პუბლიკაციის შემდგომ) ინფორმაცია არ იყო შეტანილი წინა მატიანეში. ასეთებია, მაგალითად სტატიები: „ცვლილებანი ბანკის წესდებაში“, „სიტყვა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად უსამღვდელოესი ალექსანდრეს კურთხევის ცერემონიაზე“, „ალექსანდრე როინაშვილი“, „ქრისტე აღსდგა!“, „პატარა საუბარი“, „ოინბაზობაა თუ სულელობა?“, „სოფლის ახალგაზრდობა და მამულის პატრონობა“, „ლარიბ მოსწავლეთა მიღება სემინარიაში სახელმწიფო ხარჯით“, „პოლიტიკური კუმის დაარსების გამო“, „სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების გზები“, „წირვა და პანაშვიდი ერეკლე მეფის სულის მოსახსენებლად“, „ფიქრები გლეხკაცის გალონიერებაზე“, „საზოგადო საქმეთა გამო“, „დღევანდელი თავადაზნაურობის სატკივარი“, „საკუთრების საქმე ბათომში“ და ა. შ.).

1886 წლის ზაფხულში გაზ. „ივერიაში“ ყოველდღე ქვეყნდებოდა ხელმოუწერელი მონინავეები, რომლებიც იმ პერიოდის საჭირობორტო საკითხებს ეხმიანებოდა; მათი წყაროების შესახებ მატიანეში ძალიან მწირი იყო ინფორმაცია, რაც ყველა შემთხვევაში შეივსო. ამ სტატიების აბსოლუტური უმეტესობა ეძღვნება ევროპის სახელმწიფოებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზს. წერილების ნაწილი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად მწერლის თხზულებათა ანტომეულში გამოაქვეყნა პ. ინგოროყვამ (ასე, მაგალი-

თად, 1886 წლის 7 ივნისს¹ გაზეთ „ივერიაში“ ხელმოუწერლად და უსათაუროდ დაიწყო ვრცელი პოლემიკური ხასიათის სტატიის ბეჭდვა („ბ-ნი აკაკი წერეთელი თავის წერილში, რომელიც „ივერიის“ N110-ში იყო დაბეჭდილი.“; მეორედღეს გაგრძელდა ამ წერილის ბეჭდვა²: („ჩვენ წინა წერილში აკაკის საპასუხოდ ისა ვსთქვით...“). 10 ივნისს გამოქვეყნდა სტატიის მომდევნო ნაწილი³ („საადგილმამულო კრედიტის აკვარგიანობის დაფასება...“), ხოლო 11 ივნისს სტატიის ბოლო, მეოთხე ნაწილი⁴ („ბანკიც იგვე რულეტკა იყოვო“, - ბრძანებს ბ-ნი აკაკი წერეთელი...“). მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ სტატიის ხელნაწერი ასლი⁵, წერილი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა სრულ კრებულში ათ ტომად სათაურით „აკაკი წერეთელი და ბანკი“⁶);

ელექტრონული მატრიანე შეივსო ბევრი ისეთი მონაცემით, რომელთა შესახებ 1987 წლის მატრიანეში არაფერი იყო ნათქვამი, რადგან ტექსტები მხოლოდ ოცტომეულის ფურცლებზე იხილა პირველად მკითხველმა (იქვეა მოცემული დასაბუთება ავტორობასთან დაკავშირებით). ასეთია, მაგალითად, 1886 წლის 13 ივნისს ხელმოუწერლად და უსათაუროდ გამოქვეყნებული მოწინავე⁷ („მთელი ევროპის ჟურნალ-გაზეთობა ეხლა თითქმის მარტო ბავარიის კოროლის ამბავზეა მოცლილი..“). ეს წერილი სათაურით „ბავარიის მეფე ლუდ-

1. გაზ. „ივერია“, 1886, 7/VI, N120, გვ. 1.

2. გაზ. „ივერია“, 1886, 8/VI, N121, გვ. 1.

3. გაზ. „ივერია“, 1886, 10/VI, N122, გვ. 1.

4. გაზ. „ივერია“, 1886, 11/VI, N123, გვ. 1.

5. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, ასლი N1052, გვ. 383-393.

6. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული (შემდგ. პ. ინგოროყვა), ტ. IV, 1955.

7. გაზ. „ივერია“, 1886, 13/VI, N125, გვ. 1.

ვიგ II“ პირველად ახალი აკადემიური გამოცემის VIII⁷ ტომში დაიბეჭდა. ანალოგიური ვითარებაა „ივერიის“ 14, 15, 17-20 ივნისის მოწინავეებთან დაკავშირებით. ამ სტატიების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია პირველად შევიდა მათიანეში.

ცნობილია, რომ ილია გარკვეული რიგის საკითხებზე სტატიებს ერთი და იმავე „ქუდით“ ხშირად ბეჭდავდა. ასე, მაგალითად, „ივერიაში“ ილია სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს სათაურით „პატარა საუბარი“. იდენტიფიკაციის გასაადვილებლად მსგავსი სათაურით დაბეჭდილი ტექსტებისათვის ყველგან დავამატეთ სტატიის პირველი ფრაზის დასაწყისი (მაგ.: 1898 წლის 8 იანვარს გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება „პატარა საუბარი“ („ქართველნო დედაკაცნო, დღეს თქვენთან მინდოდა...“); 1898 წლის 22 იანვარს გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდება „პატარა საუბარი“ („უკვე გაზეთებში გამოცხადდა ამას წინად, რომ...“); 1898 წლის 6 თებერვალს გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება სტატია „პატარა საუბარი“ („საკვირველი კაცია ჩვენი პატივცემული თ. აკაკი წერეთელი“); 1898 წლის 3 მარტს გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება სტატია „პატარა საუბარი“ („გენერალ-ლეიტენანტმა, აწ განსვენებულმა ს.ი. ქიშმიშოვმა..“); 1898 წლის 5 მარტს გაზეთ „ივერიაში“ ქვეყნდება სტატია „პატარა საუბარი“ („თ. გ. თუმანოვი გუშინდელ „Новое Обозрение“-ში...“) და სხვ.

როგორც წესი, მათიანეში არ იყო მითითებული, პირველი პუბლიკაციის შემდეგ რამდენჯერ იყო გამოქვეყნებული ტექსტი და ვის მიერ იყო დასათაურებული (თუკი წერილი უსათაუროდ იყო გამოქვეყნებული) და ვინ მუშაობდა კრებულების შედგენაზე. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულებში ტექსტის დაბეჭდვასთან დაკავშირებით ინფორმაცია შეძლებისდაგვარად დავაკონკრეტეთ და შესაბამისი თანმიმ-

1. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VIII, 2007.

დეერობით განვალაგეთ (მაგ.: 1888 წლის 17 იანვარს გაზეთ „ივერიაში“ უსათაუროდ და ხელმოუწერლად აქვეყნებს მონინავეს - „ტფილისი, 16 იანვარი“ („ჩვენში სალიტერატურო მოღვაწეობა საერთოდ...“). წერილი ილია ჭავჭავაძის სახელით პირველად დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა ათცომეულში სათაურით „გაზეთი „მეურნე“. იქვეა მოცემული დასაბუთება ავტორობის საკითხთან დაკავშირებით¹.

რიგ შემთხვევაში მატიანეში არასწორად იყო მითითებული პუბლიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მაგ. თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის წელი ან ტომის რიგითი ნომერი). ჩვენ ყველა მსგავსი შემთხვევა გადავამოწმეთ და როგორც კორექტურული შეცდომა - გავასწორეთ.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის ხსენებულ VIII-XIV ტომებში გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილების შესწავლისას გამოვლინდა ორი ახალი ფაქტი ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიდან. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ 1886 წლის 4 მაისს ილია დილის 10 საათიდან იმყოფებოდა არწრუნისეულ სახლში სასახლის ქუჩაზე, სადაც თავმჯდომარეობდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წლიურ კრებას². ასევე, გაირკვა, რომ 1889 წლის 7 მარტს ილია დასწრებია გუბერნატორის მიერ მონწეულ კომიტეტის სხდომას, რომელზეც განუხილავთ საადგილმამულო გადასახადის განერის საკითხი³. ორივე ეს ცნობა, რომელიც თავისთავად საგულისხმოა დიდი მწერლის ბიოგრაფიის სრულყოფილად შესწავლისათვის, შესაძლოა, მომავალში მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს რომელიმე პრობლემური საკითხის გადასაჭრელად.

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, ასლი N1052, გვ. 792-794; გაზ. „ივერია“, 1888, 17/1, N11, გვ. 1. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად (შემდგ.პ. ინგოროყვა), ტ.VIII, 1957.

2. გაზ. „ივერია“, 1886, 20/IV, N85, გვ. 1.

3. გაზ. „ივერია“, 1889, 9/III, N51, გვ. 1.

მასალაზი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მახიანისათვის

(თხზულებათა ოცტომეულის XV-XVIII ტომებიდან)

ილია ჭავჭავაძის აკადემიური გამოცემის XV-XVII ტომები 2007-2012 წლებში დაიბეჭდა. შესაბამისად, მათში საკმაოდ სოლიდურია მოცულობა ისეთი მასალისა, რომელიც ან არ იყო 1987 წლისთვის გამოვლენილი, ან ატრიბუციის საკითხი არ იყო საბოლოოდ გარკვეული.

ახალი შევსებული მახიანის ყველაზე არსებითი სიახლეა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის XV ტომში დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილების აღნუსხვა და მახიანეში შეტანა. ხსენებული ტომი დაიბეჭდა 2007 წელს და მასში შევიდა ბოლო წლების ტექსტოლოგიური კვლევების შედეგად გამოვლენილი ის პუბლიცისტური წერილები, რომელთა ატრიბუცია საბოლოოდ დადგენილი არ არის. ტომი მოიცავს 1879-1904 წლებში შექმნილ 170 წერილს. თემატური თვალსაზრისით ეს წერილები ძალზე მრავალფეროვანია: ისტორია, რელიგია, არქეოლოგია (მაგ.: „ქართველთა ქონება ათონის მთაზე“, „საქართველოს ახალი ეგზარხოსი“, <ქართული საგალობლების მნიშვნელობა>, <ცრუმორწმუნეობის მორევში>, <ქართული ტაძრების ბედი> და სხვ.), პოლიტიკა (მაგ.: <ნუ დაფუკარგავთ შთამომავლობას მამულ-დედულს>, „სიმკოლო სარწმუნოებისა“, <დასობანა - სახიფათო თამაში>, „მაჰმადიან ქართველთა ბედი“, „დაბრუნებული აფხაზები“ და სხვ.), ეროვნული საკითხი და სწავლა-განათლება (მაგ.: <სხვადასხვა ერების უცნაური მდგომარეობა კავკასია-

ში>, „წინამძღოლი არა გვყავს“, „კავკასიის უნივერსიტეტი“, „უკანასკნელი რეფორმები“, „დედათა განათლება ჩვენში“ და ა.შ.); ადმინისტრაცია და ადგილობრივი მმართველობა („თ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნაზე“, „განათლების ახალი მინისტრის დანიშვნა“, „ბ. მარკოვის საჩივარი“, „კავკაზიის რეფორმები“, „დაბადებამდი სიკვდილი“ და ა. შ.); სოციალური საკითხები და ინფრასტრუქტურა („ჩვენი ხელოსნობა და ხელოსნები“, „ერთი სახსართაგანი ჩვენში მეურნეობის წარმატებისთვის“, „ქუთაისის ბანკის უფლებამოსილების გაფართოება“, <თვითმმართველობის მნიშვნელობა ეკონომიკისთვის>, „ჩვენი ფორტა და რკინისგზა“, „ხიზნების მდგომარეობა“ და ა. შ.); სოფლის მეურნეობა („კალიის გამოსვლა“, <როგორ ავალორძინოთ სოფლის მეურნეობა>, <თავად-აზნაურთა მოვალეობა>, და ა. შ.); პრესა, ეთიკა, სამართალი („ახალ ქართულ გაზეთს“, „ბათომის ფურცელი“, „ტუსალები-სათვის“, „დრონი იცვალნენ“, „სამართალი მსწრაფლი და მართალი“, „სასამართლოები ჩვენში“ და ა. შ.); ჯანმრთელობა, მედიცინა, კულტურა („სახალხო დროსგატარება“, „გახშირებული ავადმყოფობა“, „ჩვენი ექიმები“, „თეატრის მათიანე“, „ქართული თეატრი“, „კიდევ ძველ წიგნებზე“ და ა. შ.); ქართული ენის საკითხები (<უყურადღებობა ქართული ენის მიმართ>, „ქართული ენა სასამართლოებში“, „ქართული ენა ჩვენს საშუალ სასწავლებლებში“); საზღვარგარეთის ამბები („ავსტრიის ვარამი“, „გავლილი წელიწადი ევროპაში“, „<როგორ პოლიტიკას აირჩევს რუსეთი>, „ერთი კვირა უცხოეთში“ და სხვ.) და ა.შ. თითოეული თემატური ჯგუფი, თავის მხრივ, ძალზე საინტერესო საკითხებზე შექმნილ სტატიებს აერთიანებს, რომელთა გაცნობა მნიშვნელოვანია არა მარტო ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის სრულყოფილად შესასწავლად, არამედ იმ ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გასაცნობად, რომელშიც დიდ მწერალს მოუხდა მოღვაწეობა.

ამ წერილების ერთი ნაწილი 1879-1883 წ.წ. ქვეყნდებოდა გაზ. „დროებაში“ ხელმოუწერელი მონინავეების სახით. ლ. ჭრელაშვილმა ამ წერილების ავტორად ილია ჭავჭავაძე მიიჩნია, დაეყრდნო რა ს. მესხის მიერ შედგენილ ანონიმური პუბლიკაციების სიას, რომელსაც მან იაკობ გოგებაშვილის არქივში მიაკვლია. მეცნიერის აზრით, ყველა ხელმოუწერელი მონინავე გაზეთის მეორე რედაქტორს, ი. ჭავჭავაძეს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან ხელმოუწერელ წერილს სარედაქციო სვეტში მხოლოდ რედაქტორი აქვეყნებდა¹. აღნიშნული წერილები, ალბათ, გამოცემის ძირითად ნაწილში განთავსდებოდა, რომ არა ერთი გარემოება: ს. მესხის ნუსხიდან ორი წერილი: „ტფილისი 8 მარტს“² და „ტფილისი 9 მარტს“³. იაკობ გოგებაშვილმა თავად შეიტანა თავისი „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების“ პირველ ტომში, რითაც საკუთარი ავტორობა დაადასტურა. აქედან გამომდინარე, ეჭვქვეშ დადგა დანარჩენი წერილების ავტორობის საკითხიც და, ცხადია, მათი ცალსახად მიჩნევა ილიასეულად შეუძლებელი აღმოჩნდა მიუხედავად იმისა, რომ სტატიების თემატიკა, ლექსიკა, მსჯელობის სტილი ხშირ შემთხვევაში ატრიბუციის თვალსაზრისით ეჭვს არ იწვევს.

ტომში ხსენებული სტატიების გარდა, დაბეჭდილია წერილების მეორე წყება, რომლებიც ხელმოწერილია ფსევდონიმებით: „ქართული თეატრის მოყვარული“, „ქართული თეატრის მოყვარე“, „ქართული სცენის მოყვარე“. ბუნებრივია, ეს წერილები ეძღვნება ქართული თეატრის საჭირობოროტო საკითხებს. სულ 15 წერილია; აქედან 8 დაბეჭდილია საერთო სათაურით - „თეატრის მათიანი“; ზოგადად, არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც პუბლიცისტი, გარკვეული რიგის

1. ლ. ჭრელაშვილი, ფ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, N2, N3 და 1985, N5.

2. გაზ. „დროება“, 1881, N50.

3. გაზ. „დროება“, 1881, N57.

საკითხებზე სტატიებს ერთი და იმავე სათაურით ბეჭდავს, რათა მკითხველი უმალ მიახვედროს, რა ტიპის ინფორმაციას მიიღებს. ამ თვალსაზრისით, ცხადია, არც ილიაა გამონაკლისი. გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნებული „თეატრის მათიანების“ იდენტიფიკაციის გასაადვილებლად ყველგან დავამატეთ სტატიის პირველი ფრაზის დასაწყისი (მაგ.: 1880 წლის 12 იანვარს გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება „თეატრის მათიანე“ („უწინ, როდესაც ჩვენი ქართული წარმოდგენები...“); იმავე წლის 13 იანვარს ასევე იბეჭდება „დროებაში“ „თეატრის მათიანე“ („ვიდრე მოყვებით ამ სათაურში მოხსნებულ წარმოდგენების გარჩევას...“); 1880 წლის 2 თებერვალს გაზეთ „დროებაში“ იბეჭდება „თეატრის მათიანე“ („არ ვიცი, ღვთის წინაშე, რა სიტყვებით გამოგისახოთ ის შთაბეჭდილება...“); 1880 წლის 24 თებერვალს გაზეთ „დროებაში“ ქვეყნდება სტატია „თეატრის მათიანე“ („პ. უმიკაშვილის ახალს კომედიად..“) და სხვ. ეს წერილები იდეურად თანხვედბა ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით გამოქვეყნებულ სხვა სტატიებში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებშიც თეატრის მნიშვნელობასა და მის საზოგადოებრივ მისიაზეა საუბარი. ეს გარემოება, ვფიქრობთ, ამ უკანასკნელთა ატრიბუციის დადასტურებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად შეიძლება იქცეს სამომავლოდ.

წერილების მესამე ჯგუფს ქმნის 1902-1903 წ.წ. გაზ. ივერიაში“ განსხვავებული შრიფტით აწყობილი სტატიები. ლ. ჭრელაშვილმა ისინი ილიასეულად მიიჩნია და საკითხთან დაკავშირებით გამოაქვეყნა ნარკვევი¹.

გარდა ამისა, ტომში შევიდა სხვადასხვა დროს მეცნიერთა მიერ ილიასეულად მიჩნეული რამდენიმე წერილი, რომელთა ავტორობის საკითხი დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

1. „ილიას კრებული“ II, 2004.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გასაგები მიზეზების გამო, ეს მასალა არასდროს დაბეჭდილა ილიას კრებულებში. ვფიქრობთ ახალი შევსებული მატრიანე მკითხველს უნდა აძლევდეს საშუალებას, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია არა მარტო ნამდვილად ილიას მიერ შექმნილ თხზულებათა, არამედ იმ სავარაუდო ქმნილებათა შესახებაც, რომელთა ატრიბუციის საკითხი ჯერ კიდევ საჭიროებს დაზუსტებას. ჩვენი აზრით, ილიას შემოქმედებით დაინტერესებულ სპეციალისტთა სამომავლო კვლევის ერთ-ერთ მიზნად თსკ XV ტომში წარმოდგენილი მასალის შესწავლა უნდა იქცეს; მათში გამოთქმული და დასაბუთებული დებულებების კომპლექსური ანალიზი და შეპირისპირება ილიას საყოველთაოდ აღიარებულ სტატიებში გამოთქმულ შეხედულებებთან მოგვცემს საშუალებას, კიდევ ერთი არგუმენტით გამყარდეს წინა თაობის მეცნიერთა მიერ გამოთქმული ვარაუდი და მეტნაკლებად დარწმუნებით ვთქვათ, ეკუთვნის თუ არა ეს წერილები ერთსა და იმავე ავტორს, ანუ ილია ჭავჭავაძეს. რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება დიდი კლასიკოსის მემკვიდრეობის სრულფასოვნად შესწავლის საქმეში.

განსაკუთრებით გაამდიდრა ახალი შევსებული მატრიანე პირადი წერილების შესახებ ინფორმაციის შეტანამ. 1987 წლის მატრიანეში წყაროების დაუსახელებლად იყო მითითებული, თუ ვისთან ჰქონდა ილიას მიმონერა. ამასთან, როგორც წესი, არ იყო დაზუსტებული წერილების შინაარსი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია. ჩვენ თითოეულ წერილს დავურთეთ მოკლე მიმოხილვა, რომელშიც ყველაზე არსებითი და ამა თუ იმ კუთხით საყურადღებო ინფორმაცია გამოვიტანეთ. ასევე, წერილების შინაარსიდან გამომდინარე მოხერხდა ბევრი საყურადღებო ბიოგრაფიული ფაქტის გამოყოფა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა, სრულიად სხვა საკითხს მოჰფინოს ნათელი.

ხშირ შემთხვევაში მატიანეში არასწორად იყო მითითებული ზოგიერთი წერილის ადრესატი. ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე ყველა შემთხვევაში დაზუსტდა ინფორმაცია. ამასთან, დაზუსტდა ბევრი პირადი წერილის დაწერის თარიღი, რომელიც არათუ 1987 წლის მატიანეში, არამედ 2012 წელს გამოცემულ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემის XVII ტომშიც არასწორად იყო დათარიღებული. ასე, მაგალითად, დის, ლიზა ჭავჭავაძისადმი მიწერილი ერთი ბარათის შესახებ მწერლის თხზულებათა ოცტომეულის XVII ტომში მითითებულია: „[1870 წლის შემდეგ] ელისაბედ საგინაშვილის მეორე ქორწინების თარიღის მიხედვით“¹. ალექსანდრე საგინაშვილი, ლიზა ჭავჭავაძის მეორე ქმარი, 1870 წელს დაქვრივდა (გარდაეცვალა მეუღლე, ბარბარე ორბელიანი). ელისაბედზე მან 1872 წლის 20 თებერვალს იქორწინა. ამდენად, წერილი მითითებულ თარიღზე ადრე ვერ დაინერებოდა; თანაც, ვფიქრობთ, წერილის დაწერასა და ქორწინებას შორის დიდი შუალედი არაა სავარაუდებელი, რადგან წერილის მინაწერი, რომლის ადრესატი ალექსანდრე საგინაშვილია, ოფიციალურ ხასიათს ატარებს.

მნიშვნელოვანი სიახლეა მატიანის შევსება პირადი წერილების წყაროების შესახებ არსებული ინფორმაციით. აბსოლუტურად ყველა ტექსტს დავურთეთ მონაცემები ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წყაროს არსებობის შესახებ. ამასთან, სადაც ეს შესაძლებელი იყო, დაზუსტდა, ხელნაწერი წყარო ავტოგრაფია თუ ასლი.

ზოგიერთი ნაბეჭდი წყარო ამჯერად პირველად მოხვდა აკადემიურ გამოცემაში, თუმცა ინფორმაცია მათ შესახებ, ცხადია, არსებობდა. ასეთია, მაგალითად, პეტრე ნაკაშიძე-

1. ჭავჭავაძე, ი., თსკ (ოც ტომად), XVII, 2012, გვ. 375.

სადმი 1871 წ. 29 აგვისტოს მიწერილი წერილი („პეტრე! ამ ახლად დაწერილს ლექსებს გიგზავნი...“)¹.

რიგ შემთხვევაში მატიანეში არასწორად იყო მითითებული პუბლიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მაგ.: პერიოდული გამოცემის დაბეჭდვის ზუსტი თარიღი ან ნომერი; თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის წელი, ტომის რიგითი ნომერი ან გვერდი). ჩვენ ყველა მსგავსი შემთხვევა გადავამოწმეთ და როგორც კორექტურული შეცდომა - გავასწორეთ.

ამდენად, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მატიანის ახალი შევსებული ვერსია დაინტერესებულ მკითხველს წარმოუდგენს ამომწურავ ინფორმაციას ამ ეტაპისათვის გამოვლენილი ყველა ნამდვილად ილიასეული თუ სავარაუდო თხზულების შექმნისა და გამოქვეყნების ისტორიის შესახებ; ასევე, მასში გამოწვლილვით იქნება აღნუსხული ილია ჭავჭავაძის პირადი კორესპონდენციის შესწავლის საფუძველზე გამოვლენილი ფაქტები და მოვლენები, რაც განსაკუთრებით ფასეულია დიდი მწერლის ცხოვრების გზის სრულად აღგენისა და შესწავლისათვის.

1. იხ.: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, ავტოგრაფი N114; ჭავჭავაძე, ი., თხზულებანი, ტ. I, 1925, გვ. 377; ჭავჭავაძე, ი., თსკ (ოც ტომად), XVII, 2012, გვ. 31, 376; სტურუა, ზ., ერთი კომენტარის გამო, ჟ. „კრიტიკა“, 1988, N3, გვ. 120-121

ილია ჭავჭავაძის ერთი უცნობი წერილის გამო

ტექსტოლოგიური ანალიზი

ცნობილია, რომ მწერლები პოლიტიკურ, ეთიკურ-პიროვნულ თუ სხვა მოსაზრებათა გამო ხშირად ამჯობინებენ სტატიის/ნაწარმოების ხელმოწერლად ან ფსევდონიმით დაბეჭდვას. ყველა ამგვარი შემთხვევა მეცნიერებს დიდ „თავსატეხს“ უჩენს. პრობლემურია, მაგრამ აუცილებელი ხელმოწერლად გამოქვეყნებული ნაწერების ატრიბუცია (ავტორობის დადგენა) და შესწავლა. ცხადია, კვლევა ყოველთვის წარმატებით ვერ დაგვირგვინდება, მით უფრო, თუ საკვლევი მასალა ნაკლებად ცნობილ ავტორს ეკუთვნის, რომლის შემოქმედებითი ინდივიდუალობა ნაკლებად შესწავლილი და, შესაბამისად, ნაკლებად „ცნობადია“, ამიტომაც მეცნიერ-ტექსტოლოგები, პირველ რიგში, ცდილობენ შეისწავლონ ის ტექსტები, რომლებიც მეტ-ნაკლები ალბათობით შეიძლება მივიჩნიოთ კლასიკოსთა ნაშრომებად; ტექსტები, რომლებიც თავის დროზე ხელმოწერლად ან უცნობი ფსევდონიმით გამოქვეყნდა, ან ვისიმე არქივშია მიკვლეული და ე.წ. საიდენტიფიკაციო ნიშანთა ნაკლებობის გამო არ არის მოხვედრილი სავარაუდო ავტორის თხზულებათა კრებულში.

კლასიკოსთა შემოქმედება მეცნიერთა მრავალი თაობის კვლევის საგანია. ცხადია, ვერც ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა ჩაითვლება სრულყოფილად შესწავლილად. განსაკუთრებით საყურადღებოა ის პუბლიცისტური წერილები და ნარკვევები, რომლებიც ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გამოვლინდა კვლევა-ძიების შედეგად და რომლებიც, სავარაუდოდ, სწორედ ილიას კალამს უნდა ეკუთვნოდეს. აღნიშნული მასალა დაბეჭდილია

მწერლის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემის მე-15, ე.წ. სავარაუდოთა ტომში. ამ ტექსტების კვლევა უნდა გაგრძელდეს და დადგინდეს, რომელი მათგანი ეკუთვნის მართლაც ილია ჭავჭავაძეს, რათა თხზულებათა სრული კრებულის შემდგომ გამოცემაში დაიბეჭდოს ძირითად ნაწილში, რაც მწერლის შემოქმედებითი მრწამსის, სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებებისა და მსოფლმხედველობის მთელი სისრულით აღსაქმელად ძალზე მნიშვნელოვანი იქნება.

ვფიქრობთ, სწორედ ასეთი უნდა იყოს წერილი, რომელიც 1902 წლის ივლისში გაზეთ „ივერიის“ 142-ე, 145-ე და 146-ე ნომრებში ხელმოუწერლად და უსათაუროდ დაიბეჭდა სამ ნაწილად. მასში იმ დროისათვის (და, სამწუხაროდ, არა მხოლოდ იმ დროისათვის) მეტად საჭირობოროტო საკითხზეა საუბარი. სტატიასა და მის გაგრძელებას პირობითი სათაურები ჩვენ მივეცით - „ნუ დავუკარგავთ შთამომავლობას მამულ-დედულს“ და „ისევ მამულების გაყიდვის შესახებ“.

ატრიბუციისათვის მეცნიერ-ტექსტოლოგები, როგორც ცნობილია, სამ ძირითად მონაცემს ეყრდნობიან: დოკუმენტური წყაროს მოძიება, იდეური და ენობრივ-სტილური ანალიზი. საკითხის გადანყვეტისათვის თითოეული მათგანი აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი;

რასაკვირველია, პირველ რიგში საინტერესოა, რა მდგომარეობაა დოკუმენტური დადასტურების თვალსაზრისით. ამ კუთხით პირდაპირი წყარო არ არსებობს, თუმცა რამდენიმე გარემოება მიუთითებს ილიას სავარაუდო ავტორობაზე. ცნობილია, რომ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ილიასათვის კალამი ერთგვარი საბრძოლო იარაღი იყო, ამიტომაცაა, რომ სამწერლო მოღვაწეობის ოთხ ათეულზე მეტი წლის მანძილზე მას უამრავი პუბლიცისტური წერილი აქვს შექმნილი (პირველი სტატია მან 1860 წლის 5 ნოემბერს გამოაქვეყნა, ბოლო კი - 1905 წლის 5 მაისს. ეს იყო „ივერიის“ 68-ე ნომრის დამატება „ნუ თუ? (პასუხად „მოგზაურის“ კორესპონდენციისა)“.

ილიას წერილებს უზარმაზარი გავლენა ჰქონდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. მართალია, იმ პერიოდის თითქმის ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი თანამშრომლობდა „ივერიასთან“, მაგრამ სწორედ ილიას მეთაური სტატიები იყო ჟურნალისთვის (შემდეგში - გაზეთისთვის) ტონისა და მიმართულების მიმცემიცა და მისი პოპულარობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორიც.

კარგა ხანს გაზიარებული იყო აზრი, რომ ილია 1900 წლიდან ჩამოშორდა ლიტერატურას. ეს შეხედულება ეყრდნობოდა გრ. ყიფშიძის ცნობას, რომ 1900 წლის შემდეგ მოხუცებაში შესული და მოღლილილ-მოქანცული ილია ჩამოშორდა ლიტერატურულ საქმიანობას. ლ. ჭრელაშვილმა ეს მოსაზრება არ მიიჩნია სარწმუნოდ. მართლაც, 65 წლის ილია, რომელიც ამ ხანებში აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობს, გონებაც უჭრის და კალამიც, შეუძლებელია, ერთბაშად ჩამოშორებოდა ბეჭდვით სიტყვას და ნებაყოფლობით ეთქვა უარი ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლის ამ იარაღზე.

თანამედროვეთა ინფორმაციით, ილია 1900 წლის შემდეგაც აგრძელებდა „ივერიაში“ თანამშრომლობას და არაერთი სტატია გამოუქვეყნებია ხელმოუწერლად. ლ. ჭრელაშვილის მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ეს ცნობები სიმართლეს შეეფერება. მეტიც, დადასტურდა, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში ილიას უცდია, თავი მოეყარა ამგვარი ნაწერებისათვის: „XIX საუკუნის 80-იან წლებში გამომცემლებთან ილია ჭავჭავაძის მიერ დადებული ხელშეკრულების აღმოჩენამ ცხადყო, რომ გაზ. „ივერიიდან“ ხელმოუწერელი „მეთაურების“ ამონერა მიმდინარეობდა თვით ილიას უშუალო მონაწილეობით“ .

1. ჭრელაშვილი ლ., გაზეთ „ივერიაში“ ზოგიერთი ხელმოუწერელი ნაწარმოების ავტორისა და ფსევდონიმ „Amicus“-ის ვინაობის დადგენა (აკაკი წერეთლის უცნობი ნაწერები), ჟ. „ლიტერატურული ძიებანი“, 2001, N21.

თ. სახოკიას ჩამოუნერია 1902 წლის „ივერიის“ ნომრები და იმ მეთაური წერილების სანყისი ფრაზები, რომლებიც ილიას ქმნილებებად მიუჩნევია, თუმცა შემდგომ გადაუხაზავს სია და ამ საქმისთვის თავი დაუნებებია - ხელმოუნერელ მოწინავეთაგან ზოგიერთი მ. მაჩაბლის (გახსნა ფსევდონიმი მ. ტფილისელი) გამომდგარა, ამიტომაც კვლევის გაგრძელება შეუძლებლად მიუჩნევია.

ყველა ის მეთაური წერილი, რომელიც თ. სახოკიამ ილიას ქმნილებად ჩათვალა, ჩვეულებრივზე ოდნავ დიდი შრიფტით იყო აწყობილი. მეთაურების დიდი და პატარა ასოებით დაბეჭდვის ტრადიცია „ივერიაში“ 1902 წლიდან დამკვიდრდა. სწორედ ამ წელს ჩამოშორდა ილია „ივერიას“, თუმცა ეს ერთბაშად არ მომხდარა. „ბროკჰაუზ-ფერონის რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონისთვის 1902-1903 წ.წ. დაწერილ ავტობიოგრაფიაში ილია მიუთითებდა: „1902 წელს გაზეთი სხვას გადავეცი და იმის რედაქტორობით გამოდის დღესაცო“. მართლაც, 1901 წლის 5 დეკემბრიდან „ივერიის“ რედაქტორი ალექსანდრე სარაჯიშვილია, ხოლო ილია - გამომცემელი. 1902 წლის 1 მაისიდან შეიქმნა ამხანაგობა, რომლის წევრიც, სავარაუდოდ, ილიაც იქნებოდა. მაშასადამე, გაზეთზე ფაქტობრივი პასუხისმგებელი ილია აღარაა 1-ლი მაისის შემდეგ, მაგრამ 154-ე ნომრამდე, ანუ 21 ივლისამდე, ალ. სარაჯიშვილი მხოლოდ „დროებითი რედაქტორია“, ილია კი - „გამომცემელი“. 154-ე ნომრის შემდეგ „ივერიაში“ აღარაა ილიას გვარი მოხსენიებული, რაც, სავარაუდოდ, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ დროიდან ის მართლაც მთლიანად ჩამოსცილდა რედაქციას.

ლ. ჭრელაშვილმა თედო სახოკიას მიერ მომზადებული „ილია ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფიის“ შესწავლის საფუძველზე (სწორედ ამ ნუსხის წყალობით დამატა ილიას დღემდე ცნობილ ნაწერებს 64 წერილი) დოკუმენტური საფუძველი მოუპოვა ა. ახნაზაროვის, გრ. ყიფშიძისა და ს. მგალობლიშ-

ვილის მემუარულ ცნობებს იმის თაობაზე, რომ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ხელმოუწერელი წერილების ავტორი ილიაა (მსგავსი ვარაუდი ჰქონდა გამოთქმული თამარ მაჭავარიანსაც). მართალია, ასოების ზომა შეიძლება ერთგვარი მინიშნება იყოს ან ავტორზე, ან საკითხის გამორჩეულობაზე (ლ.ჭ.), მაგრამ მხოლოდ ამ ნიშნით რომ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ, ამას თ. სახოკიას გამოცდილებაც ადასტურებს. ესეც არ იყოს, გაზეთის ძველმა თანამშრომელმა, ილია ფერაძემ, რომელსაც ხელთ ჰქონია „ივერიის“ 1902 წლის პაკეტი, ზოგიერთ მონიშვნებს, რომლებიც ასევე დიდი ასოებითაა დაბეჭდილი, თავისი სახელი და გვარი მიაწერა. მაშასადამე, მხოლოდ დიდი შრიფტი ამოსაცნობ ნიშნად ვერ გამოდგება.

ამრიგად, „ივერიის“ 144-ე, 146-ე და 147-ე ნომრებში ხელმოუწერლად და მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი წერილის ავტორი რომ ილია ჭავჭავაძეა, ამის ირიბ დოკუმენტურ მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს, ერთი მხრივ, არაერთი თანამედროვის მოგონება, რომ ილია ალ. სარაჯიშვილისათვის გაზეთის გადაცემის შემდეგაც აგრძელებდა ანონიმურად წერას, მეორე მხრივ კი ის გარემოება, რომ 1902 წლის 21 ივლისამდე (N154) ილია ჯერ კიდევ გაზეთის გამომცემლად იწოდება.

საანალიზო ტექსტები მჭიდრო იდეურ-თემატურ სიახლოვეს ავლენენ ილიას თხზულებებთან; მსგავსია მსჯელობის აგება-განვითარების მანერაც. ანონიმი ავტორი საუბრობს ქართველთა უთაურობის გამო მამულების უცხოტომელებზე გაყიდვის შესახებ: „გვწერენ ... მამა-პაპათა სისხლით მორწყული, მილიონის საღირალი ტყე-ველი საყდრებით და ძველის კოშკებით, სულ უფასოდ გაეყიდა ქართველსაო... ნიშანიც არ არის, რომ მამულების ყიდვა შეჩერდეს და ჩალის ფასად არ დაეკარგოს შთამომავლობას მამაც წინაპართაგან დაცული და გაპოხიერებული მამულ-დედული, ეს უშრეტი

წყარო დამოუკიდებელ ცხოვრებისა, ეს ძვირფასი თვალი და ობოლი მარგალიტი“¹.

ავტორი თვლის, რომ ადამიანს ბევრი რამ შეიძლება შეეშალოს, შეცდეს „სამამულიშვილო კითხვების გარჩევაში“, მაგრამ რალაც ეტაპზე გააცნობიეროს შეცდომა და „ყველას გადააჭარბოს მამულისშვილობით“; სულ სხვა სიმძიმის დანაშაულია მამულის გაყიდვა! არ აქვს მნიშვნელობა, რამ აიძულა ადამიანს ამის გაკეთება, რადგან ეს ის დანაშაულია, რომელიც ველარასოდეს გამოსწორდება. „მოსული ხდება ბატონად და უფლად ბინადართა სასახლეებისა, კერიისა, საყდრებისა და საფლავებისაც კი. მასში აღებული ფული კი იფლანგება და ქარქვეტასავით ნიავედება და წყალდება. ერთი იძენს უშრეტ წყაროს ცხოვრებისას, მეორე ითვლის ბრჭყვიალა ლითონს, რომელიც იმდენად არას ჰმატებს კაცს, რამდენადაც თვისს მონად ჰხდის მანამდე თავისუფალს არსებას“².

ანონიმი ავტორი კიდევ ერთ სამწუხარო ნიუანსზე ამახვილებს ყურადღებას: ნებისმიერ ქვეყანაში დედულ-მამულის სხვა ტომ-მოდგმის ხელში ჩამგდებს მოლალატედ თვლიან. „ჩვენში-ლა?“ - სვამს იგი კითხვას და თავადვე პასუხობს: „ჩვენში ჯერ ეს ესრე არ არის. ჩვენში თვით მამულის გამყიდავნი დიდ პატრიოტებად ითვლებიან, და ამ „პატრიოტებს“ ის გაბედულებაც აქვთ, რომ სხვანი გამოაცხადონ მამულის მოლალატედ... ეს საცინელი იქნებოდა, რომ სამწუხარო არ იყოს.“³

ილია, როგორც ვიცით, ყოველთვის კატეგორიული წინააღმდეგი იყო მამულების გასხვისებისა. ამ საკითხს ის არაერთ ნერილში შეხებია; განსახილველ სტატიასშიც მკაფიო-

1. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ.15, თბ., 2007, გვ. 499.

2. იქვე, გვ. 500.

3. იქვე.

დაა ეს პოზიცია გამოკვეთილი: „როგორც არ გაიყიდება დედა, ისე არ გაიყიდება დედამინა, თუ, რასაკვირველია, მისი მტკეპნი ირაო და უძღლები შვილი არ არის“¹. მის მიერ სათავადაზნაურო ბანკის დაარსების ერთი მიზანიც სწორედ ქართული მიწების გადარჩენა იყო. მართალია, როდესაც ოპოზიციურად განწყობილმა დამფუძნებლებმა მოითხოვეს, რომ ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში გირაოში ჩადებული მამული არ გაყიდულიყო, ილიამ განაცხადა: „მამულის გაუსყიდველობა ბანკის საქმეში სიზმარია და ეგ სიზმარი. მართალია, სანატრელი და სასურველია, მაგრამ მაინც სიზმარია და ოცნება!“ სამაგიეროდ, სრულიად რეალური იყო მამულების გადარჩენის სხვა გზა, რომელიც ილიამ იპოვა: ბანკი იტოვებდა უფლებას, ან საკუთარ მფლობელობაში დაეტოვებინა მინა, ან გაეყიდა მხოლოდ ქართველზე.

ამ წერილში კიდევ ერთი, ილიას მიერ არაერთხელ აქცენტირებული საკითხია წინა პლანზე წამოწეული: „შრომა და კვლად შრომა გვეწეროს მისწრაფებად, ძმანო ქართველნო, თუ არ გვინდა აღვიგავნეთ პირისაგან ქვეყანისა, თუ არ გვინდა შევიქმნეთ ცხოვართა ფარად, რომელსაც კვერთხით ხელში მწყსიან ხოლმე და კომბალით მიერეკებიან საყასბოსაკენ დასაკლავად და ზაფხულის და ზამთრის იალაღებისაკენ სასუქებლად და საკრეჭად!“². შდრ.: **სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება** და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. **შრომა-სა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ლა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ** („რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“). ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუ-

1. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ.15, თბ., 2007, გვ. 501.

2. იქვე.

ვინყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და **დედამინის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი** („დავით აღმაშენებელი“).

სტატიაში ანონიმი ავტორი მსჯელობს ქართველი კაცი-სათვის დამახასიათებელ უამრავ ღირსებაზე. მისი თქმით, „ნიჭიერება, გონიერება, ლმობიერება, ვაჟკაცობა, გამბედაობა, შეწყნარება, ჩაგრულთ სიყვარული, პურადობა და მრავალი ამგვარი სათნოება იმ თავითვე ქართველის უეჭველი ღირსებაა“. საბედნიეროდ, ეს ღირსებები დაკარგული არ გვაქვს, და თუ მათ დაემატება სწავლის სიყვარული და შრომისმოყვარეობა, წინ ველარ დაგვიდგება რა. ავტორის აზრით, სწორედ გონებრივ და ქონებრივ წარმატებულ ერს შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს კაცობრიობის საღაროში. „იყო დრო, როდესაც ტურფა საქართველოში ტურფად ჰყვავდა ქართველთ განათლება. როდესაც გონებრივ და ქონებრივ წარმატებულ ერს შეეძლო კიდევ შეექმნა საოცარი ხელოვნების შენობანი, კიდევ ეწერა ხელითხელ საგოგმანებელი თხზულებანი, კიდევ მოეგერებინა აუარებელნი მტერნი და კიდევ მოეწყო მათში აგებულ ციხე-ტაძარ-კოშკებისათვის. თუ ყველა ეს შეიძლებოდა წინა დროს, რატომ არ შეიძლება განმეორდეს დღეს, როდესაც კაცობრიობის გენიოსობით შექმნილი ყოველგვარი ტექნიკა ხელს გვინცობს და ძალას გვმატებს?“¹.

წერილის ავტორი საფუძვლიანი მსჯელობით არწმუნებს მკითხველს, რომ ქართული მიწა ჯერ ისე არ არის „გამოფიტული და მოღალღული“, რომ ვერ გამოგვკვებოს და ქონებრივად ვერ გაგვალონიეროს. „თუ ფინნის შთამომავლობამ ალაყვავა თავის ფინლანდიის ხრიოკები და გადოვლათიანდა, მხნე ერის სახელი მოიხვეჭა, როგორ იქნება, ჩვენ ვერ აღვაგ-

1. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ.15, თბ., 2007, გვ. 504.

ყვავოთ ჩვენი შედარებით უხვი საქართველო!“¹. შდრ.: **მთიულსა შოტლანდიისას გარს ახვევია გულდახურული, ღარიბი ბუნება**. იგი დიდის შრომითა და ღვაწლით ართმევს ბუნებას იმ თითო ლუკმა პურს, რომელსაც აწვდის თვის ჯაღებს საზრდოებისათვის („ცხოვრება და კანონი“).

სტატიის ავტორი ასახელებს იმ სპეციფიკურ დარგებს, რომელთა განვითარების მაღალი დონით ოდითგანვე ვიყავით მსოფლიო ბაზარზე განთქმულნი და ამ მიმართულებების აღორძინება ამჯერადაც მიზანშეწონილად მიაჩნია, რადგან სხვა ქვეყნებს ჩვენთვის კონკურენციის განწევა გაუჭირდებათ, კერძოდ: მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის, მევენახეობის, მეხილეობის, კანაფისა და სელის მოყვანის, ვარდის წყლის გამოხდა-დაყენების, ზეთისა და მადნეულის წარმოების და ა.შ.); შდრ.: მიწათმოქმედება და საზოგადოდ სოფლის მეურნეობა ჩვენი სხვა **იმისთანა საგანზედ უნდა მიიქცეს, რომლის გამოც ჩვენთან ცილობის განწევა საქვეყნო ვაჭრობაში ძნელია**. ადგილი და ჰავა ამის ნებას გვაძლევს. სხვა რომ არა ვსთქვათ რა, აი თუნდ ავიღოთ მაგალითად ღვინო. ამაში ჩვენი ბევრნი მოცილენი ვერ ამოგვიჩნდებიან და თუ ამოგვიჩნდებიან, აქაურის ღვინის სიკეთე ღონეს გვაძლევს ბრძოლისათვის და იმედს გამარჯვებისას. („პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში“).

ანონიმი ავტორი არ კმაყოფილდება მარტო თეორიული მსჯელობით და საკითხის პრაქტიკულ გადაწყვეტასაც სთავაზობს საზოგადოებას: „გვგონია, რომ შესამჩნევად წინ წაწევიდით საქმეს, თუ ყოველი მარშლის კარს დავაარსებდით განსაკუთრებულ ბიუროებს და დავავალებდით შეეკრიბათ ცნობანი, თუ სად რა მამულია, რამდენს კომლს დაიტევს, რა პირობით იყიდება, იჯარავდება, ანუ გასაშენებლად სანახევ-

1. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ.15, თბ., 2007, გვ. 506.

როდ იძლევა, რა და რა ძვირფასი მცენარე უნდა მოშენდეს, ანუ რა ჯიშის საქონელი. ამგვარ ბიუროების არსებობას მალე შეიტყობდნენ მკვიდრნი და ვისაც ჭკუა უჭრის და ძალა შესწევს, ეცდებოდა, არ დაეკარგა შემთხვევა შეეძინა მამული, ანუ მისი მოვლა -პატრონობა ეკისრა“¹.

როგორც ვხედავთ, მოცემული წერილები ნამდვილად ავლენენ იდეურ-თემატურ სიახლოვეს ილიას თხზულებებთან (მამულების გაყიდვის დაუშვებლობა, ახალი დროის ახალ იარაღად შრომისა და განათლების დასახვა, მძაფრი ეკონომიკური კონკურენციის პირობებში მომგებიანი ნიშის შერჩევა, სხვა ჩვენებრ პატარა, მაგრამ უკვე წარმატებული სახელმწიფოების გამოცდილების კვალობაზე არსებული მატერიალური რესურსების გონივრული გამოყენება და ა. შ.); მსგავსია მსჯელობის აგება-განვითარების მანერაც - არგუმენტირებისას ხალხური ანდაზებისა და ბრძნული გამონათქვამების მოშველიება („მეგობარს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“; „ძვირფასი თვალი ერთმა ბრიყვმა წყალში ისროლაო და ათასმა ჭკვიანმა ვერ ამოიღოო“; „შინ რომ წვრილფეხობა გიტროდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო“, „ხელი ხელს ჰბანსო, ხელიც ბრუნდება და პირს ჰბანსო“, „თქმულა, ვისაც ორი პერანგი გაქვს, ერთი ტიტველას ჩააცვიო“), კითხვის დასმა და მასზე პასუხი გაცემა („ჩვენში-ლა?“, „თუ ყველა ეს შეიძლებოდა წინა დროს, რატომ არ შეიძლება განმეორდეს დღეს?“), თვალსაჩინო პარალელების გავლება, ზმნების, ჩვენებითი ნაცვალსახელებისა თუ ნაწილაკების მრავალგზის გამეორების მეშვეობით მთავარი სათქმელის აქცენტირება (ესუშრეტი წყარო დამოუკიდებელ ცხოვრებისა, ეს ძვირფასი თვალი და მარგალიტი..“, „ვერც სინანულით, ვერც დრო-ჟამის მსვლელობით...“; „შეეძლო ... კიდეც შეექმნა.., კიდეც მო-

1. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ.15, თბ., 2007, გვ. 506.

ეგერებინა..., კიდეც მოევლო...“; „სახლდება მკვიდრად, ღობე-ყორეს უახლებს, არხებსა და რუებს უწმენდავს, ვენახებსა, ზვრებსა და ტყეს ასუფთავებს და ყველგან ასახლებს თავისიანებს“ და ა. შ.), დამახასიათებელი გამონათქვამები (საცინელი იქნებოდა, რომ სამწუხარო არ იყოს..., ისტორიამ არ იცის ამგვარების პატიება..) და ა.შ.

თვალსაჩინოა განსახილველი წერილის ენობრივ-სტილური მსგავსება ილიას ნაწარმოებებთან. თავის დროზე ლ. ჭრელაშვილმა საგულდაგულოდ შეისწავლა 1902 წლის „ივერიის“ ყველა „საეჭვო“ ხელმოუწერელი მეთაური სტატია და მათგან გამოარჩია ის ნაწარმოებები, რომლებიც „საკითხის დაყენებითა და სტილის ექსპრესიით ილიას ავტორობას ამჟღავნებენ, რასაც უფრო სარწმუნის ხდის ... „მაგრამ“ კავშირის ნაცვლად მისი ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი „გარნას“ რამდენჯერმე გამოყენება; ეს გარემოება მეოცე საუკუნის ავტორის სტილში, ვფიქრობთ, ილიაზე თვალსაჩინოდ მიგვიჩვენებს“¹. მეცნიერი ამ შემთხვევაში ეყრდნობა ი. მეუნარგიას მოგონებას, რომლის თანახმად, ილია „მაგრამ“-ის ნაცვლად მართლაც ხშირად იყენებდა „გარნა“ კავშირს, თუმცა წერილის ავტორად ილიას მიჩნევა მხოლოდ ზემოხსენებული არგუმენტების საფუძველზე (საკითხის დაყენება, სტილის ექსპრესია და „მაგრამ“ კავშირის ნაცვლად „გარნას“ რამდენჯერმე გამოყენება - ნ. ფ.) შეუძლებლად გვეჩვენება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ილიას, როგორც „ივერიის“ გამომცემელს, შეეძლო, ასე ვთქვათ, „შალაშინი გაეკრა“ მეთაური სტატიებისთვის და ეს უკანასკნელნიც, ცხადია, ელფერს შეიცვლიდნენ და სტილურად მის ნაწერებს დაემსგავსებოდნენ.

ტექსტის ფილოლოგიური ანალიზი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვცემს სრული სანდოობით ამა თუ იმ ავტორისათვის

1. ჭრელაშვილი ლ., ილია ჭავჭავაძის უცნობი ნაწერები 1900-იან წლებში, ილია კრებული, II, თბილისი, 2004, თსუ გამომცემლობა, გვ. 17.

მისი მიკუთვნების საკითხის გადაწყვეტის უფლებას, თუკი შედგენილი იქნება მწერლის ენის სრული ლექსიკონი; ასევე, მომზადებული იქნება სტატისტიკური მონაცემების ვრცელი ნუსხა იმის თობაზე, თუ რა შედარებითი სიხშირით ხმარობს სავარაუდო ავტორი ამა თუ იმ გამოთქმას, ენობრივ ფიგურას და ა. შ. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ნახევარია: ანალოგიური სახით უნდა იყოს შესწავლილი სავარაუდო ავტორის ეპოქის სხვა მწერალთა შემოქმედებაც; კერძოდ იმათი, რომლებიც იმავე ლიტერატურული წრის წევრებად მოიაზრებოდნენ და თავად ავტორთანაც ახლოს იყვნენ. საქართველოს სინამდვილეში ამ მასშტაბის კვლევები ჯერ არ ჩატარებულა. არსებობს მხოლოდ თენგიზ სანიკიძის მიერ გაკეთებული „ილიას პოეზიის სიხშირის ლექსიკონი“. მეცნიერი პუბლიცისტურ ტექსტებს არ შეხებია, არადა პროცენტულად მხატვრულზე ბევრად მეტია ილიას პუბლიცისტურ ნაწერთა ხვედრითი წილი და მხოლოდ პუბლიცისტიკის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შევძლებთ სარწმუნო დასკვნების გამოტანას. თ. სანიკიძის დაკვირებამ ცხადყო, ერთი შეხედვით სრულიად პარადოქსული ფაქტი: ილიას, რომელიც რეფორმატორად და ახალი ქართული ენის ფუძემდებლად ითვლება, ძალზე „უყვარს“ არქაული ფორმები. განსახილველ წერილში ამ თვალსაზრით საინტერესო არაერთი ფორმა დასტურდება: გარნა, ესრე, გარდმოცემანი, აღვიგავნეთ, განაშორა, აღაყვავა, აღვაყვავოთ და ა. შ.

გარდა ამისა, „ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე ცდილობდა სამწერლობო ენაში სიტყვა „მამულის“ დამკვიდრებას „სამშობლოს“ მნიშვნელობით. თ. სანიკიძის გამოთვლით¹, მწერლის პოეზიაში მამული 117-ჯერაა ნახსენები, სამშობლო კი მხოლოდ - 13-ჯერ.“ (შდრ.: აკაკისთან - მამული - 53; სამშობლო - 163); ჩვენ დავინტერესდით, ანონიმი ავტორი რა

1. სანიკიძე თ., (1988). ილიასა და აკაკის პოეზიის სიხშირის ლექსიკონი, თბილისი, თსუ გამომცემლობა.

სიხშირით იყენებდა ამ წერილში სიტყვებს „მამული“ და „სამ-
შობლო“ და შეფარდება აქაც საგულისხმო აღმოჩნდა: მამული
- 33-ჯერ, სამშობლო - 6-ჯერ.

საზოგადოდ, სადავო ნაწერებს რამდენიმე ჯგუფად ყო-
ფენ :

1. ტექსტები, რომელთა ავტორობის საკითხს სხვადასხ-
ვაგვარად განიხილავს ორი ან მეტი მეცნიერი და არ ითვლე-
ბა დადგენილად;

2. ტექსტები, რომელთა ავტორობის საკითხს არ გააჩნია
ალტერნატივა, მაგრამ არ ითვლება დადგენილად, რაკილა არ
არსებობს პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები;

3. ტექსტები, რომელთა ავტორობის საკითხს არ გააჩნია
ალტერნატივა, მაგრამ დადგენილად ითვლება, თუმცა არ არ-
სებობს პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები;

4. ტექსტები, რომელთა ავტორობის საკითხს არ გააჩნია
ალტერნატივა და ითვლება დადგენილად, რადგან არსებობს
პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთები;

ჩვენი აზრით, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე
1902 წლის „ივერიის“ ხსენებული პუბლიკაციები შეიძლება
გადმოვანაცვლოთ მეორედან მესამე კატეგორიაში, რითაც
მივუახლოვებთ იმ მეოთხე, საბოლოო საფეხურს, რომლის
შემდეგაც შესაძლებელი გახდება ტექსტისათვის სტატუსის
შეცვლა და „სავარაუდოდან“ „ძირითად“ ნაწილში გადატანა.
ეს კი შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩა-
ტარდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მწერალთა და სა-
ზოგადო მოღვაწეთა ენისა და სტილის თავისებურებების
მასშტაბური კვლევა.

1. იხ.: Хозяинов, Проблема авторства приписываемой А. С. Пушкину публицистики: содержание и методы изучения // Вестн. С.-Петербург. ун-та. Сер. 9: Филология. Востоковедение. Журналистика. Вып. 3. Ч. II. С.-П., 2007, ст. 274-280.

ჯვლავ ილია ჭავჭავაძის საპარაულო თხზულებათა შესახებ

თანამედროვე ტექსტოლოგია ატრიბუციისათვის მრავალ საშუალებას იყენებს, მაგრამ თუ ყოველივე ამას აღმოჩნდა, ფსევდონიმით, კრიპტონიმითა თუ საერთოდაც ხელმოუწერლად გამოქვეყნებული ნაწარმოებები თავსდება განყოფილებაში „Dubia“. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ განყოფილების არსებობა მეცნიერულ გამოცემებში აუცილებელია.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ახალ აკადემიურ გამოცემაში „Dubia“-მ მთელი ტომი შეადგინა. აქ წარმოდგენილი წერილების ერთი ნაწილი 1879-1883 წლებში გაზეთ „დროებაში“ ხელმოუწერლად გამოქვეყნებული ის სტატიებია, რომელთა ავტორადაც მკვლევარმა ლევან ჭრელაშვილმა ილია ჭავჭავაძე მიიჩნია (მოსაზრება ემყარება იაკობ გოგებაშვილის არქივში ს. მესხის მიერ მიკვლეულ სიას).

აღნიშნულ ვარაუდზე დაყრდნობით თავდაპირველად განზრახული იყო ეს სტატიები ქრონოლოგიური რიგით ჩაერთოთ ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების შესაბამის ტომებში, მაგრამ, როგორც ცნობილია, ტექსტების დეტალური გაცნობის შემდეგ გაჩნდა ეჭვი ზოგიერთი მათგანის ილიასეულობასთან დაკავშირებით (1881 წლის „დროების“ ხელმოუწერელ მონინავეთა შორის ორი სტატია იაკობ გოგებაშვილის აღმოჩნდა). ამდენად, მართალია, 1879-1883 წლებში გაზეთ „დროებაში“ ხელმოუწერლად გამოქვეყნებული სტატიების ნაწილის ილიასეულობა სათუოა, მაგრამ მათ შორის ყურადღებას იქცევს წერილი, რომლის ავტორობის დასაბუთების გამყარება შესაძლებლად მიგვაჩნია. კერძოდ, ვგულისხმობთ სტატიას სათაურით „ფიქრი და შენიშვნა“¹.

1. გაზ. „დროება“, 1880, N22, გვ.1-2.

საყურადღებოა, რომ 1879-1880 წლებში „დროებასა“ და „ივერიაში“ სათაურით „ფიქრი და შენიშვნა“ ოთხი პუბლიცისტური წერილი გამოქვეყნდა. მათგან ორი „ივერიაში“ და ორიც - „დროებაში“. „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილები ხელმოწერილი იყო ფსევდონიმით „ნ. დავითიშვილი“¹, „დროების“ სტატიები კი ხელმოუწერლად გამოქვეყნდა. ეს წერილებია: 1. „ფიქრი და შენიშვნა“ („ჩვენის მწერლობის თაობაზედ...“)²; 2. „ფიქრი და შენიშვნა“ („გლოვა ბესარიონ ღოღობერიძის“³; 3. „ფიქრი და შენიშვნა“ („დროების“ მე-12 ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი...“)⁴ და 4. „ფიქრი და შენიშვნა“ (უფ. ნიკოლაძის „საახალწლო“...)⁵. დასახელებული ოთხი წერილიდან სამის ავტორობის საკითხი გარკვეულია. ვფიქრობთ, მეოთხე წერილიც უსათუოდ ილიას კალამს უნდა ეკუთვნოდეს.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძემ ლიტერატურასა და, საზოგადოდ, მწერლობას უდიდესი მისია დააკისრა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ თავის თხზულებებში ის ხშირად საუბრობდა ლიტერატურასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ილიას პოზიცია რიგ პრობლემატურ დებულებებთან დაკავშირებით იმდენად დამახასიათებელი და პრინციპულია, რომ მის უდავო თხზულებებში გამოთქმული შეხედულებები შესაძლებელია ერთ-ერთ არგუმენტად იქნეს გამოყენებული სავარაუდო თხზულებათა ავტორობის საკითხის გასარკვევად.

1. მართალია, „ნ. დავითიშვილი“ ნიკოლოზ ქანანოვის ფსევდონიმია, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, გარკვეული მოსაზრებით ილიას შეგნებულად ესარგებლა მისი სახელით. აღნიშნულ პერიოდში ილია და ნიკ. ქანანოვი ძალზე დაახლოებულები იყვნენ. ილიას გაზ. „დროების“ რედაქტორადაც კი სურდა ნ. ქანანოვის გაყვანა, მაგრამ მაჩაბლის კანდიდატურამ აჯობა - ნ.ფ.
2. ჟ. ივერია, 1879, N1, გვ. 118-135.
3. ჟ. „ივერია“, 1879, N3, გვ. 129-135.
4. გაზ. „დროება“, 1880, N22, გვ.1-2.
5. გაზ. „დროება“, 1880, N28,N30,N39 და N41.

პუბლიცისტური წერილი „ფიქრი და შენიშვნა“¹ 1880 წელს გაზ. „დროების“ 29 იანვრის ნომერში დაიბეჭდა სარედაქციო გვერდზე. ამ წერილში, რომელიც სალიტერატურო საკითხებს შეეხება, თვალშისაცემია ილიასათვის დამახასიათებელი სისტემურობა. საზოგადოდ, ილიას ახასიათებს საკუთარი ნააზრევის თანმიმდევრულად და მკაცრი ლოგიკური ორგანიზებულობით წარმოდგენა. ასევე, იკვეთება ილიასათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშანი - საკითხის საზოგადოებრივი ღირებულება. ილია პრაქტიკულად არასოდეს აქცევს განსჯის საგნად საკითხს, რომელსაც მეტ-ნაკლებად არსებითი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არ გააჩნია.

ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება ერთი მხრივ „ფიქრისა და შენიშვნის“ და მეორე მხრივ ილია ცნობილი წერილის „ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი მდგომარეობა“² ტიპოლოგიური შეპირისპირება. ამ წერილზე არჩევანი რამდენიმე მიზეზის გამო შევაჩერეთ: ჯერ ერთი, ორივე წერილი თითქმის ერთსა და იმავე საკითხს ეხება; მეორე, მათ შორის არ არის დროის იმდენად დიდი ინტერვალი (1880 და 1886 წლები), რომ მწერალს მოსაზრება საფუძვლიანად შესცვლოდა; მესამე, ჯერ „ფიქრი და შენიშვნა“ დაწერილი და შემდეგ „ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა“, ანუ გავლენის მოხდენის შესაძლებლობა გამორიცხულია.

ორივე პუბლიცისტური წერილი პრაქტიკულად ერთნაირად იწყება: ავტორები პირველივე წინადადებაში ყურადღებას ამახვილებენ ახლო წარსულში განხორციელებულ პუბლიკაციასა და მასში დასმულ პრობლემაზე, რომლის უფრო

1. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ.XV, თბ., 2007, გვ. 66.

2. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ.V, თბ., 2007, გვ. 66.

ღრმა ანალიზისაც აპირებენ. შდრ.: „ღროების“ მე-12 ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი რედაქციისადმი გორიდან. **ამ წერილში ავტორი, უფ. ქრ. მ-ი აღიარებდა იმ საზოგადოდ სამწუხარო მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება ჩვენი ლიტერატურისა, თეატრისა თუ სხვა რომელსამე ხელოვნების მოღვაწე**“ („ფ.შ.“¹); „გუშინდელ და დღევანდელს „ივერიის“ ფელეტონში **ორმა სულ სხვადასხვა ავტორმა ერთი და იგივე საგანი დაგვიყენა თვალ-წინ განსაჩხრეკად და განსაკითხად... ორივე ავტორნი ერთნაირის გულწრფელობით... გველაპარაკებიან ჩვენის ლიტერატურის დღევანდელს ყოფაზედ;**“ („ჩ.ლ.დ.ყ.“). შემდეგ ორივე სტატიაში დაკონკრეტებულია პრობლემის საზოგადოებრივი მნიშვნელობა; შდრ.: „ავტორი ამბობდა, რომ საქიროა რაიმე **საცხოვრებელი სახსარი ამოუჭინოთო მათ, ვისაც ჰსურს შესწიროსო თავისი სიცოცხლე ქართულს ლიტერატურას... ამ წერილით პირველად არის საჯაროდ აღიარებული ის უმთავრესი ხასიათი სალიტერატურო საქმის წარმოებისა ჩვენში, რომელიც ... ჩემის აზრით, ცოტად თუ ბევრად აბრკოლებს მის წარმატებას და განვითარებას**“ („ფ.შ.“); „ორივე თითქმის იმ აზრზედ სდგანან, რომ **ჩვენის ლიტერატურის დღევანდელი უღონობა იმაზეა დამოკიდებული, რომ ლიტერატურა ჩვენში ლუკმა-პურს არ იძლევიანებაო და ამიტომ მწერლობა ჩვენში შემთხვევითია და არა დაჩემებული, გამოსაკუთრებული მოღვაწეობაო**“ („ჩ.ლ.დ.ყ.“).

„ფიქრისა და შენიშვნის“ ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ, მართალია, მას აქეთ, რაც „ჩვენში ლიტერატურამ ფეხი აიდგა“, ანუ ბოლო ოცი-ოცდახუთი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გაცილებით მეტი გა-

1. პარალელური დამონშებისას ტექსტის გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად გამოვიყენებთ შემოკლებებს: „ფ.შ.“ — „ფიქრი და შენიშვნა“, „ჩ.ლ.დ.ყ.“ — „ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა“ - ნ. ფ.

კეთდებოდა, ლიტერატურას „შეძლება რომ ჰქონოდა, გამო-
ენვია სალიტერატურო ასპარეზზედ რაც კი რამ ძალა მოიპო-
ვებოდა ქართველობაში“. ეს კი იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ
სალიტერატურო საქმე მოღვაწეს ლუკმაპურით ვერ უზრუნ-
ველყოფდაო. ამიტომაც, ავტორის თქმით, **„ლიტერატურას
მიეცა ის შემთხვევითი ხასიათი, რომელიც შეეფერება ყო-
ველგვარ ქველმოქმედებას და რომელიც ჯერაც არ მოს-
ცილებია ჩვენს მწერლობას**. ამას გვიმტკიცებენ, სხვათა
შორის, გლახა და ლარიბი გამომცემლობა ჩვენში და აგრეთვე
ის გარემოებაც, რომ ჯერ არცერთს ჟურნალს არ ჰღირსებია
ხანგრძლივი სიცოცხლე“. ანალოგიურადაა დაყენებული სა-
კითხი ილიას სტატიაში „ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი
ყოფა“ : „ვინ არ იცის, რომ **ვინც ჩვენში ლუკმა-პურის შოვ-
ნის ზრუნვას დროს გადაარჩენს და მოიცლის, მარტო იგი
იღებს ხელში კალამსა და სწერს და ისიც მარტო მაშინ, რო-
ცა მოცლილია.... რადგანაც არავის არ ეგულება, რომ ლი-
ტერატურული შრომა და ჯაფა ცხოვრების საღსარს მომ-
ცემსო, არც არავინ ჰბედავს ამ-გვარის მოღვაწეობისათ-
ვის რიგიანად და საფუძვლიანად მოემზადოს“.**

„ფიქრისა და შენიშვნის“ ავტორი თვლის, რომ არასწო-
რია საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ,
რომ ლიტერატორობა ყველას შეუძლია, ვისაც ამის სურვილი
და დრო გააჩნია. მისი თქმით, „როგორც სხვა ყოველგვარი
საქმე, ისე (თუ არა მეტად) სალიტერატუროც თხოულობს
მოღვაწისაგან მომზადებას. **ყოველის სალიტერატურო
მშრომელისათვის, ვიდრე გამოვა მწერლობის ასპარეზ-
ზედ, საჭიროა მრავალგვაროვანი სწავლა, ვრცელი ჭკუა-
გონებითი განვითარება**. შეხედეთ ახლა ჩვენს ლიტერატუ-
რას. ვინ ემზადება პირდაპირ მის სამსახურისთვის? არა-
ვინ....“; ამასვე აღნიშნავს ილია სტატიაში „ჩვენი ლიტერატუ-
რის დღევანდელი ყოფა“: **„ქვეყნიერობაზედ არ არის, ჩვე-
ნის ფიქრით, სხვა იმისთანა საგანი და მოღვაწეობა, რომ**

ასეთი ხანგრძლივი და საფუძვლიანი მომზადება უნდოდეს წინათვე, როგორც ლიტერატურა და ლიტერატორობაა. ცარიელი, მოუმზადებელი, უწურთვნიელი ნიჭი არ-გადახალისებული მადანია და ამიტომაც ბევრს ვერას შესძლებს ლიტერატურის სარბიელზედ.“

„ფიქრისა და შენიშვნის“ ავტორი გამოკვეთს ერთგვარ ავბედით „ჯადოსნურ წრეს“: ლიტერატურა წარმატებაში მანამ ვერ შევა, სანამ მოღვაწე ამ საქმიანობისთვის საგანგებოდ არ მოემზადება; საგანგებოდ მომზადება მანამ იქნება შეუძლებელი, სანამ ლიტერატურა და ლიტერატორობა მას ცხოვრების სახსარს არ მისცემს: **„ვიდრე მწერლობა ცხოვრების სახსარსაც არ გამოუჩენს სალიტერატურო მოღვაწეს. მინამ სალიტერატურო ხელობა არ შეიქმნება, სხვათაშორის, პურის მოპოვების სახსრათ, ჩვენს ლიტერატურას არ დაეკარგება ის შემთხვევითი ხასიათი, რომელიც მოსდევს ყოველგვარ ქველმოქმედობას....“**. თითქმის ანალოგიურად მსჯელობს ილია ჭავჭავაძე: **„ჩვენ არც თავგადადებული მუშაკი გვყავს ლიტერატურისათვის და არც საკმაოდ ამისათვის მომზადებული. აქ გასამტყუნარი არავინ არ არის, გარდა გარემოებისა. ყველამ ვიცით, რომ ლიტერატურას ასაზრდოებს საზოგადოება. ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენს ლიტერატურას დღე-და-დღე საზოგადოება აკლდება“**.

ჩვენი აზრით, კიდევ ერთი მსგავსება ამ ორ თხზულებას შორის ისაა, რომ მიუხედავად ფრიად არასახარბიელო ვითარების წარმოჩენისა, ილიაცა და ანონიმი ავტორიც ოპტიმისტურად უტყქერიან მომავალს: **„ეჭვი არ არის, მოვა დრო, როდესაც ჩვენი მწერლობაც აღმოუჩენს თავის მშრომელს ცხოვრების სახსარს, როდესაც მასაც ეყოლება პირდაპირი მსახური და მოღვაწე. ეს უეჭველია, რადგანაც სალიტერატურო წყურვილი და მოთხოვნილება ჩვენს საზოგადოებაში თანდათან ვრცელდება („ფ.მ.“). შევადაროთ, რას წერს ამ თვალსაზრისით ილია: **„თუმცა ეს ასეა დღეს, მაგრამ იმედია, რომ ქართული ლიტერატურა გავრცელდება ჩვენში და მა-****

შინ ჩვენი ეგრეთ-წოდებული მაღალის წოდების ხალხი, თუნდა სრულიად დაეთხოვოს კიდეც ჩვენს ლიტერატურას, დიდი არაფრისაა. საქმე ის არის, ჩვენი ერი მომზადდეს..“.

როგორც ვხედავთ, საანალიზოდ აღებულ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები არათუ არ მოდის წინააღმდეგობაში ილიას საქვეყნოდ ცნობილ პუბლიცისტურ წერილში გამოხატულ შეხედულებებთან, არამედ შინაარსობრივად ემთხვევა კიდეც. გარდა ამისა, მსგავსია ლექსიკა და მსჯელობის აგების მანერა. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: პუბლიცისტური წერილი „ფიქრი და შენიშვნა“ („დროების“ მე-12 ნომერში დაბეჭდილი იყო ...) ილია ჭავჭავაძის კალამს უნდა კუთვნოდეს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებები:

1. იდეურ-კომპოზიციური მსგავსება ილიას ცნობილ სტატიასა („ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა“) და საანალიზო წერილში წარმოდგენილ შეხედულებებს შორის.

2. ილიასთვის დამახასიათებელი სიტყვებისა თუ გამოხატულებების გამოყენება, მაგ.: „ამოვუჩინოთ“, „მაგალითებ“, „მკვიდრად დადგენა“, „ლიტერატურამ ფეხი აიდგა“, „ცოტად თუ ბევრად“, „ფრთას შეისხავს“, „გამოვიდნენ მოედანზედ თითო-ოროლა მოღვაწენი“ .

3. სტილური მსგავსება.

4. საკითხის საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

5. მსჯელობის ლოგიკურობა, თანმიმდევრულობა, სისტემურობა.

6. ენის სიმარტივე.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმული შესაძლებელია ჩაითვალოს კიდეც ერთ დამატებით არგუმენტად იმ მოსაზრების გასამყარებლად, რომ გაზ. „დროებაში“ 1880 წელს გამოქვეყნებული „ფიქრი და შენიშვნაც“ (N22) ილია ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის. იმედს ვიტოვებთ, რომ კვლავაც გამოვლინდება იმგვარი მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც ილია ჭავჭავაძის თხზულებათა შემდგომ გამოცემებში ხსენებული წერილი „Dubia“-დან ძირითად ნაწილში გადაინაცვლებს.

ილია ჭავჭავაძის ორი თხზულების ატრიბუცია

მამია გურიელის ნეკროლოგი: 1965 წელს მკვლევარმა სოლომონ ცაიშვილმა გამოთქვა აზრი, რომ მამია გურიელის ნეკროლოგი¹, გაზეთ „ივერიის“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად გამოქვეყნებული სხვა სტატიების მსგავსად, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის². საგულისხმოა, რომ 1891 წლის 3 აგვისტოს დაბეჭდილ ამ ნეკროლოგს, ისევე როგორც იმავე წლის 9 ივნისს გამოქვეყნებულ დავით იესეს ძე ჩუბინაშვილისას (აღიარებულია ილია ჭავჭავაძისეულად და იბეჭდება მის თხზულებათა გამოცემებში), სათაურის ნაცვლად წინ უძღვის შავ არშიაში ჩასმული ფვარი, გარდაცვლილის სახელი, გვარი და მამის სახელი. რამდენადაც მამია გურიელის ნეკროლოგი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის შესაბამის - მე-12³, ან მე-15⁴ ტომებში არ დაბეჭდილა, გადავწყვიტეთ, გაგვეგრძელებინა ატრიბუციული კვლევა და ჩაგვეტარებინა ტექსტის შედარებითი ენობრივ-სტილური ანალიზი.

მამია გურიელის ნეკროლოგის ენა სავსებით შეესაბამება ილია ჭავჭავაძისას: 1. მისთვის დამახასიათებელია მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობა ბრუნვაში სრული შეთანხმებით (შდრ. „ცეცხლს ქვეყნის სიყვარულისას“ / „ფასს მამულის ღირებულებისას“, „რწმენას ადამიანის სიკეთისას“ და სხვ.); 2. -ავ თემის ნიშნის შენაცვლება -ამ თემის ნიშნთან

1. გაზ. „ივერია“, 1891, N164, გვ.1.

2. სოლომონ ცაიშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“, 1965, გვ. 20.

3. ტომში შეტანილია 1891-1893 წლების წერილები.

4. ტომში შეტანილია სავარაუდო წერილები.

(შდრ. „საით უზავს თავს“), ან -ებ თემის ნიშანთან (შდრ. „დაჰბადავს ჩვენში“ და სხვ.); 3. „იგი“-ს გამოყენება ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით რთული წინადადების დასაწყისში (შდრ. „იგი გაზეთი, საიდამაც ეს ამბავი ჩვენ ამოვწერეთ“, „იგი ძვირფასი ჭირნახული, რომლის მოყვანასაც ხელს უწყობს...“ / „იგი სურვილი საქმის გაკეთებისა თანდათან უფრო ძლიერდება და, რამდენადაც უფრო...“).

მსგავსია სტატიის ავტორისა და ილია ჭავჭავაძის ლექსიკა და ცალკეული ფრაზებიც: 1. აზრთან და არგუმენტებთან დაკავშირებით მწერალი ხშირად იყენებს ზმნას „ანონ-დანონა“ (შდრ. „საქმეს საბუთები მოუჩხრიკოს, ასნონ-დასნონოს ღირსება საბუთებისა...“ „თავის სასწორზე არ ასნონ-დასნონოს ან საჰოოდ, ან საარაოდ“ / „ასნონ-დასნონის, კომპრომიტებს მოძებნის...“); 2. ილია ჭავჭავაძე ძალიან ხშირად იყენებს სიტყვას „ჰლამოდა“: „ჰლამოდა შეერყია მთელი ევროპა“, „ჰლამოდა თავისად გამოყენებას“, „მივიდა და ჰლამოდა აყენებას“, „ჰლამოდა ცას იქით მიენვდინა თვალი“, „ჰლამოდა ხმლის გაშიშვლებას“, „სამაგიეროს გადახდას ჰლამოდეს“, გურიელის ნეკროლოგშიც გვხვდება ასეთი ფრაზა: „ჰლამოდა გულის ფიცრით კლდის გატეხასა“. ზმნის ასეთი ფორმა გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ და „ვისრამიანში“, მაგრამ მე-19 საუკუნის პუბლიცისტებთან მას ვერ მივაგენით; 3. სიმრავლის გამოსახატად მწერალი ხშირად იყენებს ფრაზას „ასი და ათასი“. ასეთივე ფრაზა გვხვდება გურიელის ნეკროლოგშიც (შდრ. „იქ, საცა ასისა და ათასის კაცის სიცოცხლეა...“ / „ასისა და ათასის თავგამოდებული შრომა და ჯაფა“). თავის მართლებაზე საუბრისას ილია ჭავჭავაძე იყენებს ფორმას „მართლულობს“, იხ. „თავს იმით მართლულობს“, „ვინც იმით მართლულობს თავს“ და სხვ. ხელმოუწერელ ნეკროლოგშიც ასეთი ფორმა გვხვდება: „იმითი მართლულობდნენ თავს“. ასევე დამახასიათებელია ილია ჭავჭავაძისთვის „სადაც“ მიმართებითი ზმნიზედის „საცა“ ფორმით და სიტყვის „შემძლებლობა“ ხშირი ხმარება.

დიდი მსგავსებაა ამ ნეკროლოგსა და ილიას სტატიებს შორის სტილის, ტექსტის ერთიანი სტრუქტურისა და სხვადასხვა მონაკვეთის აგებულების მხრივაც. ალექსანდრე როინაშვილის ნეკროლოგში მწერალი სვამს კითხვას: „რა იყო და ვინ იყო ალექსანდრე როინაშვილი, რომ მისმა უჩინარმა სახელმა იმოდენა ხალხი მიიზიდა... და შემდეგ მეორდება მსგავსი სტრუქტურის მქონე წინადადებების წყება ერთნაირი დასაწყისით - „იგი იყო...“ („იგი იყო უბრალო გლახაკის შვილი...“ „იგი იყო მოსილი იმ წმინდა მადლითა...“ „იგი იყო მხნე, გამრჯელი და უკანდაუხვეველი...“ ზუსტად ასეთსავე სტრუქტურას ვხვდებით მამია გურიელის ნეკროლოგშიც. ამჯერად კითხვა ასეთია: „რითი იყო ძვირფასი მამია?“ პასუხები კი იწყება ფრაზით: „იმითი, რომ“ („იმითი, რომ მეტად უყვარდა თავისი სამშობლო...“ „იმითი, რომ მზად იყო წვეთ-წვეთობით დაექცია მისთვის სისხლი...“ „იმითი რომ ტანჯვა და წამება მისთვის ღზინად უჩნდა...“ და სხვ.).

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური სტილისთვის დამახასიათებელია სამეტყველო ლექსიკური ელემენტების გამოყენება. იგი ხშირად ხმარობს ჩვენებით ნაწილაკს - „აი“: „ამ გამგეობის განაჩენში აი რასა სწერს“; „მაჰმადიანთა მწერალი ალანინი აი რასა სწერს“; „სხვათა შორის, აი, რა სამართლიან აზრს ამბობს...“. მსგავსი შემთხვევები არის გურიელის ნეკროლოგშიც: „ერთს თავისს მეგობარს აი რასა სწერს, სხვათა შორის“; „აი ასეთი ტანჯული, ასეთი ცეცხლნაკიდებული იყო ეს ბოლმითა და ვარამით სავსე მგოსანი“.

ადამიანის ცხოვრების კრედოს აღსანიშნად ილია ჭავჭავაძე იყენებს ხოლმე გამოთქმას, რომ ასეთია მისი „სიმბოლო სარწმუნოებისა“. ასეთი რამ გვხვდება განსახილველ ნეკროლოგშიც (შდრ. „ეს არის თქვენი სიმბოლო სარწმუნოებისა?...“ / „იმისი ფილოსოფია, იმისი სიმბოლო სარწმუნოებისა იყო იმისი „ალავერდი“).

ილია ჭავჭავაძეს ბევრგან ახასიათებს ადამიანის უდიდესი სურვილისა და მისწრაფების წყურვილთან შედარება, რო-

მელიც მის გულში ჩნდება. ასეთი რამ გვხვდება განსახილველ სტატიამიც (შდრ: „ჩვენი საზოგადოება, ჩვენი დიდ-პატარაობა გაადვილებს თავის გულში მადლის ქმნის წყურვილსა“ / „ჩაქრობს თავისს გულში... იმ წყურვილს თავის ნატვრა-სურვილის განხორციელებისას“).

ილია ჭავჭავაძისთვის ძალიან დამახასიათებელია ანდა-ზების ხშირი გამოყენება, მაგრამ მათ იგი მოიხმობს ან იმიტომ, რომ ეთანხმება, ან იმიტომ, რომ უპირისპირდება. ნეკროლოგში ვკითხულობთ: „ვინც მამიასავით მძლავრის სული-სა არ არის, ის მალე მიატოვებს თავის სურვილს: საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგანაო, იტყვის და ნელ-ნელა ჩააქრობს თავის გულში იმ ცეცხლს ქვეყნის სიყვარულისას... მამია ასეთს ფილოსოფოსობას არ ეწყობოდა, ასეთს კომპრომისებს არ სწყალობდა...“ ზემოხსენებული ანდაზის მოწოდებას გაცლის შესახებ მწერალი უპირისპირდება „ოთარაანთ ქვრივშიც“, ერთ პირად წერილში კი მის თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს: „საცა არა ჰსჯობს, დაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან“ და შემდეგ იქვე განმარტავს: „დაცლის მაგიერ რუსთველი გაცლას ამბობს. მეც ვიცი „ვეფხვისტყაოსანი“, მაგრამ ჩვენს ეხლანდელს მდგმოიარობას დაცლა უფრო უხდება, ვიდრე გაცლა“ (ტ. 18, გვ. 162).

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები ხშირად მთავრდება პოეტური ციტატებით. მაგალითად, დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილ ერთ-ერთ წერილს იგი ამთავრებს ასე: „ამისთანა იშვიათს კაცებზეა ნათქვამი: „მოკვდა და თავის ანდერძით / ან ისევ საქმობს მკვდარიო“. მამია გურიელის ნეკროლოგიც მსგავსი შემაჯამებელი ფრაზით და პოეტური ციტატით მთავრდება: „არ მოუხადა ქედი გარემოებას... და ვიდრე ცოცხალი იყო, „ფეხი მთებრ ედგა ქვეყანად, / ტინურად დამტკიცებული, / ვითა ქარქვეტი ქართაგან / ვერ იქმნა მოტაცებული“. ილია ჭავჭავაძესაც სწორედ ასე სჩვეოდა სტატიის დამასრულებელი პოეტური ციტატის მორგება ბოლო წინადადებით გამოხატულ შინაარსთან.

გაზეთების ციფრულ კატალოგებში მსგავსი მაგალითების ძიებისას ჩვენ მივაგენით მამია გურიელის გარდაცვალებაზე სამი წლით ადრე, 1888 წლის მარტში ზუსტად ასე, ივერიის სარედაქციო გვერდზე უსათაუროდ და ხელმოუწერლად გამოქვეყნებულ სტატიას, რომლის ილიასეულობაც უკვე დამტკიცებულია და მის თხზულებათა ოცტომეულშიც არის შეტანილი (ტ. 10, გვ. 146-150) და რომელიც მთავრდება სულხან-საბასეული ამავე ციტატით: „ხსნა მხნეობასა და გარჯამია. ესე უნდა მოიქცეს ყველა, ვისაც ჰსურს „ფეხი მთებრ დასდგას ქვეყანად, / ტინურად დამტკიცებული, / ვითა ქარქვეტი ქართავან, / არ იქმნას მოტაცებული“. როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძეც, ამ სტატიის ავტორის მსგავსად, ციტირებული ფრაზის ზმნების პირის, დროისა და რიცხვის ფორმებს კონტექსტს უსადაგებს. გურიელის ნეკროლოგში თუ სიტუაციას ნარსული დრო შეესაბამებოდა და ზმნებმა მიიღო ფორმა „მთებრ ედგა“ და „ვერ იქმნა“, ამჯერად იგივე ზმნები იღებს ფორმას: „მთებრ დასდგას“ და „არ იქმნას“. საგულისხმოა, რომ სულხან-საბასთან ეს ფრაზა ორივე სტატიისგან განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი: „მთებრ დადგი“ და „არ იქმნა“ და ავტორებმა (თუ ერთმა ავტორმა - ილია ჭავჭავაძემ) მოახდინეს მისი ტრანსფორმაცია კონტექსტთან მისასადაგებლად.

შედეგები რომ შევაჯამოთ, ილია ჭავჭავაძის ავტორობის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი არგუმენტები:

ა) სტატია ხელმოუწერლად დაიბეჭდა იმ გაზეთის სარედაქციო გვერდზე, რომლის რედაქტორიც ილია ჭავჭავაძე იყო და ისეთივე ფორმით, როგორც იმავე ხასიათის სხვა წერილი (ნეკროლოგი).

ბ) ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიებში დღემდე არ არის მითითებული ამ სტატიის ავტორად რომელიმე სხვა პირი.

გ) ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების ნახევარზე მეტი სწორედ ასევე ხელმოუწერლად იბეჭდებოდა „ივერიის“ მეთაურებად მისი რედაქტორობის პერიოდში.

დ) მწერალი კარგად იცნობდა მამია გურიელს. ნეკროლოგის ავტორი, თუ არა ახლო ნაცნობს, თავის ტოლსა და სწორს, გარდაცვლილს ვერ მოიხსენიებდა მხოლოდ სახელით და ვერ იტყოდა: „მამია ცოტას სწერდა...“.

ე) შინაარსობრივმა, ენობრივმა და სტილურმა ანალიზმა გამოავლინა ილია ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელი არაერთი თავისებურება.

ვ) სტატიაში მამია გურიელი ილია ჭავჭავაძის მიერ ხშირად ციტირებულ და დიდად პატივცემულ რუს მწერალსა და საზოგადო მოღვაწესთან - ბელინსკისთან არის შედარებული იმით, რომ ორივენი გატყეხა „დიდმა მხნეობამ და მასთან შეუძლებლობამ საქმის გაკეთებისამ“.

ზ) ილია ჭავჭავაძეს ეხერხებოდა პოეტის სულის სიღრმეში ჩახედვა, მისი განცდების ამოცნობა. მამია გურიელის ტკივილად სტატიის ავტორი სახავს იმას, რომ იგი ბევრის შემძლე, დიდი გაქანების ადამიანი იყო და სამოქმედო ასპარეზი მოსპობილი ჰქონდა. მთავარი ტკივილი, რაც გურიის მთავართა შთამომავალ მამია გურიელს ჰქონდა და რამაც გაუუკუღმართა მთელი ცხოვრება, უკავშირდებოდა რუსეთის ხელისუფლების მიერ გურიის სამთავროს გაუქმებას. ამ ტკივილზე სტატიის ავტორი გაჭრილად ვერ ისაუბრებდა, შეფარვით უნდა ეთქვა და ეს ისეთ დონეზეა გაკეთებული, რომ ძნელი სათქმელია, ილია ჭავჭავაძის გარდა სხვა ვინ შეძლებდა ამის ასე ოსტატურად გაკეთებას. სტატიას წამძღვარებული აქვს ვახტანგ VI-ისეული ფრაზა, მის მიერ თარგმნილი „ქილილა და დამანადან“: „გულის საუნჯე მაქვს სავსე / საიდუმლოთა სპეკალთა,/ მაგრამ ვერ გავხსნი, ვერ გეტყვი,/ ენაზე მასმენ ეკალთა.“ თავად ტექსტში სტატიის ავტორი წერს: „...რადგან არც ყველაფრის დაბეჭდვა შეიძლებოდა, რაც „მის გულის საუნჯეიდან საიდუმლო სპეკალი“ ამოვიღოდა, არც წერასა და სიტყვას აძლევდა იმდენს მნიშვნელობას...“

ვფიქრობთ, წარმოებული კვლევა და ჩამოთვლილი არგუმენტები იმაზე მეტყველებს, რომ სტატია ილია ჭავჭავაძისა

უნდა იყოს და იგი, „სავარაუდოს“ სტატუსით მაინც, უნდა შედიოდეს მის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში.

„Критические замечания...“: ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის მე-16 ტომში (მომზადებული - ლამარა შავგულიძე) შეტანილია რუსულენოვანი წერილი: „Критические замечания по параграфам предворительного проекта местного положения о поземельном устройстве крестьян, водворённых на помещичьих землях в Тифлисской губернии“, რომელიც ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში 1864 წლის 4 მაისს იყო წარდგენილი, ხელმოწერით: „Верно: кн. Н. Чавчавадзе“. ტექსტის ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ტომში შეტანას წინ უსწრებდა ხანგრძლივი ატრიბუციული კვლევა, რის შედეგადაც გამოტანილ იქნა დასკვნა, რომ თბილისის გუბერნიაში მებატონეთა მფლობელობაში არსებულ მიწებზე დასახლებული გლეხების მიწათმოწყობის პროექტთან დაკავშირებით გაკეთებული ამ ვრცელი მუხლობრივი შენიშვნების ავტორი ილია ჭავჭავაძეა, მაგრამ, რამდენადაც ის იმ დროს ახალგაზრდა იყო და თან იმ საბჭოში არ შედიოდა, დოკუმენტი წარადგინა მისმა ნათესავმა, საბჭოს წევრმა, იურისტმა - ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძემ.

ვინაიდან სხვა ავტორის ხელმოწერით არსებული ტექსტის ატრიბუციას განსაკუთრებით მყარი დასაბუთება და ყოველმხრივი გადამოწმება სჭირდება, გადავწყვიტეთ, ილია და ნიკო ჭავჭავაძეების ურთიერთობის უფრო სრულყოფილი სურათის წარმოსაჩენად შეგვესწავლა სხვადასხვა დოკუმენტური წყარო და მწერლის ეპისტოლური მემკვიდრეობა.

ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძეც ჭავჭავაძეების ყვარლის შტოს წარმომადგენელი იყო. მისი და ილიას პაპები - ივანე (გლახა) და პაატა ძმები იყვნენ. გარდა გენეტიკურისა, ილია და ნიკო ჭავჭავაძეების ოჯახებს, როგორც ჩანს, ნათესაური სიახლოვეც ჰქონდათ. შემორჩენილია ილია ჭავჭავაძის მიმონერა ნიკოს დასთან და დისშვილებთან. ერთ-ერთ წერილში ნიკოს დის - ნენე დიმიტრის ასულ ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილი-

სადმი, როცა ილია ყველა გიორგი XII-ის რძალთან - ელენე გრუზინსკაიასთან სტუმრობის ამბავს, ნახევრად ხუმრობით აღნიშნავს: „ბატონის რძალსაც ვახლდი. ნიკოსი მითხრა, ცრუ არისო. მე მოვახსენე, ახალი გაგება გახლავსთ-მეთქი, ჭავჭავაძე და ცრუ ჩემს დღეში არ მინახავს-მეთქი. აბა, რასაკვირველია, არ დამიჯერა, ნამეტნავათ რომ მხედამდა, რომ თვალწინ ვატყუებ.“

ნიკო ჭავჭავაძეს ეძახდნენ „ნიკო ბუჟიასშვილს“ და „ნიკო ბუჯიჩის“, როგორც ჩანს, მამის მეტსახელიდან გამომდინარე. გრიგოლ ორბელიანი დიმიტრი ჯორჯაძისათვის 1858 წლის ივნისში გაგზავნილ ბარათში წერს: „ნიკო ბუჟიასშვილი ჭავჭავაძე დანიშნეს სუდიად თბილისის უეზდისა“. ასევე იგი მოხსენიებული 1861 წლის გაზაფხულზე ყვარლელი ნათესავის, სოლომონ ჭავჭავაძისათვის ილიას მიერ გაგზავნილ წერილში: „ამ ორ კვირაში, იქნება ნიკო ბუჯიჩი მანდ მოვიდეს და, ვინიცობაა, მაგასთან ან ჩხუბი, ან ლაპარაკი არაფერი მოგივიდეთ“.

1859 წელს, როდესაც არდადეგებზე თბილისში ჩასულმა ილია ჭავჭავაძემ გიმნაზიის დარბაზში „მეფე ლირის“ ცოცხალი სურათები დადგა, სხვა თავადიშვილებთან ერთად მასში ნიკო ჭავჭავაძეც მონაწილეობდა და იგი წარმოდგენის შემდეგ გადაღებულ ჯგუფურ ფოტოზეც არის აღბეჭდილი.

1863 წლის 7 მარტს თავის საცოლეს - ოლლა გურამიშვილს ილია ჭავჭავაძე სწერს: „ნიკოსთან ხშირად იარე ხოლმე, გაუმეგობრდი იმის ცოლს და იქ ერთმანეთსა ვნახამთ“, 8 მარტს კი ოლლას კითხვას ასე პასუხობს: „შენ მეკითხები, იცის თუ არა ნიკომ ჩვენი საქმისა, - სრულიად არაფერი იცის და არც ეცოდინება ჩვენს ქორწილამდე. რად უნდა იცოდეს? ჩვენ უმისოდაც მოვაგვარებთ ჩვენს საქმეს. თუმცა, ისიც და მისი ცოლიც ზოგჯერ სიტყვას გადმომკრავენ შენსა და ჩვენი ქორწილის შესახებ, მაგრამ ეს ყველაფერი სიტყვაგადმოკვრად რჩება, იმიტომ რომ მე თავს ვიძვრენ ყველგან და ყოველთვის“. როგორც ამ მიმონერიდან ჩანს, ილია და ოლლა ქორწი-

ლამდე, სავარაუდოდ, ნიკო ჭავჭავაძის ოჯახშიც ხვდებოდნენ ერთმანეთს და 1863 წლის 10 აპრილს მეჯვარედაც ის აირჩიეს. როგორც ვხედავთ, ამ პერიოდში ილია ჭავჭავაძეს და მას ახლო ურთიერთობა ჰქონდათ.

1864 წლის 10 აპრილს ილია ჭავჭავაძე დაინიშნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ. ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიისათვის დაწერილ ავტობიოგრაფიაში იგი წერს: „1864 წლის დამდეგს, როცა განიზრახეს გლეხკაცის განთავისუფლების რეფორმა საქართველოში, გამგზავნეს იმერეთს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ და დამავალეს გამომერკვია, თუ რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხკაცთა შორის ბატონყმობისაგან წარმომდგარი“.

მისი ახალი მოვალეობა რომ პირდაპირ კავშირში იყო საგლეხო რეფორმასთან, ეს ჩანს მეუღლისთვის ქუთაისიდან გამოგზავნილ პირველსავე წერილში: „ჩვენი მოსვლა ვერაფრად ეჭაშნიკათ, „აი ესენი არიან ჩვენი დამლუპავებიო, ჩვენი ყმების წამრთმეველებიო“. ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებსა ჰყრიან...“ მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ის ამ თანამდებობაზე 10 აპრილს დანიშნეს, კიდევ თვეზე მეტ ხანს თბილისში დარჩა და სწორედ ამ პერიოდში (4 მაისამდე) დაინერა ზემოხსენებული „კრიტიკული შენიშვნები...“ შესაძლოა, მისი წასვლა ამ მიზეზითაც გადადებულიყო.

1867-1873 წლებში ნიკო ჭავჭავაძე იყო თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, ილია კი - ამავე ოლქში შემავალი დუშეთის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე. 1873 წელს, როდესაც ილია ჭავჭავაძე აქტიურად ჩაება ბანკის დაარსების საქმეებში, მისი და ნიკოს ურთიერთობა გაფუჭდა. 1873 წლის 29 იანვარს იგი კირილე ლორთქიფანიძეს სწერს: „ჩემი საქმე მეტად ცუდად მოდის: ნიკო ჭავჭავაძემ ბანკის თაობისა გამო მიმტრო.“ 1 და 8 თებერვალს მეუღლეს სწერს: „ჩვენმა ნიკომ ძალიან დევნა დამიწყო სამსახურში. მე მეცინება იმის სულმოკლეობაზედ და არა ვწუხვარ კი. რაც უნდა ქნას, მე მაგდენს

არაფერს დამაკლებს”. „ნიკომ ჭავჭავაძემ ასე გამიჭირა საქმე, რომ უსათუოდ სამსახურს თავი უნდა დავანებო და ძალიან მალეცა”. ცოტა მოგვიანებით თავისი დის - ელისაბედისთვის მიწერილ ბარათში ვკითხულობთ: „შეიტყობდი მანდ, რაც ნიკომ საქმე ჩაიდინა ჩემის დათხოვნის თაობაზედ. მას აქედ, რაც მაგან თავზედ ლაფი დაისხა საქვეყნოდ ბანკის თაობაზედ, მე მაგისას ყველაფერს დავიჯერებდი, მაგრამ იმას კი არა, რომ მაგისთანა სასაცილო მტრობას დამინყობდა. თურმე ყოველს ჩლენს ცალ-ცალკე ეხვეწებოდა, რომ ჩემს ოტპუსკზედ თანახმა არ გამხდარიყვნენ.”

გარდა იმისა, რომ „კრიტიკული შენიშვნების...” სხარტი ლოგიკა და არგუმენტირების უწყვეტი ჯაჭვი აშკარად მეტყველებს მისი ავტორის განსაკუთრებულ პოლემიკურ უნარებზე, რაც ნიკო ჭავჭავაძეს სხვა დროს არაფერში გამოუვლენია, ოლლასათვის 1873 წლის 1 ოქტომბერს გაგზავნილი წერილის ერთი ფრაზა გვაფიქრებინებს, რომ ნიკო ილია ჭავჭავაძესთან რალაც მსგავს „ვალში” უნდა ყოფილიყო - ილიას მისი საკეთებელი საქმე უნდა ეკეთებინა (ვგულისხმობთ მისი დაწერილი ტექსტის საკუთარი სახელით წარდგენას). ეს ფრაზაა: „...ვნუხვარ, რომ მე ამოდენა ხანი ეგრე სულელურად მასზედ ვცდებოდი”. ვფიქრობთ, ეს არგუმენტები ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში ნიკო ჭავჭავაძის სახელით წარდგენილი ამ დოკუმენტის ავტორი ილია ჭავჭავაძეა.

ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ნოველის უცნობი ავტორი - ჯორჯ ჰარსონს ლათროვი

1878 წელს გაზეთ „ივერიაში“ ავტორისა და მთარგმნელის მიუთითებლად გამოქვეყნებული ნოველით — „უბინაო კაცი ნუიორკში“ საზოგადოება დაინტერესდა მას შემდეგ, რაც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში აღმოჩნდა ამ ტექსტის გაზეთ „ივერიიდან“ გადაწერილი პირი და ცნობილმა ტექსტოლოგმა ლევან ჭრელაშვილმა დაასაბუთა, რომ ეს ნოველა და იმავე არქივში დაცული, ასევე ჟურნალ-გაზეთებიდან გადაწერილი ილია ჭავჭავაძის თხზულებები და თარგმანები, შესრულებული იყო ერთი ხელით.

მკვლევარმა მოიძია საბუთები, რომელთა მიხედვითაც, 1892 წელს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულისთვის პერიოდული პრესის ფურცლებიდან მისი ტექსტების გადასაწერად გამომცემლობას სპეციალური ხელშეკრულება გაუფორმებია კონკრეტულ პირებთან. რამდენადაც იმ დროს ილია ცოცხალი იყო და გამოცემა მისი მეთვალყურეობით ხორციელდებოდა, მიჩნეულ იქნა, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ამ ხელნაწერ ასლებს ილია ჭავჭავაძის ანონიმური თხზულებების ატრიბუციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მინიჭებოდა. ეს მოსაზრება გაიზიარა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის სარედაქციო საბჭომ და გადაწყდა, რომ ზემოხსენებული თარგმანი შეტანილიყო მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის შესაბამის ტომში.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში, როცა ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ენობრივი თვალსაზრისით ძალიან დიდი სიჭრელე გვხვდება. თითოეულ მწერალს აქვს მისთვის დამახასიათებელი ლექსიკა, გრამატიკული ფორმები და მართლწერა, რასაც ტექსტო-

ლოგები ხშირად ვიყენებთ ავტორის იდენტიფიცირებისათვის. ზემოხსენებული თარგმანის ატრიბუციის გასამყარებლადაც ჩავატარეთ მასში და ილია ჭავჭავაძის ცნობილ ნაწერებში ხშირად გამეორებული გრამატიკული ფორმების, ლექსიკისა და მართლწერის შედარებითი კვლევა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

აღმოჩნდა, რომ ტექსტში „უბინაო კაცი ნუიორკში“, ილია ჭავჭავაძის თხზულებების მსგავსად, ხშირია ატრიბუტული მსაზღვრელის საზღვრულთან სრული შეთანხმება მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში (თავისის რაზმის, ისეთის აღტაცებით, გამთბარს კედელს და სხვ.), სტატიკური ვნებიტების ანმყოში -იან დაბოლოება (შემიძლიან, ჰსცხვენინან), ფუძედრეკადი ზმნების აორისტში -„ვ“ თანხმოვნის შენარჩუნება (აურ-დაურივა) და სხვ. ამ საშუალო მოცულობის ნოველაში 55-ჯერ გვხვდება ილია ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელი ორმაგი პირის ნიშანი „ჰს“ (ჰსცხოვრებდა, შეჰსწრებოდა ჰსდიოდა და სხვ.) და 24-ჯერ თანდებულის „დამ“ ფორმა (კონცერტიდამ, თავიდამ გულიდამ და სხვ.), ნაცვალსახელების, ნანწილაკებისა და მეტყველების სხვა ნანწილების თავისებური მართლწერა (ვილასაც, რალასაც, დიად, მგზავსი, უკაცრავოდ, ბოლომდინ, სუბუქად, შეამცნივა და სხვ). განსაკუთრებით საყურადღებოა ილია ჭავჭავაძისთვის დამახასიათებელი სიტყვა „ბავშვის“ არატიპური მართლწერა - „ბაშვი“ („სახე გაუცოცხლდებოდა, როგორც ბაშვსა“, „ორი მშვენიერი ბაშვი!..“), რომელსაც იმ პერიოდში მის გარდა თითქმის არავინ იყენებდა. ასევე საგულისხმოა, რომ პროზაულ ტექსტში გვხვდება ერთი ორსიტყვიანი პოეტური ფრაზა „აჩრდილიდან“ — „უმნედ, უნუგემ“ („...ჰგრძნობს ხოლმე უბედური, დამთომილი უმნედ, უნუგემ და ცის ანაბარად“). როგორც ვხედავთ, კომპიუტერული კვლევაც ილია ჭავჭავაძის მთარგმნელობის სასარგებლოდ მეტყველებს.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მეცნიერებს უნდა გადაეჭრათ, იყო ტექსტის ავტორის დადგენა.

თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში ნოველის გამოქვეყნებას წინ უსწრებდა ტექსტოლოგიური ძიებები მისი ავტორისა და თარგმანის წყაროს დასადგენად. რამდენადაც ცნობილი იყო, რომ ილია ჭავჭავაძე ინგლისურენოვან ტექსტებს, ძირითადად, რუსული თარგმანებიდან ასრულებდა, მკვლევარმა ნათელა ჩიტაურმა შეისწავლა შესაბამისი წლების რუსული პრესა და მიაკვლია შუალედურ თარგმანს. ტექსტს მსგავსი სათაური ჰქონდა და A. II.-ს ხელმოწერით (ამ ფსევდონიმს იყენებდა მწერალი და მთარგმნელი ალექსეი პლეშჩევი) იყო გამოქვეყნებული ჟურნალში „Отечественные записки“. ნათელა ჩიტაურმა გამოთქვა ვარაუდი ტექსტის ავტორთან დაკავშირებითაც. მისი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ამერიკელი მწერალი ბრეტ ჰარტი, რადგან პლეშჩევი ხშირად თარგმნიდა მის ნოველებს და თან ამ ავტორს რამდენიმე ნოველა ჰქონდა დაწერილი მანანალებზე.

2002 წელს ჟურნალში „ლიტერატურული ძიებანი“ გამოვთქვით მოსაზრება, რომ ტექსტის ავტორი ბრეტ ჰარტი ვერ იქნებოდა, რადგან მისი სტილი და დამოკიდებულება ნოველაში წარმოდგენილი თემისადმი რადიკალურად განსხვავდება ნოველის ავტორისეულისაგან. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ ბრეტ ჰარტის ნოველებიდან მოხმობილი ამონარიდები შედარებული გვქონდა ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილ ნოველასთან. ასეთივე შედარებითი კვლევის საფუძველზე გამოვთქვამდით ვარაუდს, რომ „უბინაო კაცი ნუიორკში“ სხვა ამერიკელი ავტორების თხზულებებზე მეტ სიახლოვეს ავლენს ჰერმან მელვილის ნოველებთან, მაგრამ, მიუხედავად უხვი პარალელების მოხმობისა, იქვე აღვნიშნავდით: „ინდივიდუალურ სტილზე საფუძვლიანი დაკვირვება თარგმანის მეშვეობით თითქმის წარმოუდგენელია. ასეთ კვლევას ატრიბუციისათვის არ შეიძლება ჰქონდეს საბოლოო, მეცნიერული დასკვნის გამოტანის პრეტენზია“.

ასე რომ, კვლევის შემდგომი მიზანი გახდა თხზულების ორიგინალის პოვნა. იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მის პუბლიკაციასთან არ იქნებოდა მითითებული ავტორის ვინაობა (რაც

იმ პერიოდისათვის ძალიან დამახასიათებელი იყო), ორიგინალური ტექსტი მეტ საშუალებას მოგვცემდა ატრიბუციისათვის, მით უფრო, თუ ამ კვლევებში ჩაერთვებოდნენ ამერიკელი ტექსტოლოგებიც.

თავდაპირველად ვიფიქრეთ, რომ ორიგინალის კვალს გვაპოვნინებდა რუსი მთარგმნელის - ალექსეი პლემჩინევის შემოქმედების შესწავლა და იმ წყაროების მოძიება, რომლიდანაც იგი თარგმნიდა ხოლმე. საკითხის შესწავლის შემდეგ მივხვდით, რომ ეს უკიდურესად რთული იქნებოდა, რადგან აღმოჩნდა, რომ ალექსეი პლემჩინევი ინგლისურ ტექსტებს ორიგინალიდან არ თარგმნიდა. ამისათვის იყენებდა გერმანულ ან ფრანგულ შუალედურ თარგმანებს. ამიტომ გადავწყვიტეთ ორიენტაცია პირდაპირ ორიგინალზე აგველო.

რამდენადაც ვეძებდით ტექსტს, რომლის ზუსტი სათაურიც არ ვიცოდით, ჩამოვწერეთ რუსული ტექსტის სათაურის ყველა შესაძლო ინგლისური შესატყვისი და დავუწყეთ ძებნა სხვადასხვა ენციკლოპედიურ გამოცემასა და ცნობარში, შემდეგ კი - ინტერნეტში. ამან რომ შედეგი არ გამოიღო, შევუდექით ტექსტის შინაარსის შესაბამისი, მაგრამ ოდნავ განსხვავებული სათაურების ძებნას, მაგრამ მოძიებულ ტექსტთაგან არც ერთი არ აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო დედანი. ასეთებიდან შეგვიძლია დავასახელოთ ჰერმან მელვილის ნოველა დიპტიხი „ლარიბის პუდინგი და მდიდრის ნამცეცები“ და რაბორგის „ნიუ-იორკის უსახლკაროები“. პარალელურად მიმოწერა გვქონდა ამერიკელ ლიტერატურათმცოდნეებთან, მაგრამ მათმა კონსულტაციებმაც ვერ მიგვიყვანა კონკრეტულ შედეგამდე.

გადავწყვიტეთ სავარაუდო ავტორთა ჩამონათვალის შემჭიდროვება, რისი ერთ-ერთი საუკეთესო გზაც ტექსტის დათარიღება იყო. ამისათვის ყურადღებით შევისწავლეთ იგი ისეთი რეალიების საპოვნელად, რომლებიც დათარიღებაში დაგვეხმარებოდა. რამდენადაც რუსული შუალედური წყარო უფრო ვრცელია და ორიგინალთან უფრო ახლოს მყოფი, ძირითადად მას ვიყენებდით.

ნოველის დანერის მაქსიმალურ ქრონოლოგიურ მიჯნად ავიღეთ რუსულ ჟურნალში მისი პუბლიკაციის დრო - 1877 წელი და შევუდევით კვლევას დროის ქვედა მიჯნის განსა-საზღვრად. ჩვენი ყურადღება მიიპყრო რამდენიმე რეალიამ: ნოველაში ნახსენებია კუპერის ინსტიტუტი და მისი ბიბლიო-თეკა, რომელიც დაარსდა 1859 წელს, მაგრამ იყო ისეთი რეა-ლიებიც, რომლებიც ქრონოლოგიური ჩარჩოების ქვედა ზღვარს უფრო მაღლა ასწევდა. ეს არის ტექსტში ნახსენები ომი და «აჯანყებულები», რაც მიგვანიშნებდა 1861-65 წლე-ბის აშშ სამოქალაქო ომზე, რომლის დაწყების მიზეზი გახდა აჯანყება მონათმფლობელური შტატების გამოსაყოფად. რამდენადაც ნოველის მიხედვით ეს დაპირისპირება უკვე დასრულებულია და ქვეყანაში მშვიდობაა, თხზულება 1865 წლის შემდეგ უნდა ყოფილიყო დანერილი.

რუსულ ტექსტში აღმოჩნდა კიდევ ერთი დეტალი, რომელმაც ქრონოლოგიური ჩარჩოები უფრო მეტად შეამჭიდ-როვა. ნოველის დასაწყისშივე, სადაც ნათქვამია, რომ ახალ-გაზრდა ცოლ-ქმარი ტეტლოუები გამოვიდნენ ნიუ-იორკის ერთ-ერთ საკონცერტო დარბაზ — სტეინ-ვეი-ჰოლიდან, ვკითხულობთ: „Молодая чета редко тратила доллары на концерты Томаса, но в этот вечер рискнула и возвращалась довольная“. ჩვენ დაგვაინტერესა მუსიკოს ტომასის / თომა-სის ვინაობამ. სამუსიკო ენციკლოპედიაში „Grove’s Dictionary of Music and Musicians“ ამოვიკითხეთ, რომ იმ დროისათვის ცნობილი მევიოლინის — თეოდორ ტომასის (Theodore Thomas) ოჯახი 1845 წელს გადასახლდა გერმანიიდან შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ნიუ-იორკში. იქვე დაკონკრეტებული იყო ისიც, თუ რომელ წელს რომელ დარბაზში ატარებდა იგი კონცერტებს. მათგან ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ 1872 წელს მან 60 კაცისაგან შემდგარი ორკესტრის თანხლებით დაიწყო კონცერტების სერია და 1878 წლამდე რეგულარულად უკრავდა სტეინ-ვეი ჰოლში. რადგან ნოველაში სწორედ ერთ-ერთი ამ კონცერტთაგანია ნახსენები, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი 1872 წელზე ადრე არ შეიძლება

იყოს დანერვილი და რომ მისი შექმნის სავარაუდო დრო დაიყვანება 1872-1877 წლებზე.

ნაწარმოების შექმნის დროის განსაზღვრა, ჩვენი აზრით, ბევრად გააიოლებდა დასახულ ამოცანას, შეამცირებდა იმ სავარაუდო მწერალთა რიცხვს, რომელთა შორისაც უნდა გვეძებნა ანონიმი ავტორი. ამერიკელ ნოველისტთაგან ირვინგი (გარდ. 1859), პო (გარდ. 1849), ჰოთორნი (გარდ. 1864), კროკეტი (გარდ. 1836) და უორდი (გარდ. 1867) 1872 წლამდე გარდაიცვალნენ, გარლანდს (დაიბ. 1860), კრეინს (დაიბ. 1871) და ო'ჰენრის (დაიბ. 1862) 1877 წელსაც კი არ ჰქონდათ დაწყებული მოღვაწეობა და ამდენად ვერცერთი მათგანი ვერ იქნებოდა 1872-77 წლებში დანერვილი ნოველის ავტორი, მაგრამ სავარაუდო ავტორთა სია მაინც ისეთი დიდი რჩებოდა, რომ მათი თხზულებების გადათვალიერებას ჩვენთვის საინტერესო ტექსტის საპოვნელად ვერ შევძლებდით. ამიტომ გადავწყვიტეთ ტაქტიკის შეცვლა.

ნოველის ჟანრის წარმოშობა ამერიკაში პირდაპირ უკავშირდებოდა პრესის განვითარებას და ნოველათა უდიდესი ნაწილი პირველად ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა. შესაბამისად, სავარაუდო იყო, რომ ჩვენთვის საინტერესო ნოველაც 1872-1877 წლებში გამოსულ რომელიმე ლიტერატურულ ჟურნალში, ან გაზეთში (მოცულობიდან გამომდინარე, უფრო ჟურნალში) ყოფილიყო დაბეჭდილი. ამ 5-6 წლის პრესის გადათვალიერება ბევრად უფრო იოლი იქნებოდა, ვიდრე იმავე წლებში მოღვაწე ყველა ამერიკელი მწერლის თხზულებათა სრული ჩამონათვალის და შემდეგ მსგავსი დასათაურების ტექსტების მოპოვება. შესაბამისად, გადავწყვიტეთ, რომ საძიებელი ტექსტის საპოვნელად საჭირო იყო, სათაურების თვის ყურადღების მიუქცევლად, 1872-1877 წლებში ამერიკულ ლიტერატურულ ჟურნალებში დაბეჭდილ ნოველათა ტექსტების გადახედვა მსგავსი შინაარსის იდენტიფიცირების მიზნით.

რამდენადაც მე-19 საუკუნის დასახელებული წლების ჟურნალები საქართველოს ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება,

ამერიკის შეერთებულ შტატებში წასვლას კი ვერ ვახერხებდით, დაუფკავშირდით კანზასში მივლინებით მყოფ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორს - ნინო სოზაშვილს და ვთხოვეთ ამ გეგმის განხორციელება. კანზასის უნივერსიტეტთან არსებული სპენსერის კვლევითი ბიბლიოთეკის თანამშრომლის - კარენ სევერუდ კუკის დახმარებით, ხუთი წლის ჟურნალების გადათვალიერების შემდეგ იგი მართლაც წააწყდა ჩვენთვის საინტერესო ტექსტს, რომელსაც იგივე შინაარსი, მაგრამ სულ სხვა სათაური ჰქონდა - „გარიყული“ (“Left Out”) და ეკუთვნოდა ამერიკელ მწერალ ჯორჯ პარსონს ლეთროპს. ნოველა დაიბეჭდა ამერიკულ ჟურნალში - „Atlantic Monthly“.

ლეთროპი იმ დროს ამ ჟურნალის ასოცირებული რედაქტორი იყო და ხშირად აქვეყნებდა მასში თავის თხზულებებს. ამრიგად, გაირკვა ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ნოველის ავტორის ვინაობა. აღმოჩნდა, რომ ტექსტის სათაური მართლაც სრულიად განსხვავებული იყო და იმიტომაც ვერ მივაკვლიეთ ვერცერთ ცნობარში, მაგრამ ტექსტი ანონიმურად არ იყო გამოქვეყნებული, ავტორის ვინაობა მასთან სრულად იყო მითითებული.

ინგლისური დედნიდან ქართულ თარგმანამდე ტექსტის მიერ გავლილი გზის სრულად აღსადგენად გადავწყვიტეთ გვეპოვა კიდევ ერთი შუალედური თარგმანი, რადგან ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო, რომ რუსული თარგმანის ავტორმა - ალექსეი პლემჩიევემა არ იცოდა სათანადოდ ინგლისური და ინგლისურენოვან ტექსტებს ფრანგული, ან გერმანული წყაროებიდან თარგმნიდა.

იმხანად ჯერ კიდევ ამერიკაში მყოფ ნინო სოზაშვილს ვთხოვეთ ამ შუალედური თარგმანის პოვნაშიც დაგვხმარებოდა, რასაც მან არაჩვეულებრივად გაართვა თავი. რამდენადაც ინგლისური ტექსტი დაიბეჭდა 1877 წლის იანვარში, რუსული კი - იმავე წლის დეკემბერში, ამჯერად გადასათვალისწინებელი იყო 1877 წლის თებერვალ-ნოემბრის ფრანგული და გერმანული ჟურნალები ჩვენთვის უკვე ცნობილი ავტო-

რის და ცნობილი დასათაურების ტექსტის საპოვნელად. აღმოჩნდა, რომ ალექსეი პლემჩეევს ფრანგული შუალედური წყაროთი უსარგებლია. ლეთროპის ნოველა ფრანგულ ენაზე დაბეჭდილა ჟურნალის - „Revue Britanique“ 1877 წლის ივლისის ნომერში. ტექსტთან მითითებული იყო ავტორი (იგი ამოღებულ იქნა რუსულ თარგმანში), მაგრამ სათაური პირველად სწორედ ფრანგ მთარგმნელს შეუცვლია. შესაბამისად, ისტორიულ რეალიაზე დამყარებულმა მიახლოებითმა დათარიღებამ და სწორმა სამოქმედო სტრატეგიამ გვაპოვნინა ტექსტი, რომლის არც სათაური ვიცოდით, არც ავტორი და არც წყარო და რომელსაც ქართულ თარგმანამდე კიდევ ორი ეტაპი ჰქონდა გავლილი - ფრანგული და რუსული. ჩვენ თვალწინ გადაიშალა მთელი ის გზა, რომელიც ინგლისურმა ტექსტმა განვლო ილია ჭავჭავაძის მიერ მის თარგმანამდე, გაირკვა ტექსტის ავტორის ვინაობა და ფრანგული შუალედური თარგმანის წყარო.

რამდენადაც ორიგინალი ნაპოვნია, უკვე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა ცვლილებები განიცადა ტექსტმა ინგლისური დედნიდან ქართულ თარგმანამდე.

საქართველო უძველესი მთარგმნელობითი კულტურის მქონე ქვეყანაა და ილია ჭავჭავაძეც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მთარგმნელობითი პრაქტიკის შემდგომ განვითარებას. მისი პირველი პუბლიცისტური წერილიც - „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვიდამ „შეშლილის“ თარგმანზედა“ სწორედ თარგმანის ხარისხსა და პრინციპებს ეხებოდა. ილია ჭავჭავაძემ, ვანო მაჩაბელთან ერთად, ქართულ ენაზე აამეტყველა შექსპირის „მეფე ლირი“, რომელიც დღემდე ითვლება ამ ტრაგედიის ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად. ეს არის ტექსტი, რომელიც მაქსიმალურად ზუსტად გადმოსცემს ორიგინალის შინაარსს, შესრულებულია უმდიდრესი ქართული ლექსიკით და ორიგინალთან მიახლოებული მხატვრულ-ესთეტიკური საშუალებებით.

ასეთი თარგმანები ქართული კულტურის განუყრელი ნაწილი ხდება, მაგრამ ამ თარგმანს ორმა უდიდესმა ოსტატმა - მთარგმნელმა და მწერალმა ნახევარი წელი მოანდომა, ქართველი მკითხველის ზოგადკულტურული განათლების ამაღლებისათვის კი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი რაც შეიძლება მეტი უცხოელი ავტორის თხზულებას გასცნობოდა. ამიტომ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში (ასევე იყო უცხოეთშიაც) პარალელურად დამკვიდრდა სწრაფი და ზედაპირული მთარგმნელობითი პრაქტიკაც, რომელიც მეტწილად ჟურნალ-გაზეთების მომდევნო ნომრის გამოსვლამდე არსებულ ორკვირიან, ან ერთთვიან შუალედში ხორციელდებოდა.

ასეთი თარგმანები მიზნად ისახავდა ორიგინალური პროზაული თხზულების შინაარსის და ძირითადი სათქმელის გადმოცემას და უცხოური ლიტერატურის გაცნობას მკითხველისათვის. მათში ხშირად იყო გამოტოვებული ორიგინალის ენისა და კულტურისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რეალიები და მხოლოდ ნაწილობრივ იყო შენარჩუნებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები. ასეთი თარგმანები ზოგჯერ არა დედნიდან, არამედ მთარგმნელისათვის უფრო კარგად ნაცნობი შუალედური ენიდან ხორციელდებოდა. ილია ჭავჭავაძეს სწორედ ამ პრინციპით აქვს თარგმნილი ალფონს დოდეს, ჯურა იაკშიჩის, გეორგ ებერსის, ჟიულ კლარეტიისა და სხვა უცხოელი ავტორების პროზაული ტექსტები.

ამ ტიპის თარგმანის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ჩვენ მიერ განხილული ნოველაც. აქ ხშირად ვხვდებით ცალკეული ადგილების შემოკლებას, უცხოური რეალიების იქვე განმარტებას, განზოგადებას, ან მთლიანად გამოტოვებას, მაგრამ ადეკვატურად არის შენარჩუნებული გმირთა სახეები, სიუჟეტი და დედააზრი. ცვლილებები, რომლებიც არსებობს ქართულ თარგმანსა და ნოველის „გარიყული“ დედანს შორის, გაჩნდა ქართული თარგმანის განხორციელებამდე, წინა ორ შუალედურ ტექსტშიც.

რამდენადაც ვიცით, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე სათარგმნი მასალის შერჩევას, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რით შეიძლებოდა მიეპყრო მისი ყურადღება ჯორჯ პარსონს ლეთროპის ამ ნოველის რუსულ თარგმანს, რომელსაც ორი ენობრივ-კულტურული ტრანსფორმაცია (ფრანგული და რუსული) უკვე გავლილი ჰქონდა და გარკვეული მხატვრულ-გამომსახველობითი ღირებულებებიც დაკარგული.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ - ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მხატვრული შემოქმედება, პუბლიცისტიკა და თარგმანები საერთო ინტერესებით, ორიენტირებითა და პრობლემებისადმი დამოკიდებულებით არის გამთლიანებული. ამის დასადასტურებლად მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს: იმპერიის მიერ ანექსირებულ ქვეყნებში ადგილობრივი ენების კვდომის პრობლემაა ასახული მის არაერთ ზეპირ მოხსენებასა და გამოსვლაში, ლექსებში („პასუხის პასუხი“, „ბედნიერი ერი“ და სხვ.) პუბლიცისტურ წერილებში (1881 წ. მარტის „შინაური მიმოხილვა“, „ბატონ იანოვსკის წერილის გამო“ და სხვ.), ალფონს დოდეს მოთხრობის - „უკანასკნელი გასაკვეთი“ თარგმანში და სხვ.; ადამიანის სიკვდილით დასჯის განაჩენის სისასტიკისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებით აიხსნება მისი სიტყვით გამოსვლა რუსეთის სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის გაუქმების აუცილებლობის შესახებ, მოთხრობის „სარჩობელაზედ“ შექმნა, ჟიულ კლარეტის რომანის „ერთი უბედურთაგანი“ თარგმნა და სხვ.; გლახთა სოციალური უუფლებობისადმი ყურადღების გამახვილებას და ამ პრობლემის მოგვარებას ისახავდა მიზნად ილიას აქტიური მონაწილეობა საქართველოში ბატონყმობის გაუქმებისა და გლახებისათვის მიწის მიკუთვნების კანონმდებლობის შემუშავებაში, მოთხრობების: „გლახის ნამაობი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და სხვ. ლექსების: „ნანა“, „მუშა“ და სხვ. შექმნაში,

ტურგენევის „ლექსნი პროზითას“ და ნეკრასოვის ლექსის „ნატვრა“ („Что ни год - уменьшаются силы...“) თარგმნაში და სხვ.

ვფიქრობთ, ილია ჭავჭავაძის მიერ ლეთროპის ნოველის არჩევა სათარგმნად განპირობებული უნდა ყოფილიყო მასში ასახული თემის აქტუალობით (მიუსაფარი ადამიანის ბედი), მთავარი გმირისადმი ავტორის დამოკიდებულებით (ნოველის გმირი გამოირჩევა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებითა და ადამიანური ღირსებებით) და პრობლემის ხედვით (ნოველა „გარიყულის“ ავტორი მიუსაფარი ადამიანებისადმი მზრუნველობას მიიჩნევს არა მხოლოდ სახელმწიფოსა და შესაბამისი ორგანიზაციების, არამედ ნებისმიერი მოქალაქის მოვალეობად).

ეს თემაც და ეს დამოკიდებულებაც უაღრესად ახლობელი იყო ილიასათვის. მის მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ იგივე პრობლემა და ისეთივე აქცენტებია წარმოჩენილი, როგორც ლეთროპის ნოველაში. ამასთანავე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლეთროპთანაც, ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძის ეპიკურ თხზულებებში: „გლახის ნაამბობი“, „კაცია, ადამიანი?!“, „ოთარანთ ქვრივი“, „სარჩობელაზედ“, „განდეგილი“ და სხვ. ავტორისეული საჭვრეტი ნერტილი ქრისტიანული ღირებულებები და მორალია.

ლეთროპის ნოველის სიუჟეტური კვანძი კულმინაციას აღწევს არა იმ ეპიზოდში, როცა მისი ერთი პერსონაჟი თავს ანებებს მეორეზე მზრუნველობას და მის ზურგს უკან კარს მიიხურავს, არამედ მაშინ, როცა მის გულში პირველად ჩნდება სინანული. ამას კი იწვევს მაცხოვრის იმ სიტყვების გახსენება, რომლებიც მან უთხრა ჯვარცმის წინა ღამეს გეთსემანის ბაღში მისი ლოცვის ჟამს ჩაძინებულ მოციქულებს: «ესოდენ ვერ უძლეთ ჟამ-ერთ მღვიძარებად ჩემთანა» (მათე 26, 33). ეს, რა თქმა უნდა, არა იმდენად ფიზიკურ მღვიძარებაზე იყო ნათქვამი, რამდენადაც სულიერზე. ლეთროპის ნოველის გმირმაც ნუთიერად მოადუნა სიფხიზლე, კარზე მომ-

დგარი მოყვასი უნუგეშოდ გაისტუმრა და ამით, შესაძლოა, დაღუპვისათვის განირა იგი.

ნოველის ფაბულა ასეთია: ნიუ-იორკელი ახალგაზრდა კაცი ფილიპ ტეტლოუ, რომელიც ერთ საღამოს მეუღლესთან ერთად საკონცერტო დარბაზიდან ამალღებულ განწყობაზე გამოდის, ქუჩაში მდგომ მოხუც გლახაკს ნახევარ დოლარს ჩუქნის. საბრალო კაცი ჯერ ვერ იჯერებს, რომ ამოდენა მონყალეა უბოძეს, მაგრამ როცა დარწმუნდება, უსაზღვრო მადლიერებას გამოხატავს.

გარკვეული დროის შემდეგ ეს ორი ადამიანი ისევ შემთხვევით ხვდება ერთმანეთს. ტეტლოუ გლახაკს - ფილიპ ერნს მისი გაჭირვების მიზეზს მოაყოლებს. აღმოჩნდება, რომ ის ომში ყოფილა და ტყვედ ჩავარდნილა. შინ დაბრუნებულს აღარც სახლ-კარი დახვდა და აღარც ჯანმრთელობა ჰქონდა, რომ თავი ერჩინა. ტეტლოუ ცდილობს დაეხმაროს ერნს. ისინი არაერთ ეკლესიას, თავშესაფარს და საქველმოქმედო ორგანიზაციას მიმართავენ თხოვნით, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ტეტლოუსაც ბეზრდება გლახაკის მეურვეობა და აგრძნობინებს. ერნი მიდის და იკარგება. ტეტლოუ ნანობს, რომ გასაჭირში ჩავარდნილი მოყვასი, რომელსაც მისი იმედი ჰქონდა, თავიდან მოიცილა, უნდა, რომ შეცდომა გამოასწოროს და ეძებს, მაგრამ ვეღარსად პოულობს.

როგორც ვხედავთ, „მოყვარული ქველმოქმედის“ (ასე უწოდებს ავტორი ტეტლოუს) სახე საკმაოდ ჰგავს ილიას მოთხრობის „სარჩობელაზედ“ პეტრეს, რომელმაც თავდაპირველად დიდი ბაქი-ბუქით აიღო თავის თავზე გზად შეხვედრილი, გასაჭირში მყოფი ორი ყმანვილის მეურვეობა (მათი დაპურება, ღამის გათევა და ქალაქში ჩაყვანა), მაგრამ შემდეგ გადანყვიტა, რომ თავი დასაცინად აღარ გაეხადა. ტეტლოუმ ერნს აგრძნობინა, რომ აღარ მიეკითხა მისთვის, პეტრემ კი, მას შემდეგ, რაც ყმანვილებმა სიკეთეზე ბოროტებით უპასუხეს და გაძარცვეს, ინანა მათდამი გამოჩენილი სიკეთე და ბოლოს ერთ-ერთი ძმის ჩამოხრჩობის ცერემონიაზე მასურებელთა „გროვაშიც“ აღმოჩნდა.

ლეთროპის ნოველა, უფრო ფსიქოლოგიური და სულიერი სიღრმეებით იზიდავს მკითხველს, ვიდრე დამაინტრიგებელი სიუჟეტით. მასში ისეთი არაფერი ხდება, რაც ჩვენს ყოველდღიურობაში არ შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ ავტორი ახერხებს, რომ ამ დუნედ მიმდინარე მოქმედებების ფონზე ბევრი ისეთი რამ შეგვაცნობინოს, რაც გვეხმარება არა მხოლოდ მოქმედ პირთა ხასიათების გახსნაში, არამედ საკუთარი განცდებისა და მიდრეკილებების იდენტიფიკაციაშიც.

ნოველის პროტაგონისტი - გლახაკი ერნი, თუმცა ძონძებით არის შემოსილი, ქუჩაში ცხოვრობს, დაუბანელი და გაუპარსავია, ჭეშმარიტი ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნებაა. მას ლუკმა პური ენატრება, მაგრამ როცა მოეჩვენება, რომ გამვლელმა შეცდომით მისცა ხურდის ნაცვლად ნახევარდოლარიანი, გამოეკიდება და სთხოვს, რომ შემთხვევით მიცემული ფული უკანვე დაიბრუნოს. მისი პრინციპია, რომ ადამიანი, რომელმაც ერთხელ უკვე მისცა მონყალეა, ხელმეორედ აღარ შეაწუხოს. ერნს ყველა ახლობელი დაედუპა, რაც კი რამ მატერიალური გააჩნდა, ყველაფერი დაკარგა და დაინვალიდდა, მაგრამ ცდილობს, თავი არავის შეაცოდოს. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები უგულისხმოდ ექცევიან, არ განიკითხავს მათ, არ შურს მათი და ანგარიშს უწევს გარემოებებს.

ავტორის არაჩვეულებრივი მიგნებაა, რომ ნოველის ორივე პერსონაჟს ერთი და იგივე სახელი - ფილიპი ჰქვია, რადგან „უსახლკარო ფილიპი“ და „სახლ-კარიანი ფილიპი“ ეს ერთი სახეა, სხვადასხვა პირობებში აღმოჩენილი. ის, რომ ტეტლოუ წარმატებულია, მისი განსაკუთრებული დამსახურების შედეგი კი არ არის, არამედ იმის, რომ მას, ერნისგან განსხვავებით, ომში მონაწილეობის მიღება არ მოსწევია, არ დაუჭრიათ, არ დაინვალიდებულა, ტყვედ არ ჩავარდნილა და უკან დაბრუნებულს ცოლ-შვილი დახოცილი და სახლ-კარი განადგურებული არ დახვედრია. როგორც ამ ყველაფრის არქონა არ არის ერნის ბრალი, ასევე არ არის მხოლოდ ტეტლო-

უს განსაკუთრებული ღირსებების შედეგი ის, რომ ის სუფთად ჩაცმული, საზოგადოებაში მიღებული სახელმწიფო მოსამსახურეა. ნოველაში არაფერი მინიშნება გვხვდება იმაზე, რომ ერნი ყველა ამ სიკეთეს თავისი უუნარობის ან პასიურობის გამო იყოს მოკლებული. პიროვნული ღირსებით ერნი ტეტლოუზე ბევრად მაღლა დგას. მას, თავისი მდგომარეობის მიუხედავად, საღი აზრი, ობიექტური თვითშეფასების უნარი და იუმორის გრძნობაც კი შენარჩუნებული აქვს.

ნოველის ენობრივი ქსოვილი და გამომსახველობითი ხერხები ძალიან მდიდარია. უხვად არის საინტერესო შედარებები, პარალელები, კონტრასტი, გროტესკი, იუმორი.

ნოველაში პრობლემატიკის ერთ-ერთი ასპექტი დიდ ქალაქებში მცხოვრები ადამიანის ჩაკარგული პიროვნულობაა, რასაც ლეთროპი თავის სხვა თხზულებებშიც არაერთგზის ეხმიანება. ლექსში „ღამე ნიუ-იორკში“ („Night In New York“) ეს პრობლემა მშობლიური ქალაქისადმი რიტორიკულ მიმართვაში მოკლედ და ხატოვნად არის ჩამოყალიბებული: „Places of life and of death, / Numbered and named as streets, / What, through your channels of stone, / Is the tide that unweariedly beats?“

ის, თუ როგორ გავლენას ახდენს ადამიანზე ზოგადად გარემო და თუნდაც ერთი რომელიმე სხვა ადამიანი, ლეთროპს კარგად აქვს ნაჩვენები ცალკეულ ეპიზოდებში პერსონაჟის სწრაფად მონაცვლე განცდებით. მაგალითად, როდესაც ერნი აღმოაჩენს, რომ ვილაც უცნობმა ნახევარდოლარიანი შეცდომით კი არა, შეგნებულად მისცა, მას სახე იმედით უნათდება: „...A ruined, far-off superiority was restored to him; it pervaded his heavy, slouchy form, insinuated itself through his grievously poor garments, shone in his soiled, tired face“; ხოლო ორიოდ წუთის შემდეგ, როდესაც ეს „ქველმოქმედი“ ჭკუის დარღვებას დაუწყებს, რომ მის მიერ მიცემული ფული სასმელში არ დახარჯოს, წუთიერი, ამაღლებული განცდა უცებ ემსხვერვეა: „...he seemed to be retiring from manhood into spectrehood again.“

ლეთროპი ძალიან კარგად ერკვევა ადამიანის ფსიქოლოგიაში და თავის პერსონაჟებს ვრცელი სიტყვიერი დახასიათებით კი არ წარმოგვიჩენს, არამედ მათივე მეტყველებით, ფიქრებითა და ქმედებებით. იგი არ გვეუბნება, რომ ერნი სამართლიანი და შემწყნარებელია, მაგრამ როდესაც იგი ტეტლოუს თავისი ტყვეობის ამბის თხრობისას ეუბნება, რომ ხანგრძლივად შიმშილობდა, იქვე დასძენს, რომ საჭმელი მის დამტყვევებლებსაც ძალიან ცოტა ჰქონდათ. როდესაც ერნს უკვირს, რომ მისი მშობლიური ქალაქი არავითარ ყურადღებას არ იჩენს მისი ყოფილი ჯარისკაცისადმი, იქვე დასძენს: „მაგრამ მე ხომ დღეს აღარ ვიბრძვი მის დასაცავადო.“

ერნისთვის ღირსება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკვები და თავშესაფარი. მას არ ეშინია პოლიციელის, რომელსაც შეუძლია, რომ ბიბლიოთეკიდან, სადაც გასათბობად შედის ხოლმე, გამოაგდოს, მაგრამ ვერ ეგუება ამავე პოლიციელის ქედმაღლურ და დამცინავ დამოკიდებულებას.

ასეთივე ხერხით წარმოგვიდგენს ლეთროპი ნოველის მეორე პერსონაჟსაც. არსად არის ნათქვამი, რომ ტეტლოუ, რომელიც გარეგნულად თანაუგრძობს და დახმარებას უწევს ერნს, რეალურად ამპარტავანია, მაგრამ ეს შთამბეჭდავად არის წარმოდგენილი მისი ქმედებებით. როდესაც გაცნობისას ტეტლოუ გაიგებს, რომ ვილაც ჭუჭყიან გლახაკსაც მისი სახელი ჰქვია, ქვეცნობიერი განცდა იმისა, რომ მასთან თანაზიარობა არ სურს, აიძულებს, რომ, თავის მხრივ, ერნს მხოლოდ საკუთარი გვარი უთხრას და არ გაუმხილოს, რომ მათ ერთი სახელი აქვთ: „To have his own name come from such a source was like suddenly seeing his face in a mirror that should reflect it pale, sick, and wretched. Somehow he revolted at telling the beggar that their first names were the same. He merely said, my name is Tetlow“. ასევე ძალიან საინტერესოა ტეტლოუს რეაქცია ერნის ხელახალ გამოჩენაზე. მას ისეთი განცდა უჩნდება, თითქოს დახრჩობისაგან კაცის გადასარჩენად წყალში შესულიყოს და აღმოეჩინოს, რომ ნაპირამდე ვერ გაიყვანს და შეიძლება თავადაც დაიღუპოს: „like that of someone

who has plunged into a stream to save a drowning person, and finds the weight more than he can carry to shore."

ერნის თითოეული ღირსების აღმოჩენას - მის თავაზიანობას, მოკრძალებულობას, თავშეკავებულობას, მომჭირნეობას, შინაგან კულტურას, იუმორს, ტეტლოუ გაკვირვებული ხვდება, თითქოს ეს ღირსებები მხოლოდ კარგად ჩაცმულ და მატერიალურად უზრუნველყოფილ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეს. კიდევ უფრო განცვიფრებულია იგი, როდესაც იგებს, რომ ერნს ცოლი და ორი შვილი ჰყვოლია და დაჰლუპვია და რომ ადრე ისიც ეკლესიის მრევლი ყოფილა. ტეტლოუს თითქოს ქვეცნობიერად უნდა, რომ ერნის გაჭირვება მისი პიროვნული თვისებებისა და ცხოვრებისეული შეცდომების შედეგი იყოს. ერთი მხრივ, შესაძლოა, ეს გამონეუული იყოს მისი გაუცნობიერებელი შიშით, რომ თუ პიროვნული ნაკლოვანებები არაფერ შუაშია, ასეთი რამ შეიძლება ყველას, მათ შორის, მასაც დაემართოს. მეორე მიზეზი კი ბევრად უფრო პრაგმატულია. თუ ერნი თავის უბედურებაში თავად იქნებოდა და მინაშავე, ტეტლოუ სინდისის ქენჯნის გარეშე აიღებდა ხელს მის შემდგომ დახმარებაზე.

ავტორი არაჩვეულებრივად წარმოაჩენს ტეტლოუს წინააღმდეგობრივ ბუნებას. მასში ერთმანეთს ებრძვის მოყვასის თანაგრძნობა და ეგოიზმი. ერთ-ერთ ეპიზოდში ტეტლოუს უნდა, რომ ერნი დაამშვიდოს და უთხრას, რომ მას ჰყავს მეგობრები, რომლებიც ბედის ანაბარა არ მიატოვებენ "...a warm rush of simple and generous emotion came pouring into Tetlow's heart and he wanted to say: "It's all real, Erne! You need not be afraid that it won't last; you have friends, now, and they'll stick by you," მაგრამ, ავტორი იქვე გვაჩვენებს, როგორ იფანტება ეს თბილი სიტყვები ერნის გონებაში მათ წარმოთქმამდევე და როგორ იკავებს მათ ადგილს ერთი მოზომილი ფრაზა. "This was what he longed to say impetuously, at the moment; but the words scattered themselves unheard within his mind, and he merely remarked, "It's pleasant to think that we've got something arranged, at last".

ტეტლოუ თავადაც აცნობიერებს თავის გულგრილობას. როდესაც თავშესაფრის მეპატრონე, ბატონი ნიდდოკი ერნს და ტეტლოუს ერთნაირად ჩამოართმევს ხელს, ტეტლოუსადმი რაიმე სახის უპირატესობის გამოუხატავად, მას ახსენდება თავისი საქციელი - ნიდდოკის თანაშემწე გოგონასთან საუბრისას ერნი ქედმაღლურად, სახელის გარეშე, უცხოსავით რომ მოიხსენია: „ამ კაცისათვის თავშესაფარს ვეძებო“ და ხვდება, რომ მას ისეთივე ჯანსაღი დამოკიდებულება არა აქვს ერნისადმი, როგორც ამ ადამიანებს.

ბოლო შეხვედრისას, როდესაც მის მიერვე დაბარებული ერნი დათქმულ დროს სამსახურში მიაკითხავს ტეტლოუს, იგი თავს მოაჩვენებს, თითქოს არ ახსოვს, რომ დაბარებული ჰყავდა და ამით კიდევ ერთხელ აგრძნობინებს უხერხულობას ადამიანს, რომელიც თავს ისედაც ყველგან ზედმეტად მიიჩნევს. როდესაც ტეტლოუმ მასთან მისულ ერნს ფეხზე წამოუდგომლად, მჯდომარემ გაუნოდა ფული და აიძულა, თავად მისულიყო მასთან გამოსართმევად, ამ ქმედების შეფასებაში უკვე ავტორიც ერთვება და გვეუბნება, რომ ამ კაცის თავიდან მოშორების სურვილი თავს იჩინდა ასეთ პატარა ნიუანსებში: „showed itself in these small mismoves“ “words and the manner had lost their cunning; their wouldbe cheer was simply freezing“.

ტეტლოუ მისი თანამედროვე ცივილური საზოგადოების ტიპური წარმომადგენელია. მასში ცივი გონება ბატონობს გრძნობაზე. ამის ილუსტრირებასაც ლეთროპი თავისი გმირის ქმედებებით ახდენს. სარეკლამო აგენტმა ტეტლოუმ თავისი ქორწილის დღე დანიშნა არა მაშინ, როდესაც მან და მისმა მომავალმა მეუღლემ გადაწყვიტეს, რომ თავიანთი ბედი ერთმანეთისთვის დაეკავშირებინათ, არამედ მაშინ, როდესაც სააგენტოში ამ განცხადების გამოქვეყნებისთვის მოხერხებული დრო იყო.

ლეთროპი ზუსტად ასახავს ფსიქოლოგიურ ნიუანსებს, როგორ ხდება საზოგადოების მიერ მისი რომელიმე ნევრის კეთილშობილური წამონწყების ჩახშობა საზოგადოებრივი

ნორმებისა და წესების დაცვის საჭიროების შეხსენებით. როდესაც იგი წერს ტეტლოუს მიერ ერნისათვის ნახევარი დოლარის შეწირვაზე, აღწერს, როგორი რეაქცია ექნებოდა ამაზე საზოგადოების „საშუალო ზნეობრივი ღირებულებების“ წარმომადგენლებს: „they could have been at once convicted of a gross offense against the maxims.“ როდესაც ერნი დაიკარგა და ტეტლოუმ დაიჩივლა, რომ ველარასოდეს ნახავდა მას, ერთ-ერთმა მეგობარმა ასე დაამშვიდა: „Why in the name of reason should you want to?“, სხვა მეგობარი კი ასე უქადაგებდა: “preached to him the heinousness of giving promiscuous relief to the poor and thereby encouraging intemperance and crime.” ერნისადმი ტეტლოუს დამოკიდებულების შეფასებისას ავტორი საზოგადოების წვლილს ასე აყალიბებს: „became alluring to him, and tempted him to drop the whole troublesome business.“

ავტორის ჩანაფიქრი და თხზულების დედააზრი კარგად ჩანს ერთ-ერთ ფინალურ პასაჟში, რომელშიც აღწერილია ტეტლოუს განცდები ერნის დაკარგვის შემდეგ: “always when his (იგულისხმება ერნი) image comes (იგულისხმება ტეტლოუს სიზმრისეული ხილვები) it is like the form of some lost duty, some exiled power of loving - kindness, banished from the world when this same fellow - creature was cast out into misery.”

ლეთროპი ქრისტიანული აღმსარებლობისა იყო. მას სწამდა, რომ, თუ ადამიანს ყველა მიატოვებდა, ღმერთი მაინც ყოველთვის მასთან იქნებოდა. ეს კარგად ჩანს მის ლექსში „შიმშილი და მკა“ („Famine and Harvest“): “Fear not! Though thou starvest, / Provision is made: / God gathers His harvest / When our hopes fade!” ლეთროპს სწამდა ისიც, რომ ეკლესიამ, როგორც ინსტიტუციამ, და ქრისტიანებმაც არ უნდა მიატოვონ გასაჭირში მყოფი მოყვასი. როდესაც ტეტლოუ იგებს, რომ ერნის გადასარჩენად მისი ეკლესია და მრევლიც არაფერს აკეთებს, ყოვლად წარმოუდგენლად, „კომიკურადაც“ კი აღიქვამს ამ სიტუაციას.

მიგვაჩნია, რომ აქცენტის მოყვასისადმი ქრისტიანულ სიყვარულსა და თანაგრძნობაზე, რაც თანაბრად მნიშვნელო-

ვანი იყო მეცხრამეტე საუკუნის ამერიკელი და ევროპელი მკითხველისათვის, და რაც მოგვიანებით საფუძვლად დაედო შემწყნარებლობის დემოკრატიულ პრინციპებს, ყველაზე მნიშვნელოვანი იმპულსი იქნებოდა ფრანგი, რუსი და ქართველი მოღვაწეებისათვის, რომლებმაც ამ ნაწარმოების თარგმნა გადაწყვიტეს. მეორე მხრივ, ამ უმნიშვნელოვანესი საერთო ორიენტირის მიუხედავად, თითოეულ მთარგმნელს ჰქონდა საკუთარი კონკრეტული მიზანდასახულობაც, რომელიც უკავშირდებოდა მათი მკითხველის ისტორიულ-კულტურულ სპეციფიკას და ინტერესებს.

იმ მიზნით, რომ არ გადაეღალათ მკითხველი მისთვის უცნობი ქვეყნის გეოგრაფიული სახელებით, დანესებულებების აღწერითა და უცხო გვარებით, მთარგმნელები ტექსტიდან ასეთ დეტალებს ხშირად ტოვებდნენ, საკუთარ სახელებს საზოგადოთი ანაცვლებდნენ ან იქვე ურთავდნენ განმარტებებს. ასე არის თარგმანებიდან გამოტოვებული: Union Square, Jefferson Market, the Hudson River, Chatham Street, Fifty-Ninth Street, Sixth Avenue, Canal and Center Streets. Andson-yule, Brooklyn Navy-Yard, Pearl Street და სხვ. „Cooper Institute Reading-Room“ ქართულად გადათარგმნილია უბრალოდ, როგორც „ბიბლიოთეკა“, მოთხრობის სათაურში სიტყვა „ნუიორკს“ კი სქოლიოში აქვს განმარტება: „ნუიორკი უმთავრესი ქალაქია ამერიკის რესპუბლიკისა“.

სოციალური უსამართლობის წარმოსაჩენად ლეთროპი ხშირად მიმართავს გროტესკს. როდესაც ტეტლოუ ერნს ეკითხება, რატომ არა აქვს პენსია, იგი პასუხობს, რომ ომში მხოლოდ და მხოლოდ დაიჭრა. აი, დაჭრის ნაცვლად რომ მომკვდარიყო, პენსიას აუცილებლად დაუნიშნავდნენ“. იმ ეპიზოდში კი, რომელშიც საუბარია გლახაკებზე, რომლებიც კუპერის ინსტიტუტის სამკითხველო დარბაზში შედიოდნენ გასათბობად და გაზეთების წასაკითხად, ავტორი დასძენს: „...These vagrants have been led hither by a delirious hope of finding their own deaths announced in the papers, and the enigma of their starved lives solved by a line or two of print.“

გროტესკის მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის რიტორიკული მიმართვა მათდამი, ვინც ნიუ-იორკის ქუჩებს აშენებს ერნისნაირი ადამიანების თავშესაფრად: „O, wise generations that lays out streets! For without them what should we do with our loose human beings? We might be forced to hang or imprison them all; unless, perchance, we were driven to show a love so untiring for them that they should be restored to order and fitness. But we dont all belong in the streets, and why dont we? Whos to decide whether this particular man belongs there or not?

ასევე გროტესკულად არის წარმოჩენილი ნოველაში საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობა. სამშობლოს დასაცავად ბრძოლაში დაინვალიდებულ უსახლკარო, უთვისტომო ადამიანს ყველა უარს ეუბნება დახმარებაზე, რადგან თითოეულს კონკრეტული ვინრო პროფილი აქვს, რომელსაც ერნის მდგომარეობა არ მიესადაგება. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი გულუბრყვილოდ ეტყვის კიდევ, ნეტავი ლოთი იყო, რომელსაც სასმელისთვის თავის დანებება უნდა, მაშინ ჩვენი პროფილის შესაფერისი იქნებოდი და სიამოვნებით დაგეხმარებოდითო. ასეთ ორგანიზაციებზე ნოველაში მწარე ირონიით არის ნათქვამი, რომ ისინი: „swallow camels mostly, and strain at the hungry gnats”.

როგორც ვხედავთ, ნოველა, რომლის ავტორიც არა მხოლოდ ქართული საზოგადოებისათვის, ბევრი მისი თანამემამულისთვისაც კი უცნობია, საკმაოდ მაღალი მხატვრული ღირებულებისაა. როგორც ჩანს, ლეთროპის ნიჭი დაიწრიდლა მეცხრამეტე საუკუნის სხვა, დიდი ამერიკელი ნოველისტების გვერდით, რომელთაგან ერთ-ერთი მისი სიმამრი - ნათანაელ ჰოთორნი იყო.

რამდენადაც მკითხველისათვის საინტერესო იქნება ცოტა უფრო მეტის შეტყობა იმ ავტორის შესახებ, რომლის ნოველაც თარგმნა ილია ჭავჭავაძემ, აქვე წარმოვადგენთ მოკლე ინფორმაციას მისი მოღვაწეობის შესახებ.

ჯორჯ პარსონს ლეთროპის (1851-1898) ლიტერატურული და ჟურნალისტური მოღვაწეობა საკმაოდ მდიდარი და მრავალმხრივია. მას ეკუთვნის რომანები: „მწუხრი“ (Afterglow), „ვნების ექო“ (An Echo of Passion) „შორიდან“ (“In The Distance”) და „ნიუპორტი“ (“Newport”), არაერთი პოეტური კრებული და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები: „ჰოთორნის შემოქმედების კვლევა“ (“A Study of Hawthorne”), „ნიუ იორკის ლიტერატურული მოძრაობა“ (“The Literary Movement In New York”), „ლიტერატურული და სოციალური ბოსტონი“ (“Literary and Social Boston”), „ხელოვნების პროგრესი ნიუ-იორკში“ (“The Progress of Art in New York”), „საუბრები ედისონთან“ (“Talks with Edison”), „კოლრიჯი, როგორც პოეტი და პიროვნება“ (“Coleridge as Poet and Man”) და სხვ. ლეთროპი სხვადასხვა წლებში იყო ორი პოპულარული ამერიკული ჟურნალის „ატლანტიკ მანთლისა“ („Atlantic Monthly”) და „ბოსტონის კურიერის“ („Boston Courier”) რედაქტორი, 1883 წელს კი დააარსა საავტორო უფლებების ამერიკული ლიგა („American Copyright League”).

საინტერესოა ხოლმე ავტორის შემოქმედების ანალიზი მის მიერ საგანგებო დეკლარაციაში, ნარკვევში, ესეში, პუბლიცისტურ ან პირად წერილში ჩამოყალიბებული შემოქმედებითი კრედოს ფონზე. ლეთროპის ნარკვევი „რომანი და მისი მომავალი“ (“The Novel and its Future”), ამგვარი დაკვირვებისათვის საუკეთესო მასალას გვანვდის. მასში ვკითხულობთ: „რეალიზმი მიზნად ისახავს, ჩაუკვირდეს თითქოსდა ყველაზე უმნიშვნელო და უინტერესო ხასიათებსა და მოვლენებს, რომ ცხოვრების სიღრმიდან ზედაპირზე ამოიტანოს მათი სრული ღირსება და ჭეშმარიტი არსი. ის ყველა ცალკეულსა და კერძოში განჭვრეტს კავშირს ნაცნობსა და განსაკუთრებულთან, ადამიანური ბუნების ხილულ და უხილავ შრეებთან. იგი ცდილობს, გარეგნულად უმნიშვნელო დღეების უღიმღამო მოსასხამს მიღმა აღმოაჩინოს ხასიათების სულიერი კონტურები, შეაფასოს მათი ზრდა, თვალი ადევნოს

მორალური დაცემისა თუ ხელახალი აღორძინების სიმპტომებს და გაზომოს გრძნობითი და ინტელექტუალური პრობლემების სიღრმე. მოკლედ, რეალიზმი აღმოჩენაა. იქ, სადაც ჩვენ გვეგონა, რომ ღირსშესანიშნავი არაფერი იყო, იგი ცხადლივ დაგვანახებს, რომ თურმე ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილა“.

როგორც ვხედავთ, ნოველა „გარიყულიც“ ამ პრინციპების ზუსტი ხორცშესხმაა. ავტორი მასში ფარდას ხდის პერსონაჟთა სულის სიღრმეში დაფარულ განცდებს, ვნებებსა და მისწრაფებებს და ყოველივე ამას წარმოგვიდგენს საოცრად დამაჯერებლად, მუდმივი დინამიკისა და განვითარების პროცესში.

მართალია, ლეთროპი სახელოვან მწერალთა რიცხვს არ მიეკუთვნება, მაგრამ თუნდაც ის ფაქტი, რომ მისი ნოველა „გარიყული“ დაწერიდან სულ მოკლე დროში ითარგმნა ფრანგულ, რუსულ და ქართულ ენებზე და სამი სხვადასხვა ენისა და კულტურის მქონე საზოგადოების ინტერესი დაიმსახურა, შემთხვევითი არ უნდა იყოს და ზემოთ განხილულ მხატვრულ-ესთეტიკურ ასპექტებთან ერთად, მის შემოქმედებით ღირსებაზე ესეც უნდა მეტყველებდეს.

ილია ჭავჭავაძის თხოულობის ადრესატთა იდენტიფიკაცია

„კ.ბ.მ-სას“: დღემდე უცნობია, ვის მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ ლექსი „კ.ბ.მ-სას“. მისი ავტოგრაფი შემორჩენილი არ არის, პირველად კი 1877 წლის 24 მარტს გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ ხელმოწერულად და უთარილოდ. მართალია, 1892 წლის გამოცემაში მას თარიღად მინერილი აქვს 1877 წელი, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ დათარიღების თვალსაზრისით ეს გამოცემა სანდო არ არის და ლექსების უმეტესობას თარიღად პირველი პუბლიკაციის წელი აქვს მითითებული. შესაბამისად, თარიღთან დაკავშირებით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ ლექსი 1877 წლის 23 მარტამდეა დაწერილი (ცენზურის ნებართვა ამ დღეს არის გაცემული).

იმისათვის, რომ გაგვერკვია ლექსის ადრესატის ინიციალების მნიშვნელობა, დავაკვირდით ილია ჭავჭავაძის მიერ ქალბატონებისადმი მიძღვნილი სხვა ლექსების სათაურებს: „ალბომში კნენის ნატალია ანდრონიკოვისას“, „კნიაჟნა თიკოს ჭავჭავაძის ალბომში“, „ჩ... სას“ და „ს... ჩ... სას“. მივედით იმ დასკვნამდე, რომ პირველი ინიციალი შეიძლება ნიშნავდეს როგორც „კნენისას“, ისე „კნიაჟნას“. შესაბამისად, ადრესატი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც გასათხოვარი, ისე უკვე ჯვარდანიერი ქალბატონი. დაბოლოებას - „სას“ გვარის ბოლოს, როგორც ჩანს, მე-19 საუკუნეში არ იყენებდნენ მხოლოდ გათხოვილი ქალბატონების მეუღლის გვარის აღნიშვნისას. იგი გვხვდება გაუთხოვარი ქალების მამისეულ გვართანაც. ამის დასტურია თუნდაც ილია ჭავჭავაძის ლექსების სათაურები: „ჩ... სას“ და „ს... ჩ... სას“, სადაც შემოკლებაში „ჩ...სას“ ორივეგან იგულისხმება გაუთხოვარი ქალის მამისეული გვარი - „ჩაიკოვსკისას“. ამ დაკვირვების საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ლექსის

„კ.ბ.მ-სას“ ადრესატის სახელი იწყება ასო „ბ“-ზე, ხოლო მისი ან მისი მეუღლის გვარი (თუ გათხოვილია) — ასო „მ“-ზე.

ლექსის თემიდან და განწყობიდან გამომდინარე, ამ ქალბატონთან ილია ჭავჭავაძეს ისეთი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა, რომ შესძლებოდა სხვადასხვა თემაზე საუბარი და გულისტკივილის გაზიარება. ჩანს ისიც, რომ ლექსის ავტორი ადამიანების მიმართ უფრო ლოიალური უნდა ყოფილიყო, ვიდრე მისი ადრესატი. ლექსის ლეიტმოტივია: „ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩვენგანს¹ / ხელსა ვანვდიდი მეგობრობისას, / რომ უარვეყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის / სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას...“ მწერალი ქალის - ეკატერინე გაბაშვილის მოგონებებში არაერთგან ჩანს, როგორ უხერხულად გრძნობდა ილია ჭავჭავაძე თავს ქალთა საზოგადოებაში. მეორე მხრივ, იგი ასეთ უხერხულობას არ განიცდიდა ნათესავ ქალბატონებთან მიმართებით, მათ ვრცელ წერილებსაც სწერდა (მაგ. ნენე ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილს, ანიკო ვაჩნაძეს) და ლექსებსაც უძღვნიდა (თიკო ჭავჭავაძეს, ნ. ანდრონიკოვისას”).

ასეა თუ ისე, წარმოუდგენლად მოგვეჩვენა, რომ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეში არ გაელვებულებოდა ამ ლექსის ადრესატის ვინაობა. როდესაც საძიებლებში გამოვსვინდებ პირთა ინიციალებზე დაკვირვება და ვინწყეთ, გვეგონა, რომ ბევრი ასეთი შემთხვევა გამოვლინდებოდა და შემდგომი კვლევა დაგვჭირდებოდა იმის გასარკვევად, თუ რომელი მათგანი შეიძლებოდა ყოფილიყო ნაგულისხმევი ლექსში, მაგრამ მონაცემები დაემთხვა მხოლოდ ერთი პიროვნებისას. ეს არის ილიას მეუღლის - ოლღა გურამიშვილის მამიდაშვილის - ირაკლი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონის ქალიშვილი - ბაბო (ბარბარე), რომელსაც მწერალი პირად წერილებში „ბაბო მუხრანსკად“ მოიხსენიებს.

1. პირველ პუბლიკაციებში არის „ჩემგანს“. ავტორმა იგი 1892 წლის თხზულებათა კრებულში შეცვალა ფორმით „ჩვენგანს“.

ილია ჭავჭავაძის პირად წერილებში არაერთგან ჩანს, რომ მუხრანბატონები მას ქედმაღლურად უყურებენ, როგორც რიგით თავადს (და არა სამეფო წარმომავლობისას) და თან ღარიბს. ჩანს ისიც, რომ კიდევ უფრო დიდი ამბიციები ჰქონია ბაბო მუხრანსკის დედას - ეკატერინე ივანეს ასულ არლუთაშვილ-მხარგრძელისას. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არ უნდა ჰქვებოდა პირადად ბაბოსაც. ილია ჭავჭავაძის წერილში მეუღლისადმი ვკითხულობთ: „ბაბო მუხრანსკის წიგნი მოგსვლია, რომელშიაც ჩემზედ სამდურავი მოუნერია... მიკვირს, რათ მოჰგონებინარ დიდ მუხრანბატონებს, ანუ ჩემი მათთან მიუსვლელობა რად შეუმჩნევიათ“. შესაბამისად, სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება, რომ ილია ჭავჭავაძე ლექსით შეკამათებოდა ამ ქალბატონს იმასთან დაკავშირებით, უნდა გაუნოდონ თუ არა ადამიანებმა გვერდით მდგომს მეგობრობის ხელი („ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩვენგანს / ხელსა ვანვდიდი მეგობრობისას“) იოლად უნდა იჯერებდნენ თუ არა მოძმეთა მტრობას („რომ უარვყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის / სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას...“), უნდა ჰქონდეთ თუ არა სიკეთის რწმენა („მე კაცთ სიკეთის მსურვალე რწმენა / ჭირში თუ ლხინში წინ მიმიძლოდა...“) და რა სჯობს, ცივი გონება და ნიჰილიზმი თუ ადამიანებისადმი ნდობის შენარჩუნება („ოლონდ კვლავ მომე: ის ცდომა მიჯობს, / ვიდრე უცდლომი გამოცდილება!“ „უმისოდ გული ცივია, ბნელი, / ვითა სადგური გაუქმებული“).

ლექსი დაიბეჭდა 1877 წლის მარტში, მაგრამ ძნელი სათქმელია, იგი გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით ადრე დაინერა თუ წინა წლებში (ბაბო მუხრანსკის ილია, სავარაუდოდ, გაიცნობდა ოლღა გურამიშვილისგან, 1863 წელს), ან რა კონკრეტული განწყობა და ფაქტი დაედო მას საფუძვლად. 1877 წლამდე ილია ჭავჭავაძეს არაერთი ღალატი და დაპირისპირება ჰქონდა განცდილი. 1870-იანი წლების დასაწყისში იგი აქტიურად იყო ჩართული ე. წ. „მამათა და შვილთა ბრძოლის“ მეორე ეტაპში, 1873 წლიდან ბევრი მტერი გაიჩინა ბანკის სა-

კითხებთან დაკავშირებით (გავიხსენოთ, თუნდაც, ნიკო ქავჭავაძის მაგალითი), 1875 წლის იანვარში კი მისი სიმამრის - თადეოზ გურამიშვილის გარდაცვალებას მოჰყვა სამემკვიდრეო დავები და ხელახალი დაპირისპირება მეუღლის ნათესავებთან, რომლებმაც იმდენი მოახერხეს, რომ ოღლა გურამიშვილ-ქავჭავაძისას მამის მემკვიდრეობის ძალზე მცირე ნაწილი შეახვედრეს. როგორც ვხედავთ, ლექსში გადმოცემული განწყობისთვის მწერალს არაერთი მიზეზი ჰქონდა, ადრესატი კი, ჩვენი ვარაუდით, უნდა იყოს მისი ნათესავი (მეუღლის მხრიდან) — „კნიაჟნა ბაბო (ბარბარე) მუხრანსკისა“, რომელიც ილია ქავჭავაძის სანათესაოში არსებული დაპირისპირებების საქმის კურსშიც იყო და საზოგადოებრივ ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებისაც.

გამოცანები: ილია ქავჭავაძის სამი უთარილო ლექსი-გამოცანა („რად გვინდა, ვინ ხარ...“), რომლებიც ერთადერთი ავტოგრაფის სახით არის შემორჩენილი¹ და ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, 1871 წელს დაწერილი „გამოცანებისგან“ და „კიდევ გამოცანებისგან“ იმით განსხვავდება, რომ არ იწყება ნაგულისხმევ პიროვნებათა გარეგნობის აღწერით (იხ.: „ულვაშსრული მელოტია...“ „ბულაა და კისერმოკლე...“, „პირტიტველა და ჭროლთვალა“; „ერთი არის ტანად მომცრო...“, „ბაიყუშივით თავდიდა“). ამასთანავე, პირველი გამოცანა მიმართვის ფორმით არის დაწერილი და არა მესამე პირში. შესაბამისად, უთარილო სამი გამოცანა 1871 წლის გამოცანების ნაწილი, დამატება ან ვარიანტი არ უნდა იყოს, მაგრამ, სავარაუდოდ, ისევე, როგორც წინა გამოცანებს, ამათაც უნდა აერთიანებდეს ერის ცხოვრებაში მომხდარი გარკვეული უარყოფითი მოვლენები და მწვავე დაპირისპირება საზოგადოების სხვადასხვა წრეს შორის.

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ქავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, N131.

ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მინიშნება, რაც ამ გამოცანებშია მოხსენიებული, არის „Листок“-ი და „დუმა“.

„Листок“-ში გაზეთი „Тифлисский Листок“-ი უნდა იგულისხმებოდეს, რომელსაც ძალიან ხშირად აკრიტიკებდა ხოლმე ილია ჭავჭავაძე, ხოლო „დუმაში“, ჩვენი აზრით, თბილისის საქალაქო საბჭო, რადგან რუსეთის სახელმწიფო საბჭოს „Тифлисский Листок“-თან ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო და თან იგი პირველად 1906 წელს მოიწვიეს, როდესაც პოეტი ამგვარ პამფლეტებს, რამდენადაც ცნობილია, აღარ წერდა. ამიტომ ორიენტაცია ავიღეთ თბილისის „დუმაზე“.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში პირველი გამოცანის ადრესატად მიჩნეულია დავით კეზელი (გვ. XXV). პავლე ინგოროყვა იზიარებს ამ მოსაზრებას და ვარაუდობს, რომ მეორე გამოცანა შეიძლება გიორგი წერეთელს გულისხმობდეს¹. რაც შეეხება ამ გამოცანების თარიღს, ინგოროყვა მას, ზოგადად, 90-იანი წლებით ათარიღებს,² მაგრამ, რამდენადაც ზემოხსენებულ გამოცემლებს არ მოჰყავთ არავითარი კონკრეტული არგუმენტი, შევეცადეთ გადაგვემონშებინა თითოეული ეს მოსაზრება.

პირველი გამოცანის ფრაზა: „უშენოდ ვერ სძლებს „Листок“-ი / ვერც ჯდომას, ვერცა ნოლასა“ მიგვანიშნებს, რომ გამოცანაში ნაგულისხმევი პიროვნება ასოცირდებოდა გაზეთ „Тифлисский Листок“-თან. ამ გაზეთს სომეხი ეროვნების რედაქტორი ჰყავდა - ივანე ხაჩატუროვი, მაგრამ იგი აქ ნაგულისხმევი ვერ იქნება, რადგან ტაეპები: „შენთაგან გაჭრას გინონებს და ეშმაკებთან სრბოლასა“, „სჯობს უყოლობა კაცისა / შენისთანისა ყოლასა.“ იმაზე მიმანიშნებელია, რომ სატირის ობიექტი სხვის წისქვილზე უნდა ასხამდეს წყალს,

1. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. I, 1951, გვ. 457.

2. ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად. პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის რედაქციით, ტ. I, 1925 წ., გვ. 420.

ანუ ქართველი უნდა იყოს და ქართველთა საწინააღმდეგო საქმეს აკეთებდეს.

მართალია, ილია ჭავჭავაძეს პოლემიკა ივანე ხაჩატუროვთანაც ჰქონდა, მაგრამ უფრო ხშირად მის თანამშრომელ დავით კეზელს აკრიტიკებდა, იმიტომ, რომ ეროვნებით ქართველი იყო და თავისივე ერის წინააღმდეგ უსამართლო ბრალდებებით გამოდიოდა. 1889 წლის პამფლეტში „ამბავი ყბად-ასალები და წყალ-წასალები“ მწერალი აღნიშნავს: „Листок-ისათვის ცომს ვანუა ჰზელავს და ზოილი აფუებს“, ხოლო მეორე პამფლეტში - „სახელდახლოს დებემა (ყბად ასალები და წყალ წასალები)“ წერს: ყველას მოსწონს გულუხვობა „Тифлисский Листок“-ისა. ამბობენ ჯერ ამისთანა ჯილდო ზოილისათვისაც არ გაუმეტნია „Тифлисский Листок“-ს“.

ზოილი დავით კეზელის ფსევდონიმი იყო. იაკობ მანსვეტაშვილი 1890-იან წლებში სათავადაზნაურო ბანკში არსებული დაპირისპირებების შესახებ საუბრისას აღნიშნავს: „ცნობილი ენა-ღვარძლიანი მეფეღვარძონე ზოილი დანავარდობდა „Тифлисский Листок“-ის ფურცლებზე... ლამაზი, მარილიანი სიტყვისთვის ხომ ღვიძლ მამასაც არ დაინდობდა. „Тифлисский Листок“-ი ეკუთვნოდა ძმებს ხაჩატუროვებს... ესენი უფრო უჩუჩხუნებდნენ და მუგუზლებს უმატებდნენ იმ კოცონს, რომელიც ბანკის გარშემო იყო ანთებული. ამათ რა ენაღვლებოდათ, თუ ქართველობა დას-დასად დაიყო, ერთმანეთს სისხლის მტრებად გადაეკიდნენ“. მოგვიანებით დავით კეზელმა ახალი ფსევდონიმი - Novus-ი აირჩია და ილია ჭავჭავაძის წერილებშიც თანდათან გახშირდა Novus-ის კრიტიკა: ერთგან ვკითხულობთ: „...ჩვენი ძალგულოვანი Novus-იც არ დაიშურებს მაშინ ჩვენს სარჩლს-ქომავობას. ვიცით იმისი კეთილი გული... ამისთანაებში ის ისეთი ავტორიტეტია, რომელსაც სიზმარიც კი დაეჯერება“. შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ გამოცანაშიც დავით კეზელი იგულისხმებოდეს.

გამოცანის ფრაზა: შენთან არავინ ჰკადრულობს /არცა ზავს, არცა ბრძოლასა“ მოგვაგონებს 1894 წელს „ორხმიან საახალწლო ოპერეტში“ დავით კეზელის სახელით წარმოქმულ ფრაზას: „ვისაც ვებრძვი, არ მებრძვიან, / მამ მე ვარ გამარჯვებული“.

მეორე გამოცანაში, დათარიღების მიზნით, ყველაზე მნიშვნელოვანია „დუმის“ ხსენება: „მაგრამ რა „დუმას“ შეერთვის / მაშინ ის ჩვენთვის მკვდარია.“ ლექსის მიხედვით, გამოცანაში ნაგულისხმევი პირის „დანაშაული“, სავარაუდოდ, ამ „დუმის“ ნევრად გახდომაა. ისტორიული მასალიდან იკვეთება თბილისის „დუმაში“ არჩეული ორი პიროვნების სახე, რომელთა შესახებაც პოეტს შეიძლებოდა ასეთი რამ ეთქვა — 1893 წელს არჩეული გიორგი წერეთელი და 1897 წელს არჩეული გიორგი თუმანიშვილი. 1893 წლის 16 მაისს ჩატარებულ არჩევნებში ქართველთაგან მხოლოდ ექვსმა კაცმა გაიმარჯვა (ამ ექვსიდან ერთი თავად ილია ჭავჭავაძე იყო 498 ხმით 438-ის წინააღმდეგ), მაგრამ ეს კენჭისყრა საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ უკანონოდ ცნო და დანიშნა ხელახალი არჩევნები (30 მაისს), რომელიც, სავარაუდოდ, კიდევ უფრო უარეს შედეგს მოიტანდა. ამიტომ ქართველმა კანდიდატებმა უარი თქვეს ხელახალ არჩევნებში მონაწილეობაზე. გამონაკლისი იყო მხოლოდ ვინმე კალოუბნელი და გიორგი წერეთელი. ილია ჭავჭავაძემ ეს ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ღალატად შეაფასა. მისი რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „ივერიაში“ ამის შესახებ დაიწერა: „კენჭის ყრაზე უარი სთქვეს ყველა ქართველებმა, გარდა ბ—ნ გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლისა, რომელმაც თავი გამოირიცხა ქართველთაგან“¹. შესაბამისად, ვფიქრობთ, ამის გამო ილია ჭავჭავაძეს შეიძლებოდა ეთქვა გიორგი წერეთელზე: „მაგრამ რა „დუმას“ შეერთვის / მაშინ ის ჩვენთვის მკვდარია.“

1. გაზ. „ივერია“, 1893, 1 ივნ. N112, გვ. 1.

მეორე მხრივ, ილია ჭავჭავაძე კიდევ უფრო მეტად აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ 1897 წელსაც იგივე განმეორდა. მიუხედავად მისი მცდელობისა, რომ ემხილებინა არსებული „დუმის“ ნაკლოვანებები და დაერწმუნებინა საზოგადოება, რომ არჩევნებში აუცილებლად მიეღოთ მონაწილეობა, ვერაფერს გახდა მყარ კლანად ჩამოყალიბებული სომხური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გიორგი ლასხიშვილის მოგონებებში 1897 წლის არჩევნებთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „ფიქრობდი... ქართველების სიაში შეტანილი არიან ილია ჭავჭავაძე და სხვა ცნობილი მოღვაწეები, ამიტომ სომხები წინდახედულად მოიქცევიან და არ მოისურვებენ ქართველთა ეროვნულ გრძნობის შელახვას-მეთქი. მოლოდინი გამიცრუვდა... ოც კანდიდატიდან ქართველი აირჩიეს მხოლოდ შვიდი კაცი ისეთები, რომელთაც თითქმის არავითარი წონა არ ჰქონდათ ქართველ საზოგადოებრიობაში... გააშავეს ილია ჭავჭავაძე, ვლადიმერ მიქელაძე, გიორგი წერეთელი და სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები. დამატებით არჩევნებზე უარი სთქვეს და უარი განაცხადეს იმათაც, ვინც არჩეული იყო. ამრიგად ახალ საბჭოში მოჰყვა მხოლოდ ერთი ქართველი თავ. გიორგი ორბელიანი”.

გიორგი ორბელიანის მიმართ პრეტენზიებს ნაკლებად გამოთქვამდნენ, რადგან, როგორ ჩანს, მისი პოზიციები იმთავითვე ცნობილი იყო, მაგრამ, გიორგი ლასხიშვილის თქმით¹, საერთო აღშფოთების ობიექტად იქცა გიორგი თუმანიშვილის პოზიცია („ყველა ლანძღვა-გინებითა და წყევლა-კრულვით იხსენიებდა გიორგი თუმანიშვილს, ეძახდა მას „მოღალატეს“ და სხვა“. იგი ეროვნებით სომეხი იყო, მაგრამ, ბევრი ქართველისაგან განსხვავებით, დაჟინებით მოითხოვდა, რომ თუმანიშვილად მოეხსენიებიათ და არა თუმანოვად,

1. გიორგი ლასხიშვილი, მემუარები, 1885-1915, ტფილისი: 1934 დანართი: „სახელთა საძიებელი“, გვ. 297-306.

იყო განათლებული ადამიანი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, ქართული დრამატული საზოგადოების ერთ-ერთ დამაარსებელთაგანი და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული არაერთი პუბლიკაციის ავტორი. ქართველებს ეგონათ, რომ ის ბრმად არ დაუდგებოდა გვერდით თავის თანამოძმეებს და შეეცდებოდა, რომ ქალაქის საბჭოს არჩევნების დროს თბილისის სხვა ეროვნების მოქალაქეთა ინტერესებიც ყოფილიყო გათვალისწინებული.

რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, ამ არჩევნების შემდეგ გამოიკვეთა „დუმის“ ახალარჩეული წევრის, გაზეთ „Новое обозрение“-ს რედაქტორის - გიორგი თუმანიშვილისა და „Тифлисский листок“-ის თანამშრომლის - დავით კეზელის საერთო პოზიციები და ინტერესები. დავით კეზელმა 1898 წელს „Тифлисский листок“-ში (N55, გვ. 81-82) გამოქვეყნებული სტატიით სცადა ჩარეულიყო გიორგი თუმანიშვილისა და ილია ჭავჭავაძის პოლემიკაში პირველის მხარდასაჭერად. საპასუხო სტატიებში ილია Novus-ს, ანუ დავით კეზელს, თუმანიშვილის ამქრის „მებუკეს“ უწოდებს და გიორგი თუმანიშვილს ასე მიმართავს: „თქვენის ამქრის მებუკე Novus-ი იუდა ისკარიოტელს მაცხოვრად ვერ გაგვიხდის, ბევრიც რომ კუდი იქნით, ერთმანეთზე გამობმული“, მეორეგან წერს: „...თ. გ. თუმანიშვილი Novus-ისათვის ისეთი კაცია, რომ არამც თუ სიზმარი, სულელობაც კი დაეჯერება“¹.

„Тифлисский листок“-ის პოზიცია საქალაქო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ყველაზე კარგად ჩანს ილია ჭავჭავაძის 1897 წლის 19 მარტის წერილიდან: „სომხებმა დაიჩემეს სხვისი პატრონობა ტფილისში... აქაური სომხობაც ამას არამც თუ უარს არა ჰყოფს, პირიქით, იქადის კიდევ „ტფილისის ლისტოკის“ პირით, - ასეც უნდა იყოსო: ქალაქი ტფილისი ჩვენი საკუთრებაა და მისი სვე-ბედი ჩვენს ხელთ უნდა იყოსო“.

1. „ოინბაზობა თუ სულელობა“, ილია ჭავჭავაძე, თბზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ. 14, თბილისი, 2007, გვ.86.

გადავავლოთ თვალი ილია ჭავჭავაძის იმდროინდელ პოლემიკურ წერილებს და ვნახოთ, შეიძლება თუ არა, რომ გამოცანების მეორე ლექსში გიორგი თუმანიშვილი იგულისხმებოდეს. სტატიაში „გიორგი თუმანოვისა და მისი ამქარის აზრები“ 1898 წლის 17 იანვარს ილია ჭავჭავაძე წერდა: „იგი ცალის ყბით, რომელიც ჩვენკენა აქვს მოქცეული, მითამ ჩვენთვისა სტირის და სწუხს და მეორეს ყბით, რომელიც თავის ამქრებისათვის მიუშვერია, იცინის და ჰხარობს, მითამ, ნუ გეშინიანთ, სულელებს ვაბრიყვებო“. შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ მასზე ეთქვა: „ვითომდა იღვწის ჩვენთვისა,/ ჩვენთვის სდის ცრემლთა ღვარია“.

იმავე სტატიაში ვკითხულობთ: „ძმობა და ერთობაო, მაინც არ იშლის და გაიძახის ეს უსტაბაში თავისის ამქრისა“. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ მის მიერ ძმობისა და ერთობის ქადაგების სიყალბე ილია ჭავჭავაძეს ასეც გამოეთქვა: „ძმობას გვიქადის, ერთობას,/ ისმის ზათქი და ზარი“. ძმობისა და ერთობის ქადაგებას ამოფარებული ღალატი ლეიტმოტივად გასდევს ამ წერილის მთელ პასაჟს, საიდანაც კარგად ჩანს, როგორ მოიქცნენ თუმანიშვილი და „მისი ამქარი“ 1897 წლის არჩევნების დროს: „ჩვენის სატახტო ქალაქის საბჭოში ქართველი თითქმის არ გააჭაჭანეს. თ. გ. თუმანოვი, რომელიც ასე გულტკბილად გვიქადაგებდა და გვიქადაგებს ძმობასა და ერთობას, როგორ მოიქცა? იმან არამც თუ ამაში არ დაინახა გატეხა ძმობისა და ერთობისა, არამედ თვისის საქციელით ბეჭედიც დაჰკრა. სხვა, მართლის გულით მქადაგებელი ძმობისა და ერთობისა, ამისთანა საბჭოს ზურგს შეაქცევდა... მაგრამ... ამასაც არ დასჯერდა: მოურავობაც კი მოენწყურა ამისთანა ძმურად შემდგარ კრებულისა... ძმობის გამტეხთა შორის ჯდომა და მეთაურობა, ესე იგი მოურავობა, განა ორპირობა არ არის იმით მხრით, ვინც ძმობისა და ერთობის იავნანას გვიგალობს ყოველდღე?“ იქვე ვკითხულობთ: „ჩვენ თ. გ. თუმანოვს იმას კი არ ვუწუნებთ, რომ იგი სომეხია. ჩვენ ვამბობთ, რომ იგი ორპირი კაცია, რომ იგი

ჩვენთან ჰაკანებს და კვერცხს კი სხვაგან ეზიდება.” შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ სიტყვები „მაგრამ რა „დუმას” შეერთვის, / მაშინ ის ჩვენთვის მკვდარია” - გიორგი თუმანიშვილზე იყოს ნათქვამი.

მას შემდეგ, რაც მოჰყავს ციტატები თუმანიშვილის სტატიებიდან, რომლებშიაც იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ თბილისის ძველთაგანვე სომხების ქალაქი იყო, ილია ჭავჭავაძე წერს: „ის ლოლიკა, რომელსაც დღეს თ. გ. თუმანოვი ასე თმაგლეჯით გაჰკივის, „სადა ხარო”, მართლა სად იყო, რომ ეს სასაცილოდ ასაგდები ციფრები დაიჯერა და სხვასაც დასაჯერად მიართვა?” სხვაგან მწერალი აღნიშნავს: „თ. გ. თუმანოვს, როგორც უკვე ყველას მოეხსენება, არამცთუ საკუთარი აზრი არა აქვს, სხვისი აზრის გაგების უნარიც არა ჰქონია.” იგი ამახვილებს ხოლმე ყურადღებას თუმანიშვილის მსჯელობის ალოგიკურობაზე და ხშირად აშარჟებს მის ნათქვამებს: „შეიძლებაო კაცი კარგი პოეტი იყოს, კარგი ორატორიცა და პუბლიცისტად კი და ჟურნალისტად არ ვარგოდესო. მართალია, შეიძლება. ხოლო, ხომ ისიც შეიძლება, რომ კაცი არც კარგი პოეტი იყოს, არც კარგი ორატორი და არც კარგ პუბლიცისტად ვარგოდეს და არც ჟურნალისტად? ამბობენ, ეხლა თ. გ. თუმანიშვილი ამ ახალს საიდუმლოებას იკვლევსო და თავისს საკუთარს ნაწერებში ეძებს ამის საპასუხოდ უტყუარს საბუთებსა და მაგალითებსაო. ღმერთმა ხელი მოუშართოს, თავანკარა წყაროსათვის მიუგნია”. შესაბამისად, არ იქნება გასაკვირი, რომ ილიას მასზე ეთქვა: „ბევრს აქეთ-იქით თავს ახლის, ჩლუნგია, არა მჭრელია; / რაზომცა ჰნათობს სინათლე, მისთვის ეგრეცა ბნელია.”

1897 წლის 20 დეკემბრის სტატიაში „ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა” ილია ჭავჭავაძე თუმანიშვილის გაზეთს - „Новое обозрение”-ს „სუტ-ლიბერალურ ავანჩავანს” უწოდებს, რომელიც სამართლიანობის აღსადგენად ბრძოლას „რეტროგრადობას” ეძახის და წრიპინს იწყებს: „დახეთ, დახეთ, შემუსრეს დედააზრი ლიბერალობისაო”. შე-

საბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ ამ გაზეთის რედაქტორის შესახებ მას ეთქვა: „ახლებში თავს სდებს, გვატყუებს, არ ახალია, ძველია,“

1898 წლის 17 იანვრის სტატიაში ილია ჭავჭავაძე გიორგი თუმანიშვილზე წერს: „ბევრი ლიტერატურული კუდიანობა სცოდნია და ამასთან მელურად მიცოცვა და გველურად კბენა... იმან სულ სხვა მხრით მორთო თავისი მელური კუდის ქნევა და გველური სისინი“. შესაბამისად, ვერც იმას ვიტყვით, რომ სიტყვები - „რაც გინდ რამ ქერქი იცვალოს,/ გველი ეგრევე გველია“ - გიორგი თუმანიშვილზე არ შეიძლებოდა დაენერა.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, უთარილო გამოცანები დაწერილი უნდა იყოს 1897 წელს (მაისის შემდეგ) და, ძირითადად, ინსპირირებული უნდა იყოს ქალაქის საბჭოს არჩევნების შედეგებით. ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იარაღი, რომელმაც განაპირობა, რომ სომხებმა ისევ შეძლეს საბჭოში ხმათა უმრავლესობის მოპოვება, იყო მათი მხარდამჭერი რუსულენოვანი გაზეთების აქტიური პროპაგანდისტული აგიტაცია. ორივე მათგანის („Тифлисский листок“ და „Новое обозрение“) რედაქტორი ეროვნებით სომეხი იყო - ივანე ხაჩატუროვი და გიორგი თუმანიშვილი, მაგრამ პირველი მისი ქართველი თანამშრომლის - დავით კეზელის ხელით აკეთებდა თავის საქმეს. ასეთ სიტუაციაში ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მესამე გამოცანის ობიექტი? ლოგიკურად ეს უნდა ყოფილიყო თემასთან დაკავშირებული და ასეთივე პოზიციების მქონე პიროვნება.

1897 წლის არჩევნების წინა პერიოდში ილია ჭავჭავაძისა და გიორგი თუმანიშვილის პოლემიკაში ჩაერთო ქართულ გაზეთ „კვალის“ რედაქტორი - გიორგი წერეთელი, თუმანიშვილის სიძე (დის ქმარი), რომელმაც ილიას ბრალი დასდო სომეხთა უსამართლო ლანძღვაში: „ერთ დღეს სომხები ყბათ აიღეთ, იმათი ღირსება მიწასთან გაასწორეთ, მცარცველები

და კონტრაბანდისტები დაარქვით...“¹ ილია ჭავჭავაძე გრძნობდა, რომ გიორგი წერეთელი არჩევნების წინ ისევე ცდილობდა სომხების კეთილგანწყობის მოპოვებას (ხმების მიღების მიზნით) და სტატიაში „ბ-ნ გ. წერეთლის წერილის გამო“ აღნიშნავდა: „ჩვენ მოგვივიდა თითო-ოროლა წერილი ლანძღვისა და გინებისა იმის გამო, რომ ქართველ-სომხის საქმეზე ჩვენი აზრი გამოვთქვით... ჩვენ არ გვიკვირს, რომ ბ-ნი გ. წერეთელი შიგ ჩარევია სახელიანად ხსენებულ უსახელო ავტორებს. ერთი დიდი ღირსება ბ-ნ წერეთლისა ის არის, რომ თავის დღეში არ უღალატნია თავისის ზნე-ჩვეულები-სათვის: ვისიც ერდო მაღალია, ის იმისი მაცარია. ეხლანდელ დროში, როცა „ჰუმანობა“ და ერთობ კაცური კაცობა სულელობაა, ამისთანაების ალღოს ალება დიდი უნარია მეძებარისათვის და რა კურდღელს დაიჭერს, ამას ხომ დრო გამოაჩენს.“

ვნახოთ, არის თუ არა შესაძლებელი, რომ მესამე გამოცანაში გიორგი წერეთელი იგულისხმებოდეს. 1896 წელს ფელეტონში „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ ილია ჭავჭავაძე წერდა: „კიდევ სხვა მაგალითს მოვიყვანდი ამისთანა მაღლიან შემოქმედობისას, ზეგარდამო შთაგონებისას, თუნდა „რუხ მგელს“ გ. წერეთლისას, მაგრამ ვწუხვარ, რომ არვის ნაგვიკითხავთ და თავგებს დარჩათ შესაჭმელად. თავგებმა უფრო იციან ამისთანა სანუკუბარის ყადრი... აი ეხლაც გვპირდება გ. წერეთელი, ოღონდ „კვალზე“ ხელი მომიწერეთო და ჩემს ახალს ნაწერს „გულქანს“ მუქთად მოგართმევთო. მოდით და ამისთანა საჩუქარს ზურგი შეაქციეთ! თავგებს ეხლავე სუნი აუღლიათ, კბილებს თურმე ჰღესენ და სიხარულით იძახიან: რა გვეშველებოდა, რომ ბ-ნი გ. წერეთელი არა გვენყალობდესო“. შესაბამისად, სავსებით დასაშვებია, რომ მასზევე დაენერა: „კალამი რამ უშოვნია - / მით ჰლა-

1. გ. წერეთელი, „ილია წერილი თ. ილია ჭავჭავაძეს“, გაზ. „კვალი“, 1897, N17, გვ. 328-330.

მოხს განვლოს ფონია, / მაგრამ უნარი წერისა/ არცა აქვს, არცა ჰქონია”.

იმავე სტატიის ილია ჭავჭავაძე გიორგი წერეთელს საკუთარი თავის ქების დიდოსტატად წარმოაჩენს: „ვიღაცამ წამოროშა, რომ თავისის თავის ქება დამპალ კიტრადაც არა ჰღირსო. სტყუის, თქვენმა მზემ. მაშ რამ ააცოცა ჩვენი ბრძენი გ. წერეთელი და დაასკუპა მუმიასავით „მესამე დასის“ თავზე? ამისთანა ცხადს მაგალითს მარტო ბრმა თუ ეურჩება და იმედი მაქვს, თქვენში ბრმა არავინ არის, ღვთისა და თქვენის წყალობითა”. შესაბამისად, სავსებით ლოგიკურია, რომ მასზე ესეც ეთქვა: „თავს იქებს, თუმცა მის ქება / სხვისგან არ გაგვიგონია”.

1900 წელს სტატიის ილია „უმეცრობის ფართი-ფურთი“ ილია ჭავჭავაძე ნოე ჟორდანიასზე წერდა: „ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ, რა ძალა ადგა ბ-ნ ჟორდანიას, რომ ესეთს ბოდვას მოჰყვა და უმეცრობის მტვერ-ბუქი ააყენა... ბარემც თავისს ქერქში ყოფილიყო და კუსავით ფეხი არ გამოეყო, ვითომდა მეც ნახირ-ნახირო. მაგრამ რას იზამთ? ხელთ ჩაუგდია „კვალნი“ და ხომ მოგეხსენებათ: „ყვავი რა ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია”.¹ 1897 წელს „კვალს“ არა ნოე ჟორდანიას, არამედ გიორგი წერეთელი რედაქტორობდა და თუ გავითვალისწინებთ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას მისდამი (რომელიც ზემოთ მოხმობილი ციტატებიდან კარგად ჩანს) და იმ ფაქტს, რომ გაზეთი ილიას წარმოსახვაში შეიძლება „ვარდთან“ ყოფილიყო ასოცირებული, სავსებით შესაძლებელია, რომ გიორგი წერეთელთან და „კვალთან“ დაკავშირებითაც ეთქვა რუსთველის იგივე სიტყვები: „ყვავი რა ვარდსა იშოვის,/ თავი ბულბული ჰგონია”.

როგორც ვხედავთ, ორი რუსული გაზეთის („Тифлисский листок” და „Новое обозрение”) წარმომადგენლებს დაემატა

1. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ.14, თბილისი, 2007, გვ.356.

ქართული გაზეთის - „კვალის“ რედაქტორიც და შეიკრა ის ჯგუფი, რომელიც თავისი ჟურნალისტური აგიტაციით ხელს უწყობდა თბილისის ქალაქის საბჭოში ისევ სომხური კლანის გამარჯვებას და რომელმაც, ჩვენი ვარაუდით, გამოიწვია ილია ჭავჭავაძის ამ გამოცანების შექმნა. შესაბამისად, ისინი დანერვილი უნდა იყოს 1897 წლის მაისის შემდეგ და ადრესატები უნდა იყვნენ: დავით კეზელი, გიორგი თუმანიშვილი და გიორგი წერეთელი.

ალექსანდრე სარაჯიშვილი: ადრესატთა იდენტიფიცირების გარეშე როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური ტექსტის შინაარსი ბუნდოვანია. ამ პირთა დაზუსტება გვეხმარება შინაარსის სრულყოფილად აღქმაში. შესაბამისად, აკადემიური გამოცემის მზადებისას ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დადგინდეს თითოეული ტექსტის ადრესატი. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულში 1895 წელი აწერია 31 ოქტომბრით დათარიღებულ ბარათს (ტ. 17, გვ. 172), რომელიც იწყება სიტყვებით: „ბატონო ალექსანდრე“ და სათაურად აქვს „ალექსანდრე ნანიშვილისადმი“. წლის და ადრესატის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით სამეცნიერო აპარატში მითითებულია მხოლოდ გიორგი ლასხიშვილის მემუარები¹.

ამ მემუარების მიხედვით, გიორგი ლასხიშვილმა „ივერისასთან“ თანამშრომლობა დაიწყო 1895 წელს. იმ პერიოდში გაზეთს ილია ჭავჭავაძესთან ერთად განაგებდა დავით მიქელაძე, რომელთანაც გიორგი ლასხიშვილს უთანხმოება მოუვიდა ჩინეთ-იაპონიის შესახებ გამოქვეყნებულ წერილებთან დაკავშირებით. ეს წერილები დაიბეჭდა 1895 წლის 25 მარტს და 9 აპრილს. მოგონებაში ვკითხულობთ: „ამის შემდეგ ჩვენ შორის უთანხმოება გაძლიერდა და საჭირო შეიქმნა ურთიერთობის საბოლოოდ გამორკვევა“. ამ საკითხთან დაკავშირებით გ. ლასხიშვილი ელაპარაკა კიტა აბაშიძესა და ილია ნაკა-

1. ჭავჭავაძე ილია, „წერილები“, იოსებ ბოცვაძის რედაქტორობით, 1949, გვ. 84.

შიძეს. ამ უკანასკნელმა შესთავაზა: „მივმართოთ ილიას წინადადებით - გადმოგვცეს გაზეთი. ერთ-ერთი ჩვენგანი დამტკიცებინოს მთავრობას რედაქტორად; თუ მოისურვებს, გამომცემლობასაც ვიკისრებთ“. ამ გადანყვეტილებიდან „მეორე დღესვე“ ისინი შევიდნენ მოსალაპარაკებლად ილია ჭავჭავაძესთან. აქედან „მეორე თუ მესამე დღეს“ კი საქმე იმით მოგვარდა, რომ დავით მიქელაძემ რედაქციიდან წასვლა გადანყვიტა („დღეს დილით ჩემთან იყო დავით მიქელაძე და «ოტსტავკა» შემოიტანა“; „დავით მიქელაძე მალე გამოგვეთხოვა და ქუთაისში გადასახლდა“).

მოგონების მიხედვით, ილია ჭავჭავაძემ გაზეთის გამგებლობა იმავე დღეს გიორგი ლასხიშვილს გადააბარა („თქვენ დარჩებით რედაქციის გამგედ და როგორც გინდათ, ისე მოაწყეთ საქმე“; „გაზეთი ჩაბარებული ჰქონდა გამგეებს და ესენი აწარმოებდნენ საქმეს. ამგვარ გამგეებად იყვნენ: ჯერ ძმები ყიფშიძენი: გრიგოლი და ალექსანდრე (ფრონელი), შემდეგ დავით მიქელაძე და, ბოლოს ცოტა ხნით (გაზეთის დახურვამდე) მე“). ამავე ტექსტიდან ვიგებთ, რომ გიორგი ლასხიშვილმა გაზეთთან სათანამშრომლოდ, სხვებთან ერთად, ქუთაისიდან მიიწვია ალექსანდრე ნანეიშვილიც. მან და გიორგი ზდანოვიჩმა თანხმობა განაცხადეს და აღუთქვეს „მოკლე ხანში“ თბილისში ჩასვლა. მაისის პირველ რიცხვებში ზდანოვიჩი ჩავიდა თბილისში და თქვა, რომ ნანეიშვილიც მალე ჩავიდოდა („ალექსანდრე ნანეიშვილსაც დღე-დღეზე მოველოდით“), მაგრამ სწორედ ამ დროს გაზეთის გამოცემა რვა თვით აიკრძალა.

მთელ მოგონებაში არსად არ არის ნათქვამი, რომ ვინმეს დაესვას ალექსანდრე ნანეიშვილის თანარედაქტორობის საკითხი. გ. ლასხიშვილისავე გადმოცემით, როდესაც 1897 წლიდან გაზეთის გამოცემა განახლდა, ილია ჭავჭავაძის თანარედაქტორი უკვე იყო ალექსანდრე სარაჯიშვილი („1897 წლის თებერვლიდან, თუ იანვრის ბოლო რიცხვიდან, «ივერი-ამ» ისევ დაიწყო გამოსვლა ცნობილ მწერლის და ისტორიკო-

სის ალექსანდრე სარაჯიშვილის ფაქტობრივ რედაქტორობით“).

წერილიდან, რომლის ადრესატის და თარიღის გარკვევა-საც ჩვენ ვცდილობთ, ჩანს არა მხოლოდ ის, რომ ილია ჭავჭავაძემ ადრესატი თანარედაქტორად მიიწვია, არამედ ისიც, რომ ეს შეთავაზება თავად ადრესატისგან მოდიოდა: „ბატონო ალექსანდრე, ავიღეთ-დავიღეთ თქვენი წინადადება და, აი, რაზედ დავდევით: თქვენ უსათუოდ მოგიწვიოთ თანა-რედაქტორად“. ეს წერილი რომ 1895 წლის 31 ოქტომბერს იყოს მიწერილი ალექსანდრე ნანეიშვილისადმი, მაშინ რეალობისგან ძალიან შორს უნდა იყოს გიორგი ლასხიშვილის მოგონებები. მისი თქმით, როგორც კი გადაწყდა დავით მიქელაძის წასვლა, ილია ჭავჭავაძემ პირდაპირ მას შესთავაზა თანარედაქტორობა. მოვლენათა ამ უწყვეტ ჯაჭვში ვერ თავსდება ალექსანდრე ნანეიშვილის მიერ თავისი თავის შეთავაზება თანარედაქტორად და ილიას თანხმობის წერილი.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ბარათის ადრესატია არა ალექსანდრე ნანეიშვილი, არამედ ალექსანდრე სარაჯიშვილი და ის დაწერილია 1896 წლის 31 ოქტომბერს, იმ პერიოდში, როდესაც „ივერია“ აკრძალული იყო და თადარიგის დაჭერა გახდა საჭირო, რომ მისი განახლების შემდეგ აკრძალვის საბაზი აღარ მიეცათ. როგორც ვხედავთ, გ. ლასხიშვილიც ადასტურებს, რომ გამოცემის განახლების შემდეგ გაზეთის თანარედაქტორი იყო ალექსანდრე სარაჯიშვილი, წლების შემდეგ კი უკვე მისი დამოუკიდებელი რედაქტორ-გამომცემელი. თუ ბარათის ადრესატად ალექსანდრე სარაჯიშვილს მივიჩნევთ, წერილში გიორგი ლასხიშვილის თანამშრომლად დატოვებისა და ხელფასის მომატების საკითხის საგანგებოდ აღნიშვნა („ლასხიშვილიც მოწვეულ იქმნას უსათუოდ და ჯამაგირიც მოემატოს“) სავსებით ბუნებრივად ჟღერს, რადგან სარაჯიშვილი, ფაქტობრივად, მის ადგილს იკავებდა.

ზემოხსენებული ფაქტების გათვალისწინებით, წერილის ადრესატად მივიჩნევთ ალექსანდრე სარაჯიშვილს და ბარათს ვათარილებთ 1896 წლის 31 ოქტომბრით.

ელისაბედ გრიგოლის ასული ჭავჭავაძე: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ილია ჭავჭავაძის დაუმთავრებელი წერილი, რომლის ადრესატადაც მიჩნეული იყო მისი და - ნინო ჭავჭავაძე-აფხაზი. სხვა მეცნიერთა აზრით, ამ მოსაზრების მტკიცებისათვის მხოლოდ ის არგუმენტი, რომ ნინოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ძმასთან და ყურადღებით ეკიდებოდა მის ლიტერატურულ მოღვაწეობას, საკმარისი არ არის და ბარათს მოიხსენიებენ ზოგადი სახელით - „ადრეული ბარათი“.

წერილის ტექსტის დეტალურმა ანალიზმა გამოავლინა ისეთი მინიშნებები, რომლებიც ადრესატის დადგენის საშუალებას გვაძლევს. ფრაზა: „მეძნელება დატევება ამ ჩვენ ყვარლისა, ნამეტნავათ ამ ჩვენს სახლისა“ - მიგვანიშნებს, რომ ბარათი ოჯახის წევრისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, მეორე ფრაზა „შენმა გაზდამ“ კი გვამცნობს, რომ ოჯახის ეს წევრი ბარათის ავტორზე უმცროსი უნდა ყოფილიყო. იმ დროს ილია ჭავჭავაძეს ჰყავდა მასზე უმცროსი და-ძმა - ელისაბედი (3 წლით უმცროსი) და თეიმურაზი (7 წლით უმცროსი). ნაკლებ სავარაუდოა, რომ მას ასე მიემართა მასზე უფროსი დის - ნინოსთვის.

რამდენადაც წერილი ერთგვარი დამშვიდობებაც არის რუსეთში წასვლის წინ, უფრო სავარაუდოა, რომ მისი ადრესატი ქართლში, საორბელიანოში ახალგათხოვილი ელისაბედი ყოფილიყო, ვიდრე იქვე, კარდანახში მცხოვრები ნინო, რომელთანაც ილიას მუდმივი მიმოსვლა ჰქონდა და დასამშვიდობებლად უფრო ჩააკითხავდა, ვიდრე წერილს გაუგზავნიდა. ელისაბედისთვის წერილის გაგზავნა ლოგიკური ჩანს იმ მხრივაც, რომ ახალგათხოვილ ქალთან მისი ნათესავები მიუპატიჟებლად არ დადიოდნენ ხოლმე.

რამდენადაც ჩვენამდე მოღწეულია თეიმურაზ ჭავჭავაძის მიერ რუსეთიდან სწორედ 1857 წლის მარტ-აპრილში გამოგზავნილი წერილი ძმისადმი, დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ ის იმ დროს რუსეთში იყო და განსახილველი უმისამართო ბარათი რომ მასთან გასაგზავნად ყოფილიყო დაწერილი, ილია ფრაზის: „ვაპირობ ნასვლას რუსეთში“ - ნაცვლად დაწერდა: „ვაპირობ წამოსვლას რუსეთში“. გარდა ამისა, საგულისხმოა ერთი რამ - ტექსტიდან არ ჩანს, რომ სამშობლოსთან განშორების განცდა, რომელზეც არის მასში ლაპარაკი, ადრესატისთვისაც ნაცნობი უნდა ყოფილიყო, არადა თეიმურაზი უკვე კარგა ხნის ნასული იყო რუსეთში.

ნიშანდობლივია ისიც, რომ რუსეთის მიერ სასწავლებლებიდან ქართული ენის შევიწროების გამო იმ პერიოდის ახალგაზრდობა ქართულად ხშირად ცუდად წერდა და მიმოწერას რუსულად აწარმოებდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ თეიმურაზის მიერ ილიასათვის ამ პერიოდში გამოგზავნილი წერილი რუსულად არის დაწერილი და იმასაც, რომ ილია ჭავჭავაძის მიმოწერა, მაგალითად, ოლლა გურამიშვილთან მათ ქორწინებამდე თითქმის სულ რუსულად მიმდინარეობდა, საფიქრებელია, რომ თეიმურაზისადმი მისი წერილებიც რუსული ყოფილიყო. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს ვარაუდს, რომ ბარათის ადრესატია ილიას უმცროსი და - ელისაბედ გრიგოლის ასული ჭავჭავაძე და იგი დაწერილია 1857 წლის 28 აპრილის, ანუ მას შემდეგ, რაც იგი ცოლად გაჰყვა ნიკოლოზ (ივანე) ესტატეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანს და მამისეული სახლიდან მეუღლესთან, ქართლში გადავიდა საცხოვრებლად.

პოლიექტოს კარბელაშვილი: თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-17 ტომში 1906 წლის 1 ივლისს ილია ჭავჭავაძის მიერ პეტერბურგიდან გაგზავნილი დეპეშის ადრესატად, რომელსაც მხოლოდ გვარი - კარბელაშვილი აწერია, მიჩნეულია ვასილ კარბელაშვილი, მაგრამ, რამდენადაც ბარათზე მისამართად მითითებულია „მღვდელ კარბელაშვილს. ანჩის-

ხატის მონასტრის ეზოში”, აქ უნდა იგულისხმებოდეს წლების მანძილზე ანჩისხატის ტაძრის მღვდელი და მისი ისტორიის მკვლევარი - პოლიევექტოს კარბელაშვილი. ვასილ კარბელაშვილი იმ დროისთვის საქართველოში საერთოდ არ იმყოფებოდა, გასახლებული იყო შემახაში. შესაბამისად, დეპეშის ადრესატი უნდა იყოს სასულიერო პირი და საზოგადო მოღვაწე პოლიევექტოს კარბელაშვილი.

ბეჟან დავითის ძე წერეთელი: ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის მე-17 ტომში ადრესატის გვარის მითითების გარეშე გამოქვეყნებული საქმიანი წერილი, რომელიც იწყება მიმართვით: „მონყალეო ხელმწიფევ, თავადო ბეჟან დავითის ძევ!“. ბარათში საუბარია ადრესატისთვის რწმუნებულ მაზრაში საზოგადოების წევრთაგან სანევროების შეგროვებაზე და მას ილია ხელს აწერს, როგორც წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე. სამეცნიერო აპარატში (გვ. 452) აღნიშნულია, რომ შალვა გოზალიშვილის აზრით, ადრესატის გვარია წერეთელი, მაგრამ, რამდენადაც გამოცემაში ბარათს სათაურად აწერია „ბეჟან დავითის ძისადმი“ და გვარი მითითებული არ არის, როგორც ჩანს, გამომცემლები გოზალიშვილის მოსაზრებას არ იზიარებენ.

აკაკი წერეთლის ნათლიმამა და ივანე მაჩაბლის ქვისლი, საჩხერელი თავადი ბეჟან დავითის ძე წერეთელი, ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ საჩხერეში თავის „გამგებლად“, ანუ დამხმარე წევრად 1884 წლის 21 იანვარს აირჩია და, როგორც გამგეობის სხდომათა ოქმებიდან ჩანს, 1898 წლამდე ჯერ კიდევ ასრულებდა ამ მოვალეობას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა სიაში სხვა არავინ არის ამ სახელისა და მამის სახელის მქონე, წერილის ადრესატი ნამდვილად ბეჟან დავითის ძე წერეთელია.

ილია ჭავჭავაძის თხზულებაებში მოსენიებაზე ჰიროთა იდენტიფიკაცია

„ელენე“, „ილიკო“ და „ივანე მალხაზის ძე“: ილია ჭავჭავაძის ქორწინებამდელ წერილებში ოლღა გურამიშვილისადმი ხშირად იხსენიება ელენე, რომელსაც ორივე იცნობს და რომელთანაც ერთმანეთს ხვდებიან ხოლმე, ორ წერილში კი გვარიც არის ნახსენები: „დღეს ელენე ჩოლოყაშვილთან დამიძახეს, იმან მითხრა, თითქოს ჩემთვის მშვენიერი პატარაალი ჰყავთ... მივხვდი, შენზე ლაპარაკობდა“ (ტ. 18, გვ. 278, 279). ელენე და მისი ქმარი ილიკო, გვარების გარეშე, ნახსენებია პეტერბურგიდან 1858 წელს ნენე ანდრონიკაშვილისთვის გამოგზავნილ წერილში (ტ. 17, გვ. 16), რამდენიმე თვის შემდეგ კი თავისი დის - ნინოსთვის გაგზავნილი ბარათიდან ჩანს, რომ საუბარია ილიკო ჩოლოყაშვილსა და მის ცოლზე („ილიკო ჩოლოყაშვილის ცოლი გავიცან“). ილია ჩოლოყაშვილის ცოლი, გენეალოგიური ნუსხის მიხედვით, იყო ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა.

ამავე პერიოდის ერთ წერილში ვკითხულობთ: „დღეს საღამოს ირაკლისთან წავალ, შუადღისას კი დახმარების სათხოვნელად ივანე მალხაზის-ძესთან“. ცნობილი მთავარსარდალი - ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი იყო ილიას ნათლიის - ნინოს ძმა და ამ პერიოდის წერილებში ხშირად ხსენებული ელენე ანდრონიკაშვილ-ჩოლოყაშვილის მამა.

„იასე“, „გიორგი“, „ირაკლი“ და „ივანე“: ოლღა გურამიშვილისთვის მათ ჯვრისწერამდე მიწერილ ბარათებში ილია ჭავჭავაძე ხშირად ახსენებს სამ პიროვნებას: იასეს, გიორგის და ირაკლის, რომლებსაც გარკვეული გავლენა შეუძლიათ იქონიონ მათ ბედზე. წერილების ციფრული კორპუსის შედარებითმა კვლევამ და გენეალოგიური წყაროების შეს-

ნავლამ გამოავლინა, რომ ის იასეც, რომელიც ზოგიერთ წერილში მხოლოდ სახელით არის ნახსენები, უნდა იყოს იგივე პიროვნება, რომელსაც ერთგან გვარიც უწერია - იასე ანდრონიკაშვილი (ტ. 18, გვ. 24). ის იყო ოლლა გურამიშვილის მამის - თადეოზის ღვიძლი ბიძაშვილი. თადეოზის დედა - ნინო და იასეს მამა რევაზი იყვნენ მარტყოფის მოურავის - ზაალ ზაზას ძე ანდრონიკაშვილის შვილები. იგივე იასე ანდრონიკაშვილია ნახსენები გვიანდელ წერილებშიც, რომლებშიც საგურამოს მამულზეა საუბარი (ტ. 18, გვ. 194, 195).

გიორგი ძირითადად მხოლოდ სახელით არის ხოლმე მოხსენიებული, მაგრამ ერთგან კონტექსტიდან ჩანს, რომ გვარად ბაგრატიონ-მუხრანელი უნდა იყოს: „ვინ გეჩიჩინება გიორგისთან ჩემს მიგზავნაზე?.. მე გიორგისა არა მჯერა, იგი არ მოისურვებს ჩვენი საქმის კეთილად დაგვირგვინებას. მუხრანბატონმა, ვეჭვობ, თავი დაიმციროს და ჩემთან დანათესავება ინდომოს“.

გიორგის მსგავს კონტექსტებშია მოხსენიებული ირაკლიც. მის თანხმობაზეც არის დამოკიდებული ახალგაზრდების ბედნიერება და მასაც არ მოსწონს სასიძოდ ილია ჭავჭავაძე. გიორგი და ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელები იყვნენ ოლლა გურამიშვილის ღვიძლი მამიდაშვილები - მისი მამიდის - იმჟამად გარდაცვლილი ხორეშან ზაალის ასულ გურამიშვილისა და კონსტანტინე იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის ვაჟები.

1875 წლისა და შემდეგდროინდელ წერილებში არაერთგან არის ნახსენები „ივანე მუხრანსკი“ და მისი ცოლი. ეს ივანეც არის ოლლას მამიდაშვილი, ირაკლი და გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელების უფროსი ძმა, მისი ცოლი ნინო კი - ლევან V დადიანის ქალიშვილია.

იასე ანდრონიკაშვილი, გიორგი და ივანე ბაგრატიონ-მუხრანელები თადეოზის გარდაცვალების შემდეგაც დიდად არ სწყალობდნენ ილია ჭავჭავაძეს და ოლლა გურამიშვილს. ისინი იცავდნენ თადეოზის მეორე ცოლის - მარიამ დიასამიძისა და მისი შვილების ინტერესებს. ეს კარგად ჩანს 1875

ნლის წერილებში ოლლა და ეკატერინე გურამიშვილებისადმი: „იასე ანდრონიკოვი ნახე და შენის ფულისა უთხარ, რომ მოგცენ სრულად, ეხლა ხომ ღვინოები გაუყიდნია გიორგის და ფული ექმნება“, „ამას წინათ მოგწერე, რომ იასეს შეეხვეწე-წე-მეთქი, რომ ფული მოგცენ... ხომ იცი, თუ გიორგის მიანდო, გიორგი შენ არას მოგცემს“, „იასე ანდრონიკოვი არ მოასვენო, ვიდრე შენი ფული თავისის სარგებლით არ ჩაგაბარონ“. „ოლიკოს წიგნიდამ ჰსცნობდით ჩემი და ივანე მუხრანსკის დატაკებასა“; „შევატყე, რომ ეს ყოველიფერი ივანე მუხრანსკის ეშმაკობაა“; „ივანე მუხრანსკი თურმე თმას იგლეჯს, რომ მე უარი არ მითხრეს“ და სხვ.

„მუხრანსკები“: ბაბო: როგორც ვნახეთ, ილია ჭავჭავაძის წერილებში ხშირად არიან მოხსენიებულნი ოლლას მამიდის - ხორეშან ზაალის ასულ გურამიშვილისა და კონსტანტინე იოანეს ძე მუხრანბატონის შვილები: ივანე, ირაკლი და გიორგი. მომდევნო პერიოდის წერილებში ხშირად იხსენიებიან მათი შთამომავლებიც. სწორედ ირაკლი მუხრანსკის ქალიშვილი უნდა იყოს 1873 წლის თებერვლისა და მარტის წერილებში ნახსენები „ბაბო მუხრანსკიც“ (ტ. 18, გვ. 100, 108). 23 თებერვალს ილია ჭავჭავაძე მეუღლეს სწერს: „ამბობენ, ბაბო მუხრანსკისა გაათხოვესო და მიხეილ წერეთლიშვილს მიჰსცესო, ა, იმ იდიოტსა. მე კი დარწმუნებით ვერა შევიტყე რა“. სამი კვირის შემდეგ გაგზავნილი ბარათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბაბოს გათხოვება სიმართლე არ უნდა ყოფილიყო (ეს არც ისტორიული წყაროებით დასტურდება): „ბაბო მუხრანსკის წიგნი მოგსვლია, რომელშიაც ჩემზედ სამდურავი მოუწერია. მართალია, ქალაქში რო ვიყავ, იმათის ნახვისათვის ვერ მოვიცალე. მიკვირს, რათ მოჰგონებხარ დიდ მუხრან-ბატონებს, ანუ ჩემი მათთან მიუსვლელობა რად შეუმჩნევიათ. მახლას, ქვეყანა ასრე მქნელიაო, ნათქვამია. უპატარკაცოდ დიდკაცებს ცხოვრება თუ არ შეჰსძლებიათ?! ყველას ღმერთმა მშვიდობა მიჰსცეს და მე და შენაც კარგად ვიყვნეთ ჩვენის ნათესავებითა“ (16 მარტი).

იმავე წლის 17 მაისის წერილში მრავლობითში არიან მოხსენიებულინი მუხრანიანთ ქალები და თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი დედა მხოლობითშია, ისინი დები უნდა იყვნენ: „შენი მუხრანიანთ ქალები ვერ დაგიტხოვდნენ. მგონი, ისინი ამაზედ ისე არა ჰსწუხან, როგორც შენ. მე მგონია, რომ ისინი არც გათხოვდებიან. მეტად დიდკაცობს იმათი დედა. ასე რომ, ეს ქალები მიუწვდომელ ვარსკვლავებად ჰგონია ქვეყანასა და ყველა ერიდება. მერე მეტად რუსინკაობენ და ჩვენ ეხლანდელს ყმანვილებს რუსიანკობა ჭირზედ უარესად ეჯავრებათ. ჯერ კი ესეა იმათი საქმე და ბოლოს რა იქნება, ღმერთმან იცოდეს“. ოლღას მამიდაშვილებიდან რამდენიმე გასათხოვარი ქალიშვილი იმ დროს ჰყავდა სწორედ ირაკლი მუხრანსკის: ბარბარე (ბაბო) იყო 25 წლის (დაბ. 1848), სოფიო - 23-ის (დაბ. 1850), ქეთევანი - 21-ის (დაბ. 1852) და თამარი - 18-ის (დაბ. 1855). მათი დედა იყო ცნობილი გენერლის - მოსე ზაქარიას ძე არღუთინსკის ძმის - ივანეს ქალიშვილი ეკატერინე და, როგორც ჩანს, ძალიან მაღალი წარმოდგენა ჰქონდა თავის ოჯახზე. ირაკლი მუხრანსკის შვილები ილიასა და ოლღაზე უმცროსები იყვნენ, მაგრამ მათ შორის უფროსთან, როგორც ზემოთ მოხმობილი წერილებიდან ირკვევა, შედარებით ახლო ურთიერთობა ჰქონდათ.

საშა: 1884 წლის ერთ წერილში (გ. 18, გვ. 211) ილია ჭავჭავაძე მეუღლეს პეტერბურგიდან სწერს, რომ სადილად იყო საშა მუხრანსკისთან. სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს ოლღას მამიდაშვილის - ირაკლი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის ვაჟი - ალექსანდრე, რომელიც რუსეთში მსახურობდა. 1873 წლის 21 სექტემბერს პეტერბურგიდან მეუღლისთვის გაგზავნილ წერილშიც, სახელი არ არის ნახსენები, მაგრამ ასევე ალექსანდრე ირაკლის ძე მუხრანსკი უნდა იყოს ნაგულისხმევი („გუშინ ვნახე ირაკლი მუხრანსკის შვილი, ძალიან იამა ჩემი ნახვა; შენც გიკითხა. კულავ თიბათვეს ის კურსს დაასრულებს და უნდა აქავ სამსახურში შევიდეს, რომ აკადემიისათვის მოემზადოს“). მართალია, ირაკლი მუხრანსკის იმ დროს ჰყავდა მეორე ვაჟი - ლევანიც (1862-

1888), მაგრამ ის ჯერ კიდევ 11 წლისა იყო და აკადემიაში შესვლა მისთვის ძალიან ნაადრევი იქნებოდა.

ქეთევანი: 1882 წლის ივლისამდე თბილისიდან საგურამოში მეუღლისთვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ცხენები შაბადს სალამოსთვის გამოგვიგზავნეთ, ქეთოც მოდის, ქალურის უნაგირით ერთი ცხენი უნდა იყოს“. ილიასა და ოლღას გარემოცვიდან ყველაზე ახლობელი ქალი, რომელსაც სახელად ქეთო (ქეთევანი) ერქვა, იყო ოლღას მამიდაშვილის - ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელის ქალიშვილი - ქეთევანი, აქვე ხსენებული ალექსანდრე (საშა) მუხრანსკის ღვიძლი და. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ გვარის მიუთითებლად, მხოლოდ სახელით, წერილში სწორედ ის შეიძლება იყოს ნახსენები.

ლიზა: ოლღა გურამიშვილისადმი მიწერილ როგორც ქორწინებამდე, ისე 1870-იანი წლების წერილებში ილია ჭავჭავაძე ახსენებს „ლიზა მუხრანსკის“, რომელიც, კონტექსტიდან გამომდინარე, ოლღას ნათესავი უნდა იყოს. მისი ვინაობის დასადგენად დაგვეხმარა წერილი, რომლიდანაც ჩანს, რომ მუხრანსკი ლიზას მეუღლის გვარია („ლიზა მუხრანსკისა თავის ქმართან პოლკში წასულა“, „საწყალი ლიზა!... რაზედ არიან გადაკიდებულნი? ქალაქის ქრმიანს ქალებში ეს თუ არ უკეთესი, უარესი არ არის“). ელისაბედი ერქვა ოლღა გურამიშვილის მამიდაშვილის - ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონის რძალს, გვარად ფალავანდიშვილს. მისი ქმარი - კონსტანტინე (კოტე) ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი 1870-იან წლებში მართლაც იყო პოლოვნიკი, 1876 წლიდან კი - სამეგრელოს გრენადერთა პოლკის მეთაური. შესაბამისად, წერილებში უნდა იგულისხმებოდეს ელისაბედ ნიკოლოზის ასული ფალავანდიშვილი-ბაგრატიონ-მუხრანსკისა.

დუდაური: 1874 წლის 26 თებერვლის წერილში მეუღლისადმი ორჯერ არის ნახსენები ვინმე „დუდაური“. აკადემიური გამოცემის კომენტარებსა და საძიებლებში განმარტებული არ არის, ვისზეა საუბარი. ტექსტში ვკითხულობთ: „ძალი-

ანა ვწუხვარ, რომ ჩვენს სასიქადულოს, მაგრამ მამაძაღლს დუდაურს ეგრე დავუღუპნივართ, მე რომ მოვდიოდი, ნიკოლოზს და ნინოს ვჰსთხოვე, რომ პირველ შემთხვევაშივე დაითხოვეთ-მეთქი... ნეტავი, შენის სიცოცხლით, ის მაინც შეგვრჩეს, რაც გადარჩენია დუდაურს“. რა „დაღუპვაზეა“ ლაპარაკი და რატომ არის ნახსენები „რაც გადარჩენია დუდაურს“, კარგად ჩანს ცოტა უფრო ადრე, 18 თებერვალს ასევე მეუღლისთვის გაგზავნილი ბარათიდან: „ჩემმა სასიქადულო მოურავმა და გიორგიმა ვერაფერი კაცობა გამოგვიჩინეს, ერთმა თვითონ გაგვექურდა და მეორემ ჩვენი თავი სხვას გააქურდვინა“. ბარათებს სულ რაღაც 8 დღე აშორებს ერთმანეთისგან, პირველში ირონიულად არის ნახსენები „სასიქადულო“ დუდაური, მეორეში კი - „სასიქადულო“ მოურავი. მასთან დაკავშირებით პირველში ვკითხულობთ: „დავუღუპნივართ“ და „რაც გადარჩენია“, მეორედან კი ჩანს, რომ სახლი მან გაქურდა: „თვითონ გაგვექურდა“. შესაბამისად, დუდაური იმ მოურავის გვარია, რომელიც 1874 წელს მსახურობდა ილია ჭავჭავაძის ყვარლის მამულში და გაძარცვა მისი სახლი.

ორი გიორგი შერვაშიძე: მეუღლისადმი ილია ჭავჭავაძის პირად წერილებში სხვადასხვაგან იხსენიება ორი გიორგი შერვაშიძე. ერთი არის გიორგი დიმიტრის ძე, მეორე კი - გიორგი მიხეილის ძე. პირველს ილია ჭავჭავაძე ძალიან შინაურულად ახსენებს დუშეთიდან მეუღლისთვის გაგზავნილ წერილებში¹ „გიორგი შერვაშიძემ მოკითხვა შემოგითვალა და თქვა „უკნეინოთო ბოლონდელს მასკარადს ლაზათი არა ჰქონდაო“. მეორეს - გიორგი მიხეილის ძეს კი მწერალი, როგორც ირკვევა, 1873 წლამდე არ იცნობდა². 1873 წლის 12 სექტემბერს იგი მეუღლეს სწერს: „ვნახავ გიორგი შარვაშიძესაც, რომელიც ჩემთან ყოფილიყო და მე შინ არ დავხვდი. თუმცა არ ვიცნობ, მაგრამ მოსულიყო ჩემს სანახავად“. სწო-

1. იხ. 1873 წლის 23 თებერვლისა და 1 მარტის წერილები.

2. იხ. 1873 წლის 12 სექტემბრის და 19 დეკემბრის წერილები.

რედ იმიტომ, რომ ეს ორი გიორგი შერვაშიძე ერთმანეთისგან განასხვავოს, 1873 წლის 19 დეკემბრის ბარათში მწერალი მისი ხსენების შემდეგ პატარა კომენტარს აკეთებს: „იმ დღეს გიორგი შარვაშიძესთან ვიყავ, აი, მთავრის შვილი რომ არის“. ესე იგი, საუბარია გიორგი მიხეილის ძეზე. მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-18 ტომის საძიებლებში ორივე გიორგი შერვაშიძეზე არის ანოტაცია, მაგრამ ტექსტის გვერდები ორივეს ერთნაირი აქვს მითითებული და გამოდის, რომ თითოეულ შემთხვევაში ერთდროულად ორივე გიორგი შერვაშიძე იგულისხმება, რაც, რა თქმა უნდა, აბსურდია. ამ გაუგებრობას თავიდან აგვაცილებდა, წერილებს რომ ახლდეს კომენტარები და ხდებოდა პირთა იდენტიფიკაცია.

„ვარვარა ილინიშნა“ და „გიორგი“: ილია ჭავჭავაძის წერილებში ხშირად იხსენიება „ვარვარა ილინიშნა“. ბარათების მიხედვით, იგი ხან თბილისშია (ტ. 18, გვ. 45), ხან - პეტერბურგში (ტ. 18, გვ. 142 და სხვ.), ვასილ მაჩაბლისთვის გაგზავნილ წერილებში კი ეს ქალბატონი ორჯერ იხსენიება გიორგისთან ერთად: „ვარვარა ილინიშნას და გიორგის ჩემს ერთგულებას და პატივისცემას განუცხადებ“, „ჩემი პატივისცემა ვარვარა ილინიშნას და მოკითხვა კნიაზ გიორგის“ (ტ. 17, გვ. 45, 50). თუ გავითვალისწინებთ იმ პატივისცემასა და მოკრძალებას, რომლითაც მწერალი მათ მოიკითხავს, ესენი უნდა იყვნენ გიორგი XII-ის შვილიშვილი - ბარბარე ილიას ასული ბაგრატიონი-ორბელიანისა (იგი ცოლად ჰყავდა გრიგოლ ორბელიანის ძმას - ილიას და ადრე დაქვრივდა) და მისი ერთადერთი ვაჟი - გიორგი. ეს უკანასკნელი იყო განჯიდან თბილისში მისი მამიდაშვილის - ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების ერთ-ერთი ორგანიზატორი. მოგვიანებით იგი მსახურობდა პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელთან და ამასთან დაკავშირებით ჰქონდა ილიასთან მიმონერა (ტ. 17, 348, 483).

ოლღა გურამიშვილის „დეიდა“? ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის მე-18 ტომში 1863 წლის იანვარ-თებერვლის რუსულენოვანი წერილების თარგმანებში იხსენიება ოლღას დეიდა: „მითხარი, დეიდაშენს რატომ ვძულვარ?“ (გვ. 264) „დეიდაშენი როგორა მყავს? მაგან აიღო გუმანი ჩვენი პაემანის შესახებ?“ (გვ. 275), „დეიდაშენი ხომ არ ნებულობს აბრამს ბლინებზე დაენვიოს?“ (გვ. 275). ოლღა გურამიშვილის დედის შესახებ ისტორიული წყაროებიდან ვიცით მხოლოდ სახელი და მამის სახელი - ელისაბედ გიორგის ასული, გვარი არ არის ცნობილი, დედის შესახებ კი, თუკი საერთოდ ჰყავდა, არაფერი ვიცით.

1863 წლის 5 მარტის წერილმა, რომელშიც ნათქვამია: „ნეტავი მამიდაშენი ისევ ცოცხალი ყოფილიყო, გნახავდი მაინც, თუ სხვა არა იყო რა“ (გვ. 52), დაგვაფიქრა, რომ წინა სამ შემთხვევაშიც, რუსულენოვან წერილებში შეიძლებოდა მამიდაზე ყოფილიყო საუბარი და არა დეიდაზე. ამის გადასამოწმებლად ვნახეთ ტექსტების ორიგინალები: «Скажи мне, почему твоя тетушка меня ненавидит?» (გვ. 21), «Что твоя тетушка здравствует? Это она догадалась об нашем свидании?» (გვ. 33) «Твоя тетушка не изволит ли отправиться к Аврааму на блины?» (გვ. 33) და დავაკვირდით კონტექსტს, რაიმე ისეთი მინიშნება ხომ არ იყო, რომ სიტყვაში „тетушка“, რომელსაც ქართულად „დეიდაც“ შეესატყვისება და „მამიდაც“, აუცილებლად „დეიდა“ გვეგულისხმა. ასეთი მინიშნება არ არის. რამდენადაც 5 მარტის წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ ოლღა გურამიშვილის მამიდის სიცოცხლეში ის და ილია ჭავჭავაძე ერთმანეთს ხვდებოდნენ, შემდეგ კი დაბრკოლებები შეექმნათ, წერილებში, რომლებშიც საუბარია „тетушка“-ზე, რომელიც ოლღასთან ერთად ცხოვრობს და ხვდება მათი შეხვედრების ამბავს, ოლღას მამიდა უნდა ვიგულისხმოთ და არა დეიდა.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ოლღას მამიდა - სიდონია გურამიშვილი-სავარსამიძისა ადრე დაქვრივდა და შვილები არ ჰყავდა. რძლის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ძმამ - თადეოზ გურამიშვილმა მეორე ცოლი შეირთო,

სიდონიამ თბილისში, თავის სახლში გადაიყვანა ძმისწულები - ეკატერინე და ოლღა, 1862 წლის 10 მარტს კი მთელი თავისი ქონება უმცროს ძმისშვილს - ოლღას გაუფორმა. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ანდერძში რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (N1005), მოწმეთა შორის დასახელებულნი არიან მისი და თადეოზ გურამიშვილის მეორე დის შვილები - გიორგი და ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელები, სწორედ ისინი, ვის თანხმობაზეც დიდად იყო დამოკიდებული ილია და ოლღა დაქორწინდებოდნენ, თუ - არა.

ბარბარე და ლაზარე: ილია ჭავჭავაძისა და ოლღა გურამიშვილის ქორწინებამდელ მიმონერაში ხშირად იხსენიებიან „ბარბარე“ და „ბიჭი“ ან „ლაზარე“. წერილების კორპუსის კომპლექსურმა კვლევამ გამოავლინა, რომ ისინი არიან ილიასა და ოლღას ხელზე მოსამსახურე გოგო და ბიჭი. მათ მიაქვთ და მოაქვთ წერილები და ხელს უწყობენ შეხვედრაში („დღეს საღამოს შვიდ საათზე ჩემი ბიჭი არშაკუნის ბალთან იდგომება, ბარბარემ ერთი წამით მოირბინოს და გადასცეს შენი წერილი“ „ამრია შენმა წიგნმა, ნამეტნავად იმან, რაც ბარბარეს ეთქვა ლაზარესათვის“, „ჩემს ბიჭს ვუბრძანე, მაცნობოს ბარბარეს მოსვლა“, „ჩემი ბიჭი ხომ ველარ მოვა შენთან, ჩემო კარგო, და როგორ მოგწერო. თუ ბარბარეს ყოველ დილას გამოგზავნი და საღამოზედაც, მაშინ კი შეიძლება“, „რაც შეეხება წერილების გზავნას, ბარბარეს საშუალებით გადმოგზავნი. მან დაიწყო, მანვე დაასრულოს“, „მე შინაც რომ არ ვიყო, ბიჭი შემატყობინებს, როცა წერილი მოვა“, „მართალია, რომ არ შეიძლება ყოველდღე ბიჭის გამოგზავნა?“, „წიგნის პასუხს ლაზარეს გამოვატან საღამოზედ“, „ხვალ 8 საათზე გამოგიგზავნო ლაზარე თუ დღესვე?“, „როგორც კი შენგან დაბრუნდება, ლაზარეს ორლანდინთან გავგზავნი“). ისინი ინახავენ საიდუმლოს („ბარბარე, რომელსაც, როგორც გაგებული მაქვს, ყველაფერს ენდობით“, „ენდე ამ ბიჭს, იგი დიდი ერთგულია ჩემი. გუშინ განვუცხადე ჯვარს ვინერ-მეთქი და სიხარულისგან ორჯერ ჰქნა ჰაერში მალაყი“, „ლაზარესი ნუ გეშინიან, არ გაგცემს“).

მსგავსი სამსახური ახალგაზრდებისთვის ცალკეულ შემთხვევაში ვინმე მეგობარს ან ნათესავსაც შეიძლება გაეწია, მაგრამ ამ მიმონერას ინტენსიური სახე აქვს, ორიოდ ეპიზოდი კი კიდევ უფრო გვარნმუნებს, რომ აქ მოსამსახურეებზეა საუბარი. ბარბარესთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძის წერილში ერთგან ნათქვამია: „შენ ბარბარესი ნუ გეშინიან. ეგ არ გაგვცემს, გამოგზავნენ, ფულს ვაჩუქებ და ფული, ხომ იცი, რარიგად პირს აუკრამს ხოლმე ზოგიერთს ხალხს“, ლაზარეს შესახებ კი მისსავე სხვა წერილში ვკითხულობთ: „ჩემი უპატივცემულესი ლაზარე მთელი კვირა ისე იქცეოდა, რომ ბრაზით მავსებდა; მის მიმართ რომ ცუდი რამე არ მეკადრა, გადავწყვიტე გამეგლო“. ასეთ კონტექსტში ნათესავი ან მეგობარი ნახსენები არ იქნებოდა. მოგონებებიდან შემორჩა ლაზარეს გვარიც - ღონიაშვილი.

ილია წინამძღვრიშვილი: ოლღასადმი 1863 წლის 23 მარტს მიწერილი ბარათიდან (ტ. 18, გვ. 68-69) ჩანს, რომ თადეოზ გურამიშვილს იმ დილით სწვევია ილია ჭავჭავაძის ამხანაგი - წინამძღვრიშვილი და მათ ურთიერთობაზე ულაპარაკიათ. ილიას იმდროინდელი ახლობლებიდან ამ გვარისა არის მხოლოდ ილია წინამძღვრიშვილი, რომელსაც თადეოზის ნახვა შეეძლო როგორც თბილისში, ისე საგურამოში, რადგან მისი სოფელი წინამძღვრიანთკარი საგურამოდან 2-3 კილომეტრშია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ილია წინამძღვრიშვილს მწერალი ყველაზე მეტად ენდობოდა. მას გამოუგზავნა პეტერბურგიდან ჟურნალ „ცისკარში“ მისატანად თავისი პირველი კრიტიკულ;ი წერილი და სთხოვა კონფიდენციალურობის დაცვა. სწორედ ილია წინამძღვრიშვილისთვის შეიძლება მას ეთხოვა თადეოზის ნახვა და მისი დაყოლიება ილია ჭავჭავაძის მიღებაზე.

ლეონარდ ზაგურსკი: 1863 წლის 24 მარტის ბარათში ნახსენებია ზაგურსკი. ვფიქრობთ, საუბარი უნდა იყოს საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების წევრ - ლინგვისტ და ეთნოგრაფ ლეონარდ პეტრეს ძე ზაგურსკიზე. „საქართველოს მოამბის“ მესამე ნომერში ილიამ გამოაქვეყნა „სასტა-

ტისტიკო სქემა კავკასიის მხარისა“ (გვ. 118-121), რომელშიც ეყრდნობოდა კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების მიერ იმ დროისათვის ახალგამოსულ მე-5 ტომს. ლეონარდ ზაგურსკი იყო ამ საზოგადოების წევრი და ამგვარ სტატისტიკურ მონაცემებს კავკასიის შესახებ სწორედ ის აგროვებდა. 1868-1881 წლებში გამოვიდა 10 ნიგნი „Сборник сведений о кавказских горцах“, რომელშიც სტატისტიკას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ბუნებრივია, რომ ილია ჭავჭავაძეს ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ მესამე ნომრის გამოსვლის წინ მასში მოთავსებულ „სასტატისტიკო სქემასთან“ დაკავშირებით კონსულტაციები ჰქონოდა ზაგურსკისთან, როგორც ამ სფეროს სპეციალისტთან.

ელისაბედ ჭავჭავაძე: 1863 წლის 27 მარტს ოლღა გურამიშვილისთვის მიწერილ ბარათში ილია ჭავჭავაძე წერს, რომ მასთან ჩამოვიდა მისი და და ერთი წელი დარჩება. ილია ჭავჭავაძეს ორი და ჰყავდა. უფროსი - ნინო ოთხი შვილის დედა იყო და თბილისში დიდი ხნით არასდროს ჩადიოდა, ელისაბედს კი შვილები არ ჰყავდა. მისი პირველი ქმარი - ნიკოლოზ (ივანე) ესტატეს ძე ორბელიანი სამხედრო პირი იყო. ელისაბედს უყვარდა ქალაქური ცხოვრება და, ლოგიკურია, რომ თბილისში ძმასთან დიდხანს დარჩენილიყო. შესაბამისად, ამ წერილში ელისაბედი უნდა იგულისხმებოდეს. ამას ადასტურებს ოლღასთვის 1864 წლის 22 მაისს ქუთაისიდან გაგზავნილი ბარათი, რომლიდანაც ჩანს, რომ ელისაბედი ჯერ კიდევ თბილისშია („ჩემ დას ლიზოს უთხარ, რომ ნიგნი მომწეროს.“).

ხერო დარჩიევი: ოლღა გურამიშვილისთვის 1863 წლის 20, 28 მარტის და აპრილის თვის სამ წერილში (1, 4, „აპრილი“) ნახსენებია ზოგან ხერო და ზოგან დარჩილოვი (დარჩიანოვი). კონტექსტიდან ჩანს, რომ ყველგან ერთ პიროვნებაზეა საუბარი და ირკვევა, რომ სწორედ მან მოახერხა თადეოზ გურამიშვილის დათანხმება მისი ქალიშვილისა და ილია ჭავჭავაძის ჯვრისწერზე. («Дарчианов не аристократ, это правда, но это разве мешает ему быть хорошим посредником?»)

(20 მარტი); «Вчера был у меня Хечо, есть надежда, как он говорит, что отец благословит меня»... (28 მარტი); «Какая скука, разве к Дарчилову обратиться, чтоб он уговорил отца позволить мне к тебе заехать» (აპრილი); «Ура» кому? Мне или тебе? никому из нас, а одному Хечо, бессмертному Хечо прокричим мы с тобой... Слава и честь ему, что он успел без особенных сцен закончить наше дело»... (1 აპრილი); „ხეჩო! დიდი კაცია! ბარაქალა მაგის ვაჟკაცობას! ერთი დრო იყო, რომ გიჟი ოლიკო უწყებოდა ილიკოსა, აბა, ხეჩო რა ამოსარჩევი იყოვო. ახლა ისევ გიჟი ოლიკო ისევ იმ ხეჩოს ტაშს უცემსო“ (21 აპრილამდე). სავარაუდოდ, ამ წერილებში საუბარია გლეხური წარმომავლობის თბილისელ მიწათმფლობელ - ხეჩო დარჩილოვზე (დარჩიევზე), რომელიც ფლობდა დიდუბისა და ავჭალის ბაღებს, თბილისში ჰქონდა ორი სახლი და მაღაზია სარდაფით. ძველ ჟურნალ-გაზეთებში მიაგაგენით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მე-19 საუკუნის 40-იან წლებში ამ პიროვნებას ევალებოდა მცხეთის ტაძრის სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების წარმოება!

ნიკო მანსვეტაშვილი: როგორც მეუღლის, ისე თავისი დის - ელისაბედისთვის მიწერილ ბარათებში ილია ჭავჭავაძე ბევრგან ახსენებს გვარ „მანსვეტოვს“ ყოფით, ფინანსურ და არა ლიტერატურულ ან საზოგადოებრივ საქმეებთან დაკავშირებით²: „მანსვეტოვთან შემიტყე ჩვენის სახლების ამბავი: იყიდება თუ არა“... „გუშინას წინ წიგნი მომივიდა მანსვეტოვისა, რომ ოცი თუმანი მოსკოვში გამოგიგზავნეო“... „ლიზოს კიდევ მანსვეტოვისთვის უთქვამს, სახლის ქირა აუღიათ თხუთმეტი თუმანი“... „ოცი თუმანი, რომელიც მანსვეტოვმა გამომიგზავნა, მე არ მითხოვნია“, „ლიზოს კიდევ მანსვეტოვისათვის ეთქვო, მანსვეტოვს ხუთმეტი თუმანი მოეხერხები-

1. «О реставрации Мцхетского собора в текущем столетии», გაზ. «Кавказ», 1900, 20 ივნისი, №160, გვ.2.

2. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ.17, თბილისი, 2012, გვ. 47, 56, ტ. 18, გვ. 100, 148, 150, 154

ნა“, „ათს თუმანს მანსვეტოვს გავუგზავნიო“ და სხვ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მე-18 ტომის საძიებლებში შეტანილია მხოლოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწის - იაკობ მანსვეტაშვილის მონაცემები და არცერთ წერილს არა აქვს დართული კომენტარი, ვინ იგულისხმება ზემოხსენებულ ეპიზოდებში.

თავისი დის - ელისაბედ საგინაშვილისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ უთარილო წერილში ნახსენებია ამ მანსვეტოვის სახელი ნიკო: „ნიკო მანსვეტოვსა ჰსთხოვე ქვევითა მდგმურს გამოგვირთვას, რაც ფული გვერგება იმისგან და ის ფული სრულად ნატალია ჩოლოყაევისას გარდაეცი... შეეხვეწე მანსვეტოვს, რომ, რაც ქვევითა მდგმურისაგან გვერგება, გამოართოს“ (ტ. 17, გვ. 266). ზემოხსენებულ რვა წერილშიც აშკარად სწორედ ეს ნიკოლოზ მანსვეტაშვილია ნაგულისხმევი და არა იაკობი. როგორც ჩანს, ამ პიროვნებას ჩაბარებული ჰქონდა ილია და ელისაბედ ჭავჭავაძეების საზიარო სახლის ზედამხედველობა და მდგმურებისთვის ფულის გამორთმევა.

სიმონ ლოლობერიძე: მეუღლისთვის 1864 წლის ივნისში ქუთაისიდან გაგზავნილ წერილებში ილია ჭავჭავაძე ახსენებს „ლოლობერიძის ძმას“, რომელთანაც ის ცხოვრობდა ქუთაისში და რომელმაც ოლღას ჩამოსვლის შემდეგ მათ თავისი სახლი დაუთმო¹. მწერლის სტუდენტობის მეგობარ - ნიკოლოზ ლოლობერიძეს ორი ძმა ჰყავდა, მაგრამ ცნობილია, რომ 1896 წელს ქუთაისში ყოფნისას ილია ბინად მის ძმასთან - სიმონთან გაჩერდა. ვფიქრობთ, ეს სიახლოვე 1864 წლიდან იქნებოდა მათ შორის და წლების წინ ქუთაისიდან მოწერილ ბარათებშიც მასზე იქნება საუბარი.

სალომე დადიანი მიურატისა: იონა მეუნარგასთვის გაგზავნილ წერილში (ტ.17, გვ. 205) ილია ჭავჭავაძე ახსენებს პრინციესას („პრინციესას მამულს შემოსავალი აქვს, შენ ინე-

1. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ.18, თბილისი, 2009, გვ. 80-81.

რები, 4000 მანეთი“). პრინცივსად მოიხსენიებდნენ ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის ქალიშვილს - სალომე დადიანს მიურატისას. იონა მეუნარგიას ოჯახს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მიურატებთან. არსებობს სხვადასხვა დროის რამდენიმე ფოტო, რომელზეც მიურატებთან ერთად გადაღებულია იონა ან მისი მამა - დეკანოზი მიხეილ მეუნარგია. შესაბამისად, სავსებით ბუნებრივია, რომ საბანკო სესხთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძესთან იონას შუამდგომლობა გაენია მიურატებისთვის და წერილში სალომე დადიანი მიურატისა იგულისხმებოდას.

ივანე ლაზარევი: 1873 წელს პეტერბურგიდან მეუღლისთვის გამოგზავნილ წერილებში ილია ჭავჭავაძე ახსენებს ვინმე ლაზარევს. ბარათების შინაარსიდან ჩანს, რომ ეს პიროვნება ხან პეტერბურგშია და ხან ბაქოში და რომ იგი დიმიტრი სტაროსელსკის ახლობელი უნდა იყოს, რადგან პეტერბურგში თავისთან სტუმრად იწვევს არა მხოლოდ ილიას, არამედ დიმიტრი სტაროსელსკის ვაჟ სენოსაც. თუ გავითვალისწინებთ, რომ დიმიტრი სტაროსელსკი 1872 წლიდან იყო ბაქოს გუბერნატორი და ახლო ურთიერთობა ჰქონდა რეგიონის წარჩინებულებთან, შესაძლოა საუბარი იყოს წარმოშობით ყარაბაღელ, სომეხი ეროვნების ივანე დავითის ძე ლაზარევზე, რომელიც იყო რუსეთის არმიის გენერალ-ადიუტანტი და 1868-1877 წლებში ექვემდებარებოდა კავკასიის არმიის მთავარსარდალს. საგულისხმოა, რომ მის ოჯახში ილია ჭავჭავაძე ერთ თელაველ სომეხსაც შეხვდა. ბაქოსთან ლაზარევის კავშირზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ მოგვიანებით, 1878 წელს, მას მფლობელობაში გადაეცა 10 დესეტინა მიწის ნაკვეთი ბაქოს ნავთობით მდიდარ რაიონში.

გიორგი (იური) ჭავჭავაძე: 1907 წლის 1 აგვისტოს ყვარლის მოურავ ნოშრევან ჯაფარიძისადმი მიწერილ წერილში ნახსენებია „იურა“. მას შემდეგ, რაც ილია ჭავჭავაძეს ორი დეპეშა და ერთი წერილი გაუგზავნია ადრესატისთვის და პასუხი არ მიუღია, მიუწერია ამ იურასთვის, რომ მას გაერკვია, რაში იყო საქმე და რატომ მისცა მოურავმა თავს უფ-

ლება, რომ ორი დეპეშისა და ერთი წერილისთვის არ ეპასუხა; მით უფრო, რომ მეორე დეპეშაზე ილიას პასუხის ფულიც კი წინასწარ გადაუხდია. რამდენადაც ნოშრევან ჯაფარიძე ყვარლის მამულის მოურავი იყო, ჩვენი აზრით, ეს იური უნდა იყოს ყვარლისავე მკვიდრი, რომელთანაც მწერალი ახლოს იყო და ენდობოდა. ასეთი პიროვნებაა მისი ნათესავი გიორგი (იური) მელქისედეკის (მიხეილის) ძე ჭავჭავაძე, რომლის მეუღლეს - ელენე (პელაგია) ივანეს ასულ როსტომაშვილს მოგონებაც კი აქვს დაწერილი ილიასა და მათი ოჯახის ახლო ურთიერთობაზე.

სიმონ (სენა): ილია ჭავჭავაძის პირად წერილებში ხშირად იხსენიება სახელი სენა (სენო), რომელშიც სხვადასხვაგან სამი განსხვავებული პიროვნება იგულისხმება, რის გამოც ხშირია ხოლმე მათი აღრევა. ეს პიროვნებებია: ილიას ძმისწული - სიმონ (სენო) კონსტანტინეს ძე ჭავჭავაძე, დისწული - სიმონ (სენო) ნიკოლოზის ძე აფხაზი და მისი მეუღლის - ოლღას დისწული - სიმონ (სენო) დიმიტრის ძე სტაროსელსკი. უთარილო წერილებში ამ პირთა დიფერენციაცია ზოგჯერ გვაძლევს მათი დათარიღების და ბიოგრაფიული დეტალების დაზუსტების საშუალებას.

1889 წლის 22 სექტემბერს თავისი დის - ელისაბედისთვის გაგზავნილ პირად წერილში ილია ჭავჭავაძე მას უგზავნის მათი ძმისწულის - სიმონ (სენო) ჭავჭავაძის მისამართს, რომ საქართველოში გამომგზავრებისას გზად გაუაროს. ეს მისამართია Воронеж-Ростовская железная дорога, станция Подгорная. მართალია, 1872-1876 წლებში ვორონეჟის კადეტთა კორპუსში სწავლობდა ილიას დისწული სიმონიც (სენო), მაგრამ ეს იყო 1870-იან წლებში. აქ რომ არა ის, არამედ ძმისწული სენო იგულისხმება, ამას მონიშნავს შემდეგი ფაქტი - ვორონეჟის გუბერნიის სოფელი პოდგორნოე იყო სიმონ ჭავჭავაძის დიდი ბებუის (დედის მხრიდან) - მატრონა მიხეილის ასულ ზუბარევა-ტევეიაშოვას საგვარეულო მამული. ეს ქალბატონი სწორედ იქ გარდაიცვალა 1856 წელს და, საფიქრებელია, რომ მამულის ნაწილი თავისი გარდაცვლილი ქალიშვი-

ლის (ნატალია ტევიაშოვა გარდაიცვალა 1853 წელს) შვილისა და მისი ვაჟისთვის დაეტოვებინა. ამ წერილის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ილიას ძმისწული, სიმონ (სენა) კონსტანტინეს ძე ჭავჭავაძე 1889 წლამდე არ გარდაცვლილა, როგორც ეს ცალკეულ გამოცემებში არის აღნიშნული.

კვლევის შედეგად მოპოვებული ეს ინფორმაცია გვეხმარება ოღონდ ჭავჭავაძისათვის გაგზავნილ ერთ წერილში მოხსენიებული „სენოს“ იდენტიფიკაციაში. გურამ შარაძის წიგნში¹ ვკითხულობთ, რომ ოღონდადმი მინერილ ბარათში, რომელშიც ნათქვამია: „საწყალი სენა სწორედ მოუკლავთ, კობტას ძმის წიგნი მოუვიდა და ისა ჰსწერს, რომ ჩემთან იდგაო და იქავ ტყვია მოხვდა და დაეცაო მკვდარი“ (გვ. 203) საუბარია გრიგოლის ძმისწულ სიმონ ჭავჭავაძეზე, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ წერილში ნახსენებია ელისაბედის ქმარი - ალექსანდრე საგინაშვილი (დღეს სადილად მე საგინოვთან ვერ მოვალ, თვალში ცრემლი მერევა და მეშინიან, ლიზომ არ შემატყოს“), რომელიც 1887 წელს გარდაიცვალა, წარმოუდგენელია ახლაგარდაცვლილად იხსენიებოდეს ილიას ძმისწული - სიმონი, რომელიც 1889 წელსაც ცოცხალია. შესაბამისად, წერილში საუბარია ილიას დისწულ - სიმონ ნიკოლოზის ძე აფხაზზე, რომელიც მოკლეს რუსეთ-თურქეთის ომის დროს 1877 წლის 3 ოქტომბერს და შესაძლებელი ხდება ამ წერილის უფრო ზუსტი დათარიღებაც - 1877 ოქტომბრის შუა რიცხვებამდე.

ელენე ამილახვარი-გრუზინსკაია: 1858 წლის 13 აგვისტოს ნენე დიმიტრის ასულ ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილისადმი მინერილ ბარათში ილია ჭავჭავაძე ახსენებს პეტერბურგში მის სტუმრობას „ბატონის რძალთან“. 1858 წელს ერეკლე მეფის რძლებიდან ყველა გარდაცვლილი იყო, მაგრამ „ბატონის რძლად“ მოიხსენიებდნენ მისი ვაჟის - გიორგი XII-ის ვაჟების ცოლებსაც. რამდენადაც წერილში თავად ბატონიშვი-

1. გურამ შარაძე, „ილია ჭავჭავაძე (ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება - ფოტომატიანი)“, ტ. 1, 1987, გვ. 34.

ლი ნახსენები არ არის, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი გარდაცვლილია. 1858 წელს გიორგი XII-ის რძლებიდან სამი იყო ცოცხალი: თეიმურაზის მეუღლე - ელენე ოთარის ასული ამილახვარი-გრუზინსკაია, ილიას / ელიზბარის მეუღლე - ანასტასია გრიგოლის ასული ობოლონსკაია-გრუზინსკაია და ოქროპირის მეუღლე - ანა პავლეს ასული ქუთაისოვა-გრუზინსკაია, მაგრამ ბოლო ორი მოსკოვში ცხოვრობდა, პეტერბურგში კი იმყოფებოდა მხოლოდ თეიმურაზის ცოლი - ელენე ოთარის ასული ამილახვარი-გრუზინსკაია. შესაბამისად, მწერალიც სწორედ მასთან სტუმრობის ამბავს უნდა ყვებოდეს.

ელენე თარხნიშვილი-ბაგრატიონ-გრუზინსკი და მიხეილ ბაგრატიონ-მუხრანელი: მეუღლისთვის 1879 წლის წლის 19, 28 ივლისს და 3 აგვისტოს გაგზავნილ ბარათებში (ტ. 18, გვ. 123, 125) ილია ჭავჭავაძე წერს: „ელენე გრუზინსკი აქ, მოსკოვში არ არის, დაჩაში გადასულა და იქ წასვლა ჯერჯერობით ვერ მოვახერხე... ვერც მუხრანსკი ვიპოვე“, „მიხაკო მუხრანსკი, როგორც ელენე გრუზინსკისა, ვერა ვნახე, რადგანაც დაჩებში არიან“, „ელენე გრუზინსკისა და მუხრანსკი ამჟამად მოსკოვში არ იმყოფებიან და ამიტომაც ვერა ვნახე“. ელენე გრუზინსკი - ელენე ზაზას (ზაქარიას) ასული თარხან-მოურავი (თარხნიშვილი), იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის შვილიშვილის, 1865 წელს გარდაცვლილი - ალექსანდრე ბაგრატის ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის მეუღლე, მიხეილ კონსტანტინეს ძე მუხრანსკი კი - ილია ჭავჭავაძის მეუღლის - ოლღა გურამიშვილის ღვიძლი მამიდაშვილი.

კონსტანტინე ზახაროვი: მეუღლისთვის 1873 წლის 19 და 28 ივლისს, 3 და 31 აგვისტო და 23 ოქტომბერს (ტ. 18, გვ. 123, 126, 129, 136, 152, 153) გაგზავნილ ბარათებში ნახსენებია ვინმე ზახაროვი, ძალიან კარგი პიროვნება, დიმიტრი სტაროსელსკის ოჯახის მეგობარი, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცია მოსკოვში სასწავლებლად ჩასული 11 წლის სენო სტაროსელსკისთვის, წაეყვანა სახლში უქმე დღეებში, ეზ-

რუნა მისთვის აღმზრდელის შოვნაზე და სხვ. არცერთ წერილში მითითებული არ არის ამ პიროვნების სახელი, მაგრამ 1873 წლის 23 აგვისტოს ვასილ მაჩაბლისთვის გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ ეს პიროვნება უნდა ყოფილიყო ექიმი კონსტანტინე ივანეს ძე ზახაროვი და სწორედ ის უნდა დახმარებოდა ილია ჭავჭავაძეს მოსკოვის ბანკთან კავშირის დამყარებაში („დოქტორი კონსტანტინე ივანიჩი ზახაროვი, რომლის შემწეობითაც მე ბანკის კარები გამეღო და რომელიც ჩემის ქვისლის, სტაროსელსკის დიდი მეგობარია“). კონსტანტინე ზახაროვი იყო მედიცინის დოქტორი და 1871-1877 წლებში ექიმად მსახურობდა მოსკოვის საკომენდატო სამმართველოში.

ვლადიმერ ბარიატინსკი: 1873 წელს ვასილ მაჩაბლისთვის გაგზავნილ წერილში¹ ილია ჭავჭავაძე ახსენებს კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკის ძმას. რამდენადაც შინაარსის მიხედვით, ილიას უნდოდა, რომ ის დახმარებოდა პეტერბურგის ბანკებთან ურთიერთობის დამყარებაში, ნაგულისხმევი უნდა იყოს ვლადიმერ ივანეს ძე ბარიატინსკი. ალექსანდრე ბარიატინსკის ძმებიდან ვიქტორი იმ დროს უკვე ოდესაში ცხოვრობდა, ანატოლი კი არასერიოზული პიროვნება იყო, მუდმივად ვალები და მოუწესრიგებელი ცხოვრება ჰქონდა. რაც შეეხება ვლადიმერს, იგი სამეფო ამალის წევრი იყო და ცოლად ჰყავდა ყოფილი სამხედრო მინისტრისა და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, იმხანად უკვე გარდაცვლილი ალექსანდრე ჩერნიშევის ქალიშვილი.

მოურავი დავით ციციშვილი: ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის მიხედვით, 1875-1884 წლებში მწერლის მოურავი საგურამოში იყო ზაქარია გიორგის ძე ციციშვილი, მაგრამ მწერლის პირადი ბარათებიდან, რომლებიც ერთ-ერთ ყველაზე სარწმუნო დოკუმენტურ წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს, ამ წლებში მისი მოურავი იყო არა ზაქა-

1. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ.17, თბილისი, 2012, გვ. 45.

რია, არამედ დავით ციციშვილი. ამას მოწმობს 1882 წლის ივლისამდე დაწერილი ბარათის ფრაზა: „მე აქამდინაც ამოვიდოდი, მაგრამ დავით ციციშვილს ველოდი, რომ სამკალი მაშინა ნამოგველო. რა წამსაც მოვედი ქუთაისიდან, მაშინვე ტელეგრამმა გაუგზავნე, მაგრამ აქნობამდე არ ჩამოვიდა. დღეს მე თვითონ წაველ აქ ერთს მეხანიკთან...“ დავითი - დათია ნახსენებია 1882 წლის აგვისტოს შუა რიცხვების წერილშიც: „გაგზავნე დათია, რომ როგორც რიგია, დაჰსთვალოს და, პარასკევს რომ პოვოსკა წამოვა, თან გამოატანე ანგარიში ხეებისა“. 1882 წლის ოქტომბრის დასაწყისის წერილის მიხედვითაც, მოურავს დავითი, დათია ჰქვია, ილია ჭავჭავაძე მისით უკმაყოფილოა და დათხოვნას უპირებს: „ეგ ჩვენი ბატონი მოურავი დათია სულ არ ვარგა არაფერში. ყურს არას უგდებს, იმოდენა პურსა და ფულს მახარჯვინებს და ძირს კი, ხელში არა გვრჩება რა, გარდა იმისა, რასაც იპარავს თურმე. ეხლა მინდა დავითხოვო... გული ამემღვრა, ახლა რომ ვნახე მანდაურობა. გვჭამენ, გვსვამენ და არას აკეთებენ კი“.

მიუხედავად ამ გაბრაზებისა, როგორც ჩანს, დავით ციციშვილი ილიას მაინც არ დაუთხოვნიდა, რადგან მომდევნო წლების ბარათებშიც მოურავად ხან „დათია“ ნახსენები და ხან „ციციშვილი“. 1883 წლის 28 დეკემბრამდე დაწერილ ბარათში ნათქვამია: „ციციშვილს უთხარი, გაბოსთან მოილაპარაკოს ცხენის თაობაზედ“, 1884 წლის 29 თებერვალს კი ილია ჭავჭავაძე პეტერბურგიდან სწერს მეუღლეს: „ციციშვილს მისწერე, რომ რაც საჭირო იყოს ჩვენის ეზოს გასამშვენიერებლად, უსათუოდ გააკეთოს“. დავით ციციშვილი 1887 წლის წერილშიც იხსენიება: „ამოვედი წარსულს შაბათს, ვნახე, რომ ციციანოვი გულმოდგინედ აღარ ეკიდება საქმეს და თავის გასაკეთებელს მევე მახვევს კისერზედ, მეწყინა ეს ყველაფერი, გავეჯავრდი, და დღესაც ამაზედა ვარ გაჯავრებული...“

ციციანოვი სახელის გარეშე იხსენიება 1866 წლიდან 1882 წლამდე სხვადასხვა პერიოდის წერილებში, მაგრამ, შინაარსე-

ბიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ილიასა და ოლლას შემოსავალ-გასავალს და მეურნეობას ის უძღვება. იგი იხსენიება ორ კონტექსტში - 1. თუ ოლლას ან ელისაბედს ხელზე თანხა არ აქვთ, მას ართმევენ: „ერთი თვის პროვიზია იყიდე, ციციანოვს ფული ექნება“ (1866 წ.), „ერთი დეკეული იყიდონ. თუ ფული არ ექნებათ, ციციანოვს გამოართონ“ (1872) თუ ფული გინდა, ციციანოვს უბრძანე და მოგართმევს ათიოდ თუმანს“ (1878 წ.). 2. იგი აგვარებს სამეურნეო საქმეებს: „ციციანოვს ვგზავნი... აქაური ულელი ხარი მანდ დააგდეთ და მანდაური ერთი ულელი აქ გამოატანეთ... მე რომ მანდ შემოსავალ-გასავლის წიგნი მაქვს, ორი მაგისტანა წიგნი აყიდვინე და ციციანოვს გამოატანე“ (1878 წ.). „ექვსი რუმბი ღვინო ამოაღებინეთ, რომელიც უნდოდეს... ციციანოვი უსათუოდ დაესწროს ამოღებაში“ (1879). თუ სასწაულებრივ დამთხვევასთან არ გვაქვს საქმე და ილიას ზედიზედ ორი მოურავი არ ჰყავდა ერთი და იმავე გვარისა, აქ ყველგან მოურავი დავით ციციშვილი უნდა იგულისხმებოდეს და, არსებული მონაცემებით, იგი ილია ჭავჭავაძის მოურავი უნდა ყოფილიყო 1866-1887 წლებში. მართალია, 1875 წლამდე მწერალი საგურამოში დამკვიდრებული არ იყო, მაგრამ მას და მის მეუღლეს სხვადასხვა ადგილებში ჰქონდათ მიწები და მათ მართვას (იჯარით გაცემა, მუშების დაყენება, პროცენტების აღება და სხვ.) აუცილებლად სჭირდებოდა დამხმარე პირი.

ილია ჭავჭავაძის ლექსების დათარიღება

ყრმობისდროინდელი ორი ლექსი: 1938 წელს გიორგი ლეონიძემ მიაკვლია ილია ჭავჭავაძის ორ, მანამდე უცნობ, ყრმობისდროინდელ პოეტურ ტექსტს, მიიჩნია, რომ ერთ-ერთი მათგანი მეორის გაგრძელებას წარმოადგენდა და გამოაქვეყნა საერთო სათაურით - „ჩალაუბანი“¹. მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველი ტომის მომზადებლებმა (1987) არ გაიზიარეს მოსაზრება ამ ტექსტების ურთიერთკავშირზე და ისინი დაბეჭდეს ცალ-ცალკე - სათაურებით „რწყილთაგან ტანჯვაი და მათი ანბავი“ და „...დავსწერ სოფლისა ქებას“.

ტექსტების დათარიღებისას - 1848 წლით და 1840-იანი წლების დამლევით - მეცნიერები ეყრდნობოდნენ კოხტა აფხაზის მოგონებას, სადაც იგი წერს, რომ ლექსში „რწყილთაგან ტანჯვაი...“ აღწერილი მოვლენების დროს „ილია იქნებოდა ასე 11 წლისა“. სამწუხაროდ, ყურადღების მიღმა დარჩა იმავე მოგონებაში არსებული სხვა მინიშნება - „კარდანახში ვიყავით [ორივე გემნაზიელები]“. ილია გიმნაზიაში 14 წლის ასაკში - 1851 წელს შევიდა. შესაბამისად, კოხტა აფხაზის მოგონება აშკარად წინააღმდეგობრივია და ზემოხსენებული ორი დეტალიდან ერთი არასწორია. ფრაზა „იქნებოდა ასე 11 წლისა“ მიგვანიშნებს, რომ მოგონების ავტორს ასაკი ზუსტად არ ახსოვს. მეორე მხრივ, ჩვენთვის ცნობილია, რომ ილია და კოხტა აფხაზი ერთად სწავლობდნენ გიმნაზიაში და შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ არავითარი ინფორმაცია არ გვაქვს იმის შესახებ, იცნობდნენ თუ არა ისინი ერთმანეთს 1851 წლამდე. მათ სოფლებს - ყვარელს და

1. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938 წ., 12 აპრილი, N9.

კარდანახს სულ ცოტა 30 კილომეტრი მაინც აშორებს ერთ-მანეთისგან.

საფიქრებელია, რომ ამ ორი ყმანვილის დაახლოებისთვის გიმნაზიაში ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოჩენასთან ერთად ხელი შეეწყო 1851 წელს ილია ჭავჭავაძის დის - ნინოს გათხოვებას ნიკოლოზ აფხაზზე და ამ ორი გვარის დანათესავებას. შესაბამისად, ბევრად უფრო სავარაუდოა, რომ ლექსი 1851 წლის შემდეგ იყოს დაწერილი და კოხტა აფხაზს ილიას ასაკის მითითებისას დაეშვა შეცდომა. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ამ ორი ტექსტისა და თავისი დის - ნინოსადმი მიწერილი ილიას კიდევ ერთი ლექსის - „ჩემი გონებიდგან განუშორებლო დაო ნინავ!“ ურთიერთმიმართების შესწავლა.

რატომ მიიჩნია გიორგი ლეონიძემ, რომ მის მიერ ნაპოვნი ორი ტექსტი ერთმანეთის გაგრძელება იყო? აქვს თუ არა ამ მოსაზრებას ობიექტური საფუძვლები?

1. ორივე ლექსი დაწერილია სოფელ ჩალაუბანზე. როგორც კოხტა აფხაზის მოგონებიდან ჩანს, ამ სოფელში ის და ილია ჭავჭავაძე გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო მოხვდნენ: „ჩვენს სოფელში კარდანახში ვიყავით [ორივე გემნაზიელეები]... ოცი თუ თხუთმეტი ვერსის მანძილზე მამაჩემს მამითადი ჰქონდა. ჩვენც იქ ნავედით... საღამოთი შინისაკენ დავბრუნდით და კარდანახამდინ რო ასე 7 ვერსის სავალი დაგვრჩა, კოკისპირული წვიმა დაუშვა და მთელი ნიაღვარი მოვარდა. მეტი გზა არ იყო, შევბრუნდით ახლო მდებარე სოფელში ჩალაუბანში და ღამეც იქ გავატარეთ. მაგრამ მთელი ღამე არ მოგვითვლემია. ერთს გლეხკაცის სახლში ვინეკით და ღამე იმოდენა მკბენარი (რწყილები) დაგვეხვია, რომ გათენებისას გამოვარდით“. ჩალაუბანში ილიას ახლობლები არ ჰყოლია (წინააღმდეგ შემთხვევაში, უცნობი გლეხისას არ გაათევდნენ ღამეს) და რომ არა ეს ერთი უცნაური შემთხვევა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მას ამ სოფელზე ლექსის (მით უფრო, ორი ლექსის) დაწერა მოსვლოდა აზრად.

2. ორივე ლექსი დაწერილია „ვეფხისტყაოსნის“ მიბაძვით და შაირის პოეტური ფორმით („დღესა ერთსა რწყილთა მეფეს სენი ძველი გაუახლდა“ / „დავსწერ სოფლისა ქებასა მე ყრმაი გამოუცდელი“)

3. აკადემიურ გამოცემაში უფრო გვიანდელად მიჩნეული უსათაურო ტექსტი ბევრი ასპექტით - ავტორის ვინაობის მინიშნებით („სახელათა მძევს ილია“), პოეზიის ავკარგიანობის შესახებ მსჯელობით („ნუ გეგონოსთ, რომ მე მინდა პოეტობის სახელდება“, „როგორც ხმასა ყორანისას ბულბული არ მოინონებს, / ისე ჩემსა ლექსთ-თხზულებას პოეტი არ შეინყნარებს“, „მისთვის მოვიხმე კალამი და სრული გონიერება“), ღვთისადმი მიმართვებით („ეჰა, ღმერთო, შენ ხომ იცი“, „ვახსენოთ ღმერთი, დავიწყოთ ქებაი მისი სოფლისა“) „ვეფხისტყაოსნის“ შესავალს მოგვაგონებს. ამასთანავე, მეორე ტექსტის სათაური - „რწყილთაგან ტანჯვაი და მათი ანბავი“ — „ვეფხისტყაოსნის“ იმ თავების სათაურებს წააგავს, რომლებშიც სიუჟეტი ვითარდება. შესაბამისად, სწორედ აქ გვხვდება - საგმირო ეპიზოდების პაროდირებაც („შემომესივნეს იგინი, გაიმართა დიდი ბრძოლა... ზოგსა ვხოცდი, ზოგსა ვსტყორცნი, ზოგი სადღაც დამემალა... რომელი რომელს შევსტყორცნე, დაიხოცნენ უზრუნველათ“).

4. პირველი ტექსტის პირველივე ფრაზა „კვლავ მოგიტხრობთ ჩემს ანბავსა“ აშკარად მიგვანიშნებს, რომ მას კიდევ რაღაც მსგავსი ტექსტი უსწრებდა წინ.

5. აკადემიურ გამოცემაში უფრო გვიანდელად მიჩნეული ტექსტი მთავრდება მინანურით „ქება დასრულდა“, ხოლო უფრო ადრეულად მიჩნეული ტექსტი - მთავრდება სიტყვებით „სრულ იქმნა“. ჩვენი აზრით, ტექსტების ბოლოს ამ ერთნაირი სტილის მინანურების არსებობაც მათ ერთიანობაზე უნდა მიგვანიშნებდეს, კერძოდ, უნდა მოწმობდეს, რომ ერთ შემთხვევაში დასრულდა თხზულების ქებითი ნაწილი, მეორეგან კი დასრულდა მთლიანი ტექსტი. შესაბამისად, მათი თანმიმდევრობა აკადემიურ გამოცემაში არასწორია.

თავისი დის - ნინოსადმი მიწერილი ლექსი - „ჩემო გონე-ბიდგან განუშორებლო დაო ნინაე!“ ილია ჭავჭავაძის თხზუ-ლებათა აკადემიურ გამოცემაში მართებულად არის დათა-რილებული 1852 წლით, რადგან მასში მოხსენიებულია ილიას დისწული გიგო აფხაზი. ილიას დამ - ნინომ და ნიკოლოზ აფხაზმა იქორწინეს 1851 წლის 11 თებერვალს. მათი პირვე-ლი ვაჟი გიგო იმავე წლის ბოლოსაც რომ დაბადებულყო, ლექსი მაშინვე ვერ იქნება დაწერილი, რადგან აქ გიგოს ნათ-ლობაც არის ნახსენები („და შემწეობას მისთვის მასსა ვთხოვ, ვისთვის მან თეთრი იმოსა“). შესაბამისად, უფრო სა-ვარაუდოა 1852 წელი. რაც შეეხება ამ ლექსისა და ზემოხსე-ნებული ტექსტების ურთიერთმიმართებას, ნინოსადმი მიძღ-ვნილ ლექსში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ „ჩალაუბნის ქებაც“ ავტორს ამ ტექსტთან ერთად მიუერთმევია თავისი დისთვის („ამ წიგნთან გიძღვნი ჩალაუბანის ქებას“).

აქ რომ სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ტექსტზეა საუბარი, მიგვანიშნებს პარალელები: „გიძღვნი ჩალაუბნის ქებას“ / „დავსწერ სოფლისას ქებასა... ქებაი მისი სოფლისა... ქება დასრულდა“. ასევე შდრ. „მრავალსა ჰპოვებ მუნ შეცო-დებას“ / „ვიცი, ამის წამკითხველი შეცდომასაც ბევრსა პო-ებს“ და სხვ. ცხადი ხდება, რომ 1852 წელს ილია სწვევია თა-ვის დას და მისდამი მიძღვნილ ლექსთან ერთად მიუერთმევია ჩალაუბნის ქებაც, რომელიც იმავე პერიოდში უნდა შეექმნა. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ დროს მას „რწყილთაგან ტან-ჯვაი“, რომელიც ჩალაუბნის ქების გაგრძელებას წარმოად-გენს, ჯერ არ ჰქონდა დაწერილი, მაგრამ ტექსტის ქვეშ მონა-წერი - „ქება დასრულდა“ მიგვანიშნებს თხზულების ერთი ეტაპის დასრულებაზე და არა მის მთლიანად დასრულებაზე. ტექსტის ბოლომდე დასრულების აღმნიშვნელი მინაწერი - „სრულ იქმნა“ გვხვდება სწორედ მეორე ტექსტის - „რწყილ-თაგან ტანჯვაის...“ ბოლოს (საგულისხმოა, რომ მსგავსი წარ-წერა გვხვდება ნინოსადმი მიძღვნილ ლექსთანაც მის ადრე-ულ ავტოგრაფში. ტექსტს ბოლოში მიწერილი აქვს: „გათავ-და ეს ლექსი“).

რამდენადაც კოხტა აფხაზის მოგონებაში ნახსენებია „მამითადი“ და გამოძინება კაკლის ხის ქვეშ („მამაჩემს მამითადი ჰქონდა... ღამე იმოდენა მკბენარი (რწყილები) დაგვეხვია, რომ გათენებისას გამოვარდით გარეთ ლოგინებითურთ... ერთს დიდ კაკლის ქვეშ გავშალეთ და ცოტა მაინც გამოვიძინეთ“¹), ვფიქრობთ, რომ იგი 1852 წლის ზაფხულში უნდა იყოს შექმნილი ჩალაუბნის ქებასთან ერთად. საგულისხმოა, რომ სტილით და მხატვრული ღირებულებით სამივე ლექსი თანაბარი დონისაა და არ არის საფიქრებელი, რომ მათ 4 წელი აშორებდეს ერთმანეთს. ჩალაუბნის შესახებ დაწერილ ლექსებზე ვერ ვიტყვით, რომ ისინი „შედეგრებია“, მაგრამ საკმაოდ მდიდარი ლექსიკა, დახვეწილი იუმორი და მარჯვე პაროდირება, ჩვენი აზრით, 11 წლის ყმანვილისგან, თუნდაც იგი მომავალი გენიოსი იყოს, ნაკლებ მოსალოდნელია და ეს ლექსები, ამ მოსაზრებითაც, დაწერილი უნდა იყოს არა 1848 წელს, არამედ უფრო გვიან.

მართალია, ჩვენ მიერ მოხმობილი არგუმენტების მიხედვით, 1852 წელი არის სავარაუდო ქრონოლოგიური ჩარჩოების ქვედა ზღვარი და ეს ლექსები, იმავე არგუმენტების გათვალისწინებით, ილიას შეიძლება იყოს გიმნაზიაში სწავლის მომდევნო წლებშიც დაეწერა (1857 წლამდე), მაგრამ არის კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც ამ თარიღს უჭერს მხარს. ილიას პეტერბურგში გამგზავრებამდე ნინოს უკვე, როგორც ჩანს, ოთხივე შვილი გაჩენილი ჰყავდა, რადგან 1859 წლის 18 თებერვალს, ვიდრე პეტერბურგში გამგზავრების შემდეგ პირველად ჩამოვიდოდა საქართველოში, რუსეთიდან გამოგზავნილ წერილში ილია ისე ახსენებს მის „ბიჭ-ბუჭულებს“ (ნინოს სამი ვაჟი ჰყავდა) და „უზესთაესთა ხერუბიმ მაიკოს“ (მაიკო ნინოს მეოთხე შვილი იყო), რომ აშკარად ყველა ბავშვი ნანახი ჰყავს. შესაბამისად, 1853-1854 წლებში ნინოს, სავარაუდოდ, კიდევ ერთი ბავშვი მაინც უნდა ჰყოლოდა, ლექ-

1. ლიტერატურული მემკვირეობა” ტ. I, 1935 წ., გვ. 563.

სში კი ნახსენებია მხოლოდ გიგო, რაც, ასეთ შემთხვევაში, ალოგიკური იქნებოდა.

საგულისხმოა კიდევ ერთი რამ - ზემოხსენებულ სამივე ლექსს ისეთი ხალისი და სილაღე ეტყობა, რომ არა გვგონია, იმ დროს ილიას და მის დას ახალგადატანილი ჰქონოდათ მამის გარდაცვალება (გრიგოლ ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1852 წლის 10 დეკემბერს) და უფროსი ძმის დაღუპვა (1854 წლის 3 ივლისს). ვფიქრობ, ასაკობრივ სიმწიფესთან ერთად, ამ ორმა ტრაგედიამაც განაპირობა ჭაბუკი ილიას მეტამორფოზა, რომელიც აშკარად დაეტყო 1852 წლის მომდევნო პერიოდის მის ლექსებს: „სიტკბოება თვის მამულში“, „ჭაბუკობაზედ“, *** („დაღონებული, არ ვიცი, რაზედ“) და „მოთქმა სანყლისა“.

ლექსი „**გ. აბხაზს**“, რომელიც ეძღვნება ილია ჭავჭავაძის უფროსი ძის - ნინოს ვაჟ - გიგო აბხაზს, შემორჩენილია მხოლოდ ნაბეჭდების სახით, ავტოგრაფი არ არსებობს. ავტორის სიცოცხლეში იგი ხუთჯერ გამოქვეყნდა, მაგრამ თარიღი მინერილი აქვს მხოლოდ 1892 წლის თხზულებათა გამოცემის პირველ ტომში - 1863 წელი. კვლევამ დაადასტურა, რომ ამ გამოცემაში მწერალმა თხზულებები ზეპირად დაათარიღა წიგნის ბეჭდვის წინ და ამის გამო ბევრი მათგანი არასწორია. თარიღი 1863, სავარაუდოდ, გაჩნდა იმიტომ, რომ ლექსი პირველად 1863 წელს დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“.

ტექსტში გიგო აბხაზი „უსუსურ ბავშვად“ არის მოხსენიებული, რაც მის „ჩვილობის“ ასაკზე მეტყველებს. ცნობილია, რომ 1873 წელს გიგო უკვე ილიას ყვარლის მამულების მოურავია და, თუ დავუშვებთ, რომ ლექსი 1863 წელს არის დაწერილი და იგი იმ დროს ჩვილი ბავშვი იყო, გამოდის, რომ ილიას თავისი მამულების მოურავობა 10 წლის მოზარდისთვის მიუხდია, რაც გამორიცხულია.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთ ჩვენ მიერ გაკეთებულ დასკვნას, რომ გიგო აფხაზი 1852 წელს უნდა ყოფილიყო და-

ბადებული და იმ ფაქტს, რომ „უსუსურ ბავშვს“ უფრო 2 წლამდე ასაკის პატარაზე იტყვიან, ილიას მიერ თავისი დის-წულისათვის მიძღვნილი ლექსი 1854 წელზე გვიან არ უნდა იყოს შექმნილი. ამიტომ არ არის იგი ჩანერილი პეტერბურგის პერიოდის რვეულებში და ამიტომ არ დაუბეჭდავს მწერალს საქართველოში დაბრუნებამდე. როგორც ჩანს, მისი ავტოგრაფი ყვარლის სახლში, ან, რაც უფრო საფიქრებელია, აფხაზების ოჯახში ინახებოდა.

„ღამე“: ილია ჭავჭავაძის უთარილო ლექსს „ღამე“ პავლე ინგოროყვა „წერის ხასიათის მიხედვით“ ათარილებს ავტორის სტუდენტობის პერიოდით - 1857-1861 წლებით¹. ლექსის შინაარსზე დაკვირვება ამ ფართო თარიღის უფრო დაკონკრეტების საშუალებასაც იძლევა. რამდენადაც ლექსში პოეტი ტკბება სამხრეთის ღამის ცქერით და თან მას პირდაპირ მიმართავს, „სამხრეთის ღამევ“, ის ლექსის წერის დროს პეტერბურგში არ უნდა იყოს (შდრ. ტიარლევოში დაწერილი ლექსი „უცხოეთში“: „შემომტირის მე მწუხარედ გული... მისთვის ხომ არა, რომ ვსჭერეც სხვა ზეცას“). რადგან იგი განასხვავებს „სამხრეთის ღამეს“ და „სხვა“ ღამეს, ცხადია, რომ ჩრდილოეთში უკვე ნამყოფია. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ლექსი დაწერილი იყოს 1859 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე, როდესაც პოეტი დროებით იყო ჩამოსული საქართველოში. ამ წლის 22 ივნისს იგი ჯერ პეტერბურგშია და განცხადება შეაქვს უნივერსიტეტში გამოცდების გადავადებასთან დაკავშირებით, 3 ოქტომბერს კი ჯერ კიდევ საქართველოშია, რადგან წერს ლექსს „მტკვრის პირას“ და ადგილსამყოფელად თბილისს უთითებს. შესაბამისად, პოეტი საქართველოში უნდა ყოფილიყო და ლექსი „ღამე“ დაეწერა 1859 წლის ივნისის ბოლოდან ოქტომბრის პირველ ნახევრამდე.

1. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. 410, 436.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის პირველ ტომში უთარიღობის განყოფილებაშია დაბეჭდილი დაუმთავრებელი ლექსი „**რითაც ვიყავ მოქადული**, / ყველა მე შენ განაცვალე, / მე უშენოდ აღარა მნამს / არც დღეისი, არცა ხვალე...“ ტექსტი პირველად გამოქვეყნდა მის თხზულებათა ცხრატომეულში სადაც ნაბეჭდ ტექსტს ბოლოში აწერია 80-90-იანი წლები, ქრონოლოგიური სიის სქოლიოში კი - დათარიღებულია 90-იან-900-იანი წლებით.

ვიდრე დათარიღებას შევეცდებოდეთ, გადავწყვიტეთ გაგვერკვია ლექსის ადრესატი. მასში ავტორი მეორე პირში მიმართავს ვილაცას, ვისაც ამ ქვეყნად ყველაფერი ანაცვალა და მსხვერპლად შესწირა და ვისი ხატებაც გულიდან მაინც არ ამოუშლია. ილია ჭავჭავაძეს დაწერილი აქვს რამდენიმე სატრფიალო ლექსი, მაგრამ ასეთი გრძნობა, რომ ვინმესთვის ყველაფერი შეენიროს და მასზე ლოცულობდეს, არცერთში არ ჩანს (შდრ.: „ან შენ მაშინ რა იცოდი, / ან შენმ გიჟმა რა ოცოდა, / რომ ის კოცნა ბოლოს გესლად შენის გამოხით შემეცვლოდა“). ასეთი წარუშლელი გრძნობა ილიას მხოლოდ სამშობლოსადმი ჰქონდა (შდრ. „და მე არ ვჩივი, – მიხარია, რომ ეგრეთ ჰშვრება / ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში“, შდრ „აჩრდილიდან“: „მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა, / ორივე დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა). შესაბამისად, ლექსი დაწერილი უნდა იყოს ზოგადი განწყობით და არა კონკრეტული ადამიანისადმი ტრფობით.

ამ ლექსის დათარიღება ავტოგრაფის კალიგრაფიით ვერ ხერხდება, სამშობლოს თემაზე დაწერილი მსგავსი განწყობის ლექსები და აქ გამოყენებული სალექსო ფორმაც ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ყველა ეტაპზე გვხვდება. რაც შეეხება ენასა და სტილს, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება 60-იანი წლების შემდეგდროინდელი ლირიკული ლექსების ასეთივე შავი ავტოგრაფები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა გვეთქვა, რომ იმ შემოქმედებითი ეტაპის პოეტური ტექსტე-

ბის პირველ მონახაზებსაც კი განსხვავებული ენა, ან სტილი აქვს. მეორე მხრივ, ვფიქრობ, დაგვეხმარება ერთი გარეშე დეტალი - ავტოგრაფის პირველსავე ვარიანტში არის ფრაზა, რომელიც, სავარაუდოდ, ლექსის მთავარი ბირთვი, მისი უმნიშვნელოვანესი სახე უნდა ყოფილიყო. ეს არის სამშობლოს შედარება ხატთან: მხოლოდ გულში შენი სახე, / ვითა ხატი, მისვენია. / მას ვლოცულობ, მე დღედაღამ / მას შევხარი, მას შევცქერი". წარმოუდგენელია, რომ ლექსში ამ მხატვრული სახის გამოყენება ილია ჭავჭავაძეს განეზრახა აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსის - „ხატის წინ“¹ გამოქვეყნების შემდეგ, რომელშიც სამშობლო ასევეა ხატთან შედარებული: „ჩემი ხატია სამშობლო, / სახატე - მთელი ქვეყანა“. ლექსის წერის დაწყება ზუსტად იმავე სახეზე, რომელიც უკვე არაჩვეულებრივად გამოიყენა სხვა პოეტმა, ნაკლებ სავარაუდოა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ილიამ თავისი უკანასკნელი ლექსი დაწერა 1894 წელს და ისიც გარკვეული გარემოებებით იყო გამოწვეული - 1883 წელს ვახტანგ ორბელიანმა გამოაქვეყნა პოეტური შეხმიანება მის ლექსზე „ჩემო კარგო ქვეყანავ...“ სათაურით „მშობელი ქვეყნის პასუხი“, რომელშიც გარკვეული სკეპტიციზმი ჩანდა ქვეყნის მოწყენის მიზეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით: „მკითხე, ჩემო პოეტო, რაზედ მომიწყენია? / ნება მომეც, მეც გკითხო, შენ კი მოგილხენია? / მეუბნები, მარწმუნებ: “მომავალი ჩვენია”. / მაგგვარი იმედები ჩემს ყურს ბევრჯელ სმენია...”

1894 წელს, როდესაც დაპირისპირება იმ თაობის შიგნით, რომელიც ქვეყანას ბედნიერ მომავალს უქადადა, იმდენად გამწვავდა, რომ საერთო, საქვეყნო საქმის ნგრევა დაიწყო (მდგომარეობა ბანკში, ჟურნალ-გაზეთების დაპირისპირება), ილიამ საჭიროდ ჩათვალა გამომხაურებოდა იმ ხანად უკვე გარდაცვლილი ვახტანგ ორბელიანის პასუხს და ახალი

1. აკაკი წერეთელი, „ხატის წინ“, გაზ. „კვალი“, 1894, 28 აგვისტო, N36, გვ. 1-2.

გადასახედიდან ერვენებინა „ქვეყნის პასუხი“: „მე სამოთხე ვარ და თქვენ კი, თქვენ კი!.../ ვაი, ძე ჩემი ბედკრულ, უძლური!.. / იქ თვით სამოთხეც ჯოჯოხეთია, / სად თვის შხამს ან-თხევს მტრობა და შური“. ეს ლექსი იყო მამულიშვილებისა და მამულის ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი ძალიან მნიშვნელოვანი შემაჯამებელი ტექსტი და მისი დაწერა არ ნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძემ ლექსების წერას კვლავ მიჰყო ხელი. 1894 წლის შემდეგ მას არცერთი პოეტური ტექსტი აღარ დაუწერია. შესაბამისად, ზემოხსენებული უსათაურო და უთარილო თხზულება აკაკი წერეთლის ლექსის „ხატის წინ“ გამოქვეყნებამდე პერიოდით - 1894 წლის 28 აგვისტომდე უნდა დავათარილოთ.

მიხეილ ლერმონტოვის ლექსი „**კლდის**“ ილია ჭავჭავაძისეულ თარგმანს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ N108 რვეულში წლის აღმნიშვნელი ადგილი დაზიანებული აქვს და ჩანს მხოლოდ თარიღი - „4 აგვისტო“, მაგრამ ეს ტექსტი მოქცეულია 1860 წელს დაწერილი სხვა 22 ტექსტის ზუსტად შუაში და თან, მისი მომდევნო ორი ტექსტიც არის ლერმონტოვის ლექსების - „სიზმარი“ და წინასწარმეტყველი“ თარგმანები, რომლებიც დათარიღებულია 1860 წლის 4 აგვისტოთი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ილიას სჩვეოდა ერთსა და იმავე დღეს რამდენიმე ტექსტზე მუშაობა, დაზიანებული თარიღი უნდა იყოს 1860 წელი.

„**მძინარე ქალი**“: ვარაუდი იმის შესახებ, რომ ლექსი „მძინარე ქალი“ 1859 წელს არის დაწერილი, გაჩნდა 1892 წლის გამოცემის სარჩევში მიწერილი თარიღის გამო, მაგრამ ავტოგრაფში თარიღად მითითებულია 1860 წლის 19 ივნისი¹, ლექსის ვარიანტებს შორის კი ისეთი განსხვავება არ არის, რომ ავტორს მისთვის თარიღი შეეცვალა.

1. წყარო: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, ავტოგრაფი N108, გვ. 105.

არის კიდევ რამდენიმე გასათვალისწინებელი ფაქტი: 1. კვლევა გვაჩვენებს, რომ 1892 წლის გამოცემის სარჩევის მონაცემები კიდევ არაერთგან განსხვავდება ავტოგრაფების თარიღებისგან, რის გამოც ის ნაკლებად იმსახურებს ნდობას. 2. მართალია, ილია ჭავჭავაძის ხელნაწერ კრებულებში ქრონოლოგიური თანმიმდევრობა დაცული ბევრგან არ არის, მაგრამ ხშირია ერთი პერიოდის ლექსების ერთად წარმოდგენა. მძინარე ქალი 105-ე გვერდზეა ჩანერილი, 104-ე გვერდზე არის 1859 წლის 3 ოქტომბრის და 30 ნოემბრის ლექსები, 106-ე გვერდზე კი - 1860 წლის 11-12 ივნის/ივლისისა. შესაბამისად, ამ მხრივაც მათ შორის მოთავსებული ლექსის თარიღად 1860 წლის 19 ივნისი უფროა მოსალოდნელი, ვიდრე 1859 წლისა. 3. ავტოგრაფულ კრებულში 17501, რომელიც ქართული ლიტერატურის მუზეუმშია დაცული, შეტანილია პოეტის მიერ 1859 წელს დაწერილი ყველა ლექსი და ისინი მხოლოდ შემდეგ არის გადატანილი კრებულ N108-ში, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება, ლექსი „მძინარე ქალი“ კი პირველ კრებულში არ არის. 4. 1860 წელს დაწერილი ლექსების დიდი ნაწილი (ათზე მეტი), „მძინარე ქალის“ მსგავსად, არის მხოლოდ მეორე კრებულში. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ თხზულება 1860 წლის 19 ივნისს არის დაწერილი.

ილია ჭავჭავაძის მიერ სხვადასხვა პირთათვის გაგზავნილი წერილების დათარიღება

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის მე-17 ტომში¹ 1858 წლით არის დათარიღებული წერილი **გაბრიელ სულხანიშვილისადმი**, რომელშიც ნახსენებია „მოლაყბის“ ფსევდონიმით „ცისკარში“ დაბეჭდილი პირველი პუბლიკაციები („უნდა გენახა, რა სიჩქარით გადადიოდა ხელიდამ ხელში ის ბედნიერი „ცისკრის“ ნომრები“). „მოლაყბის“ ფსევდონიმით პირველი წერილები „ცისკარში“ გამოქვეყნდა 1858 წლის პირველ და მესამე ნომრებში. შესაბამისად, ბარათი, რომელშიც მოლაყბის ეს „სტატიებია“ ნახსენები, დაწერილი უნდა იყოს 1858 წლის მარტის შემდეგ.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემებში (გვ. 24) მისი ერთი წერილი **ილია წინამძღვრიშვილისადმი** დათარიღებულია 1861 წლის თებერვალ-მარტით. ბარათთან ერთად მწერალი ადრესატს ჟურნალ „ცისკარში“ დასაბეჭდად უგზავნის თავის კრიტიკულ სტატიას „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“ ზუმბერიძის ხელმოწერით და რამდენიმე ლექსს. იგი მეგობარს აფრთხილებს, რომ სტატია მიხეილ ჩიკვაიძეს გაატანოს კერესელიძესთან ისე, რომ არავითარ შემთხვევაში არ გაამხილონ, ვინ არის რეალური ავტორი, ლექსები კი თავად მიუტანოს ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორს: „ისე უნდა მოიქცე, რომ თითონ რედაქტორს და ცენზორსაც არ შეატყობინო; კანონით იმათ უთუოდ უნდა იცოდ-

1. სტატიაში ილია ჭავჭავაძის წერილებისა და მათი სამეცნიერო აპარატების გვერდებს ვუთითებთ წიგნიდან „ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ.17, თბილისი, 2012.

ნენ, მაგრამ შენ, როგორც იყოს, სხვის მხრით დააჯერე ისინი, რო მართლა და აზნაური ზუმბერიძე მართალი გვარია და არა მოგონილი...”

რამდენადაც ილია ჭავჭავაძის ზემოხსენებული სტატიის დაწერის თარიღია 1860 წლის 5 ნოემბერი, ბუნებრივია, რომ ბარათი, რომელთან ერთადაც სტატია გააგზავნა, ამ თარიღის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. შესაბამისად, მისი დაწერის სანყის ზღვრად ავიღეთ 1860 წლის 5 ნოემბერი, უკიდურესი ზედა ზღვრის დასადგენად კი დახმარება გაგვინია ბარათში დაცულმა კიდევ ერთმა ინფორმაციამ - ილია ადრესატს სთხოვს, გაუგოს, როგორ არის მისი „აჩრდილისა“ და „ჰაჯი აბრეკის“ ბეჭდვის საქმე. „ჰაჯი აბრეკი“ დაიბეჭდა ყურნალ „ცისკრის“ 1860 წლის მეთერთმეტე (ნომბრის) ნომერში და ძნელი წარმოსადგენია, რომ ამის შესახებ ორ-სამ კვირაში მაინც არ გაეგო ილია ჭავჭავაძეს. ამას გარდა, როდესაც „ჰაჯი აბრეკისა“ და „აჩრდილის“ ბეჭდვის ამბავს კითხულობს, მწერალი არ ახსენებს თავის ლექსს - „როცა ნუხილი მჩაგრავს უწყალო...“ და პუშკინისა და ლერმონტოვის ერთნაირი დასათაურების ლექსების - „წინასწარმეტყველი“ თარგმანებს, რომლებიც 1861 წლის „ცისკრის“ პირველივე ნომერში დაიბეჭდა. შესაბამისად, წერილის წერის დროს მისი „ჰაჯი აბრეკი“ ჯერ არ იყო დაბეჭდილი (ან ილია ჭავჭავაძემ არ იცოდა, რომ დაბეჭდილი იყო) და 1861 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული ლექსები ჯერ გაგზავნილი არ ჰქონდა.

„ცისკრის“ პირველ ნომერზე ცენზურის ნებართვა გაცემულია 1860 წლის 20 დეკემბერს, შესაბამისად, რედაქტორს ეს თხზულებები 20 დეკემბრამდე მაინც უნდა მიეღო, ავტორს კი პეტერბურგიდან თბილისში 15 დეკემბრამდე მაინც უნდა გაეგზავნა. რამდენადაც ვიცით, რომ 5 ნომბრის შემდეგ მიწერილ ამ ბარათს თან ახლდა „ცისკარში“ დასაბეჭდი რამდენიმე ლექსი, ვფიქრობთ, რომ ეს სწორედ „ცისკრის“ 1861 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილი ლექსებია და, „ჰაჯი

აბრეკისა” და „აჩრდილისაგან” განსხვავებით, ავტორმა მათი ბეჭდვის ამბავი იმიტომ არ იკითხა, რომ ჯერ არ ჰქონდა გაგზავნილი.

წერილის სიტყვები: „ერთი წიგნი მომწერე ჩემი „აჩრდილი” და „ხაჯი აბრეკი” რა ყოფაში არიან” - წინა გამომცემელთა მიერ არასწორად იყო ინტერპრეტირებული, თითქოს ილია წინამძღვრიშვილი აპირებდა ამ ორი თხზულების ცალკე წიგნად გამოცემას (გვ. 370). რა იძლეოდა ამგვარი დასკვნის საფუძველს, გამოცემებში მითითებული არ არის და ვერც რომელიმე წყაროში მივაკვლიეთ ცნობას მსგავსი განზრახვის შესახებ. 1860-1861 წლებისთვის ილია ჭავჭავაძეს ჯერჯერობით ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე პუბლიკაცია ჟურნალ „ცისკარში” და არ ჰქონდა გამოცემული არცერთი წიგნი. ანკი რატომ უნდა ეფიქრათ მას და ილია წინამძღვრიშვილს ამ ორი თხზულების ცალკე წიგნად გამოცემაზე, როდესაც ერთი მათგანი ორიგინალური პოემაა და მეორე - თარგმანი და მათ შორის თემატურ-შინაარსობრივი კავშირიც ნაკლებად არსებობს? გარდა ამისა, „აჩრდილის” მსგავსი შინაარსის ტექსტს რომელიმე ჟურნალში თუ შეაპარებდა ავტორი, თორემ ცალკე წიგნად გამოცემის შემთხვევაში ცენზურა ბევრად უფრო დაკვირვებული და მკაცრი იქნებოდა.

მეორე მხრივ, წერილიდან კარგად ჩანს, რომ ილია წინამძღვრიშვილი იყო ის პიროვნება, რომელიც ეხმარებოდა ილია ჭავჭავაძეს ჟურნალ „ცისკართან” ურთიერთობის დამყარებაში. მას მიჰქონდა ივანე კერესელიძესთან ილიას მიერ გაგზავნილი ტექსტები და, სავარაუდოდ, თავადვე ადევნებდა თვალს მათ ბეჭდვას (იხ.: „არ მინდა, რომ შენ მიუტანო კერესელიძეს ეს სტატია, რადგანაც ის მიხვდება, რომ შენ ჩემის მეტი არავინ გიგზავნის სტატიებსა... ეს ლექსები კი შენ მიუტანე კერესელიძეს“). შესაბამისად, წერილში ნახსენები „აჩრდილი” და „ხაჯი აბრეკი” უნდა დაბეჭდილიყო „ცისკარში” და არა ცალკე წიგნად. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ამ ორიდან პირველი ტექსტი მართლაც დაიბეჭდა „ცისკარის”

1860 წლის ნოემბრის ნომერში. რაც შეეხება „აჩრდილს“, მართალია, 1859 წელს „ცისკრის“ მე-10 ნომერში დაიბეჭდა მისი მე-5 თავი სათაურით „არაგვი“ („ჩვენო არაგვო...“), მაგრამ პოემის სხვა ეპიზოდების ბეჭდვა ილია ჭავჭავაძეს არათუ სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში, ბევრად უფრო გვიანაც უჭირდა მათში ასახული ეროვნული და სოციალური სულისკვეთების გამო და არაერთგზის მოუხდა ნაწარმოების გადაკეთება-შემოკლება.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ბარათი დაწერილია არა 1861 წლის თებერვალ-მარტში, არამედ 1860 წლის 5 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე და დათარიღების დაზუსტებასთან ერთად იკვეთება ორი საინტერესო გარემოება: 1. ილია ჭავჭავაძეს 1860 წელს ჰქონია მცდელობა, რომ ჟურნალ „ცისკარში“ თავისი „აჩრდილის“ სხვა თავებიც დაებეჭდა და უარი მიუღია და 2. სამი თვე დასჭირვებია მისი სტატიის „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“ გამოქვეყნებაზე ნებართვის მიღებას. ამ წერილთან ერთად გაგზავნილ ლექსებზე ცენზურის ნებართვა გაცემულია 1860 წლის 20 დეკემბერს და ისინი დაიბეჭდა „ცისკრის“ 1861 წლის პირველივე ნომერში, სტატიის ბეჭდვაზე კი ცენზურის ნებართვა გაცემულია 1861 წლის 20 მარტს და იგი დაიბეჭდა „ცისკრის“ 1861 წლის მეოთხე ნომერში. როგორც ჩანს, სწორედ ამ წინააღმდეგობის გამო მოუხდა ავტორს თავისი ვინაობის გამხელა და სტატიის გამოქვეყნება ზუმბერდიის ფსევდონიმის ნაცვლად, საკუთარი ხელმოწერით.

სოლომონ ჭავჭავაძისადმი მიწერილი ბარათების ასლებიდან ბოლო, უთარილო წერილი ოცტომეულში 1861 წლით არის დათარიღებული (გვ. 277-278). იგი შინაარსობრივად აშკარად უფრო გვიან, მაგრამ დროის მოკლე მონაკვეთში არის დაწერილი, ვიდრე იმავე ადრესატისთვის გაგზავნილი 1861 წლის 3 მარტის წერილი. ბარათის სიტყვები: „მოგივალთ მარხვის უკანასკნელ კვირაში“ მიგვანიშნებს, რომ იგი

მარხვის ბოლო კვირის დაწყებამდე უნდა იყოს დაწერილი. 1861 წელს დიდი მარხვა დამთავრდა 23 აპრილს, მარხვის ბოლო კვირა კი დაიწყო 16 აპრილს. შესაბამისად, ბარათი 1861 წლის 16 აპრილამდე უნდა იყოს დაწერილი. ეს წერილი ასევე დაგვეხმარა ილია ჭავჭავაძის საქართველოში დაბრუნების დროის დაზუსტებაშიც. თუ დღემდე მიჩნეული იყო და მათიანის 1987 წლის გამოცემაშიც ასე იყო ნათქვამი, რომ ეს მოხდა 1861 წლის მაისში, განხილული წერილიდან ჩანს, რომ ამ ბარათის წერისას, რომელიც აშკარად 16 აპრილამდეა დაწერილი, მწერალი უკვე სამშობლოშია.

ოცტომეულში 1864 წლით არის დათარიღებული ბარათი **კირილე ლორთქიფანიძისადმი** (გვ. 27), რომელიც მიწერილია ილია ჭავჭავაძის ლექსის „ქართველი სტუდენტების სიმღერა“ ავტოგრაფის მეორე გვერდზე. ბარათი უთარიღოა, მაგრამ ამავე ადრესატისათვის 1864 წლის 24 აგვისტოს გაგზავნილი წერილისა და ამ უთარიღო ტექსტის შინაარსების კომპლექსური კვლევა საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა და დავაზუსტოთ თარიღი. 24 აგვისტოს ბარათიდან ჩანს, რომ მწერალმა კირილე ლორთქიფანიძისგან, რომელიც იმჟამად პეტერბურგში იმყოფებოდა და აპირებდა ქართული ლექსების კრებულ „ჩონგურის“ გამოცემას, მიიღო თხოვნა, რომ ამ კრებულში დასაბეჭდად გაეგზავნა ლექსები. საპასუხო ბარათში კირილესადმი ვკითხულობთ: „რაც გითხოვია, მათთა შორის, რაც უპირატესია, აღგისრულებ, ე.ი. ლექსებს, თუ ივარგებს, ოცდაცხრას ამ თვეს მოგართმევ...“ ფოსტა ქუთაისიდან პეტერბურგისკენ ყოველდღიურად არ მიჰქონდათ. 24-ის შემდეგ, სავარაუდოდ, სწორედ 29 აგვისტო იქნებოდა უახლოესი რიცხვი, როცა შემდეგი წერილის და მასალის გაგზავნას შეძლებდა.

უთარიღო ბარათში, რომელიც აშკარად მოკლე ხანშივეა დაწერილი (ტექსტი იწყება ყოველგვარი მისალმებებისა და მოკითხვების გარეშე), ვკითხულობთ: „აი, რის გამოგზავნა

ეხლა შევძელი”. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ეს სწორედ ის დაპირებული მასალაა, რომლის გაგზავნასაც 29 აგვისტოსთვის აღუთქვამდა. მართალია, იმ წერილში იმედოვნებდა ერთზე მეტი ლექსის შერჩევას, მაგრამ, როგორც უთარილო ბარათიდან ჩანს, საბოლოოდ მხოლოდ ერთის გაგზავნა გადაწყვიტა („სხვა ახალი ლექსი, პატიოსანს სიტყვას გაძლევ, სრულიად არა მაქვს”). შესაბამისად, წერილს ვათარილებთ 1864 წლის 29 აგვისტოთი.

ილია ჭავჭავაძის უთარილო წერილს **იოსებ ორბელიანისადმი** (გვ. 28-29) ოცტომეულში მიწერილი აქვს: „15 იანვარი, 1870 წლამდე” და ნათქვამია, რომ დათარიღებულია ტექსტში მოცემული რეალიის, კერძოდ, ელისაბედ ჭავჭავაძის მეორე ქორწინების თარიღის მიხედვით. ელისაბედმა მეორედ იქორწინა 1872 და არა 1870 წელს, მაგრამ ამ ბარათის დასათარიღებლად უფრო მოსახერხებელია მისი პირველი ქმრის - ივანე (ნიკოლოზ) ესტატეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანის გარდაცვალების თარიღი - 1868 წლის 11 მარტი. რამდენადაც წერილში, რომელიც დაწერილია 15 იანვარს (წელი მითითებული არ არის) საუბარია ელისაბედის წილზე მისი ქმრის ოჯახიდან, ე.წ. საქერივოზე და ამის იურიდიულად გაფორმებაზე, ბუნებრივია, იგი ქმრის გარდაცვალებიდან წლების შემდეგ არ იქნება დაწერილი. რამდენადაც ბარათს 15 იანვარი აწერია თარიღად, ეს უნდა იყოს მისი ქმრის გარდაცვალების შემდეგ დამდგარი პირველივე წლის ეს თარიღი - 1869 წლის 15 იანვარი.

მამიდის - მაკრინე პაატას ასული ჭავჭავაძისთვის გაგზავნილი წერილი, იმის გამო, რომ მასში სახლის მშენებლობაზეა საუბარი, ოცტომეულში ასეა დათარიღებული - 1884 წლის შემდეგ. განვიხილოთ, რა ფაქტობრივი მოცემულობა გვაქვს წერილში: ადრესანტი დაოჯახებულია („ბედმა ცოტად მაინც გამიღიმა, ცოლიც კარგი მყავს”), მსახურობს („ლუკმა-პურსაც ჩემი ცოდვილობით ვშოვობ”), ამ სამსახურში გარკვეული დროის განმავლობაში ყოფნის გამო მოელის

პირობების გაუმჯობესებას („რაკი ცოტაოდენი სამსახურის-გან ღონისძიება მომეცა...“), sic! საუბარია სახელმწიფო სამსახურზე (არავითარი მინიშნება არ არის გაზეთის გამოცემაზე ან ბანკზე), ჯერ არა აქვს საკუთარი სახლი („როდის მომცემს ბედი ნებას, რომ ჩემი თავი ჩემს ქოხს შევაფარო“) და ფიქრობს საცხოვრებლად ყვარელში გადასვლას („მე რომ მინდა მაინდ გადმოსვლა, იმიტომ უფრო... რომ თქვენ თან გახლდე“). საუბარია რაღაც თანხაზე, რომელიც უნდა გამოიტანოს, მაგრამ მთლიანად თავის დას - ელისაბედს მისცეს („იქიდან ჩვენ არა გვერგება რა“). ქალაქშიც რაღაც სახლების შენებაზეა საუბარი („ეხლა სახლებს ვაკეთებ ქალაქში, ორას ოცი თუმანი მეტი მიჯდება“), მაგრამ ესეც მხოლოდ მისი არ უნდა იყოს, იმ სახლების გაქირავებით შემოსული თანხა ყოველთვიურად მისმა დამ - ელისაბედმა უნდა მოიხმაროს („ლიზომ თვე და თვე ჯამაგირსავით აიღოს“). მწერალს ამ დროს ყვარელში სახლის ასაშენებლად სამზადისი დაწყებული უნდა ჰქონდეს („რაც საყიდლები გებრძანებინათ, ყველა მზად გახლდება“, „ეხლა კიდევ ამ სახლის კეთებაში ჩავეები“). 1873 წლის იანვრის წერილში ილია მეუღლეს ატყობინებს: „ჩემი ფოდრაჩიკი სახლების აშენების თავდარიგს შესდგომია“. შესაბამისად, ის განზრახვა, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, 1872 წლის წერილშია ნახსენები - ყვარელში სახლის აშენება - ამ ბარათშიც დასტურდება.

ყვარელში სახლის აშენებასა და იქ საცხოვრებლად გადასვლაზე ილია ჭავჭავაძე 1874 წელსაც ფიქრობდა. 4 თებერვლის ბარათში იგი მეუღლეს, რომელიც იმ დროს ყვარელში აპირებდა ჩასვლას, სწერს: „ეგება ვიდრე მე მოვიდოდე, მასალა სახლისა მოტანილი მაინც დამახვედრო. ჩვენ რომ ერთი ლაზათიანი სახლი მოვიხერხოთ ყვარელში, ჩვენს ბედს ძალიც არ დაჰყეფს“. რაც შეეხება იმას, თუ რა თანხით შეიძლებოდა მწერალს თავისი დისთვის თბილისში სახლი აეშენებინა, ჩანს იოსებ ორბელიანისადმი 1869 წლის 15 იანვარს მიწერილი მისი ბარათიდან. ვგულისხმობთ დაქვრივე-

ბული ელისაბედ ჭავჭავაძისა და მისი მაზლის - ალექსანდრე ესტატეს ძე ორბელიანის გარიგებაზე, რომლის მიხედვითაც, ელისაბედს ქმრის ქონებიდან უნდა შეხვედროდა 3000 მანეთი და ეს თანხა მისთვის უნდა მიეცათ არა უგვიანეს ორი წლის ვადაში.

როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძემ ამ ფულს რალაც წილი თავისიც დაამატა და იმით აშენდა ის სახლი, რომელსაც აქირავებდნენ და, ელისაბედის გათხოვების შემდეგ გაყიდეს. ამ სახლის გაყიდვის განზრახვაზე უნდა იყოს საუბარი 1873 წლის 18 აგვისტოს ელისაბედისათვის მოსკოვიდან გაგზავნილ წერილში¹: „მანსვეტოვთან შემიტყე ჩვენის სახლების ამბავი: იყიდება თუ არა, ძველი დგმური თუ გავიდა, დადგა ვინმე ახალი?“ იმავე სახლის ქირა არის ნახსენები 1873 წლის 10 ოქტომბერს მეუღლისთვის გაგზავნილ წერილში²: „...ლიზოს კიდევ მანსვეტოვისთვის უთქვამს, სახლის ქირა აუღიათ თხუთმეტი თუმანი, ხუთი თუმანი თითონ ლიზოს დაუყრია და ჩემთვის გამოუგზავნიათ“. შესაბამისად, მამიდისადმი მიწერილ უთარილო წერილში ყვარლის სახლის მშენებლობის გარდა, საუბარია იმ სახლის მშენებლობაზე, რომელიც ილიამ და ელისაბედმა ერთობლივი ძალებით ააშენეს, მიზარებული ჰქონდათ ნიკო მანსვეტაშვილისათვის და აქირავებდნენ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ წერილი ვერ იქნება დაწერილი მამიდის გარდაცვალების შემდეგ, იგი უნდა დავათარილოთ 1872 წლის 20 აპრილამდე მაინც, მაგრამ შეიძლება სავარაუდო ქრონოლოგიური ჩარჩოების უფრო შევიწროებაც. რამდენადაც ილიას და - ელისაბედი წერილში მთლიანად ძმის მოიმედედ ჩანს, ბარათი დაწერილი უნდა იყოს მისი ქვრივობის პერიოდში. რაკი იოსებ ორბელიანისთვის 1869 წლის 15 იანვარს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ელისა-

1. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, N17226.

2. ხელნაერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის ფონდი, N320.

ბედს იმ დროს საქვრივო ჯერ აღებული არ ჰქონდა, წერილის დანერის სავარაუდო საწყის მიჯნად ეს თარიღი უნდა ავილოთ, საბოლოოდ კი ილია ჭავჭავაძის დის მეორედ გათხოვებისა - 1872 წლის 20 თებერვალი.

გამოდის, რომ წერილი ადრესატის გარდაცვალებამდე სულ რაღაც 2 თვით ადრეც კი შეიძლება იყოს დანერილი. იქნებ ამიტომ კიდევ უფრო სტკიოდა ილიას გული, რომ ვერ მოასწრო მამიდის გახარება ყვარელში სახლის აშენებით და მასთან და ოლღასთან ერთად იქ ცხოვრებით. მეორე მხრივ, ეს იმდენად თბილი წერილია, რომ საყვარელ ადამიანს, ალბათ, ამ სურვილების გამოხატვითაც დიდ ბედნიერებას მინიჭებდა: „მე თქვენთან ყოფნა რომ მინდა, იმისთვის, მამიდაჯან, რომ ბოლოს ვინც თქვენ პატარაობაში დიდის მზრუნველობით გამოზარდეთ, ახლა იმან თქვენის ათასნაირი შრომისათვის ხელის გულზედ ერბო კვერცხი იწვას და ისე გაცხოვროთ“. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ბარათი დანერილი უნდა იყოს 1869 წლის 15 იანვრიდან 1872 წლის 20 თებერვლამდე.

ოცტომეულში უთარილოების განყოფილებაშია დაბეჭდილი თავისი **დის - ელისაბედისთვის** თბილისში გაგზავნილი წერილი (გვ. 266). მასში ნახსენებია ნიკო მანსვეტაშვილი, რომელიც აგვარებდა ილია ჭავჭავაძისა და ელისაბედის თბილისის სახლის გაქირავებისა და თანხის მიღების საკითხებს („ნიკო მანსვეტოვსა ჰსთხოვე ქვევითა მდგმურს გამოგირთვას“). 1873 წელს საუბარია ამ სახლის გაყიდვის სურვილზე და მას შემდეგ აღარც იხსენიება. შესაბამისად, ბარათი დანერილი უნდა იყოს დუშეთის მომრიგებელ მოსამართლედ სამსახურის პერიოდში და ფრაზაში „რატომ არ ამოდიხარ?“ დუშეთში ასვლა უნდა იგულისხმებოდეს.

წერილიდან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძეს აქვს ჩოლოყაშვილების ვალი („ამას წინედ ხუთი თუმანი გამოგიგზავნე, რომ ნატალია — ჩოლოყაევის ცოლისათვის — გარდაგეცა... გამოგვირთვას, რაც ფული გვერგება იმისგან და ის ფული

სრულად ნატალია ჩოლოყაევისას გარდაეცი და ბარათები ჩამოართვი“). 1868 წლის 19 აპრილის შემდეგ დაწერილი ბარათიდან (გ. 18, გვ. 235) ჩანს, რომ პრიკაზის ვალის გადასახდელად ილია აპირებდა ფულის სესხებას კიკო ჩოლოყაშვილისგან, მაგრამ იმედი არ ჰქონდა და მეუღლეს სწერდა: „იშოვე, არ იშოვე, რა ჰქენი? კიკო, რასაკვირველია, მოგატყუებდა ჩვეულებისამებრ“. როგორც ჩანს, ნიკოლოზ (კიკო) ზაალის ძე ჩოლოყაშვილს პირობა შეუსრულებია და ილია ჭავჭავაძისთვის სასესხებლად ფული უშოვია, რადგან 1871 წლის აპრილამდე მას ეს ვალი ჯერ ბოლომდე გასტუმრებული არა აქვს.

რამდენადაც წერილში ნახსენები არ არის ელისაბედის მეუღლე და გამოყენებულია ძალიან ზოგადი ფრაზა - სახლობა („მომილოცავს ქრისტეს აღზდეგი შენთვის და შენის სახლობისათვის.“), სავარაუდოდ, ბარათი დაწერილი უნდა იყოს მის მეორე ქორწინებამდე - 1872 წლის 20 თებერვლამდე. რაკი ბარათიდან ჩანს, რომ იგი აღდგომის დღესასწაულის ახლო პერიოდშია დაწერილი („მომილოცავს ქრისტეს აღზდეგი“), აღდგომა კი ძველი სტილით აპრილს არ სცილდება ხოლმე, ქრონოლოგიური ჩარჩოების ზედა ზღვარი შეგვიძლია ჩამოვწიოთ 1871 წლის მაისამდე.

უთარილო წერილში, რომელიც ოძისში გაუგზავნა ილია ჭავჭავაძემ **დავით ერისთავს** (გვ. 33), იგი ადრესატს სთხოვს, რომ 22-დან 26 ივლისამდე ეწვიოს. რამდენადაც ტექსტს თანახმად 1871 წლის მინურულს დაწერილი ილიას „გამოცანების“ რუსული თარგმანი და ნახსენებია 1872 წლის 28 იანვარს დაწერილი „პასუხის პასუხის“ თარგმანი, ბარათს ვათარილებთ ასე - 1872 წლის 22 ივლისამდე. ოცტომეულის სამეცნიერო აპარატში არასწორად არის აღნიშნული, თითქოს დავით ერისთავს ამ წერილის საპასუხოდ გაეგზავნოს ილიასათვის ლექსის „გახსოვს, ტურფავ...“ თარგმანი. დავით ერისთავის ხსენებული ბარათი რომ 1872 წელს ვერ იქნება დაწერილი, ამაზე მეტყველებს თუნდაც მისი ფრაზა: „იმ

დღეს „ივერიაში“ რუსულად გადმოთარგმნილი იყო გრ. ორბელიანის ლექსი“. 1872 წელს გაზეთი „ივერია“ ჯერ კიდევ არ არსებობდა და დავით ერისთავი ილია ჭავჭავაძის წერილს სულ ცოტა ხუთი წლის შემდეგ არ გასცემდა პასუხს.

ოცტომეულში 1873 წლით არის დათარიღებული თავისი **დის - ელისაბედისთვის** დუშეთიდან გაგზავნილი წერილი (გვ. 55), რომელშიც საუბარია სამსახურიდან მის დათხოვნასთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებზე და ნიკო ჭავჭავაძის დაპირისპირებაზე („შეიტყობდი მანდ, რაც ნიკომ საქმე ჩაიდინა ჩემის დათხოვნის თაობაზე... ყველაფერს დავიჯერებდი, მაგრამ იმას კი არა, რომ მაგისტანა სასაცილო მტრობას დამინყობდა“). ნიკო ჭავჭავაძის ამ საქციელთან დაკავშირებით ილია მეუღლესაც სწერს 1873 წლის 1, 8 და 23 თებერვლის წერილებში. უკანასკნელი ბარათის მიხედვით, ილია იმ დღეებში იყო თბილისში („ეხლახან ქალაქში ვიყავ“). ელისაბედისათვის გაგზავნილ წერილში კი ნათქვამია: „მინდა ქალაქში ჩამოსვლა და ვერ მომიხერხებია.“ შესაბამისად, ბარათი 1873 წლის 23 თებერვლამდე უნდა იყოს დაწერილი.

ოცტომეულში 1873 წლით არის დათარიღებული (გვ. 56-57) და რუსეთიდან გამოგზავნილი წერილების შემდეგ არის მოთავსებული დუშეთიდან ბაქოში თავისი ცოლისდის - **ეკატერინე გურამიშვილ-სტაროსელსკაიასთვის** გაგზავნილი ბარათი, რომელიც, როგორც ჩანს, დაუმთავრებელია. რამდენადაც წერილიდან ჩანს, რომ დიმიტრი სტაროსელსკი იმ დროს უკვე ბაქოს გუბერნატორია, ბარათი 1872 წლის 29 მარტზე¹ ადრე ვერ იქნება დაწერილი და რადგან იგი დუშეთიდან არის გაგზავნილი, ვერც 1873 წელზე გვიანდელი იქნე-

1. დიმიტრი სტაროსელსკის ბაქოს გუბერნატორად დანიშვნის დროდ ზოგ წყაროში მითითებულია 25 მაისი, ზოგან - 29 მაისი, მაგრამ, ამ მხრივ ყველაზე სარწმუნო წყაროდ მიგვაჩნია პოლოცკევის ბიოგრაფიული ლექსიკონი, სადაც ნათქვამია, რომ იგი ამ თანამდებობაზე დაინიშნა 1872 წლის 29 მარტს. იხ. А. А. Половцев, Русский биографический словарь (в 25 томах), 1896-1918 стр. 354.

ბა. მის უფრო ზუსტ დათარიღებაში დაგვეხმარა ფრაზა „როცა ოციათასს თუმანს მოვიგებთ, უსათუოდ მოვალთ ბაქოს“. საგულისხმოა, რომ მეუღლისთვის 1873 წლის 1 თებერვალს გაგზავნილი წერილის მიხედვით, ლატარეის გათამაშება, რომლითაც ამ თანხის მოგება შეიძლებოდა, უნდა ჩატარებულიყო მარტში: „ნეტავი ამ მარტში მაინც მოვიგოთ ოციათასი თუმანი, რომ ყველანი დავბედნიერდეთ“. შესაბამისად, წერილი, რომელიც ცოლისდისთვის უნდა გაეგზავნა, დაწერილი უნდა იყოს 1873 წლის მარტამდე.

ოცტომეულში 1873 წლის მარტით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი **სერგეი მესხისადმი** (გვ. 41), რომელშიც საუბარია ალაზნის არხის ანდრონიკაშვილისეულ პროექტზე. ილია წერს: „თუ რედაქცია ძალიან მონადინებულია, რომ ამ საგანზედ თქვას რამე, აი რა უნდა თქვას...“ და მუხლებად არის ჩამოყალიბებული ეს სათქმელი. შესაბამისად, ეს ბარათი დაწერილია გაზეთ „დროების“ 1873 წლის 9 მარტის ნომრის გამოსვლიდან¹, სადაც დაიბეჭდა „თ. გ. ანდრონიკოვის პროექტი ალაზნიდგან არხის გამოყვანის თაობაზე“, 23 მარტამდე², როდესაც გამოქვეყნდა სერგეი მესხის სტატია ამ არხის შესახებ.

დუშეთიდან თბილისში თავისი **დის - ელისაბედისთვის** გაგზავნილ ერთ წერილს თარიღად აწერია (23 მაისი), მაგრამ წელი - არ არის მითითებული (გვ. 43). ბარათში ნათქვამია, რომ მისი მოადგილის დუშეთში ჩასვლისთანავე აპირებს თბილისში გამგზავრებას. რამდენადაც ამ წერილში ნახსენებია ელისაბედის მეორე ქმარი - ალექსანდრე (დაქორწინდნენ 1872 წლის 20 თებერვალს), დუშეთში კი, საიდანაც არის გამოგზავნილი წერილი, ილია ჭავჭავაძე მუშაობდა 1873 წლის 24 მაისამდე (ამ დღეს გაუმართეს მას გამოსათხოვარი სადი-

1. თ. გ. ანდრონიკოვის პროექტი ალაზნიდგან არხის გაყვანის თაობაზე, გაზ. „დროება“, 23 მარტი, N12, გვ. 1-2.

2. ს. მ. „კიდევ ალაზნის არხებზე“, გაზ. „დროება“, 23 მაისი, N12, გვ. 1-2.

ლი), ბარათი შეიძლებოდა დაწერილიყო 1872 ან 1873 წელს, მაგრამ აქ რომ თბილისში ხანმოკლე ჩასვლაზე იყოს საუბარი, ილია დღეების განმავლობაში მოადგილის გამოცხადებას არ დაელოდებოდა. სავარაუდოდ, ეს ლოდინი საჭირო იყო, რომ საქმეები საბოლოოდ გადაებარებინა. გარდა ამისა, წერილში ნახსენებია ზუბალაშვილების საზღვარგარეთ წასვლა, 1873 წლის 16 მარტს მეუღლისთვის გაგზავნილი ბარათიდან კი ვიგებთ, რომ ისინი სწორედ 1873 წლის მაისში აპირებდნენ გამგზავრებას. შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1873 წლის 23 მაისს.

მოსკოვიდან პეტერბურგში **ვასილ მაჩაბლისთვის** გაგზავნილი ერთი წერილი (გვ. 57) ოცტომეულში დათარიღებულია 1873 წლით, მაგრამ ბარათის შინაარსი იძლევა თარიღის უფრო დაკონკრეტების საშუალებას. მის მიხედვით ილია ჭავჭავაძე მოსკოვის ბანკში ჯერ არ არის დაშვებული საბანკო საქმეების შესასწავლად. 3 აგვისტოს წერილის მიხედვითაც ასეთივე ვითარებაა მოსკოვის ბანკთან დაკავშირებით, 1 სექტემბრის წერილიდან კი ჩანს, რომ უკვე ამთავრებს ამ ბანკში საქმიანობას. შესაბამისად, ბარათი 1873 წლის 1 სექტემბრამდე უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ 3 აგვისტომდე თუ უფრო ადრე, ამის გარკვევაში გვეხმარება 3 აგვისტოსა და უთარილო წერილის შედარებითი ანალიზი. უთარილო ბარათში ვკითხულობთ: „თქვენ, ესე იგი, შენ და მდივანს, ბევრნი ნაცნობები გყვანან; იქნება იმათის შემწეობით მეც გზა გამეხსნას“. ამ ფრაზას აშკარად ეტყობა, რომ ალექსანდრე (ასლან) მდივნის ამ საქმეში დახმარების საკითხს ვასილ მაჩაბელთან წერილის ავტორი პირველად წამოჭრის, 3 აგვისტოს წერილიდან კი ჩანს, რომ მდივნისთვის უკვე წერილიც კი გაუგზავნია დახმარების თხოვნით და პასუხის დაგვიანების გამო წუხს: „ამას წინად მდივანს მოვსწერე ვინაობა აქაურის ბანკების უპრავლიაუშჩებისა (მმართველებისა) და ვჰსთხოვე, რომ მის ნაცნობთა შუამდგომელობით, ანუ ბარიატინსკის მეოხებით, რაიმე ღონისძიება მოგვენიჭოს აქაურ ბანკებში

შესვლის თაობაზედ“. შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 3 აგვისტოს წერილზე რამდენიმე დღით ადრე მაინც და მას ვათარილებთ 1873 წლის ივლისის ბოლომდე პერიოდით.

ოცტომეულში 1873 წლის აგვისტოთია დათარიღებული ილია ჭავჭავაძის მიერ თავისი **დის - ნინოსთვის** გაგზავნილი ერთი წერილი (გვ. 49), რომელშიც ატყობინებს, რომ ბანკის საქმეების მოგვარება ჭიანჭურდება, რადგან ვერცერთ ბანკში ვერ შეაღწია საქმის შესასწავლად. სთხოვს, რომ ყვარლის მამულის შემოსავლიდან რამე გაყიდოს და ოციოდე თუმანი გაუგზავნოს. წერილის მიხედვით, მას მოსკოვის საკრედიტო საზოგადოებაში შეღწევა ჯერ არ ჰქონდა მოხერხებული, 25 აგვისტოს ბარათში ვასილ მაჩაბლისადმი კი - სიხარულს გამოთქვამს, რომ ეს საქმე წინა დღეს - 24-ში უკვე მოგვარებული ჰქონდა. იმავე ადრესატისადმი 21 აგვისტოს გაგზავნილ წერილში, მართალია, საქმე ჯერ მოგვარებული არ არის, მაგრამ იმ დღეებში ელის მის დაგვირგვინებას. რამდენადაც დისადმი გაგზავნილ ბარათში არათუ საქმის მოგვარების სიხარული, მსგავსი იმედებიც კი არ ჩანს, იგი 1873 წლის 21 აგვისტომდე უნდა იყოს დაწერილი.

ოცტომეულში 1873 წლით არის დათარიღებული წერილი **პეტრე უმიკაშვილისადმი**, რომელშიც პეტერბურგიდან სწერს, რომ ალექსანდრე ერისთავი ნახოს და დანაპირების შესრულება სთხოვოს. იმავე დანაპირების შესრულებაზე (თანხის გაგზავნაზე) არის საუბარი მეუღლისთვის 6 და 12 ნოემბერს გაგზავნილ წერილებშიც. 1 სექტემბერს ვასილ მაჩაბლისთვის მიწერილი ბარათიდან ჩანს, რომ იმ დროს ალექსანდრე ერისთავი ჯერ კიდევ პეტერბურგში იყო. მეუღლისთვის ნოემბრის თვეში გაგზავნილი წერილებიდან კი ვიგებთ, რომ ილია ჭავჭავაძეს იგი საქართველოში გამგზავრებამდე უნახავს პეტერბურგში. რამდენადაც ვიცით, რომ ამ ქალაქში მწერალი მოსკოვიდან 7 სექტემბერს ჩავიდა, შეხვედრა ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო და ბარათს ვათარილებთ 1873 წლის 7 სექტემბრიდან 6 ნოემბრამდე.

ოცტომეულში 1875-1876 წლებით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი ეკატერინე **გურამიშვილ-სტაროსელსკაიასადმი** (გვ. 69), რომელშიც საუბარია სამემკვიდრეო დავებზე. წერილიდან ჩანს, რომ ეკატერინე ნამშობიარე-ვია და ოლლა მათთან ახალნამყოფია ბაქოში („მომილოცნია, საყვარელო დაო კატო, თქვენი მშვიდობით განთავისუფლება“, „ოლიკო არა მგონია, მანდლა იყოს“). 1875 წლის 10 მარტს მეუღლისთვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ კატო ნამშობიარე-ვია („მიამა კატოს მშვიდობით განთავისუფლება“) და ოლლა ჯერ კიდევ მასთან არის („სრულს ჩემს მშვიდობიანობას და სიკეთეს შენლა აკლიხარ. ერთი, მოდი ჩქარა...“).

ბარათის დაწერას 1875 წელს ადასტურებს ისიც, რომ მასში აღწერილ მოვლენებს პირდაპირი კავშირი აქვს ეკატერინესთვის 1875 წლის 25 თებერვალს გაგზავნილ წერილთან. იქაც საუბარია სამემკვიდრეო დავაზე და ილია სთხოვს ეკატერინეს, რომ გაუგზავნოს მინდობილობა და არზა გუბერნატორის სახელზე, წინამდებარე წერილში კი ილია კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ეკატერინეს არზა არ გაუგზავნია და იმ უსიამოვნებას თავი აარიდა, რასაც სამემკვიდრეო დავა იწვევდა („კარგი ჰქმენით, რომ არ დამიჯერეთ და მაინდამ პირდაპირვე არზა არ გამოგზავნეთ ჩემის თხოვნისამებრ. ეს-ლა ძალიან ვინანებდი, რომ დაგეჯერათ: აბა საჭირო არ იყო, უმაგისოთაც საქმე ღვთის მადლით გარიგდება და ტყუილათ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი სანყევლელად და ივანე მუხრანსკის ცილის საწამებლად გახდებოდა“). რამდენადაც კატომ 10 მარტამდე იმშობიარა, ეს წერილიც 1875 წლის მარტში უნდა იყოს გაგზავნილი და, რადგან ერთგან არის ასეთი ფრაზა: „ამ კვირია, ესე იგი, 17-22 ამ თვემდე“, ვფიქრობთ, რომ იგი 1875 წლის 17 მარტამდე უნდა იყოს დაწერილი.

ოცტომეულში 1870 წლის შემდგომი პერიოდით არის დათარიღებული ილიას წერილი თავისი **დის - ელისაბედისადმი** (გვ. 30), რომლითაც იგი მას და მის მეუღლეს - ალექსანდრეს საგურამოში ეპატიჟება, სადაც სტუმრად ეყოლებათ მათი

ყვარლელი ნათესავები: ნიკო, დავით და იასე ჭავჭავაძეები. მწერლის მიერ ამ პირთა საგურამოში მიწვევა თავისი სახელით, თადეოზ გურამიშვილის ხსენების გარეშე თავისი სიმამრის სიცოცხლეში, გამორიცხულად გვეჩვენება. სტუმრები ილიას შეიძლება მანამდეც აეყვანა, მაგრამ თადეოზის მიწვევით, ეს კი წერილში ნათქვამი იქნებოდა. თადეოზი გარდაიცვალა 1875 წლის იანვარში, შემდეგ კი მიმდინარეობდა ქონებრივი დავა ოლღას დედინაცვალთან და მის შვილებთან. საგურამო ილიასა და ოლღას საკუთრება გახდა მხოლოდ ამ დავის დასრულების შემდეგ. რამდენადაც ილია ჭავჭავაძის პირადი ბარათებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ დავა 1875 წლის მარტში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, ბარათს ვათარილებთ ასე - 1875 წლის მარტის შემდგომი პერიოდით.

ოცტომეულში 1873 წლის 19 აპრილით არის დათარიღებული ილიას მიერ თავისი **დის - ელისაბედისთვის** გაგზავნილი ბარათი, რომელსაც წლის გარეშე აწერია „19 აპრილი“ (გვ. 43). იგი 1873 წელს ვერ იქნება დაწერილი, რადგან სწორედ 1873 წლის 19 აპრილით თარიღდება ოლღასათვის დუშეთიდან ბაქოში გაგზავნილი წერილი (ტ. 18, გვ. 112), ელისაბედისთვის მიწერილის მიხედვით კი ილია და მისი მეუღლე ერთად უნდა ყოფილიყვნენ: „მე და ოლიკო აქ დავრჩით, რადგანაც კატო დანვა და ცოტად შეუძლოთ არის. კატოს ვაჟი ჰყავს“. შესაბამისად, 1873 წელი გამორიცხულია. მეორე მხრივ, წერილში ნახსენები ფაქტები ემთხვევა 1875 წლისას.

1875 წლის 10 მარტს ოლღასათვის ბაქოში გაგზავნილი წერილიდან (ტ. 18, გვ. 192) ჩანს, რომ მისი და კატო ახალნამშობიარეა და ვაჟი ეყოლა („მიამა კატოს მშვიდობით განთავისუფლება. ვერ უყურებ კატოს?! სიბერის დროს რა უნარი გამოიჩინა. სულ ვაჟი და ვაჟი“). ამავე წერილიდან (გვ. 192) ირკვევა, რომ კატო შვილებთან ერთად აპირებს ჩასვლას საქართველოში („ყმანვილებიც წამოვლენო, მწერ, ძალიან კარგს იზამ, რომ წამოიყვანო, ძლივს მაგათ მეოხებით ჩვენი სადგური დაიხმაურებს“). წინამდებარე ბარათიდან ჩანს,

რომ 19 აპრილამდე ისინი უკვე ჩასულან საგურამოში („მე და ოლიკო აქ დავრჩით, რადგანაც კატო დანვა და ცოტად შეუძლოთ არის“). წლის დაზუსტება ნათელს ჰფენს იმასაც, თუ რატომ ზრუნავს საგურამოს მამულზე ილია ჭავჭავაძე („იქ დურგალია ყვარლიდამ... უთხარი, ჩემთან აქ საგურამოს ამოვიდეს ხვალვე საქმის გასათავებლად“) და არა თადეოზ გურამიშვილი. ილიას სიმამრი 1873 წლის 19 აპრილს ცოცხალი იყო, 1875 წლის 19 აპრილს კი - უკვე არა. 1875 წელს აღდგომა იყო 13 აპრილს. შესაბამისად, ლოგიკურად ჟღერს წერილის ეს ფრაზაც: „მომილოცნია შენთვისა და ალექსანდრესათვის ქრისტეს აღზდები“. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ბარათს ვათარილებთ 1875 წლის 19 აპრილით.

ოცტომეულში უთარილოთა განყოფილებაშია დაბეჭდილი (გვ. 260) ილია ჭავჭავაძის მოკლე წერილი **დავით ერისთავისადმი**. რამდენადაც შინაარსიდან ჩანს, რომ ადრესანტი უკვე ბანკში მსახურობს, ბარათს ვათარილებთ 1875 წლის შემდგომი პერიოდით.

ნიკოლოზ (კოლა) რევაზის ძე ერისთავისთვის გაგზავნილ სამ პატარა ბარათში ნახსენებია მისი მეუღლე (გვ. 260, 262): „კნენას მოახსენე, რომ ექიმმა კოლა ერისთავის ნახვა წამლად დამიწერა“, „კნენას მოახსენე, არც ეგეთი ეგოისტობა ვარგა-თქო, რომ თქვენის მშვენიერის მეუღლის ნახვით არა გნებავთ, სხვაც ვინმე დასტკბეს-თქო“, „თუმცა კნენა ძალიან გამიწყრა გუშინ საღამოს, მაგრამ დღეს სადილად მაინც შენთან მიინდა მოვიდე და მაცნობე, შესაძლოა, თუ არა“. რამდენადაც ერისთავთა გენეალოგიური ნუსხის მიხედვით კოლა ერისთავმა ეკატერინე მიხეილის ასულ თამამშვევაზე იქორწინა 1882 წლის 25 აპრილს, სამივე ბარათს ვათარილებთ 1882 წლის 25 აპრილის შემდგომი პერიოდით.

ოცტომეულში 1900-იანი წლებით არის დათარიღებული ოთხი წერილი საგურამოს **მოურავ სანდროსადმი** (217, 218). დათარიღებასთან დაკავშირებით გამოცემაში წერია, რომ

1900-იან წლებში ილიას ჰყავდა ორი მოჯამაგირე, სახელად სანდრო. მართალია, იქვე აღნიშნულია, რომ არც ერთი მათგანი არ იყო მოურავი (გვ. 475), მაგრამ დათარიღება მაინც ამ მოჯამაგირეების მუშაობის წლების საფუძველზეა გაკეთებული. რეალურად, არ გვაქვს სერიოზული არგუმენტი, რომ ეს ოთხი წერილი უცილობლად 1900-იანი წლებით დავათარილოთ. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ 1875-1887 წლებში საგურამოს მოურავი იყო დავით ციციშვილი¹, პირადი წერილებიდან და მათი თარიღებიდან ვიცით, რომ 1905 წლის მარტიდან მოურავი იყო მოსე მემარნიშვილი და შემდეგ დიმიტრი ჯაში. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოხსენებული ოთხი წერილის ადრესატი სანდრო საგურამოს მოურავი უნდა ყოფილიყო 1887 წლიდან 1905 წლის მარტამდე ინტერვალში.

შევეცადეთ გადაგვემოწმებინა ამ ოთხ ბარათში ნახსენები პირები და რეალიები რომელი პერიოდის წერილებში იხსენიება. ერთ-ერთ ბარათში ნათქვამია: „საქალამნეები ან შენ აყიდვინე, ან გაბოსაგან დაიბარე ბარათით კი, უბარათოთ გაბოსთან არა დახარჯო რა“. 1890 წლის ივლისის ბოლოს გრიგოლ ყიფშიძისთვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ეს უნდა იყოს გაბო ხერუმოვი, რომელსაც, როგორც ჩანს, მცხეთაში ჰქონდა მალაზია“ (გვ. 140). სახელი მარტია და ბელელი ნახსენებია მეუღლისთვის 1898 წლის 6 სექტემბერს გაგზავნილ ბარათში. ყველა ეს ფაქტი თავსდება ჩვენ მიერ სავარაუდოდ მიჩნეულ დროით მიჯნებში და ბარათებს ვათარილებთ ასევე - 1887 წლიდან 1905 წლის მარტამდე.

ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი წერილი თავისი **დის - ელისაბედისადმი**, რომელიც 29 იანვრით არის დათარიღებული, მაგრამ წელი მითითებული არა აქვს, ოცტომეულში (გვ. 30) დათარიღებულია 1870 წლის შემდეგი პერიოდით, ლიტერა-

1. იხ. აქვე, სტატია „პირთა იდენტიფიკაცია“.

ტურის მუზეუმის გამოცემაში¹ კი - 1873 წლით. ამ ბარათში ილია ელისაბედს აცყობინებს, რომ მომდევნო დღეს დილის თერთმეტ საათზე გრიგოლ ორბელიანთან თავმოყრას აპირებენ ლევან მელიქიშვილი, გიორგი რევაზის ძე ერისთავი, ივანე მუხრანბატონი და სხვა პირები რალაც მნიშვნელოვან საქმესთან დაკავშირებით და სთხოვს, რომ ელისაბედის ქმარი - ალექსანდრე საგინაშვილიც მივიდეს. ილია არ ასახელებს, რა საქმეა ეს, ან ვინ არის მისი ინიციატორი, მაგრამ ამბობს, რომ ეს პირი თავად ესტუმრა მას იმ დღეს და სთხოვა საგინაშვილის დაპატიჟება. ბარათი შორიდან არ უნდა იყოს გაგზავნილი. იგი ღიზას იმ დღესვე უნდა მიეღო, რომ ალექსანდრეს მეორე დილით შეხვედრაზე მისვლა მოესწრო. წერილის სიტყვებიც „ამ საქმის დამწყობი ჩემთან შემოვიდა“ და „მე ჯერ კიდევ შინ ვარ შემწყვედეული“ უფრო იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის და ელისაბედი შორს არ არიან ერთმანეთისგან - ორივე თბილისშია თავ-თავიანთ სახლებში.

ბარათში მოხსენიებული ფაქტი - 30 იანვარს გრიგოლ ორბელიანთან თავმეყრა რალაც მნიშვნელოვანი საქმის დასაწყებად, საშუალებას იძლევა, რომ წერილი უფრო ზუსტად დავათარილოთ. 1878 წლის 30 იანვარს სწორედ გრიგოლ ორბელიანის სახლში მოხდა საზოგადო მოღვაწეთა შეხვედრა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების განსახილველად. შესაბამისად, წერილს ვათარილებთ 1878 წლის 29 იანვრით.

ოცტომეულში „უთარილოების“ განყოფილებაშია დაბეჭდილი ილია **ბახტაძისთვის** გაგზავნილი მოკლე ბარათი (გვ. 259), რომელშიც ილია ჭავჭავაძე სწერს, რომ მისი კორესპონდენცია ცოტათი ჩაასწორა და გამოაქვეყნა. გარდა ამისა, იქვე სთავაზობს, რომ კიდევ გაუგზავნოს მასალები. წერი-

1. „ილია ჭავჭავაძე, საარქივო გამოცემა: ლექსები, პოემები, თარგმანები, ჩანაწერები, პირადი წერილები“, 2010, გვ. 185.

ლის სამეცნიერო აპარატში ვკითხულობთ: „ამის შესახებ აღნიშნავს ი. ბახტაძე თავის მოგონებებში: „ვიქნებოდი ასე 19 წლისა, როდესაც გაზეთ „ივერიას“ ხონიდან გავუგზავნე პატარა კორესპონდენცია. ილია ჭავჭავაძემ ჩემი კორესპონდენცია ისე გადააკეთა, იმდენი შესწორებები შეიტანა შიგ, რომ როდესაც გამოქვეყნდა, დავეჭვდი, არავის არ ვეუბნებოდი, რომ ჩემი წერილი იყო“. ილია ბახტაძე დაიბადა 1859 წელს, შესაბამისად, 19 წლისა იქნებოდა 1878 წელს.

1878 წელს გაზეთ „ივერიაში“ ილია ბახტაძის სახელით დაიბეჭდა ერთი თარგმანი რუსულიდან¹, მაგრამ ამავე წელს და ამავე გაზეთში ფსევდონიმით „სოფლელი“ გამოქვეყნდა ორი კორესპონდენცია ხონიდან. მართალია, ეს ფსევდონიმი დღემდე გაუხსნელი იყო, მაგრამ, ვფიქრობთ, ილია ჭავჭავაძის წერილი და ბახტაძის მოგონება მიგვანიშნებს, რომ ეს სწორედ ილია ბახტაძის ფსევდონიმია. მისი მოგონების სიტყვებიც: „არავის არ ვეუბნებოდი, რომ ჩემი წერილი იყო“, ფაქტობრივად მონიშნავს, რომ კორესპონდენცია ანონიმურად იყო გამოქვეყნებული. თუ სტატიასთან მისი სახელი და გვარი იქნებოდა მითითებული, თქმა რაღად დასჭირდებოდა, ვისი იყო. რამდენადაც, ილიას ბარათიდან ჩანს, რომ საუბარია ბახტაძის პირველ კორესპონდენციაზე და სთხოვს, რომ კიდევ გაუგზავნოს, ბარათი დაწერილი ჩანს პირველი კორესპონდენციის¹ დაბეჭდვის (იხ. „შესწორებები შევიტანე და დაგებეჭდე“), ანუ 1878 წლის 29 ივნისის შემდეგ.

ოცტომეულში 1883 წლის 7 ნოემბრით არის დათარიღებული წერილი **ილია ოქრომჭედლიშვილისადმი** (გვ. 95), რომელშიც საუბარია ძველი ქართული ნიგნების, კერძოდ კი, „ვისრამიანის“ გამოცემასა და ქართული თეატრის პრობლემებზე. წერილს აწერია მხოლოდ „7 ნოემბერი“, სამეცნიერო

1. შმულევიჩი, წლევანდელ საოფლეზე, თარგმანი ილია ბახტაძის, „ივერია“, 1878, N19, გვ. 4-8.

2. სოფლელი, ხონი, 1878, 29 ივნისი, N25, გვ. 4.

აპარატში კი ვკითხულობთ: „წერილს ვათარილებთ „ვისრამიანის“ გამოცემის მიხედვით, რამდენადაც ი. ჭავჭავაძემ ამ გამოცემაზე მუშაობა დაიწყო 1883 წელს და დასტამბა 1884 წელს“ (გვ. 410). რეალურად, „ვისრამიანის“ გამოცემის გადანივებილება 1881 წელს იქნა მიღებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ. 1881 წლის 3 დეკემბრის სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „დაიბეჭდოს 1200 ეგზემპლიარი, 800 ივერიის ქალაღდზედ და 400 ცხრამანეთიან ქალაღდზედ, ივერიის ფორმატითა. მიენდოს ვარიანტების შეთანხმება ილია ჭავჭავაძეს, აღ. სარაჯოვს და პ. უმიკოვს“. ჩანანერს ამ საკითხის შესახებ ეტყობა, რომ იგი გამგეობის სხდომაზე პირველად არ არის წამოჭრილი, რადგან ნახსენები არ არის ილია ოქრომჭედლიშვილის შეთავაზება და ძველი წიგნების სია, რომლიდანაც პირველად დასაბეჭდად ამოირჩიეს „ვისრამიანი“. გარდა ამისა, 1881 წლის 22 ოქტომბერს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ილია ოქრომჭედლიშვილმა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოსაცემად წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა ექვსი ათასი მანეთი. შესაბამისად, წერილს ვათარილებთ 1881 წლის 7 ნოემბრით.

ოცტომეულში 1880-იანი წლებით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის 3 ოქტომბრის ბარათი **ალექსანდრე საგინაშვილისადმი** (137, 430), რომელშიც ნათქვამია: „მინისტრმა ხვალ ათს საათზედ დაგვინიშნა დეპუტაციის მიღება“, გაზეთ „დროების“ 1883 წლის 5 ოქტომბრის ნომრიდან კი ვიცით, რომ 1883 წლის 4 ოქტომბერს სწორედ დილის 10 საათზე ილია ჭავჭავაძე თბილისის გუბერნიის დეპუტაციასთან ერთად შეხვდა გზათა მინისტრს კახეთის რკინიგზის პროექტთან დაკავშირებით. შესაბამისად, შეგვიძლია თარიღის დაზუსტება: ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1883 წლის 3 ოქტომბერს.

ასევე 1883 წელს უნდა იყოს დაწერილი და ამავე დეპუტაციაში მონაწილეობას უნდა ეხებოდეს **ნიკო ცხვედაძის**თ-

ვის გაგზავნილი მოკლე ბარათი (გვ. 245), რომელსაც „1 ოქტომბერი“ აწერია და ნათქვამია: „ერთი დაწვრილებით შემატყობინე, — რისთვის ჩამომათრიეთ? ვინ არიან დეპუტაციაში და როდის არის დანიშნული წარდგენა დეპუტაციისა?“. ოცტომეულში ეს წერილი 1905 წლით არის დათარიღებული და ნათქვამია: „ვფიქრობთ, აქ უნდა იგულისხმებოდეს ქართული საზოგადოების წარმომადგენელთა დეპუტაცია, რომელიც 1905 წლის 11 ოქტომბერს ეწვია კავკასიის მეფისნაცვალს ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თხოვნით.“ არა გვგონია, 1905 წელს ხანდაზმული მწერალი 11 ოქტომბრის შეხვედრის გამო ათი დღით ადრე ჩამოეყვანათ საგურამოდან თბილისში. გარდა ამისა, თანამედროვეთა გადმოცემებიდან ცნობილია, რომ მეფისნაცვალთან ეს შეხვედრა ილია ჭავჭავაძის უშუალო მონაწილეობით იგეგმებოდა და მზადდებოდა. რაც შეეხება 1883 წელს გზათა მინისტრთან შეხვედრას, ეს პიროვნება გავლით უნდა ყოფილიყო საქართველოში და დეპუტაცია სადგურზე უნდა შეხვედროდა. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ზუსტი დრო წინასწარ არ იცოდნენ და ილია მოულოდნელად ჩამოიყვანეს საგურამოდან. შესაბამისად ამ ბარათს ვათარიღებთ 1883 წლის 1 ოქტომბრით.

პეტრე უმიკაშვილისთვის გაგზავნილ მოკლე ბარათზე, რომელიც ოცტომეულში დათარიღებულია 1885 წლის 14 სექტემბრით (გვ. 112), ადრესატის მიერ მიწერილია 14 სექტემბერი, 1885. ვერ ვიტყვით, რომ მინაწერი საერთოდ არ არის სანდო, მაგრამ ზუსტი კი ნამდვილად არ არის, რადგან ეწინააღმდეგება წერილის შინაარსს. ტექსტიდან ჩანს, რომ ის პარასკევსაა დაწერილი („ხვალ, ესე იგი, შაბათს“), 1885 წელს 14 სექტემბერი კი - შაბათია და არა პარასკევი. ჩანს, რომ ბარათი 1885 წლის 13 სექტემბერს არის დაწერილი პეტრე უმიკაშვილმა კი მასზე წერილის მიღების დრო მიაწერა.

იმავე ტომში 1880-იანი წლებით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი **ნინო ანდრონიკაშვილ-ჯორჯაძი-**

სადმი, რომელსაც 3 აგვისტო აწერია (გვ. 138), მაგრამ ბარათი 1886 წლის 3 აგვისტოზე ადრეული ვერ იქნება, რადგან გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის 3 მაისის (#96, გვ. 1-2) ინფორმაციის მიხედვით, წერილში ნახსენები მუშტაიდის ბალთან მდებარე მეზაღეობის სკოლა გაიხსნა ხსენებული წლის 1 მაისს. წერილში რომ სწორედ მეზაღეობის სამეურნეო სკოლაზეა საუბარი, ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ყირიმის ქალაქ ნიკიტის სკოლაც, რომელთანაც ის არის შედარებული, ასევე მეზაღეობისა იყო. შესაბამისად, ხერხდება ბარათის დაწერის თარიღის უფრო დაკონკრეტება 1886 წლის 3 აგვისტოს შემდგომი პერიოდით.

ოცტომეულში უთარიღოთა განყოფილებაშია დაბეჭდილი (გვ. 262) ილია ჭავჭავაძის ბარათი თავისი **დის - ელისაბედისადმი¹**, რომელშიც ნახსენებია ელისაბედის მეორე ქმარი - ალექსანდრე („შეეხვეწე ალექსანდრეს, დღეს ამოვიდეს შენთან ერთად“). იგი შეიძლებოდა დაწერილიყო საგურამოში ილიასა და ოლღა გურამიშვილის დამკვიდრებიდან ალექსანდრე საგინაშვილის გარდაცვალებამდე - 1875-დან 1887 წლის 6 აპრილამდე ნებისმიერ დროს.

ოცტომეულში უთარიღოთა განყოფილებაშია დაბეჭდილი (გვ. 265) წერილი, რომელშიც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ელისაბედ ჭავჭავაძის ქმარი გარდაცვლილია („ხელი მოაწერე ასე: „ქვრივი ღენერალ ლეიტენანტისა ელისაბედ გრიგოლის ასული საგინოვისა“). რამდენადაც ალექსანდრე საგინაშვილი გარდაიცვალა 1887 წლის 6 აპრილს, ბარათს ვათარიღებთ 1887 წლის 6 აპრილის შემდგომი პერიოდით.

ოცტომეულში უთარიღოების განყოფილებაშია დაბეჭდილი თავისი დის - ელისაბედისთვის გაგზავნილი მოკლე ბარათი (გვ. 267). როგორც შინაარსიდან ჩანს, ეს არის პასუხი

1. წყარო: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, ავტოგრაფი N17 540; ჭავჭავაძე, ი., თსკ (ოც ტომად), XVII, 2012, გვ. 262, 510.

ელისაბედის წერილზე, რომლითაც სთხოვდა ვილაციისთვის ფულის სესხებას. ილია ჭავჭავაძის ბარათის ფრაზა: „შენც კარგად იცი, რომ მეც თითონ თქვენის ღვდლის ფული მმართვებს, ვადა მოსულა და ვერ მიმიცია“. გვაფიქრებინებს, რომ ბარათი ელისაბედის მეორე ქმრის - ალექსანდრე საგინაშვილის გარდაცვალების შემდგომ პერიოდშია დაწერილი. რამდენადაც ვიცით, ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა ალექსანდრე საგინაშვილის დაკრძალვის ცერემონიას (ამის გამო იმ დღეებში გაზეთ „ივერიის“ გამოცემაც კი შეწყვიტა) და მოგვიანებით მისი სულის მოსახსენებლად საგურამოშიც ჩატარებინა საეკლესიო მსახურება (ტ. 18, გვ. 232), რისთვისაც საგანგებოდ ჰყავდა მიწვეული სამღვდლოება („იქით ორშაბადს არქიელი მოდის მანდ“). თავისი სიძის სიცოცხლეში არ იქნებოდა იმის საჭიროება, რომ საგინაშვილების მღვდლისთვის ფული ილიას გადაეხადა. შესაბამისად, ეს ბარათიც უნდა დავათარილოთ 1887 წლის 6 აპრილის შემდგომი პერიოდით.

ოცტომეულში 1890-იანი წლებით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი **იონა მეუნარგისადმი** (გვ. 205), რომელშიც საუბარია სალომე დადიანი-მიურატის მამულეების დაგირავებით ბანკიდან სესხის გატანაზე. წერილის სამეცნიერო აპარატში ვკითხულობთ: „მასში საუბარია მამულეების დაგირავებაზე, რომლის კრიტერიუმები უკვე დიდი ხნის დადგენილი და გარკვეულია. ამგვარი ვითარება კი აღინიშნება 1890-იან წლებში“. წერილში ნათქვამია, რომ ბანკი სესხად გასცემს მამულის ფასის 60%-ს. 1888 წლის 12 დეკემბრის პუბლიკაციაში, რომელიც გაზ. „ივერიის“ #271-ში გამოქვეყნდა, ილია განმარტავს სათავადაზნაურო ბანკიდან სესხის აღების პირობებს: „სესხად მიეცემა 60% იქიდან, რამოდენადაც დაფასებული იქმნება მამული“. შესაბამისად, ეს წესები 1888 წელს უკვე არსებობდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სალომე დადიანი-მიურატისა ქმრის გარდაცვალების

შემდეგაც (გარდ. 1895) აგრძელებდა მეურნეობას და ილიასაც ბანკთან კავშირი განყვეტილი არ ჰქონდა, ვერ შემოვიფარგლებით ვერც მხოლოდ 1880-იანი წლების ბოლოთი და ვერც 1890-იანებით და წერილს ასე ვათარილებთ: 1888 წლის შემდეგ.

ოცტომეულში უთარილოთა განყოფილებაშია დაბეჭდილი (გვ. 259) მოკლე წერილი **დიმიტრი ბაქრაძისადმი**. ილია ჭავჭავაძე ადრესატს სთხოვს, ათხოვოს ალბომი, რომელშიც აქვს ქართველ მეფეთა გამოსახულებები, რომ მხატვარს აჩვენოს და ზოგიერთი სახე გადააღებინოს. ვფიქრობთ, ეს ფაქტი უნდა მომხდარიყო 1889 წელს, როდესაც ილია გადავიდა ნიკოლოზის ქუჩაზე. იონა მეუნარგიას აღწერით, იქ ოთახის ჭერი მოხატული იყო ოთხი ქართველი მეფის: ლუარსაბ ნამებულის, დიმიტრი თავდადებულის, თამარის მამის - გიორგისა და დავით აღმაშენებლის ფერადი მედალიონებით. შესაბამისად, წერილს სავარაუდოდ ვათარილებთ 1889 წლის სექტემბრამდე.

თავისი **დის - ელისაბედისთვის** წლის მიუთითებლად 18 ივლისს და 22 სექტემბერს გაგზავნილი წერილების (263, 264) შინაარსიდან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძის და დასასვენებლად იყო წასული გურზუფში და იქიდან გაემგზავრა ვარშავაში. წერილში ნახსენებია, რომ მოგზაურობის რაღაც ეტაპზე ის უნდა შეხვედროდა თავის დისწულ მაკო აფხაზს და მის მეუღლე დიმიტრი მაყაშვილს¹. მეორე წერილში ილია დაწვრილებით უყვება ელისაბედს სახლების გაქირავების ამბავს, რომელი სართული რამდენად გასცა და დასძენს, რომ „იქით ქუჩაზედაც“ აპირებს სახლების აშენებას. ექვთიმე თაყაიშვილი

1. თუ გავითვალისწინებთ, რომ დიმიტრი მაყაშვილი სამხედრო სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ ცხოვრობდა და გარდაიცვალა იალტაში, გურზუფი კი იალტის შემოგარენში მდებარეობს (20 კმ-ში), უნდა ვივარაუდოთ, რომ მას იქ 1889 წელსვე შეიძლება ჰქონოდა სახლი.

თავის მოგონებებში წერს: „ილიამ თავისი დის ხარჯითა და მის სახელობაზე ორი სახლი ააშენა. ეს იმ ადგილას, რომელსაც ვორონცოვის ხიდი პირდაპირ უცქერის. ერთი სახლი ავჭალის ქუჩაზე გამოდიოდა, მეორე - უკანა ქუჩაზე”.

მართალია, ილია და ელისაბედი 1870-იან წლებშიც აშენებდნენ თბილისში სახლს, მაგრამ პირველ ბარათში ოლღა გურამიშვილის ნახევარძმის - ზალიკოს ქალიშვილის ხსენება, რომელმაც უკვე წერა-კითხვა იცის (1875 წელს ზაალ გურამიშვილს ჯერ ცოლიც არ ჰყავდა), მეორეში კი - მაკოს და ტიტკოსი (მაკო დიმიტრი მაყაშვილს ცოლად გაჰყვა 1884 წელს) გამორიცხავს, რომ წერილები 1880-იან წლებამდე იყოს დაწერილი. რამდენადაც ელისაბედს თავისი მოგზაურობისას თან არ ახლავს მეუღლე - ალექსანდრე საგინაშვილი, იგი უკვე გარდაცვლილი უნდა იყოს. შესაბამისად, აქ თავისი სიძის გარდაცვალების შემდეგ აშენებულ იმ ნაგებობაზეა საუბარი, რომლის მშენებლობაც 1889 წლის ზაფხულში დამთავრდა. შემთხვევითი არ არის, რომ ილია ჭავჭავაძის ამ პერიოდის უბის წიგნაკები სავსეა ჩანაწერებით, რომლებიც სამშენებლო სამუშაოებს უკავშირდება.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ წერილები 1889-ის რომელიმე მომდევნო წელს არის დაწერილი, მაგრამ სახლები რომ ახალაშენებული არ ყოფილიყო, ნაკლებ სავარაუდო იქნებოდა, რომ ყველა ბინა ერთდროულად გაექირავებინათ. გაზეთ „ივერიის“ რედაქციაც ამ შენობაში გადავიდა სწორედ ამ ორი წერილის თარიღებს შორის მოქცეულ ინტერვალში - 1889 წლის 27 ივლისს. შესაბამისად, ელისაბედმა ყირიმსა და პოლონეთში იმოგზაურა 1889 წლის ივლისსექტემბერში და ეს წერილებიც 1889 წლის 18 ივლისსა და 22 სექტემბერს არის დაწერილი.

რამდენადაც ზემოხსენებული წერილებიდან ირკვევა, რომ ილია ჭავჭავაძის და - ელისაბედი იალტაში იმყოფებოდა 1889 წლის ზაფხულში და, იმ წერილების თანახმადაც, მას

თან ახლდა კატო¹, დიდი ალბათობაა, რომ კიდევ ერთი უთარილო ბარათი, რომელშიც ილია მეუღლეს სწერს: „ლიზო და კატო იალტიდამ დღეობას გილოცავენ“ (ტ. 18, გვ. 244), დაწერილი იყოს ასევე 1889 წელს, კერძოდ კი, ოლღას სახელობის დღის - 11 ივლისის მომდევნო დღეებში.

ოცტომეულში უთარილოების განყოფილებაშია დაბეჭდილი თავისი დის - ელისაბედისთვის გაგზავნილი მოკლე ბარათი (გვ. 267), რომლიდანაც ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი მეუღლე საგურამოში დადიან და მეურნეობას ეწევიან („ხილს გიგზავნი. ოლგამ თავისი ბენვი, რომელსაც ისე უფრთხილდებოდა, მცხეთასა და საგურამოს შუა დაჰკარგა“), თბილისში კი ისინი და ელისაბედი ერთ სახლში ცხოვრობენ („კლეონკაში შეკრულია სამართებლები და საპარსი იარაღი. კაბინეთში, პირველ ფანჯარაზე სდევს და ამ ბიჭის ხელით გამომიგზავნეთ“). შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1889 წლის შემდეგ, როდესაც ილიას ოჯახი და ელისაბედი ერთად ცხოვრობდნენ.

ოცტომეულში 1890 წლის თებერვლით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის ბარათი გრიგოლ ყიფშიძისადმი (გვ. 140), რომელიც მიწერილია გრიგოლ გველესიანის მიერ 1890 წლის 31 იანვარს მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილზე. ბარათიდან ჩანს, რომ გველესიანს გამოუგზავნია კორესპონდენ-

1. ამ კატოს ზუსტი ვინაობა არ ვიცით, მაგრამ იგი ილია ჭავჭავაძისა და მისი დის - ელისაბედის ძალიან ახლობელი უნდა ყოფილიყო („მარტო ერთი დანაკლისი ის არის, რომ შენა და კატო ჩვენთან არ იქნებით“ - იგულისხმება ილიაობის დღესასწაულზე) და თან ასაკით პატარა, რადგან მწერალი მას რამდენიმეგან „კატუნიად“ მოიხსენიებს („კატუნია რა ქეიფზეა, ხომ არ გაჯავრებს?“ „კატუნია ჩემ მაგიერ ყური გაუნიე, იამება“). ჩვენთვის უცნობია ილიას იმჟამად უკვე გარდაცვლილი დის - ნინოს ყველა შვილის სახელი. შესაბამისად, შესაძლოა ეს ილიასა და ელისაბედის უმცროსი დისწული ყოფილიყო და თავისი გათხოვილი დის - მაკოს სანახავად გაჰყოლოდა დეიდას იალტაში. მწერლის თხზულებათა ოცტომეულის მე-17 ტომში (გვ. 511) შეცდომით არის მითითებული, რომ 22 სექტემბრის წერილში ნახსენები მაკო, ტიტკო და კატუნია ელისაბედის შვილები არიან. ილიას დას - ელისაბედს შვილი საერთოდ არ ჰყავდა.

ცია, რომელიც ილიას დიდად არ მოსწონებია, მაგრამ გადანყვეტილება გრიგოლ ყიფშიძისთვის მიუხდია: „თუ ცოტა რასმე მაინცა ჰგავს, გაგზავნეთ ასანყობად. თუ ეს წავა, მეთაური აღარ იქნება, თუ არ წავა, მაშინ ვეცდები დავნერო“. გაზეთ „ივერიის“ ამ პერიოდის ნომრების გადათვალიერება მოწმობს, რომ გრიგოლ ყიფშიძეს გადაუნყვეტია გველესიანის სტატიის დაბეჭდვა და ის გამოქვეყნდა 1890 წლის 8 თებერვლის ნომერში (N30, გვ. 2). კორესპონდენცია ეხება 29 იანვარს პეტერბურგში გამართულ ქართულ საქველმოქმედო საღამოს. საგულისხმოა, რომ წერილის პირობისამებრ (მეთაურს დაწერდა იმ შემთხვევაში, თუ ეს სტატია არ დაიბეჭდებოდა) გაზეთის ამ ნომერში ილია ჭავჭავაძის მეთაური წერილი არ დაბეჭდილა. რამდენადაც 1890 წელს „ივერია“ ყოველდღიური გაზეთი იყო და ნომრის მასალები წინა დღეს იწყობოდა, ბარათი შეგვიძლია დავათარილოთ 1890 წლის 7 თებერვლით.

ოცტომეულში 1890-იანი წლებით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის მოკლე ბარათი **გრიგოლ ყიფშიძისადმი** (გვ. 205), რომელშიც სთხოვს იმ საღამოს მასთან მისვლას და ზაგურსკის მიერ ჩაწერიებული შეკითხვების მასთან მიტანას. სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების წევრ - ლინგვისტ და ეთნოგრაფ ლეონარდ ზაგურსკიზე, რომლის მოხსენებებისა თუ სამეცნიერო ნაშრომების შესახებ „ივერია“ ხშირად წერდა. რამდენადაც იგი გარდაიცვალა 1891 წლის 24 აპრილს, უფრო სავარაუდოა, რომ ილიას ბარათი მანამდე იყოს დაწერილი. ეს ჩანაწერები რომ ზაგურსკის მისთვის და გრიგოლ ყიფშიძისთვის ამ წერილის დაწერამდე დიდი ხნის წინ გადაეცა, ილიას დასჭირდებოდა ადრესატისთვის იმის მინიშნება, რა ჩანაწერებზეა საუბარი, წერილში კი ასეთი რამ არ არის. ყველაზე მეტად საფიქრებელია, რომ ზაგურსკის კითხვები მიეცა მათთვის დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით, რამდენადაც 1890 წლის 22 მარტს გეოგრაფიუ-

ლი საზოგადოების კრებაზე მან წაიკითხა ვრცელი, საინტერესო მოხსენება განსვენებული მეცნიერის შესახებ, რაშიც, შესაძლოა, მას დასჭირვებოდა ქართველ კოლეგათა დახმარება. შესაბამისად, ბარათს პირობითად ვათარილებთ ასე: 1890 წლის 22 მარტამდე პერიოდით.

უთარილო წერილს **გრიგოლ ყიფშიძისადმი**, რომელიც ოცტომეულში 1889-1890-იანი წლებით არის დათარიღებული (გვ. 140), აქვს ადრესატის გვიანდელი მინაწერი: „დაწერილი უნდა იყოს 1889-1890 წლის ზაფხულში“, მაგრამ ბარათის სიტყვები: „1-ს აგვისტოს ერთი დღით ჩამოვალ“, რაც მიგვანიშნებს, რომ იგი ივლისის ბოლოს უნდა იყოს დაწერილი და ამ ორი წლის ივლისის ქრონიკების თვალის გადავლება თარიღის უფრო მეტად დაკონკრეტების საშუალებას იძლევა. ბარათში ილია ჭავჭავაძე სთხოვს გიგა ყიფშიძეს, რომ რაც იქ ითქვა „სერებრაკოვის დაპირების თაობაზე“, გაზეთში არ მოიხსენიოს.

1890 წლის 30 ივლისს ქუთაისში გადაიხადეს დავით ჩუბინაშვილის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე, რომელზეც სიტყვით გამოვიდა ილია ოქრომჭედლიშვილი¹. იმავე წლის 3 აგვისტოს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა საიუბილეო საღამოს მიმოხილვა და ილია ოქრომჭედლიშვილის სიტყვა. რამდენადაც 1889 წლის ივლის-აგვისტოში სერებრაკოვის (ოქრომჭედლიშვილის) შესახებ „ივერიაში“ არაფერი დაბეჭდილა, უნდა ვიფიქროთ, რომ „ივერიის“ სწორედ 1890 წლის 3 აგვისტოს პუბლიკაციაში არ უნდა ეხსენებიათ მისი რაღაც დაპირება. რამდენადაც ილია ჭავჭავაძე იუბილეს თავად არ დასწრებია და ამ დაპირების შესახებ სხვისგან უნდა გაეგო, გამოვრიცხავთ 30-31 ივლისს და ბარათს ვათარილებთ 1890 წლის 1-2 აგვისტოთი.

ოცტომეულში 1890 წლის შემდგომი პერიოდით არის დათარიღებული 19 ოქტომბრის წერილი **ნიკო ხიზანიშვილი-**

1. გაზ. „ივერია“, 1890, 29 ივლისი, N162, N166, გვ. 1.

სადმი (146), რომელშიც ილია ჭავჭავაძე მას იმავე დღეს ეპატიჟება საგურამოში. ბარათში ნახსენებია, რომ ორშაბათი უქმე დღეა. 19 აგვისტოს მომდევნო დღეებში უქმე იყო ხოლმე 22 აგვისტო - რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრიობის გამოცხადების დღე. 1886 წლიდან (გაზეთ „ივერიის“ გამოცემიდან იწყება ილიას რეგულარული საქმიანი ურთიერთობა წერილში ნახსენებ გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეებთან) 1900 წლამდე (როცა მან ავადმყოფობა დაიწყო და ორდღიან წვეულებებზე ნაკლებად ფიქრობდა) 22 ოქტომბერი ორშაბათ დღეს ემთხვევა მხოლოდ 1890 წელს. შესაბამისად, ბარათი 1890 წლის 19 ოქტომბერს არის დაწერილი.

ოცტომეულში 1892 წლის იანვრით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი **გრიგოლ ყიფშიძისადმი** (გვ. 164), რომელშიც სთხოვს, რომ ზუბალაშვილის მიერ საბჭოში წარმოქმნილი სიტყვა გაუგზავნოს, რადგან რალაცის დაწერას აპირებს ამ თემაზე. მკვლევარმა მანანა კვატაიამ დაადგინა, რომ ზუბალაშვილმა ეს სიტყვა წარმოქვა 1891 წლის 30 დეკემბერს და, შესაბამისად, წერილი დაათარიღა მომდევნო პერიოდით - 1892 წლის იანვრით, მაგრამ რამდენადაც ილია ჭავჭავაძის ის სტატია, რომელშიც ის დაწვრილებით განიხილავს ნიკოლოზ ზუბალაშვილის სიტყვას და რომლისთვისაც სჭირდებოდა მასალის გადაგზავნა, დაიწერა 18 იანვარს, შეგვიძლია პირადი წერილის დაწერის დრო უფრო დავაზუსტოთ - 1892 წელი, 1-დან 18 იანვრამდე.

ოცტომეულში 1890-იანი წლებით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი **გრიგოლ ყიფშიძისადმი** (გვ. 207), რომელშიც სთხოვს, რომ მეორე დღის „ზურნაში“ ღამბაშიძის შესახებ არაფერი დაბეჭდოს და, ზოგადად, სასაცილოდ არავინ იყოს აგდებული. სამეცნიერო აპარატში ვკითხულობთ: „წერილი უთარიღოა, მაგრამ მასში მოხსენიებული ჟურნალის „ზურნას“ მიხედვით მიახლოებით შეიძლება დათარიღება 1890-იანი წლებით“ (გვ. 468). აქ რომ ჟურნალ „ზურნაზე“ იყოს საუბარი, 1890-იანი წლებით წერილი მაინც არ უნდა

დაგვეთარილებინა, რადგან იგი 1908 წელს გამოდიოდა, მაგრამ საუბარია არა ჟურნალ „ზურნაზე“, არამედ გაზეთ „ივერიის“ რუბრიკაზე, რომელიც მხოლოდ 1893 წელს არსებობდა 31 იანვრიდან 18 აპრილამდე.

1893 წლის 27 იანვარს, „ზურნის“ პირველი რუბრიკის გამოვლამდე ოთხი დღით ადრე, დეკანოზმა დავით ლამბაშიძემ „რ. დ. ლა-ძე“-ს ფსევდონიმით გაზეთ „მწყემსში“ დაიწყო ილია ჭავჭავაძისა და გაზეთ „ივერიის“ წინააღმდეგ მიმართული ვრცელი სტატიის ბეჭდვა¹ სათაურით „ფუტკრების დედო და თავადი ილია გ. ჭავჭავაძე, გაზ. „ივერიის“ რედაქტორ-გამომცემელი“. როგორც ჩანს, „ივერიის“ თანამშრომელთაგან ვილაცას განზრახული ჰქონდა „ზურნის“ რუბრიკაში მწარე პასუხი გაეცა ამ წერილისათვის, ილიამ ამის შესახებ გაზეთის გამოსვლის წინა დღეს - 1893 წლის 30 იანვარს გაიგო და მისწერა, რომ აბუჩად არავინ აეგდოთ. შესაბამისად, წერილს ამავე რიცხვით ვათარილებთ.

ოცტომეულში უთარილოთა განყოფილებაშია დაბეჭდილი (გვ. 265) ილია ჭავჭავაძის წერილი თავისი **დის - ელისაბედისადმი**. მასში ნახსენებია „დომინიკა“, რომელიც, სავარაუდოდ, უნდა იყოს მწერალი ქალი - დომინიკა ერისთავიმდივნისა, რომელმაც პირველი წერილი „ივერიაში“ 1893 წლის 25 აპრილს გამოაქვეყნა და, სავარაუდოდ, ამ დრომდე ილია ჭავჭავაძესთან ნაცნობობა არ ექნებოდა. შესაბამისად, ბარათს ვათარილებთ 1893 წლის 25 აპრილის შემდგომი პერიოდით.

ოცტომეულში პირობითად 1887 წლით არის დათარილებული საგურამოდან თბილისში **გრიგოლ ყიფშიძისთვის** გაგზავნილი მოკლე ბარათი (გვ. 130), რომელშიც ნათქვამია: „ივერიაში“ ნავიკითხე, რომ ლონდონიდან რაღაც წერილი მოგვვლიათ ღვინის თაობაზე. ხომ მოგეხსენებათ, რა საინტერესოა ეგ ამბავი ჩემთვის და გთხოვთ, თვით წერილიც მი-

1. გაზ. „მწყემსი“, 1893, N2, გვ. 1-3.

ბოძოთ წასაკითხად და, თუ სხვა ამბავიც იცოდეთ, მაცნობოთ”. წერილის დათარიღებასთან დაკავშირებით ტომში ვკითხულობთ: „აქ იგულისხმება ილიას გამოკვლევა” — „ღვინის ქართულად დაყენება” (გვ. 426), რომლის ბეჭდვაც მწერალმა დაიწყო „ივერიაში” 1887 წელს”.

ილია ჭავჭავაძეს მეღვინეობის თემაზე 40-ზე მეტი სტატია და ნარკვევი აქვს დაწერილი თავისი მოღვაწეობის სხვადასხვა დროს. შესაბამისად, ის, რომ წერილში მისი ღვინის თემით დაინტერესება ნახსენები, არ გვაძლევს საფუძველს, იგი მაინცადამაინც 1887 წლით დავათარილოთ. წერილის ტექსტი რომ ყურადღებით წავიკითხოთ, აქ არის საუბარი ღვინოსთან დაკავშირებით ლონდონიდან მიღებულ რაღაც წერილზე, რომლის შესახებაც ინფორმაცია დაიბეჭდა „ივერიაში”. 1893 წლის მაისში კახური ღვინის ლონდონის გამოფენაზე გაგზავნის შემდეგ¹, 1893 წლის 22 ივლისს, „ივერიაში” (N155, გვ. 1) დაიბეჭდა შემდეგი სახის ინფორმაცია: „ლონდონიდან გვწერენ, რომ იქ რავდენსამე კომერსანტს განუზრახავს შეადგინონ კამპანია კახურის ღვინის საზღვარ გარედ გასატანადაო... თუ გამოფენაზე სადმე გაგზავნილა კახური ღვინო და გამგზავნთ მონაშობები აქვთ, საჭიროა ეს ქალაქლები გამოგვიგზავნოთ და შეგვატყუობინოთ, ვინ არიან, სახელდობრ, დამფუძნებელნი ახალ საზოგადოებისა და ვისგან შესდგება ადმინისტრაციაო”.

ვფიქრობთ, გრიგოლ ყიფშიძისთვის გაგზავნილ ბარათში სწორედ ამ პუბლიკაციაზე უნდა იყოს საუბარი. როგორც ჩანს, 1893 წელს საგურამოში ილიაობის აღნიშვნის შემდეგ მწერალი იქვე დარჩა. ასეთ დროს სარედაქციო სამუშაოებში მას ეხმარებოდა ხოლმე გრიგოლ ყიფშიძე. 1893 წელს გაზეთში ასევე აქტიურად თანამშრომლობდა მისი ძმა - ალექსანდრე. სწორედ ამიტომ უნდა იყოს ნათქვამი მრავლობითში: „წერილი მოგსვლიათ”. იქვე ნახსენებ „მოსეში” კი („წერილი მო-

1. გაზ. „ივერია”, 1893, N105, გვ. 4.

სეს მიეცით და ის გამომიგზავნის”) - უნდა იგულისხმებოდეს „ივერიასთან” აქტიურად მოთანამშრომლე მკვლევარი და პუბლიცისტი - მოსე ჯანაშვილი. რამდენადაც საგურამოში მყოფ ილიას გაზეთებს რეგულარულად უგზავნიდნენ, იგი 22 ივლისის ნომერს მალევე წაიკითხავდა და, რაკილა ძალიან დაინტერესებული იყო, გიგასაც დროულად შეეხმიანებოდა. შესაბამისად, ბარათს ვათარილებთ 1893 წლის 22 ივლისის მომდევნო დღეებით.

თბილისიდან ვლადიკავკაზში სასაზღვრო ნაწილის უფროს **ეროთეოზ ერისთავისთვის** გაგზავნილი დეპეშის თარიღად ოცტომეულში (გვ. 165-166) მითითებულია 1893 წლის მაისი, მაგრამ კავკავის სკოლის შენობის კურთხევა, რაზეც ტექსტშია საუბარი („...радостно приветствуем день освящения здания Грузинской школы“), ჩატარდა 1893 წლის 22 ოქტომბერს და ამის შესახებ ვრცელი ინფორმაცია იყო დაბეჭდილი გაზეთ „ივერიაში“.¹ შესაბამისად, დეპეშასაც ასე ვათარილებთ.

ოცტომეულში 1890-იანი წლებით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი გიორგი თარხნიშვილისადმი (207-209), რომელსაც აწერია „21 იანვარი”. მასში საუბარია იოსებ მელიქიშვილის თხოვნაზე მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით და ამიროვის სახლის გაყიდვაზე. ბარათის შინაარსის მიხედვით, ილია იმ დღეს თბილისში იყო, მაგრამ აპირებდა ქალაქიდან გასვლას გარკვეული დროით („только-что был у меня Сосико Меликов...», «не делая представления в кредитную канцелярию до моего приезда») იმავე დღეს ივანე მაჩაბელი სიტყვით გამოსულა სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის სხდომაზე ამიროვის სახლის გაყიდვასთან დაკავშირებით (Прошу... принять на себя труд и относительно продажи дома Амирова, о чём сообщил нам сегодня Кн. Мачабели»), ილია ჭავჭავაძის განმარტებითი წერილიდან თავად ჯამბაკურ-

1. გაზ. „ივერია“, 1893, 30 ოქტომბერი, N233, გვ.2-3.

ორბელიანის საჩივართან დაკავშირებით¹ კი ვიგებთ, რომ უთარილო ბარათში წარმოდგენილი მოვლენები 1894 წელს ეკუთვნის და ამიროვის სახლი 3 მარტამდე უკვე გაიყიდა («3-го марта 1894 г. некто г-жа Семенова, купившая от Амирова частным образом заложенное в банке сим последним имение, заключила с продавцем договор»). შესაბამისად, წერილში, რომელიც, ჩვენი აზრით, 1894 წლის 21 იანვარს არის დაწერილი, საუბარია სახლის გაყიდვაზე, რომელიც მარტის დასაწყისში უკვე გაყიდული ჩანს.

საგულისხმოა, რომ 21 იანვრის შემდეგ ილია ჭავჭავაძე რამდენიმე დღით გაემგზავრა ქართლში („до моего приезда»). ბარათის ამ წლით დათარიღებას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ 1894 წლის 21 იანვარს მართლაც ჩატარდა სათავადაზნაურო ბანკის მმართველობისა და ზედამხედველი კომიტეტის სხდომა², სადაც, სავარაუდოდ, უნდა ესაუბრა მაჩაბელს ამიროვის სახლის გაყიდვაზე („сообщил нам сегодня Кн. Мачабели»). შესაბამისად, ბარათს ვათარიღებთ 1894 წლის 21 იანვრით.

ოცტომეულში 1894 წლით არის დათარიღებული წერილი **კოლა ერისთავისადმი** (გვ. 169-170), რომელშიც საუბარია ვახტანგ ორბელიანის ლექსების წიგნისათვის ილია ჭავჭავაძის მიერ დაწერილ ბიოგრაფიაზე. წიგნი 1894 წელს გამოვიდა, მაგრამ ცენზურის ნებართვა გაცემულია 1892 წელს. წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ ის დიდ სამშაბათამდეა დაწერილი („დიდი მარხვის სამშაბათამდე ამისათვის მე აღარ მეცლება”), რაც საშუალებას გვაძლევს, რომ თარიღი კიდევ უფ-

1. ი. ჭავჭავაძე, თსკ ოც ტომად, ტ. 16 В особенную канцелярию Министерства Финансов по кредитной части. Правления Тифлисского дворянского земельного банка объяснение по поводу жалобы Кн. Джембакур -Орбелиани.

2. სათავადაზნაურო ბანკის მსესხებელთათვის სახელმძღვანელო წესები, „ივერია“, 1894, 25 იანვარი, N18, გვ.2-3.

რო დავაზუსტოთ. დიდი სამშაბათი 1892 წელს ემთხვევა 31 მარტს. შესაბამისად, ბარათი ამ რიცხვამდეა დაწერილი.

ოცტომეულში 1890-1900-იანი წლებით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი **დავით გურამიშვილისადმი** (გვ. 216), რომელშიც იგი ადრესატს სთხოვს, გააგებინოს ნიკო ნიკოლაძეს, რომ მივიდეს მასთან იმავე დღეს 6 საათზე „საჭირო საქმისთვის“. წერილის შინაარსიდან ვიგებთ, რომ თუ ნიკოლაძე ზუსტად 6:00-ზე არ მივიდოდა მასთან, ილიას მერე აღარ ეცლებოდა, რადგან იმ საღამოსვე „სხვა კრება“ ჰქონდა ბანკში. წერილში ვკითხულობთ: „მე თვითონ შევატყობინებდი, მაგრამ ადრესი არ ვიცი: თუნდ ამ ბიჭისავე ხელით გაუგზავნეთ ნიკოლაძეს ბარათი“.

1883 წელს დავითის და - ოლლა ალექსანდრეს ასული გურამიშვილი ცოლად გაჰყვა ნიკო ნიკოლაძეს, მაგრამ წერილის სავარაუდო თარიღს ამ ფაქტის საფუძველზე ვერ შევავიწროებთ, რადგან ნიკო ნიკოლაძეს და დავით გურამიშვილს დანათესაებამდეც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ და ნიკოლაძის მისამართი დავითს მანამდეც ეცოდინებოდა. ამიტომ, მხოლოდ მათი ურთიერთობიდან გამომდინარე, ბარათი შეიძლება დაწერილიყო 1870-იანი წლებიდან ილიას გარდაცვალებამდე ნებისმიერ დროს.

დათარიღებისთვის უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა ბანკის კრების ხსენება. ბანკთან დაკავშირებულ კრებებში ილია ჭავჭავაძე მონაწილეობას იღებდა 1873 წლიდან, მაგრამ, რამდენადაც წერილს აწერია „25 მაისი“, შევისწავლეთ, კონკრეტულად რომელი წლის 25 მაისს ტარდებოდა ბანკის სხდომები. გამოიკვეთა ასეთი სურათი: ზოგ წელს ეს კრებები სხვა თვეებში იმართებოდა, ზოგჯერ მაისის დასაწყისში, ზოგჯერ კი მაისის ბოლოსაც, მაგრამ 25 მაისი ემთხვეოდა კვირას და კრება არ ტარდებოდა (1886, 1897). 1901 წლის 25 მაისს მხოლოდ დილის სხდომა იყო და სხვ. ბარათის შინაარსისათვის შესაფერი აღმოჩნდა მხოლოდ 1894 წელი, როდესაც დილით ჩვეულებრივი სხდომა იყო, საღამოს კი არჩევნები და ამორჩეულთა საზეიმო წარდგინება.

რამდენადაც 1894 წლის 25 მაისს დავით ალექსანდრეს ძე გურამიშვილი აირჩიეს საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრად, იგი ამ დღის დილის სხდომას ილია ჭავჭავაძესთან ერთად დაესწრებოდა. ეს უნდა იგულისხმებოდეს წერილის სიტყვებში, ამ სალამოსვე „სხვა“ კრება მაქვს ბანკშიო. ზედამხედველი კომიტეტის საარჩევნო ყუთები დაიდგა 5 საათზე, მაგრამ, როგორც ჩანს, მმართველობის თავმჯდომარის არჩევნები უფრო გვიან იყო დანიშნული. 26 მაისის „ივერიაში“ (# 111, გვ. 2) ვკითხულობთ: „ოთხშაბათს, 25 მაისს, ღამის 12 საათზედ დასრულდა კენჭის ყრა თ. ილ. გრ. ჭავჭავაძისა სათავადაზნაურო ბანკის მმართველობის თავმჯდომარის თანამდებობაზე.“

იმ სალამოს ილია ნამდვილად უნდა შეხვედროდა ნიკო ნიკოლაძეს, რადგან სწორედ კენჭისყრის დაწყებამდე მან ილიას სახელით გააკეთა განცხადება მისი და ვანო მაჩაბლის საბანკო მოღვაწეობის შესამოწმებლად საგანგებო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით: „კენჭის ყრის წინად აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სურვილისამებრ თავადის ჭავჭავაძისა, რაზედაც დათანხმდა თავადი ივანე მაჩაბელიც, დანიშნულიყო კომისია... ბ-ნმა ნიკოლაძემ ჩინებულად განმარტა ამ კომისიის მოვალეობა... ბ-ნის ნიკოლაძის აზრის ჭეშმარიტება ცხადი იყო მთელის კრებისთვის... ბატონმა ნიკოლაძემ კიდევ დაასახელა... ისეთნი კაცნი, რომელნიც არას მხრით არ ურევინან ახლანდელ დასთა ბრძოლაში.“ შესაბამისად, წერილის შინაარსი სრულ შესაბამისობაშია 1894 წლის მოვლენებთან და მას ვათარილებთ 1894 წლის 25 მაისით.

ოცტომეულში 1890 წლის შემდგომი პერიოდით არის დათარიღებული **მიხეილ ჩიკვაძისათვის** საგურამოდან გაგზავნილი ბარათი (გვ. 142), რომელსაც 4 ივლისი აწერია. დათარიღების საფუძვლად აღებულია იოსებ ბოცვაძის დაკვირვება, რომ წერილის მიხედვით, იმ დროს ილია ჭავჭავაძე უკვე ავადმყოფობდა. ვფიქრობთ, წერილის დასათარიღებლად უფრო კარგი დასაყრდენია ის ფაქტი, რომ აზოვ-დონის კო-

მერციული ბანკის თბილისის ფილიალი, რომლის შესახებაც წერილშია საუბარი, გაიხსნა 1895 წელს და, შესაბამისად, ბარათიც 1895 წლის შემდეგ რომელიმე 4 ივლისს უნდა იყოს დაწერილი. შესაძლოა, დათარიღების არეალში შეგვეტანა 1895 წლის 4 ივლისიც, მაგრამ, როგორც წერილიდან ჩანს, ილია იმ პერიოდში საგურამოში იყო, 1895 წლის 3 ივლისს კი თბილისში იმყოფებოდა. შესაბამისად, ბარათი დავათარიღეთ ასე: 1896 წლის 4 ივლისის შემდეგ.

ოცტომეულში 1896 წლით არის დათარიღებული წერილი **ივანე როსტომაშვილისადმი** (გვ. 176), რომელშიც ილია ჭავჭავაძე აცნობებს მას, რომ კახეთისკენ მიემგზავრებიან დამა - მარჯორი და ოლივერ უორდროპები და სთხოვს, მეგზურობა და მასპინძლობა გაუწიოს. ცნობილია, რომ 1896 წელს უორდროპები საქართველოში ზაფხულში იყვნენ ჩამოსულები, მაგრამ გაზეთ „კვალის“ 14 ივლისის პუბლიკაცია¹ ასახელებს კახეთიდან თბილისისკენ მათი გამომგზავრების თარიღს („ამ თვის 9-ს სიღნაღიდან ტფილისში გაემგზავრა ქ-ნი უორდროპი“). შესაბამისად, წერილი 1896 წლის 9 ივლისამდე უნდა იყოს დაწერილი.

ოცტომეულში 1896 წლის მარტი-აპრილით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი **ლუარსაბ ბოცვაძისადმი** (გვ. 184), რომელშიც აცნობებს, რომ სიამოვნებით ბეჭდავს მის წერილს ჟურნალ „ჯეჯილის“ შესახებ, სთხოვს, ყურადღება არ მოაკლოს საბავშვო მწერლობას და „ხშირად“ გაუგზავნოს თავისი კალმის ნაღვანი. ლუარსაბ ბოცვაძემ „ივერიაში“ 1896 წლის მარტიდან 1897 წლის იანვრის ჩათვლით გამოაქვეყნა რეცენზიები ჟურნალ „ჯეჯილის“ 1896 წლის თორმეტსავე ნომერზე, მაგრამ ილიას ბარათში სიტყვა „წერილის“ გამოყენება ყოველგვარი განსაზღვრების გარეშე („კიდევ ერთ“, „მეორე“, „მესამე“ და სხვ.): „ვბეჭდავთ თქვენს წერილს ჟურნალ „ჯეჯილზედა“, გვაფიქრებინებს, რომ საუ-

1. გაზეთი „კვალი“ N30, 14 ივლისი, 1896.

ბარია „ჯეჯილის“ შესახებ დაწერილ მის პირველ რეცენზიაზე¹ და ილია ჭავჭავაძის ბარათი დაწერილია ამ სტატიის დაბეჭდვამდე („ვებეჭდავთ“) — 1898 წლის 12 მარტამდე. როგორც ჩანს, პირველ რეცენზიაზე რედაქტორის ასეთმა დადებითმა გამოხმაურებამ და მისმა თხოვნამ, რომ ხშირად უგზავნოს სტატიები საბავშვო მწერლობაზე, გადაწყვეტინა ლუარსაბ ბოცვაძეს, რეცენზიები დაენერა „ჯეჯილის“ სხვა ნომრებზეც.

ოცტომეულში 1880-იანი წლებით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი **ალექსანდრე ოქროპირიძისადმი** (გვ. 137), რომელშიც იგი შუამდგომლობს ილიარიონ დონაძის დანიშვნას მედავითნედ შიდა ქართლის სოფელ სანებლის ეკლესიაში. რადგან ქართლის ეკლესიაზეა საუბარი, ალექსანდრე ეპისკოპოსი იმ დროს ქართლ-კახეთის ეპარქიის მღვდელმთავარი უნდა ყოფილიყო. ამ ეპარქიას იგი განაგებდა 1869-1882 და 1886-1898 წლებში. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ ბარათი აუცილებლად 1880-იან წლებში უნდა იყოს დაწერილი და მას ვათარიღებთ 1898 წლის აპრილის შუა რიცხვებამდე პერიოდით, სანამ მას გურია-სამეგრელოს ეპარქიას ჩააბარებდნენ.

ოცტომეულში 1898 წლის 18 მარტამდე პერიოდით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის მოკლე ბარათი ნერაკითხვის საზოგადოების მდივან - **დავით კარიჭაშვილისადმი** (გვ. 184), რომელშიც სთხოვს, რომ იმავე დღეს გაიტანოს საზოგადოების გამგეობის სხდომაზე განსახილველად ნოე ჟორდანიას წინადადება გამგეობის სხდომათა სამი წლის ოქმების შემოწმების თაობაზე. ბარათზე მიმაგრებულია კარიჭაშვილის მარტის თვით დათარიღებული წერილი ნოე ჟორდანიასადმი, რომელშიც ნათქვამია: გამგეობამ საკითხი განიხილა „სხდომაზე 17 ამ თვისას“ და ნება მისცა ნოე ჟორდანიას, გასცნობოდა იმ ოქმებს, რომელთა წაკითხვასაც თავად კარიჭაშვილი მიიჩნევდა საჭიროდ. რამდენადაც წერილის მი-

1. გაზ. „ივერია“, 1898, 12 მარტი, N54, გვ. 2-3.

ხედვით საკითხი ილია ჭავჭავაძის მიერ ამ ბარათის დაწერის დღესვე უნდა განხილულიყო და ვიგებთ, რომ განხილულა 17 მარტს, შესაბამისად, ბარათიც 1898 წლის 17 მარტს უნდა იყოს დაწერილი.

ოცტომეულში 1890-იანი წლებით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი **გრიგოლ ყიფშიძისადმი** (გვ. 207), რომელშიც საუბარია დიმიტრი ნადირაძის (მაჩხანელი) მიერ ილიასათვის რალაც თანხის თხოვნაზე (მისი წერილიდან არ ჩანდა, იგი ფულის სესხებას ითხოვდა, თუ ჰონორარს). რამდენადაც დიმიტრი ნადირაძე „ივერიასთან“ 1880-იან წლებშიც თანამშრომლობდა, 1890-იანში კი მხოლოდ 1898 წლის ჩათვლით, წერილს ვათარიღებთ არა 1890-იანი წლებით, როგორც ეს ზემოხსენებულ გამოცემაშია, არამედ 1899 წლამდე პერიოდით.

ოცტომეულში უთარიღოთა განყოფილებაშია დაბეჭდილი (გვ. 259) ილია ჭავჭავაძის წერილი **რაფიელ ერისთავისადმი**. რამდენადაც ბარათი მოკლეა და სხვა ხელჩასაჭიდი მის ზუსტად დასათარიღებლად არ გვაქვს, ვათარიღებთ რაფიელ ერისთავის გარდაცვალების დროზე დაყრდნობით - 1901 წლის 19 თებერვლამდე.

ოცტომეულში 1901 წლის თებერვლით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის დეპეშა **ვასილ კახიძისადმი**, რომელშიც სთხოვს, მისი თანაგრძნობა გადასცეს გარდაცვლილი რაფიელ ერისთავის ქალიშვილებს. ამ საკითხთან დაკავშირებით აქვე არის დაბეჭდილი 21 და 23 თებერვლით დათარიღებული ორი საქმიანი დეპეშა, რომლებიც ცნობილი მწერლის დაკრძალვის საკითხებს ეხება. წარმოუდგენელია, რომ ილიას ჯერ დაკრძალვასთან დაკავშირებით ეწარმოებინა მოლაპარაკებები და შემდეგ გამოეცხადებინა სამძიმარი ქალიშვილებისთვის. შესაბამისად, დეპეშა, რომელიც გამომცემელთა მიერ ზოგადად, თებერვლით არის დათარიღებული, დანარჩენ ორზე ადრეულია და თუ გავითვალისწინებთ, რომ რაფიელ ერისთავი 19 თებერვალს გარდაიცვალა, იგი 19 და 21 რიცხვებს შორის ანუ 1901 წლის 20 თებერვალს უნდა იყოს დაწერილი.

ოცტომეულში 1890-იანი წლებით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი **გრიგოლ ყიფშიძისადმი** (გვ. 206), რომელშიც იგი უკმაყოფილებას გამოთქვამს გაზეთისადმი მათი დამოკიდებულებით. მიმართვისას ყველგან მრავლობითის ფორმის გამოყენება („ღმერთმან იცის თქვენი საქმე“, „ერთმა თქვენგანმა არც კი დაინახა საჭიროდ“, „არც ერთი თქვენგანი რედაქციას ახლო არ ეკარება“, „ის მაინც წინააღმდეგ მითხარით ხოლმე, რომ არ გსურთ სიარული რედაქციაში“, „თქვენის აქ მოსვლით“, „თუ არა გსურთ და მოგწყინდათ რედაქციაში მუშაობა, მითხარით“), მიგვანიშნებს, რომ საყვედური ეხება არა მხოლოდ გრიგოლს, არამედ ასევე „ივერიის“ თანამშრომელ ალექსანდრე ყიფშიძესაც, მის ძმას. გიორგი ლასხიშვილის მოგონებებიდან ვიცით, რომ 1890-იან წლებში ილია ჭავჭავაძეს „ივერიის“ თანამშრომელთაგან ჰყავდა ხოლმე შერჩეული პიროვნება, ვინც მასთან ერთად უძღვებოდა გაზეთს. თავდაპირველად ესენი იყვნენ გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეები, შემდეგ დავით მიქელაძე და გიორგი ლასხიშვილი. რამდენადაც ეს თანარედაქტორობა გაზეთზე მითითებული არ იყო, ზუსტად არ ვიცით, რომელ წლამდე გრძელდებოდა ამ საქმეში ყიფშიძეების მონაწილეობა.

ანონიმურ წერილში, რომელიც „ერთი ქართველთაგანის“ ხელმოწერით მიიღო ილია ჭავჭავაძემ¹ და ჩვენ 1893 წლის 15 აგვისტოდან 1894 წლის 12 მაისამდე პერიოდით დავათარიღეთ, საუბარია გრიგოლ ყიფშიძესა და ილიას შორის დაძაბულ ურთიერთობასა და რედაქციიდან დავით ნიკიტინის წასვლაზე. ამავე წერილიდან ჩანს, რომ დავით მიქელაძე უკვე საკმაოდ აქტიურად არის ჩართული გაზეთის საქმეებში. წერილს ეტყობა, რომ მისმა ავტორმა კარგად იცის გაზეთის რედაქციაში განვითარებული მოვლენების შესახებ და თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ წერილის მიზანი ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ყიფშიძის ძველი ურთიერთობის აღდგენაა, იგი ყიფ-

1. წყარო: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი N449.

შიძის „განაწყენებიდან“ დიდი ხნის შემდეგ არ უნდა იყოს დაწერილი. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გრიგოლ ყიფშიძისადმი ეს უთარილო წერილიც ამავე ინტერვალშია დაწერილი. მისი ფრაზა: „ამ იანვრამდე როგორმე გვეტოტიალებინა საქმე, კარგი იქმნება“ და ის ფაქტი, რომ 1893 წლის დეკემბერში ყიფშიძეებს „ივერიაში“ არცერთი წერილი არ გამოუქვეყნებიათ, გვაფიქრებინებს, რომ ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1893 წლის დეკემბერში.

ოცტომეულში 1903 წლის მარტი-აპრილით თარიღდება ილია ჭავჭავაძის დეპეშა **გიორგი ორბელიანისადმი** პრინცი ალექსანდრე ოლდენბურგელის მიერ გაგრაში მის მიწვევასთან დაკავშირებით (გვ. 224). რამდენადაც გიორგი ორბელიანის დეპეშა, რომელშიც ამ მოწვევაზე იყო საუბარი, გაგზავნილია 24 თებერვალს, ილიას პასუხს ვათარილებთ 1903 წლის 24 თებერვლის შემდგომი პერიოდით. იმავე გამოცემაში 1903 წლის აპრილით არის დათარიღებული ალექსანდრე ოლდენბურგელისთვის გაგზავნილი დეპეშა (გვ. 233), რომელიც წარმოადგენს ოლდენბურგელის მიერ 27 აპრილს გაგზავნილი წერილის პასუხს. შესაბამისად, ამ დეპეშას ვათარილებთ 1903 წლის 27 აპრილის შემდგომი პერიოდით. ალექსანდრე ოლდენბურგელისთვის გაგზავნილ კიდევ ერთ დეპეშაში, რომელიც გამოცემაში მაისით არის დათარიღებული (გვ. 233-234), საუბარია თავადაზნაურთა იმ კრების დადგენილების შესახებ, რომელიც 9 მაისს გაიმართა. შესაბამისად, ამ დეპეშას ვათარილებთ 1903 წლის 9 მაისის შემდგომი პერიოდით.

ოცტომეულში 1890-იანი წლების შემდგომი პერიოდით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი **ნიკო ხიზანიშვილისადმი** (გვ. 144), რომლითაც მას სადილადა და რალაც საქმეზე სასაუბროდ ეპატიჟება. ბარათს თარიღად მიწერილი აქვს „2 ნოემბერი, კვირა“, მაგრამ არ აწერია წელი. ნიკო ხიზანიშვილმა „დროებასა“ და „ივერიაში“ წერილების გამოქვეყნება დაიწყო 1881 წლიდან და გარდაცვალებამდე, 1906 წლის 28 დეკემბრამდე, ჰქონდა ურთიერთობა ილიასთან. ამ პერიოდში 2 ნოემბერი კვირა დღეს ემთხვევა 1886, 1897 და 1903 წლებში.

1886 წლის ამ დღეს ილია ჭავჭავაძე არწრუნის თეატრში ესწრებოდა გაბრიელ სუნდუკიანცის კომედია „ხათაბალას“ წარმოდგენას და, ბუნებრივია, სტუმარს სადილად ისეთ დღეს არ დაპატიუებდა, როდესაც სახლიდან გასვლას აპირებდა. 1897 წლის 2 ნოემბერს დიდი სამზადისი იყო ილიას საიუბილეოდ და გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 28 ოქტომბრიდან დაწყებული აცხადებდა, რომ 2 ნოემბერს დანიშნული იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავის აღმნიშვნელი საიუბილეო კომიტეტის შეხვედრა საზოგადოებასთან. მართალია, ეტიკეტის გამო ილია ამ შეხვედრას არ დაესწრებოდა და განცხადებებსაც კი არ ბეჭდავდა ამის შესახებ თავის გაზეთში, მაგრამ ნიკო ხიზანიშვილს სადილად მაინცადამაინც ამ დღეს არ დაპატიუებდა, რადგან მისი ყველა ახლობელი და კეთილისმსურველი იმ დღეს შეკრებაზე იქნებოდა. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ბარათი 1903 წლის 2 ნოემბერს უნდა იყოს დაწერილი.

ოცტომეულში უთარილოთა განყოფილებაშია დაბეჭდილი (გვ. 262) 22 ივლისით დათარიღებული მოკლე წერილი **კირილე ლორთქიფანიძისადმი**. რამდენადაც ბარათიდან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ მსახურობს ბანკში, ამ სამსახურს კი თავი დაანება 1905 წლის 23 ივნისს, ბარათს ვათარილებთ 1904 წლის 22 ივლისის ჩათვლით.

ოცტომეულში 1907 წლით არის დათარიღებული წერილი **მოსე მემარნიშვილისადმი** (გვ. 254-255), რომლიდანაც ჩანს, რომ გლახთა არეულობა ახალდაწყებულია. ილია ჭავჭავაძე ცდილობს აუხსნას მას, რომ ეს მხოლოდ საგურამოში არ ხდება და არიგებს, როგორ მოიქცეს. წერილში ნათქვამია: „რასაც შენ იწერები, ეგ მარტო საგურამოში როდია, აგრეა ყველგან...“, 1905 წლის მარტის ბარათში კი ვკითხულობთ: „წინადაც მოგწერე და ეხლაც გწერ, რომ ეგ ამბავი, რაც მანდ არის, მთელს საქართველოშია მოდებული“. იმავე თემაზე საუბარი 1905 წლის 8 მარტით დათარიღებულ წერილშიც არის, მაგრამ, რამდენადაც იქ ნახსენებია მთავრობის მხრიდან გლახების წინააღმდეგ მოსალოდნელი დამსჯელი ზომები, აქ კი საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ მოსემ პოლიციას არ შეატყობინოს („არამც და არამც

პოლიციას არ მიმართო დახმარებისთვის”), ეს ბარათი 1905 წლის 8 მარტისაზე ადრე უნდა იყოს დაწერილი.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში 1906 წლით არის დათარიღებული მოკლე წერილი მოურავ **მოსე მემარნიშვილისადმი** (გვ. 251), რომლიდანაც ჩანს, რომ შესაძლოა საგურამოში ჯარის მისვლა. მწერალი სთხოვს მოურავს, რომ თუ ასე მოხდება, დაარწმუნოს მათი უფროსი, რომ გლეხებთან თავად მორიგდებიან და არ დაანოკებინოს. აფრთხილებს, რომ თუ ჯარს მაინც ჩააყენებენ, ფაეტონი გაუგზავნოს ქალაქში, რომ თავად მივიდეს უფროსთან და მოაგვაროს ეს საქმე. რამდენადაც წერილიდან ჩანს, რომ საგურამოში ჯერ ჯარი ჩაყენებული არ არის, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1905 წლის ნოემბრამდე.

ოცტომეულში 1907 წლით არის დათარიღებული წერილი მოსე მემარნიშვილისადმი (გვ. 254). რომელსაც ილია ჭავჭავაძე იწყებს საყვედურით იმის გამო, რომ მისი მოურავი გლეხებს დამუქრებია და სოფელში ეგზეკუცია ჩაუყენებია. 1905-1907 წლების პრესაში გამოქვეყნებული კორესპონდენციების შესწავლამ გვაჩვენა, რომ დუშეთის მაზრაში ეგზეკუცია 1907 წელს არ ყოფილა. გაზეთ „ივერიაში“ გვხვდება 1905 წლის 18 ნოემბრის ერთი საგულისხმო პუბლიკაცია¹. რა თქმა უნდა, ვერაფერს ვიტყვით მასში გადმოცემული ინფორმაციის დეტალების სიზუსტეზე, მაგრამ აქ ნახსენებია, რომ ნოემბრის თვეში საგურამოში ჩაყენებული ყოფილა ეგზეკუცია, კერძოდ, გივი სტაროსელსკის სახლში დაბინავებული ყოფილა 20 კაზაკი. აქვე ნახსენებია ილიას მოურავიც, რომელსაც კაზაკებისთვის ერთი კასრი ღვინო უჩუქებია. ისინი დამთვრალან და სოფელი დაუწიოკებიათ. შესაბამისად, ზემოხსენებული უთარილო წერილი 1905 წელს უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ 18 ნოემბრამდე. ილიას რომ წერილის წერის დროს ამ ინციდენტის შესახებ სცოდნოდა, მომხდარში თავისი მოურავის მონაწილეობის გარკვევასაც შეეცდებოდა. 1905 წელზე მიგვანიშნებს ისიც,

1. გაზ. „ივერია“, 1905, 1 დეკემბერი, N216, გვ. 4.

რომ ილია ჭავჭავაძის თქმით, იმ დროს არ მუშაობდა რკინიგზა და ფოსტა-ტელეგრაფი. 1905 წლის ნოემბერში იყო საყოველთაო გაფიცვები და ეს უწყებები მართლაც არ მუშაობდა¹, ოქტომბრის ბოლოს კი ავჭალასთან გაფიცულებმა რკინიგზის ლიანდაგიც აყარეს².

ოცტომეულში 1905 წლის დეკემბრით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი ალექსანდრე ცაგარლისადმი (გვ. 245), რომელშიც უყვება სინოდის ობერპროკურორ ალექსანდრე ობოლენსკისთან ვიზიტის შედეგებს. სხვადასხვა წყაროდან ირკვევა, რომ ალექსანდრე ცაგარელი აქტიურად იყო ჩაბმული ავტოკეფალიის აღდგენისათვის ჩატარებულ ღონისძიებებში. 1905 წლის 4 დეკემბერს მღვდელ იოსებ ჩიჯავაძისადმი ეპისკოპოს კირიონის მიერ გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ იმ დროისათვის მისი და ობოლენსკის შეხვედრა ავტოკეფალიის საკითხებზე ჯერ არ იყო შემდგარი („ხვალ შევეცდები ობოლენსკი ვნახო და ჩვენ საქმეზედ ჩამოვუგდო ლაპარაკი“), მაგრამ მან წინასწარ იცოდა ალექსანდრე ცაგარლისგან, რომ ობოლენსკი ამ საკითხისადმი უარყოფითად იყო განწყობილი („იგი წინააღმდეგი ყოფილა ჩვენი ეკლესიის თვითმმართველობისა, როგორც ცაგარელმა გადმომცა“). შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ილიას შეხვედრა ობოლენსკისთან 4 დეკემბრამდე შედგა, წერილიც 4 დეკემბრამდე გაუგზავნა მან ცაგარელს და ეს ინფორმაცია იქიდან ჰქონდა, მაგრამ ასე ვერ იქნებოდა, რადგან 1905 წელს ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში მხოლოდ 29 ნოემბერს გაემგზავრა და ეს ყველაფერი 4 დეკემბრამდე ვერ მოესწრებოდა.

მეორე მხრივ, საინტერესო ინფორმაციას გვანვდის ეპისკოპოს კირიონის მეორე წერილი, რომელიც 1906 წლის 3 ივნისს არის დაწერილი: „დღეს ღამის ათ საათზედ ცაგარელისგან მომივიდა წერილი - ეს არის, ახლა გავიგე თქვენი აქ მობრძანებაო. დღეს სადილად ჩემთან უნდა იყვნენ ილია ჭავჭავაძე და გიორგი ყურული. ხვალ მიდიან და თუ არ დაიზარებთ აქ მობრძანებას, ძალიან გვასიამოვნებთო. თუმცა გვიანი იყო მაგრამ გავემგზავ-

1. გაზ. „ივერია“, 1905, 18 ნოემბერი, N209, გვ. 3;

2. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, 30 ოქტომბერი, N2937, გვ. 2.

რე. ჩემი მისვლა ძალიან ესამოვნათ. ილიას და გიორგი ჟურულს ენახათ ობოლენსკი, რომელსაც ეთქვა მათთვის, რომ ერთ სამეფოში ორი ავტოკეფალური ეკლესია მოუხერხებელიაო... თქვენ კანონიერ საფუძველზე იდექით, ნურც აქეთ გადმოუხვევთ, ნურც იქით. ყველა მოთხოვნებში ზომიერება იქონიეთ”.

ილია ჭავჭავაძე ობოლენსკის 1905 წლის ბოლოს ან თუნდაც 1906-ის დასაწყისში რომ შეხვედროდა, ამას ეპისკოპოს კირიონს მანამდეც მოუყვებოდა, რადგან 1906 წლის 2 მაისს ისინი ერთად გაემგზავრნენ თბილისიდან პეტერბურგში. ცხადია, რომ შეხვედრა მაისის პირველი დეკადიდან 3 ივნისამდე უნდა მომხდარიყო და ალექსანდრე ცაგარლისადმი წერილიც ამ შეხვედრის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

ყურადღებას იქცევს ცაგარლისადმი მიწერილი ბარათის ბოლო ფრაზა: „დაწვრილებით მაშინ მოგახსენებთ, როცა შენთან მოვალთ” და ეპისკოპოს კირიონის სიტყვები 3 ივნისის წერილიდან, სადაც გადმოცემულია ცაგარლის წერილის სიტყვები: „დღეს სადილად ჩემთან უნდა იყვნენ ილია ჭავჭავაძე და გიორგი ჟურული. ხვალ მიდიან და თუ არ დაიზარებთ აქ მობრძანებას, ძალიან გვასიამოვნებთო.” სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ წერს ეპისკოპოსი: „ილიას და გიორგი ჟურულს ენახათ ობოლენსკი, რომელსაც ეთქვა...” შესაბამისად, ილია და გიორგი ჟურულიც ცაგარელთან 3 ივნისს უნდა მისულიყვნენ ობოლენსკისთან შეხვედრის ამბებით, შეხვედრა და ილიას წერილი ალექსანდრე ცაგარლისადმი კი უნდა დავათარილოთ 1906 წლის 3 ივნისამდე პერიოდით.

ოცტომეულში 1907 წლის ივნის-ივლისით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი დიმიტრი ჯაშისადმი (255). რამდენადაც ცნობილია **დიმიტრი ჯაშის** მოურავად დანიშვნის დრო¹ (18 ივნისი), წერილიდან კი ჩანს, რომ იგი მის დანიშვნამდეა დაწერილი, ბარათს ვათარილებთ 1907 წლის 18 ივნისამდე პერიოდით.

1. საგანგებო საქმეთა გამომძიებელ ილიაშენკოს მიერ ელისაბედ საგინაშვილის დაკითხვის ოქმი, საქართველოს ეროვნული არქივი, განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდი N17, ფურც. 97,98.

ილია ჭავჭავაძის მიერ მეულისტვის მიწერილი ბარათების დათარიღება

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის მე-18 ტომში² 1863 წლის 21 აპრილამდე პერიოდით არის დათარიღებული წერილი ოლღა გურამიშვილისადმი (გვ. 74). წერილის ბოლო მინაწერიდან: „შენი საქმრო ილია ჭავჭავაძე“ ვიგებთ, რომ მწერალს უკვე აქვს თადეოზ გურამიშვილის თანხმობის იმედი. რამდენადაც ასეთი მინაწერი ამ ბარათის შემდეგ დაწერილ წერილებში არ გვხვდება, ეს უნდა იყოს იმ დღის ბარათი, როდესაც ილიას პირველად მიეცა მყარი საფუძველი, რომ საკუთარი თავისთვის ოლღა გურამიშვილის საქმრო ეწოდებინა. როდის იყო ეს?

ამ ბარათშიც, ისევე, როგორც იმ პერიოდის რამდენიმე სხვა წერილში, ნახსენებია ხეჩო დარჩიანოვი და იმის მიხედვით, თუ რა ეტაპზე უნდა იყოს ხეჩოს მოლაპარაკება თადეოზ გურამიშვილთან და რა წარმატებებისთვის უნდა ჰქონდეს მას მიღწეული, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ეს წერილი რომელ ბარათებს შორის არის დაწერილი. 28 მარტის წერილში ნათქვამია: „გუშინ ჩემთან იყო ხეჩო. როგორც ის ამბობს, არის იმედი, რომ მამაშენი დამლოცავს, მაგრამ ამბობენ, ნაწყენი კი არისო“. აკადემიურ გამოცემაში ამის მომდევნოდ განთავსებული 1 აპრილის წერილი კი თითქმის მთლიანად ხეჩო დარჩიანოვის „ღითირამბებია“: „ვაშა“ ვის ეკუთვნის? მე თუ შენ? არც ერთ ჩვენთაგანს; მხოლოდ ხეჩოს, უკვდავ ხეჩოს შევძახოთ ერთხმად ვაშა! აი, ხედავ, ჩემო ძვირფასო

1. სტატიაში ილია ჭავჭავაძის წერილების და მათი სამეცნიერო აპარატის გვერდებს ვუთითებთ ნიგნიდან „ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ.18, თბილისი, 2009.

მეგობარო, რა საქმე გააკეთა! ამის შემდეგ იცოდე, პატარა ადამიანებსაც შეუძლიათ დიდი საქმის მოგვარება. სახელი და დიდება მას, რომ მოახერხა ჩვენი საქმის უდავიდარაბოდ გათავება“...

უთარილო წერილიდან ჩანს მეტი იმედი ხეჩოს წარმატებისა, ვიდრე ეს არის 28 მარტისაში, მაგრამ საქმე ბოლომდე მიყვანილი ჯერ არ არის, როგორც ეს ჩანს 1 აპრილისაში. მასში ნათქვამია: „ხეჩო! დიდი კაცია! ბარაქალა მაგის ვაჟკაცობას! ერთი დრო იყო, რომ გიჟი ოლიკო უწყრებოდა ილიკოსა, აბა, ხეჩო რა ამოსარჩევი იყოვო. ახლა ისევ გიჟი ოლიკო ისევ იმ ხეჩოს ტაშს უცემსო.“ შესაბამისად, ეს ბარათი დაწერილი უნდა იყოს 28 მარტსა და 1 აპრილს შორის პერიოდში. საგულისხმოა, რომ მთელი კვირების მანძილზე ილია ჭავჭავაძე უწყვეტად, ყოველდღე სწერს წერილებს თავის მომავალ მეუღლეს, სწორედ აქ კი - 28 მარტსა და 1 აპრილს შორის არის წყვეტა.

გავაგრძელოთ უთარილო წერილის შინაარსის შედარებითი კვლევა. 1 აპრილის წერილიდან ჩანს, რომ ილია ავად არის: „როგორც კი შენგან დაბრუნდება, ლაზარეს ორლანდინთან გავგზავნი. თუ ხვალ ჩემი წამოდგომა სახიფათო არ იქნება, თვითონ წავალ იქ, სადაც საჭიროა და ყველაფერს მოვაგვარებ“. 2, 3, 4 აპრილის წერილების მიხედვით, იგი სავსებით ჯანმრთელია, მაგრამ უთარილო წერილში, რომელიც ჩვენ 1 აპრილამდე დაწერილად მივიჩნიეთ, ასევე არის ავადმყოფობისა და ექიმ ორლანდინის ხსენება: „აი, რამდენი ხანია, ამდგარი ვარ და ველი ორლანდინის; არ მოდის ის წყეული, რომ მალე წავიდე და იასეს შინ მივაჰსწრო, მაგრამ არა უშავს-რა, „კომერჩესკის სუდში“ წავალ და იქ მოვილაპარაკებ“. ესეც ადასტურებს, რომ ბარათი 1 აპრილის წინა დღეებშია დაწერილი.

წერილების შეფერხება, შესაძლოა, გამოიწვიო იმანაც, რომ მსახურ ლაზარეზე გაბრაზებულმა მწერალმა, როგორც ეს 28 მარტის ბარათიდან ჩანს, ის დაითხოვა. 29-31 მარტი-

დან მაინც რომელ რიცხვში უნდა იყოს დაწერილი ბარათი, რომელ წერილთან მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს - 28 მარტის თუ 1 აპრილისასთან?

28 მარტის წერილის მიხედვით ლაზარე დათხოვნილია, 1 აპრილს კი ის ისევ მუშაობს („როგორც კი შენგან დაბრუნდება, ლაზარეს ორლანდინთან გავგზავნი“.).

28 მარტის შემდეგ ისეთი სერიოზული წარმატებები აქვს ხეჩოს მიღწეული თადეოზ გურამიშვილთან მოლაპარაკებებში, რომ ილია ჭავჭავაძე თავს უკვე ოლღას საქმროს უწოდებს.

28 მარტის წერილში ნათქვამია, რომ იმ დღეს ილიას უნდა ენახა ივანე ანდრონიკაშვილი და ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი და ეთხოვა მათთვისაც თადეოზ გურამიშვილთან შუამდგომლობა. არც 1 აპრილის ბარათში და არც უთარილოში ამ ფაქტებზე არაფერია ნათქვამი. შესაბამისად, ამ ამბების შედეგების შესახებ ამ წერილების დაწერამდე უნდა თქმულიყო.

ლაზარეს შემორიგება, ივანე ანდრონიკაშვილის, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელის და ხეჩოს შეხვედრები თადეოზ გურამიშვილთან ყველაფერი ერთბაშად ვერ მოხდებოდა და ორი დღე (29 და 30 მარტი) მაინც იქნებოდა ამისთვის საჭირო. ამიტომ ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1863 წლის 31 მარტს.

ოცტომეულში 1863 წლის აპრილით დათარიღებული წერილი (გვ. 75) ქორწინებამდე ოლღა გურამიშვილისთვის გაგზავნილი ბარათებიდან აშკარად ყველაზე გვიანდელია, რადგან ილია ჭავჭავაძე ოლღას ნათესავებთან (მათ შორის, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელთან) მიდის არა ქორწინებაზე შუამდგომლობის სათხოვნელად, არამედ მადლობის სათქმელად („ვიყავი ყველასთან. მადლობა ვუთხარ ირაკლის“...). მას და ოლღას ჯვრისწერის ნებართვა უკვე აქვთ („აი, კომედიო! თანხმობა მოგვცეს და შენს ნახვას კი მიკრძალავენ!“). თუ გავითვალისწინებთ ამავე წერილის სიტყვებს: „ერთ-ორ დღესაც კიდევ მოითმინეთო“ და ქორწილის თარიღს - 10 აპ-

რილი, ბარათის დაწერის დრო შეგვიძლია დავაკონკრეტოთ - 1863 წლის 8 აპრილამდე.

ოცტომეულში 1864 წლით არის დათარიღებული წერილი მეუღლისადმი, რომლიდანაც ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებით დადის ქუთაისის გუბერნიის სოფლებში. კერძოდ, ნახსენებია „საჯავახოს უჩასტკა“. რამდენადაც ქუთაისში იგი მსახურობდა 1864 წლის ივნისის ბოლოდან ნოემბრის დასაწყისამდე, შესაძლებელია დროის უფრო დაზუსტება - ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1864 წლის ივლის-ოქტომბერში.

ოცტომეულში 1865-1868 წლებით არის დათარიღებული ბარათი (გვ. 315), რომლიდანაც ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე თბილისში აპირებს ჩასვლას წარდგინებასთან დაკავშირებით. ბარათში ნახსენები „სიგელები“ / „გრამოტები“ („დროზე ვერ დავამთავრე ჩემი სიგელები, კიდევ 26 დამრჩა“) მიგვანიშნებს, რომ იგი მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის პერიოდშია დაწერილი. სავარაუდოდ, ბარათში საუბარი უნდა იყოს ჯილდოზე წარდგენაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ჯილდოთი, 2000 ვერცხლის მანეთით, ილია დააჯილდოვეს 1866 წლის 8 ნოემბერს, ხოლო წარდგენების დროდ წერილში 13 რიცხვია ნახსენები, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1866 წლის 13 ოქტომბრამდე.

კვლევის შედეგად მოხერხდა ოცტომეულში (გვ. 81-82) 1864 წლით დათარიღებული წერილის თარიღის დაზუსტება. იგი, სავარაუდოდ, თბილისიდან ქუთაისშია გაგზავნილი. ილია მეუღლეს ატყობინებს, რომ ახალ სამსახურს იწყებს და ვერ ჩააკითხავს. წუხს, რომ ვერავის გამოემშვიდობა. ამასთანავე, სთხოვს, რომ იქ მყოფ დიმიტრი ვეზიროვს გამოჰყვეს. წერილი უთარიღოა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მისი ერთი ეპიზოდის შინაარსს: „ჩემსა და შენს კარტოჩკებს გიგზავნი, ლევან გურიელს, ნიკოლაი სიმონიჩს ღოღობერიძეს, ღრანცოს, ვასილ თუმანოვს მგონი აქვს, თუ არა აქვს, იმასაც მიეცი“, ოღლა ტერიტორიულად უნდა იყოს იქ, სადაც

იმყოფებოდნენ ლევან გურიელი (ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი), ნიკოლოზ სიმონის ძე აბაშიძე (1864 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველი) და ლოლობერიძე (ილიას სტუდენტობისდროინდელი მეგობრის - ნიკოლოზ ლოლობერიძის ოჯახი წარმოშობით ქუთაისიდან იყო და მისი ძმებიც იქ ცხოვრობდნენ).

ამავე წერილიდან ჩანს, რომ ილია მუშაობას იწყებს იგორ პავლეს ძე სტარიცკისთან, რომელიც იყო კავკასიაში სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ორგანიზატორი და თბილისის სასამართლო პალატის პირველი თავმჯდომარე. ილიამ ეს ახალი სამსახური - მომრიგებელ შუამავლად დაიწყო 1864 წლის 8 ნოემბერს. შესაბამისად, ბარათი დაწერილია სასამართლო რეფორმაზე იმპერატორ ალექსანდრე მეორის ხელმოწერიდან (4 ნოემბერი, 1864) 8 ნოემბრამდე.

ოცტომეულში 1865-1868 წლებით დათარიღებული ორი წერილის (გვ. 86-87) თარიღების დაზუსტებაში დაგვეხმარა მათში მოხსენიებული ერთი ფაქტი - თბილისის გუბერნიაში საგლეხო რეფორმის წარმატებით გატარებაში მონაწილეობის გამო ილიასთვის ფულადი ჯილდოს დანიშვნა. რამდენადაც ბრძანება ამ 2000 მანეთის გამოყოფის შესახებ გაიცა 1866 წლის 8 ნოემბერს, ერთ-ერთ წერილს, რომელიც მუხრანიდან დუშეთშია გაგზავნილი და რომელშიც ოლღას სთხოვს იმის გაგებას, თუ როდის აპირებენ მისთვის ჯილდოს მიცემას („შემიტყე, ჩემს „ნაგრადას“ როდის მამცემენ“), ვათარიღებთ 1866 წლის 8 ნოემბრამდე დროით, მეორეს კი, რომელიც მჭადიჯვრიდან დუშეთში არის გაგზავნილი და რომლიდანაც ჩანს, რომ ეს თანხა ოლღას უკვე გამოტანილი აქვს („ნაგრადისას“ რატომ არა მწერ с вычётом или без вычёта? ხომ კარგად გაიმართე, ჩემო პატარა გვრიტო!“) - 1866 წლის 8 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე (რადგან ილია საშობაოდ მასთან ჩასვლას ჰპირდება) პერიოდით.

ამ წერილების დათარიღება, თავის მხრივ, დაგვეხმარა კიდევ ერთი ბარათის წლის დადგენაში, რომელსაც „28 ოქ-

ტომბერი“ ანერია. იგი ოცტომეულში (გვ. 87) 1865-1872 წლების ინტერვალით არის წარმოდგენილი. ეს წერილი ქვიშხეთიდან დუშეთშია გაგზავნილი და მასში ილია ჭავჭავაძე ოლღას ატყობინებს, რომ დაახლოებით ხუთ დღეში შეძლებს ჩაკითხოს საგურამოში წასაყვანად. ილია მწუხარებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მის დას - ელისაბედს მუცელი მოეშალა და მოსწონს ოლღას წინადადება, რომ ლიზას დუშეთში მათთან წასვლა შესთავაზონ. წერილი უთარიღოა, მაგრამ, რამდენადაც ჩვენ მიერ 1866 წლის 8 ნოემბრამდე დათარიღებულ ბარათშიც იმავე სურვილს გამოთქვამს, რომ ლიზო დუშეთში აიყვანონ (შდრ.: „რასაკვირველია, თუ წამოვა, დუშეთს წამოვიყვანოთ“ / „ლიზო შენთან გადმოვიყვანე“), ვფიქრობთ, რომ 28 ოქტომბერს დაწერილი ეს ბარათი, რომლის მიხედვითაც ილიას თავისი დის ამბავი ახალგაგებული აქვს, წინ უსწრებს 1866 წლის 8 ნოემბრამდე დაწერილს და ისიც იმავე წლისაა.

ოცტომეულში 1875-1883 წლებით არის დათარიღებული მეუღლისთვის გაგზავნილი კიდევ ერთი წერილი (გვ. 202-203). რომლიდანაც ჩანს, რომ ოლღა თბილისშია („ლიზა მუხრანსკის... მე რომ მანდ ვიყო, ხელზედ ვემთხვევოდი... კატოს ჩემი დიდი პატივისცემა და ამასთანაც დიმიტრისაც.“), თავად ილია კი, სავარაუდოდ - დუშეთში („скучно одному“, „ერთისთვის პროვიზია იყიდე“, „თუ ვინიცობაა ნიკო და სხვანი მოვლენ“).

ფრაზა: „ჩემი და მამიკითხე და უთხარი, რომ იანვარში მზად იყოს ჩვენთან წამოსასვლელად“. საშუალებას გვაძლევს, რომ ბარათის თარიღი უფრო დავაკონკრეტოთ. 1866 წლის 28 ოქტომბერს მეუღლისთვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ მწერლის და - ელისაბედი ფეხმძიმედ იყო და მუცელი მოეშალა. იქვე ილია ჭავჭავაძე მეუღლეს სწერს: „რასაკვირველია, თუ წამოვა, დუშეთს წამოვიყვანოთ“; ცოტა მოგვიანებით, 8 ნოემბრის ბარათში კი სწერს: „ლიზო შენთან გადმოვიყვანე“. შესაბამისად, უთარიღო ბარათიც, სადაც

ნათქვამია, რომ ელისაბედი მზად უნდა იყოს იანვარში თავის ძმასთან დუშეთში წასასვლელად, 1866 წლის ბოლომდე იქნება დაწერილი.

თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში 1865-1868 წლებით არის დათარიღებული მეუღლისთვის 17 და 27 ივნისს დუშეთიდან და ყაზბეგიდან გაგზავნილი წერილები. ბარათების შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ მათზე მიწერილი თარიღები ერთი და იმავე წლისაა („მე დღეს, 17 ივნისს მივდივარ დუშეთიდან მთაში“... / „27 ივნისი, ყაზბეგი“ „ძალიან მიგვიანდება მთაში“; „ნასტია მორჩა, თუ კიდევ ისეა, როგორც იყო?“ / „ნეტავი, ვიცოდე, ნასტია როგორ არი?“). რამდენადაც დაბა ყაზბეგი შედიოდა დუშეთის მაზრის შემადგენლობაში, ბარათი დაწერილი უნდა იყოს მისი არა თბილისის (1864 წლის 8 ნოემბრიდან), არამედ დუშეთის მაზრის მომრიგებელ შუამავლად (1866 წლის 8 ნოემბრიდან) მუშაობის პერიოდში. 1868 წლის პირველ თებერვალს ილია ჭავჭავაძე უკვე დუშეთის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე გახდა და მწერართან ერთად გამუდმებით სოფელ-სოფელ სიარული აღარ სჭირდებოდა. 1866 წლის 8 ნოემბრიდან 1868 წლის 1 თებერვლამდე 17 და 27 ივნისის წერილებში აღწერილი საქმიანობით იგი შეიძლება დაკავებული ყოფილიყო მხოლოდ 1867 წელს.

რუსულ ენაზე დაწერილი ბარათი, რომელიც ოცტომეულში 89-ე გვერდზეა მოთავსებული, უნდა მოსდევდეს 90-ე გვერდზე დაბეჭდილ ქართულ წერილს, რადგან ქართულში ილია ოლღას საყვედურობს, რომ ქვეშაგები არ გაუგზავნა, ღამით პალტოთი ეძინა და ავად გახდა, რუსულში კი ბოდიშს უხდის საყვედურებისთვის და სწერს: „Удобство настоящей моей постели заставляет меня забыть прошедшие неприятности. Ты огорчена моим письмом: прости, я был болен когда писал и сердит“. ამათ შემდეგ კი უნდა იყოს გაგზავნილი 88-ე გვერდზე დაბეჭდილი წერილი, რადგან ზემოთ განხილული ორი ბარათის მიხედვით, ილიას ბინა ჯერ ნაშოვნი არ ჰქონდა („სახ-

ლები სულ არსად არ იშოვება”; „Квартиры для меня положительно нигде нет“), 88-ე გვერდზე დაბეჭდილში კი ვკითხულობთ: „ორი დაქცეული ოთახი გვექნება, ერთში კუხნა გვექნება, ერთში ჩვენ ვიდგებით“. გარდა ამისა, თუ წინა წერილებში (გვ. 89, 90) ილიამ ჯერ არ იცოდა, როდის და რა გზით მიუვიდოდა პოლტარაცკის ნაჩუქარი ცხენი („თუ ცხენი მომიყვანა, ზურაბას გამოატანე“, „Сообщите мне по телеграфу, когда обещанную лошадь приведут“), 88-ე გვერდზე დაბეჭდილში ვკითხულობთ: „პოლტარაცკის ჩემი ცხენი მოსვლია, ხვალვე ბიჭს გამოატანე“. სამივე წერილი დუშეთიდან თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი („Я не могу взять тебя из Тифлиса“) დუშეთის მომრიგებელ მოსამართლედ მისი დანიშვნის (1868 წლის 1 თებერვალი) ახლო პერიოდში („კარგს სიკეთეს შევეყარებით მე და შენ მირავოი სუდიობაში, სულ დავიღუპებით... ისევ პასრედნიკობა ჰსჯობია ამ ლაფში ყრასა“).

ერთმანეთთან შინაარსობრივ სიახლოვეს ამჟღავნებებს ორი წერილი, რომელთაგან ერთი, რომელსაც 19 აპრილი ანერია ოცტომეულში 1868-1872 წლებით არის დათარიღებული (გვ. 91), მეორე კი უთარიღობის განყოფილებაშია დაბეჭდილი (გვ. 235). პირველ წერილს დუშეთი ანერია და შინაარსიდან ჩანს, რომ თბილისშია გაგზავნილი. ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ ოლლა ჭავჭავაძისთვის გაგზავნილი 245 წერილიდან მხოლოდ ამ ორში არის ნახსენები მისი ბებია - ნინო ანდრონიკაშვილი, რომლის გარდაცვალების წელი უცნობია, მაგრამ ვიცით, რომ ას წელზე მეტი იცოცხლა. საგულისხმოა, რომ ილია მასთან ერთად მოკითხვას უთვლის ზუსტად ერთსა და იმავე პიროვნებებს - კატოს და მის შვილებს: „კატო მამიკითხე, ყმანვილები დამიკოცნე და „ბაბუშკაც“ / „კატოს მოკითხვას მოვახსენებ და ბებიასაც, ყმანვილებს დავკოცნი“.

19 აპრილის წერილიდან ჩანს, რომ ოლლას რაღაც საქმე უნდა მოეგვარებინა და შემდეგ გამგზავრებულიყო ქმართან დუშეთში („იმ საქმისა რა ჰქენ?.. თუ ვინიცობაა ის საქმე გაგითავებია... მალე გამოეშურე“. მეორე წერილიდან კონკრე-

ტულად ჩანს, რა საქმეზეა საუბარი: „ჩვენი ფულის საქმისას არასა მწერდი: იშოვე, არ იშოვე, რა ჰქენი?“ თუ გავითვალისწინებთ, რომ ილია ჭავჭავაძესა და მის მეუღლეს ხანმოკლე განშორების დროსაც კი რეგულარულად ჰქონდათ ერთმანეთთან მიმოწერა და იმას, რომ ოლლა თავისი ქმრის წერილებს ყოველთვის ინახავდა, წერილების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როდის არ იმყოფებოდნენ ისინი ერთად. მათი მიმოწერის მიხედვით, 1868-1873 წლებში, როდესაც ილია დუშეთის მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა, ისინი ხანგრძლივად მხოლოდ ორ პერიოდში იმყოფებოდნენ სხვადასხვა ადგილას: პირველად, როდესაც ილია მარტო გაემგზავრა დუშეთში, რომ მეუღლის ჩასვლამდე ბინა ექირავებინა და მოეწყო (იხ.: ტ. 18, 88, 89, 90) და მეორედ, როდესაც ილია ჭავჭავაძეს უკვე განზრახული ჰქონდა ამ სამსახურის დატოვება და ოლლა თავის დას და სიძეს გაჰყვა ბაქოში. რამდენადაც განსახილველი ბარათებიდან ჩანს, რომ ოლლა თბილისშია და არა ბაქოში, საჭიროდ ჩავთვალეთ ამ ბარათების შედარებითი ანალიზი 1868 წლის წერილებთან.

დუშეთის მომრიგებელ მოსამართლედ ილია ჭავჭავაძე 1868 წლის 1 თებერვალს დანიშნეს. ორი ბარათი (გვ. 89, 90) დანიშნულების ადგილზე მისი ჩასვლიდან მალევეა გამოგზავნილი, მესამე კი ცოტა მოგვიანებით (შინაარსიდან ჩანს, რომ ილიას უკვე არაერთი საქმე განუხილავს იქაურ სასამართლოში). ამ მესამე წერილიდან ირკვევა, რა საქმის მოგვარება ანუხებდა ასე ძალიან მწერალს და რის გამო ყოვნდებოდა მისი მეუღლე თბილისში: „ნიკოს უთხარი, პრიკაზის ფულისას რას შვრება, ამას წინად რომ დაგვპირდა. თუ ეხლა გვიმტყუნებს, შემატყობინე, ვადა არ გადაგვივიდეს“. როგორც ირკვევა, ნიკო ჭავჭავაძემ დანაპირები ვერ შეასრულა, ფული, რომელიც პრიკაზის ვალის დასაფარად უნდა შეეტანათ ვერ უშოვა და ილიასა და ოლლას რომელიღაც მამულს (სავარაუდოდ, ეს იქნებოდა ყვარლის მამული) საფრთხე ემუქრებოდა.

საგულისხმოა, რომ ნიკო ჭავჭავაძე 19 აპრილის წერილშიც არის ნახსენები: „ნიკოს უთხარი, საზაფხულოდ სამსოთახს გიმზადებ-თქო, თუ მართლა წამოხვალ-თქო, თუ არა და შემატყობინე-თქო“. ნიკო იურისტი იყო. ილია და ის წინა წლებშიც ერთ უწყებაში მუშაობდნენ და, როგორც ჩანს, მწერალი მას ამჯერად დუშეთის სასამართლოში გადასვლას ურჩევდა. ეს პიროვნება 1868 წელს ილია ჭავჭავაძის დუშეთის მომრიგებელ მოსამართლედ დანიშვნის შემდეგ მის მიერ დუშეთიდან თბილისში მეუღლისთვის გამოგზავნილ თითქმის ყველა წერილშია ნახსენები („ნიკოს კაბინეტში ყვითელი დიდი ეტაჟერკა რომ არის, იმაზედ ორი გრამატა დამრჩა. ისიც გამომიგზავნე“, „ძალო, კატო, ნიკო თავის შვილებით, ღიზა მუხრანსკი მომიკითხე“ და სხვ.) შესაბამისად, 19 აპრილის წერილიც და მასთან შინაარსობრივად ახლოს მდგარი უთარილო ბარათიც 1868 წლისა უნდა იყოს.

წერილში, რომელშიც პრიკაზის ვალებია ნახსენები, ნათქვამია: „ორი დაქცეული ოთახი ვიშოვე, ერთში კუხნა გვექნება, ერთში ჩვენ ვიდგებით“, 19 აპრილის წერილში კი ეს ოთახები უკვე ისეა ნახსენები, რომ ჩანს, ოლღამ მათ შესახებ უკვე იცის: „მალე გამოეშურე, თორემ გიჟსავით დავდივარ მართო ოთახებში“. შესაბამისად, 19 აპრილის წერილი ამ ორიდან უფრო გვიანდელი უნდა იყოს.

რაც შეეხება მესამე ბარათს, სადაც ოლღას ბებიაა ნახსენები, მისი შედარება 19 აპრილისასთან გვარწმუნებს, რომ მასზე უფრო გვიანდელი უნდა იყოს. 19 აპრილის ბარათში ილია ჭავჭავაძის ქვისლის - დიმიტრი სტაროსელსკის ოჯახის მოკითხვამდე წერია: „ეხლა, მგონი, დიმიტრიც წასული იქნება“, უთარილო ბარათში კი დიმიტრი ნახსენებიც აღარ არის, რადგან, როგორც ჩანს, მწერალმა უკვე იცის, რომ ის წასულია. შესაბამისად, ამ სამი წერილის თარიღებს შემდეგნაირად ვაკონკრეტებთ: 1868 წლის 19 აპრილამდე (გვ. 88), 19 აპრილს (გვ. 91) და 19 აპრილის შემდეგ (გვ. 235).

წერილი, რომელიც ოცტომეულში 1875-1883 წლებით არის დათარიღებული (გვ. 201), 1875 წლამდე უნდა იყოს დაწერილი, რადგან მასში ილია მოკითხვას უთვლის თადეოზ გურამიშვილს - „კნიაზს“, როგორც მას იხსენიებდა ხოლმე: „მათი აღმატებულება ეკატერინა თადეოზის ასული დიდად და დიდის თაყვანებით მომიკითხე, კნიაზსაც მოკითხვას მოვახსენებ“. ეს წერილი, სავარაუდოდ, გაგზავნილია დუშეთიდან საგურამოში, სადაც მამასთან ერთად იყვნენ ოლა და მისი და - კატო, კატოს მეუღლე დიმიტრი სტაროსელსკი კი, როგორც წერილიდან ჩანს, მეორე დღეს ილიასთან ერთად აპირებდა ცოლ-შვილთან ასვლას („მე და დიმიტრი ხვალ ვაპირობთ ამოსვლას“). ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს, რომ წერილის დაწერის სავარაუდო ინტერვალი კიდევ უფრო შევამციროთ.

დიმიტრი სტაროსელსკი 1872 წლის 29 მარტს დაინიშნა ბაქოს გუბერნატორად და ცოლ-შვილთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ბაქოში. შესაბამისად, წერილი 1872 წლის 29 მარტამდე უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ ბარათის შინაარსი ინტერვალის კიდევ უფრო დავიწროების საშუალებასაც გვაძლევს. მასში ილია ოლღას სთხოვს, მის დას - ლიზას მისწეროს, რომ დეკუელი იყიდოს („თუ ფული არ ექნება, ციციშვილს გამოართვას“) და თხუთმეტკაციანი ვახშმის თადარიგი დაიჭიროს. ილიას და - ელისაბედი რომ იმ დროს ალექსანდრე საგინაშვილის მეუღლე ყოფილიყო, ცოლისძმა სიძის ოჯახში ასეთ განკარგულებებს არ გასცემდა. თან ალექსანდრესთვის პრობლემა არ იქნებოდა 15 კაცზე სუფრის გაშლევინება ისე, რომ სხვისთვის ფული არ ეთხოვა. ელისაბედი მეორედ გათხოვდა 1872 წლის 20 თებერვალს. შესაბამისად, ბარათი მანამდე უნდა იყოს დაწერილი, როდესაც ილიასა და დაქვრივებულ ელისაბედს თბილისში საზიარო სახლი ჰქონდათ.

1872 წელს ილია ჯერ კიდევ დუშეთში მსახურობდა და ბუნებრივია, დავინტერესდეთ, რამდენად ახერხებდა იქიდან საგურამოში ჩასვლას. ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს ოლა-

სათვის გაგზავნილი ერთ-ერთი წერილი, რომელიც უთარი-
ლოა, მაგრამ შინაარსიდან ჩანს, რომ დუშეთში სამსახურის
პერიოდშია დაწერილი: „ოლიკო! იმ დღეს ზალიკა მეზღვემ
ჩემს ცხენს უნამლა და მე ისე წამოვედი, რომ ვერა ვაჩუქე რა,
ამისათვის გთხოვ, სამი მანეთი აჩუქო. ოთხს კალოდს ქა-
ლაღდს უკანვე ვგზავნით, კნიაზს მიართვი. მომიკითხე ყვე-
ლანი. მე ეხლავე მივდივარ დუშეთს” (იქვე, გვ. 92). ჩვენეულ
დათარილებას ადასტურებს კიდევ ერთი გარემოება: განსა-
ხილველ უთარილო ბარათში, რომელიც, ჩვენი აზრით, 1872
წლის 20 თებერვლამდე არის დაწერილი, ვკითხულობთ: „სახ-
ლები ვერც იყიდება და ვერც გირავდება. შენი მტერი, ჩვენი
საქმეა”. ისმის კითხვა, რომელ „სახლებზეა” საუბარი? იმ პე-
რიოდში ილიას და ოლღას ჰქონდათ გასაყიდი სახლი?

ამ კითხვას ნათელს ჰყვენს 1873 წლის 23 თებერვლის წე-
რილი ოლღასადმი, რომელშიც ისევ არის საუბარი სახლების
გაყიდვაზე და კონტექსტიდან ჩანს, რომ ეს ახალი პრობლემა
არ არის: „ვნახე ლავიცკის ცოლიცა. სახლების გაყიდვისა დი-
დი იმედი მომცა”. როგორც ჩანს, 1872 წელს სახლების გა-
ყიდვა ვერ მოხერხებულა. 23 თებერვლის წერილიდან ბევრი
რამ ირკვევა ამ სახლებთან დაკავშირებით. იგი ოლღას სა-
ხელზე იყო გაფორმებული, რადგან მის გასაყიდად ილიას
მინდობილობა სჭირდებოდა („მანდაურს ნოტარიუსს ჰსთხო-
ვე კანონიერი „დოვერენოსტი” შეადგინოს და ჩემს სახელ-
ზედ დააწერინე... თუ სახლები გაიყიდება... საჭირო იქნება”).
სავარაუდოდ, ეს იქნებოდა 1862 წლის 10 მარტს მამიდის -
სიდონია გურამიშვილ-სავარსამიდის მიერ ოლღასთვის ნაან-
დერძევი სახლი¹. ოლღას ამ სახლის გაყიდვა არ უნდოდა,
მაგრამ იგი პრიკაზში ყოფილა დაგირავებული და ვალის გა-
დაუხდელობის გამო ისედაც გასხვისება ემუქრებოდა („მაგ
სახლებს პრიკაზი დღესა თუ ხვალე გაჰყიდის”), სახლი ძალი-

1. იხ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო
ფონდი, N1005.

ან გასარემონტებელი იყო. მის მოწესრიგებასაც და ვალის გადახდასაც ილია და ოლა ვერ შეძლებდნენ, გაყიდვისა და ვალების გასტუმრების შემთხვევაში კი, მათი ანგარიშით, რჩებოდათ 5000 მანეთი, რომლიდანაც, თუ ბანკში შეიტანდნენ, წლიურად პროცენტის სახით 350 მანეთს აიღებდნენ. შესაბამისად, სახლის გაყიდვა მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო და ამიტომაც გადაწყვიტეს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ვფიქრობთ, ამ ორ წერილში ერთი სახლის გაყიდვაზე უნდა იყოს საუბარი. ეს განზრახვა თავდაპირველად 1872 წელს გაჩნდა, მაგრამ, როგორც წერილიდან ჩანს, არაფერი გამოვიდა, 1873 წელს კი გამოჩნდა დაპირება და იმედი. შესაბამისად, ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ უთარილო ბარათი 1872 წლის 20 თებერვლამდე უნდა იყოს დაწერილი.

ოლლასადმი მიწერილ ბარათში, რომელიც ოცტომეულში უთარილოების განყოფილებაშია დაბეჭდილი (გვ. 253), საუბარია ილია ქავჭავაძის მამიდის გარდაცვალებაზე: “საწყალი მამიდა 19-ს გარდაცვლილა და ძალიან შეწუხებული ვარ... გიყსავით დავდივარ ოთახში... ღმერთმა საუკუნო განსვენება მიანიჭოს.” ილიას ერთადერთი ღვიძლი მამიდა ჰყავდა — მაკრინე, რომელიც ისტორიული საბუთების მიხედვით, 1872 წლის 20 აპრილს გარდაიცვალა¹. მართალია, ზოგჯერ მსგავს წყაროებშიც შეიძლება გაიპაროს შეცდომა, მაგრამ ამ შემთხვევაში თარიღის სიზუსტეზე არაერთი ფაქტი მიგვანიშნებს თუნდაც ამ წერილიდან.

წერილში რიცხვი 19-ის ხსენება (20-ის ნაცვლად) გაუგებრობას არ უნდა იწვევდეს, რადგან, როდესაც ადამიანი ღამის საათებში აღესრულება, ხშირად არის ხოლმე მერყეობა — ორი მომიჯნავე რიცხვიდან რომელ დღეს გარდაცვლილად უნდა ჩაითვალოს. 1872 წელზე მიგვანიშნებს წერილში

1. იხ. იური ჩიქოვანი, ქართული წარჩინებული გვარები, თავადი ქავჭავაძეები, არტანუჯი, თბილისი, 2002, გვ. 65.

მოხსენიებული ფაქტი — დიმიტრი სტაროსელსკის არჩევა რაღაც ისეთ თანამდებობაზე, რომ ყველას მასთან უნდა სამსახურის დანყება („ვისაც ქვეყნისთვის გულის ტკივილი აქვს, ყოველი იგი სიხარულით ფეხზედ არა დგას, რომ დიმიტრიმ ეგ ადგილი მიიღო. რაც ცმანვილკაცობაა ქალაქში და საქართველოში, სულ დიმიტრისთან სამსახურს ნდომულობს“).

1872 წლის 29 მარტს ილიას ქვისლი — დიმიტრი სტაროსელსკი გახდა ბაქოს გუბერნატორი და ამ თანამდებობაზე იყო 1877 წლის ჩათვლით. მართალია, 1878 წელს იგი კიდევ უფრო დანიშნურდა — გახდა სენატორი და კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი, მაგრამ წერილში მისი ეს დანიშნურება ვერ იქნება ნაგულისხმევი, რადგან ილია ჭავჭავაძე მეუღლის პირით მოკითხვას უთვლის თავის სიმამრს („მამა მომიკითხე“), რომელიც 1875 წელს გარდაიცვალა. შესაბამისად, ბარათი დანერილი უნდა იყოს 1872 წლის 29 მარტის შემდეგ. ილია იმ დროს ჯერ კიდევ დუშეთში მსახურობდა. ემთხვევა ისიც, რომ იმ პერიოდში ოღლა თავისი დის ოჯახთან ერთად იყო („კატო მომიკითხე და ხელზედ აკოცე. ცმანვილები დამიკოცნე“). წერილში ნახსენებია ალექსანდრე საგინაშვილი („მე მინდოდა მანდ ჩამოსვლა, მაგრამ საგინოვს ველი“), რაც, სავარაუდოდ, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ილიას და - ელისაბედი უკვე გათხოვილია ალექსანდრე საგინაშვილზე, რაც 1872 წლის 20 თებერვალს მოხდა. შესაბამისად, ყველა ფაქტი მხარს უჭერს წერილის 1872 წლის 29 მარტის შემდეგი დროით დათარიღებას. ცნობილი მეცნიერი გურამ შარაძეც ოღლასათვის გაგზავნილ ამ ბარათს 1872 წელს დაწერილად მიიჩნევდა, მაგრამ, იმის გამო, რომ ხელთ არ ჰქონდა ზოგიერთი წყარო, რომლებიც დღეისათვის ხელმისაწვდომია, თავის მოსაზრებას ცალსახად ვერ ამტკიცებდა.

წერილში რომელიმე სხვა მამიდაზე საუბარი გამოირიცხებულია, რადგან მწერალს მხოლოდ ერთი ღვიძლი მამიდა ჰყავდა. „მამიდა სალომე“, რომელსაც იგი 1859 წელს თავისი

დის - ნინოსადმი გაგზავნილ წერილში ახსენებს (ტ. 17, გვ. 21), ერთი წლის შემდეგ - 1860 წელს გარდაიცვალა, როდესაც ილია ჭავჭავაძე თავის მომავალ მეუღლეს არც კი იცნობდა. ის და სალომე გარე ბიძაშვილები იყვნენ. ილიას დიდპაპა - ბესპაზი იყო სალომეს დიდპაპის - პაპუას ძმა, მაგრამ მამის მხრიდან სისხლით ნათესავ, ასაკით უფროს ქალებს, თუნდაც შორეული ბიძაშვილი იყოს, ჩვეულებრივ, მამიდას უწოდებენ ხოლმე, სალომე კი ილიაზე თითქმის 40 წლით უფროსი იყო.

ვერც ოლღასადმი მიწერილ ბარათში და ვერც 1859 წელს - თავისი დის - ნინოსადმი მიწერილში ვერ იქნება ნაგულისხმევი ილიას კიდევ ერთი ნათესავი მამის მხრიდან - ეკატერინე (შინაურობაში სალომე) დიმიტრის ასული ჭავჭავაძე, რევაზ დიმიტრის ძე ვაჩნაძის მეუღლე და ილიას წერილების ადრესატების - ანიკო და ნენე ვაჩნაძეების დედა, რადგან იგი 1848 წელს გარდაიცვალა. კიდევ უფრო ადრე აღესრულა სალომეს მამა რევაზი (1840). სწორედ ამიტომ, ანიკოსათვის 1858 წელს გაგზავნილ წერილში ილია არ მოიკითხავს მის მშობლებს, მაგრამ მოიკითხავს დას - ნენეს (ელენეს) თავისი შვილებით. სინამდვილეს არ შეესაბამება, თითქოს ეს ეკატერინე/სალომე ილიას ღვიძლი მამიდა ყოფილიყო¹. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ბარათს ვათარილებთ 1872 წლის 29 მარტის შემდგომი პერიოდით.

ოცტომეულში 1875-1883 წლებით არის დათარიღებული მეუღლისთვის გაგზავნილი წერილი (გვ. 201-202), რომელშიც ატყობინებს, რომ მშვიდობით დაბრუნდა სახლში, მაგრამ ნუხს, რომ გაფუჭებული გზის შიშით ისიც თან არ წაიყვანა. ძნელი სათქმელია, რას ეყრდნობოდნენ მეცნიერები დათარიღებისას, როდესაც საწყის მიჯნად 1875 წელი აირჩიეს. ტექსტის მიხედვით ოლღა გურამიშვილი არის თავისი დის - ეკატე-

1. გურამ შარაძე, ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება - ფოტომატიანე, ტ. 1, გვ. 26.

რინეს ოჯახთან ერთად („კატო, დიმიტრი, თუმანიანი მამიკითხე... ყმანვილებს ჩემს პატივისცემას განუცხადებ“), თავად ილია კი იმყოფება ისეთ ადგილას, სადაც ცუდი გზებია ხოლმე („რომ მცოდნოდა, რომ ამისთანა კაი გზა იქნებოდა, უსათუოდ წამოგიყვანდი“) და ძირითადად უხდება ცხენით გადაადგილება (მეუღლეს ავალებს ცხენის მოკაზმულობის: „ხამუტების“, „ვოზჟის“, „სედიოლკის“, აღვირების ყიდვას).

ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიიდან ასეთი პერიოდი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მსახურობდა დუშეთში, მეუღლე კი პერიოდულად იმყოფებოდა ხოლმე თბილისსა და საგურამოში (1873 წლის 15 იანვრამდე) ან ბაქოში (1873 წლის 15 იანვრიდან მაისის შუა რიცხვებამდე, რადგან მაისში უკვე თავად აღარ იმყოფებოდა საქართველოში). ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, მან ბაქოში მეუღლეს 1873 წელს ჩააკითხა, მაგრამ იქიდან პირდაპირ პეტერბურგში გაემგზავრა, რაც წერილის შინაარსს არ შეესატყვისება. გარდა ამისა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ოლღას ბაქოში ნაცნობი ვაჭრები ჰყოლოდა, წერილის მიხედვით კი, მეუღლე მას სთხოვს ვინმე ზალინოვის დაბარებას, ცხენის აღჭურვილობის შეძენას და მისთვის გაგზავნას. თან საგულისხმოა, რომ ამ ზალინოვის საქონელი თავად ადრესანტსაც უნახავს გამგზავრებამდე („რომ მაჩვენე ხამუტები-თქო, იმისი მიყიდე-თქო“). ყოველივე ზემოთქმულის გამო, ამ წერილის მიხედვით, ოლღას ბაქოში ყოფნა გამორიცხულია. შესაბამისად, ის და მისი დის მთელი ოჯახი თბილისში ან საგურამოში უნდა იყვნენ. საგურამოში ყოფნის შემთხვევაში, მოკითხვისას ნახსენები იქნებოდა თადეოზ გურამიშვილიც. თან ნაკლებ სავარაუდოა, რომ ზალინოვის მაღაზია საგურამოში ყოფილიყო.

რამდენადაც წერილის ავტორი მოკითხვას უთვლის დიმიტრი სტაროსელსკის, ბარათი დაწერილი უნდა იყოს კიდევ უფრო ადრე - ბაქოს გუბერნატორად მის დანიშვნამდე - 1872 წლის 29 მარტამდე. ილია ჭავჭავაძის მომრიგებელ შუამავ-

ლად და მოსამართლედ სამსახურის დროს ოლლა გურამიშვილი ძირითადად მეუღლესთან ერთად იყო ხოლმე მათ მიერ ნაქირავებ სახლში („ორი დაქცეული ოთახი ვიშოვე, ერთში კუხნა გვექნება, ერთში ჩვენ ვიდგებით“ (1868,) „რაკი სუდიდამ გამოვალ მე, შენი ბურთივით რგვალი ქმარი, დავგორავ ჩვენს დიდ ზალაში უაზროდ, უსაგნოდ და ყოვლად სულელურად“ (1873 წ. 15 იანვარი), მაგრამ პერიოდულად სტუმრად ჩადიოდა და რჩებოდა ხოლმე მამასთან ან დასთან. მაგ.: ერთ-ერთი წერილიდან, რომელიც ყაზბეგიდან 27 ივნისს არის გაგზავნილი, ჩანს, რომ ოლლა მამასთან და დის ოჯახთან ერთად არის საგურამოში („დმიტრი და კატო მომიკითხე და მამაშენი“, გვ. 84). 1866 წლის 28 ოქტომბერს დუშეთში მყოფ მეუღლეს ილია ქვიშხეთიდან სწერს, რომ ჩააკითხავს და საგურამოში წაიყვანს მამისა და დის სანახავად (გვ. 87). 1866 წელს, 8 ნოემბრამდე მეუღლისთვის გაგზავნილი ბარათიდან კი ჩანს, რომ ოლლა ამჯერად თბილისში უნდა იყოს. მოკითხვისას თადეოზი ნახსენები არ არის. თან მწერალი მეუღლეს სთხოვს, რომ მისი და - ელისაბედი თავისთან გადაიყვანოს („კატო და დიმიტრი მამიკითხე, ლიზო შენთან გადმოიყვანე“, გვ. 86). შესაბამისად, სავსებით ბუნებრივია, რომ ბარათი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო სამსახურის პერიოდში იყოს დანერვილი, კერძოდ, 1864 წლის 8 ნოემბრიდან 1872 წლის 29 მარტამდე.

თბილისიდან ყვარელში მეუღლისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ ბარათს ანერია 2 სექტემბერი (გვ. 185), მაგრამ არ არის მითითებული წელი¹. წერილის ფრაზა: „გუშინ ამორჩევა იყო ნაბლიუდატელნი კომიტეტისა“ მიგვანიშნებს, რომ 1 სექტემბერს უნდა ყოფილიყო საადგილმამულო ბანკის სამეთვალყურეო კომიტეტის არჩევნები, ეს კი ემთხვევა 1874 წლის მოვლენებს². შესაბამისად, ბარათს ვათარილებთ 1874 წლის 2 სექტემბრით.

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, ავტოგრაფი N340

2. გაზ. „დროება“, 1874, 6 სექტ. N439, გვ. 1

თბილისიდან ყვარელში ილია ჭავჭავაძის მიერ მეულ-ლისთვის გაგზავნილ ერთ წერილს აწერია თარიღი - 16 სექტემბერი, მაგრამ არ არის მითითებული წელი¹. ბარათში ნათქვამია „ხუთშაბათს, ესე იგი, 19-ს ამ თვეს მოვრჩები ყველაფერს და წამოვალ თიანეთს. ოცდაერთს თიანეთს მამულების გაყოფა იქნება... იქიდან ოთხ-ხუთ დღეს უკან ყვარელს წამოვალ. ქალაქში წამოსასვლელად მზად იყავი, მოვალ თუ არა, ქალაქში წამოვალ“ (გვ. 186). 19 სექტემბერი ხუთშაბათ დღეს ემთხვევა 1874 წელს. ამ წლის სექტემბერში ოლღა, მართლაც, მეუღლის გარეშე იყო ყვარელში. 1873 წლის ამ პერიოდის ყველა წერილიდან ჩანს, რომ ის ბაქოში იყო, 1875 წლის შემოდგომაზე კი - თავად ილია იყო ყვარელში და ოლღა - თავის დასთან და სიძესთან ერთად, საგურამოში. შესაბამისად, ბარათს ვათარილებთ 1874 წლის 16 სექტემბრით.

ცნობილია, რომ ბანკის წესდების დამტკიცებისა და საბანკო საქმის პრაქტიკული შესწავლის მიზნით, ილია ჭავჭავაძე 1873 წლის ივლისიდან 1874 წლის აპრილამდე და 1874 წლის ნოემბრის დასაწყისიდან 1875 წლის იანვრის ბოლომდე იმყოფებოდა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში (მოსკოვი, პეტერბურგი, პოლტავა). რამდენადაც მას მეუღლესთან რეგულარული მიმოწერა ჰქონდა, გვაქვს წერილების მთელი სერია, რომლებშიც ასახულია ამ მივლინებების დროს ბანკის საქმეებთან დაკავშირებული პერიპეტიები, მწერლის შემოქმედებითი და სხვა საქმიანობა. ჩვენი ყურადღება მიიპყრო 1873 წლის წერილების ციკლიდან შინაარსობრივად ამოვარდნილმა ორმა ბარათმა (იხ.: ტ. 18. გვ. 158 და 163).

ზემოხსენებულთაგან პირველ ბარათს აწერია „19 ნოემბერი, პეტერბურღი“. მისი შინაარსიდან გამომდინარე, ილია რუსეთში ახალჩასულია: „ესეც პეტერბურღში მოვედი... ჯერ პეტერბურღში არავინ არ მინახავს, არც სენო... ხვალ სენოს

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, ავტოგრაფი N413.

უსათუოდ ვნახავ და ჩურჩხელებსაც მიუტან”. ეს ბარათი რომ ბანკის საქმეებზე 1870-იან წლებში რუსეთში ილიას პირველი ჩასვლის დროს - 1873 წლის 19 ნოემბერს იყოს დაწერილი, იგი ვერ იტყოდა, სენო არ მინახავსო, რადგან ოლლას დისწულს - სიმონ სტაროსელსკის 1873 წლის ივლისიდან რეგულარულად ნახულობდა, და ოლლას გატანებული ჩურჩხელების გადაცემასაც ოთხი თვით არ გადადებდა. ასეც რომ არ იყოს, ჩვენი ყურადღება მიიპყრო წერილში ნახსენებმა ოლლასათვის გაგზავნილმა თანხამ: „ფული გამოგიგზავნე 295 მან. არ ვიცი, მიიღე თუ არა”. თანხის გაგზავნაზე საუბარი მეუღლისთვის მიწერილ „7 ნოემბრით” დათარიღებულ ბარათშიც გვხვდება, რომელიც ოცტომეულის მე-18 ტომში, ზემოთ განხილული წერილისგან განსხვავებით, 1874 წლისად არის მიჩნეული. ამ ბარათიდან ვიგებთ, რომ ოდესამდე ილია ზღვით წასულა, 7 ნოემბერს ჩასულა მოსკოვში და 8 ნოემბერს აპირებდა პეტერბურგში გამგზავრებას: „აი, დღეს მოვედი მოსკოვში... ზღვით წამოვედი. ხვალ პეტერბურგში მივდივარ”. სწორედ ამ წერილში არის ნახსენები ოლლასათვის გაგზავნილი თანხა: „ჩემი გამოგზავნილი ფული 195 მანეთი აქამდინ, რასაკვირველია, მიღებული გექმნება და მიღების გარდა, ნახევარი დახარჯულიცა”. როგორც 19 ნოემბრის წერილიდან ჩანს, ილიას სწორედ იმ დღეს დაგვიანებით მიუღია ოლლას მიერ 27 ოქტომბერს გაგზავნილი წერილი, რომლიდანაც მან გაიგო, რომ მისი მეუღლე იმ დროისთვის ჯერ არ იყო ჩასული კარდანახში და არც ილიას სიძის - ნიკოლოზ აფხაზის სახელზე გაგზავნილი ხსენებული თანხა ჰქონდა მიღებული. ბუნებრივია, მას არც ილიას მიერ 7 ნოემბერს გაგზავნილი წერილი ექნებოდა ნაკითხული და ილია ამიტომ იმეორებს თანხის გაგზავნის ამბავს. ცოტა დაგვაეჭვა თანხის რაოდენობათა შორის არსებულმა განსხვავებამ, მაგრამ ამ შეუსაბამობის გარკვევაში დაგვეხმარა მესამე ბარათი (იქვე, გვ. 189), რომელზეც თარიღი მიწერილი საერთოდ არ არის, მაგრამ შინაარსიდან ჩანს, რომ 1874 წლის 30 ოქტომბერს უნდა

იყოს დაწერილი („სოლომონს ათი თუმნის მიღების ბარათი ჩამოართვი...ათი თუმანი მივიღეთ ილია ჭავჭავაძისაგან... 1874 წ. 30 ოქტომბერს“). ბარათის შინაარსიდან ირკვევა, რომ სოლომონ ჭავჭავაძისთვის მისაცემი ასი მანეთი და ზემოხსენებული 195 მანეთი ილიას ოლღასთვის ერთად გაუგზავნია ბიჭის ხელით სწორედ 30 ოქტომბერს (გიგზავნი, ჩემო საყვარელო ოლიკო, ოცდაცხრა თუმან ნახევარს“), მაგრამ 295-ის ნაცვლად 7 ნოემბრის წერილში 195-ს იმიტომ ახსენებს, რომ 100 მანეთი ოლღას მაშინვე სოლომონისთვის უნდა გადაეცა, 7 ნოემბრის ბარათში კი საუბარია თანხის დახარჯვაზე („მიღებული გექმნება და მიღების გარდა, ნახევარი დახარჯულიცა“), რაც ვერ შეეხებოდა სოლომონისათვის მისაცემ თანხას. შესაბამისად, სამივე ბარათი 1874 წლისაა და 30 ოქტომბრისა წინა ორ (7 და 19 ნოემბრის) წერილზე ადრეული უნდა იყოს.

1874 წლის კიდევ ერთი ბარათი (იქვე, გვ. 163), რომელიც ოცტომეულში 1873 წლისად იყო მიჩნეული, ავტორის მიერ დათარიღებულია „14 დეკემბრით“. პეტერბურგიდან გაგზავნილი წერილები ერთმანეთის მომდევნო დღეებში წესით არ უნდა იყოს დაწერილი, რადგან ფოსტა საქართველოსკენ ყოველდღე არ მოდიოდა. თხზულებათა ოცტომეულის მე-18 ტომში კი ეს წერილი მოქცეულია 1873 წლის 3 დეკემბრისა და 15 დეკემბრის ბარათებს შორის. თუ 3 და 15 დეკემბრის ბარათები ერთმანეთთან სრულ შინაარსობრივ კავშირშია, 14 დეკემბრის ბარათში განსხვავებული განწყობა და თემებია. წარმოგიდგინთ რამდენიმე პარალელს 3 და 15 დეკემბრის წერილებს შორის: „ჩვენმა ფოდრიაჩიკმა ყველაფერი აღასრულა თუ არა, რაც პირობაში უნერია; ქვიშა, აგური დაჰსწვეს და მოზიდეს თუ არა, ანუ ხე-ტყე, კარი, ფანჯარა“ / „მე რომ წამოვედი, ისე დავაწყეთ მე და პოდრიაჩიკმა, რომ აგური, კირი, კრამიტი ერთად უნდა დაგვეწვა; ხე-ტყე სახლისა, კარი და ფანჯარა მოტანილი უნდა იყოს; ჩვენი მიშკა იპოვეს თუ არა“ / „მიშკა აპოვინე“. ამას გარდა, სამი დეკემბრის წერილში ნათქვამს „კარდანახში ალექსანდრე ლიაზანოვის სა-

ხელზედ წიგნი მოგწერე” ეხმიანება 1874 წლის 26 დეკემბრის წერილის სიტყვები: „ჯერ ბაქოდამაც არ იყავ წამოსული, რომ ლიაზანოვის სახელზედ წიგნი მოგწერე”. მსგავსი პარალელები 14 დეკემბრის ბარათს 1873 წლის დეკემბრის წერილებთან არ გააჩნია, მეორე მხრივ, კი მნიშვნელოვანი შინაარსობრივი გამოძახილები აქვს ჩვენ მიერ 1874 წლის 19 ნოემბრით დათარიღებულ ზემოხსენებულ წერილთან: „ღვინოები კარგად გადააღებინე და მომწერე, როგორები დადგა. აქ ერთი წიგნი ვიყიდე „О виноделии“ ის რო წავიკითხე, ელდა მეცა. იქა ჰსწერია, რომ ავდარში დაკრეფილი ყურძენიო და ავდარშივე დაწურული, ძალიან ცუდს ღვინოს დააყენებსო, ასეო, რომ ღვინო არ დაწმდებაო და ეყროლებაო. ნუთუ მართლა ჩვენს ღვინოებს ეს სიკეთე დაემართება...” / „ეხლა ღვინოები გადაღებული გექმნებათ და შეეტყობა, როგორი დადგა. ნეტავი, მეცოდინა, კარგი ღვინოები დაგვიდგა, თუ არა. მე ძალიან მეშინიან, რომ ჩვენი ღვინოები წელს ვერაფერი იქნება, რადგანაც წვიმიანს დროს დავკრიფეთ და დავწურეთ”; რა სიკეთეს მიზამ, რომ ხე-ტყე ტყიდამ გამოტანილი დამახვედრო, თავლა დახურული, წისქვილი დაბრუნებული” / „წისქვილი კაი ფასად მიგიცია... ჩვენი თავლისა რა ჰქენით, გაათავეთ თუ არა”; „ჩვენი მოურავი კნიაზი გიგო როგორ ირჯება” / „ჩვენი სახლთხუცესი გიგო როგორ ირჯება”; „მომწერე, შენი ჭირიმე, ნოურის ვენახი გააკეთეთ თუ არა. გიორგიმ ხომ არ დაგიშალათ” / „ნოურის ვენახი... შეიმუშავეთ, თუ არა. ავყია გიორგიმ ხომ არ დაგაპრკოლათ, ან არ დაგიშალათ...” ვფიქრობთ, კავშირი ამ ორ წერილში აღწერილ მოვლენებს შორის სავსებით აშკარაა. შესაბამისად, 14 დეკემბრით დათარიღებული ბარათიც 1874 წლისა უნდა იყოს.

ოცტომეულში არის 4 მარტით დათარიღებული ბარათი (გვ. 227), რომლის შინაარსიც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ იგი 1875 წელს დაწერილად მივიჩნიოთ. სიმამრის - თავდებო გურამიშვილის გარდაცვალების დროს ილია რუსეთში იმყოფებოდა ბანკის საქმეებზე. 1875 წლის 15 მარტს საქარ-

თველოში დაბრუნებული პოეტი წერილს უგზავნის პეტერ-ბურგში ვასილ მაჩაბელს, რომელშიც სწერს: „ჩემს უბედურებასაც შეიტყობდი: ვიდრე რუსეთიდან მოვიდოდი, ჩემი სიმამრი გარდაცვლილიყო“. ოლღასათვის 1875 წლის 20 და 26 თებერვალს (ტ. 18, გვ. 190, 191) და კატოსადმი 25 თებერვალს (ტ. 17, გვ. 61) გაგზავნილი წერილებიდან კი ჩანს, რომ მამის დაკრძალვის შემდეგ ოლღა ფეხმძიმედ მყოფ თავის დას - კატოს გაჰყოლია ბაქოში (იხ.: „ნეტავი.. კატო მალე განთავისუფლდეს, შვილები კარგად ჰყავდნენ, რომ შენც მალე წამოხვიდე“ (გვ. 191).

26 თებერვლის წერილში ნათქვამია, რომ მეორე დღეს ილია აპირებდა საგურამოში ასვლას, სადაც უკვე თადეოზ გურამიშვილის ნაცვლად მისი მეორე ცოლი - „მარია დიასამოვნა“ დახვდებოდა. 4 მარტის წერილი სწორედ 25-26 თებერვლის ბარათების მომდევნოდ უნდა იყოს დაწერილი, რადგან მასში ილიას საგურამოში ყოფნის ამბებია აღწერილი. 25 თებერვლის წერილში ვკითხულობთ: „ხვალ საღამოზედ მე მივდივარ საგურამოს: სირაჯი წასულა ღვინოების ამოსაღებად. თქვენი დედინაცვალი დღევანდლამდე ქალაქში იყო და, რაკი შეუტყვია, რომ სირაჯი საგურამოს მისულა, დღესვე საჩქაროდ წასულა საგურამოს“.

4 მარტის ბარათში წერია: „დღეს საგურამოდან ჩამოველ, სირაჯს ღვინო მიუწყე კნიაზისა ოცდაოთხი საპალნე და ოცდაჩვიდმეტი თუნგი... ეს ფული სულ მოჯამაგირეებს დავურიგე, ვისაც ყავლი გასვლოდა...“ ამ წერილში არაფერია ნათქვამი კატოს მშობიარობაზე, 10 მარტის წერილში კი ილია უკვე ულოცავს მას ვაჟის დაბადებას. შესაბამისად, 4 მარტის წერილიც 1875 წლის მოვლენებს ასახავს და იმ დროს უნდა იყოს დაწერილი.

ოცტომეულში 1870-იანი წლებით არის დათარიღებული ბარათი, რომელსაც 8 სექტემბერი აწერია (გვ. 199). შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ საგურამოს მეურნეობას ილია ჭავჭავაძე და ოლღა გურამიშვილი უძღვებიან („პური დაათესი-

ნე, როგორც მოგწერე, წინამურის ვენახი გაასინჯინე ზურაბას და გაბოს, თუ მართლა შემოსულია, ნება მიეცი დასაკრებად მომზადებისა“). შესაბამისად, იგი თადეოზის გარდაცვალების შემდეგ, კერძოდ 1875 წლის 8 სექტემბერს ან შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

ოცტომეულში უთარილოების განყოფილებაშია დაბეჭდილი 28 სექტემბრით დათარიღებული წერილი (გვ. 231), რომელშიც საუბარია წინამურში დაკრეფილი ყურძნის ჭაჭიდან არყის გამოხდაზე: „მოურავს უთხარი, რომ წინამურის ჭაჭა კარგად შეანახვინოს, რადგანაც არაყი უნდა გამოვხადოთ“. რამდენადაც სხვა წერილებიდან ვიცით, რომ არყის სახდელი ქვაბი ილია ჭავჭავაძემ 1887 წლის 17 მაისის შემდეგ დაამზადებინა, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1887 ან შემდგომი რომელიმე წლის 28 სექტემბერს.

ოცტომეულში უთარილოების განყოფილებაშია დაბეჭდილი 10 ღვინობისთვის დათარიღებული წერილი (გვ. 231). მასში ნახსენებია ბანკი და სანდრო (ალექსანდრე) ჩოლოყაშვილი. ეს პიროვნება თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორად 1874 წელს აირჩიეს, მაგრამ, რამდენადაც 1875 წლამდე ბანკის წესდება დამტკიცებული არ იყო, წერილი, რომელშიც გარკვეული საბანკო ოპერაციებია ნახსენები („ხელი მოუწერე ოთხმოცის თუმნის ვექსილზედ“), დაწერილი უნდა იყოს 1875 წლის 10 ოქტომბერს ან შემდეგ.

ოცტომეულში უთარილოების განყოფილებაში დაბეჭდილი წერილში (გვ. 237) იმ ადგილს, სადაც ოლღა არის, ილია ჭავჭავაძე იხსენიებს, როგორც თავის სახლს „გაღმა გამოვალ და შინ მოვალ“, მაგრამ არც მისი იმჟამინდელი სამყოფელი უნდა იყოს უბრალოდ „სამსახურის“ ადგილი, რადგან იქ ელოდება მეუღლის ჩასვლას („ფაეტონი შეაბმევიწინე და წამოძანდი“). საგულისხმოა, რომ ამ ორ გეოგრაფიულ პუნქტს ერთმანეთისგან ჰყოფს ისეთი წყალი (მდინარე), რომელიც საკმაოდ სახიფათოა გადასასვლელად („ჩვენ წყლის პირას დაგისვდებით და გადმოგიყვანთ“). ასეთი ორი ადგილი იყო

საგურამო და თბილისი. არაერთი წერილიდან ჩანს, რომ მცხეთასთან წყალზე გადასვლის პრობლემა იყო. მაგ.: ერთ-ერთ წერილში, რომელიც თბილისიდან საგურამოშია გაგზავნილი, ილია მეუღლეს სწერს: „ძალიან კარგს იზამ, რომ მცხეთიდან ურმით გამოაყვანინო წყალში და მცხეთის დუქანთან ახალი შარაბანი დაახვედრო“. შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს თადეოზ გურამიშვილის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ოღლა ხშირად იყო ხოლმე საგურამოში, მისი მეუღლე კი, ბანკში სამსახურის გამო, თბილისში. შესაბამისად მას ვათარილებთ 1875 წლის შემდგომი პერიოდით.

ოცტომეულში უთარილოების განყოფილებაშია დაბეჭდილი მოკლე ბარათი (გვ. 233), რომელშიც ნახსენებია სანდრო და მირიმანოვი: „თუ სანდრო და მირიმანოვი მოვიდნენ, უთხარი, რომ ეს ქალაქი გადაწერონ, რომ ერთი კოპიო მაგათა ჰქონდეთ“. სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს ბანკის დირექტორ ალექსანდრე ჩოლოყაშვილსა და ბანკში დაგირავებული მამულების მეპატრონე სოლომონ მირიმანოვზე. 1887 წელს ამ მამულების გაყიდვის ისტორიას გაზეთ „ივერიაში“ რამდენიმე სტატიაც კი მიეძღვნა¹. მირიმანოვმა თანხა დროულად ვერ შეიტანა და მის საკუთრებაში მყოფი რამდენიმე სოფელი ბანკმა გასაყიდად გაიტანა. მამულის შესყიდვა თავდაპირველად მოინადინა ამ მიწაზე განთავსებული ერთ-ერთი დუქნის მეპატრონემ და ბეც შეიტანა ბანკში, მაგრამ შემდეგ მამულების შესყიდვის სურვილი გამოთქვეს იქ მცხოვრებმა ხიზნებმა, მედუქნის ბეც გაისტუმრეს და მირიმანოვსა და ბანკსაც მოურიგდნენ. ვფიქრობთ, ამ გარიგებებთან დაკავშირებით ალექსანდრე ჩოლოყაშვილს, როგორც ბანკის დირექტორს და მირიმანოვს აუცილებლად დასჭირვებოდათ რაღაც დოკუმენტების ასლები. შესაბამისად, წერილს ვათარილებთ 1887 წლის აგვისტოთი.

1. იხ. გაზ. „ივერია“, 1887, 13 აგვ. N167, გვ. 1; 15 აგვ. N169, გვ. 1-3; 20 აგვ. N172, გვ. 1-2.

ოცტომეულში უთარილოების განყოფილებაში დაბეჭდილია ბევრი ისეთი წერილი (გვ. 236, 237, 238 (ორი), 239, 242, 243, 244, 245, 245-246, 246, 247 (ორი), 247-248, 250 (ორი), 251, 251-252, 252 (ორი), 253,), რომლებიდანაც ამკარად ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე თბილისშია („პარაშოკს გიგზავნი“, „ხვალ სალამოზედ მეც ამოვალ“, „ასის თუმნის ვექსილია შერვაშიძისა გამოსახსნელი და მე გროშიც არა მაქვს... დღეს თუ ვიშოვე, წამოვალ, თუ არა და, უნდა დავრჩე“, „შაბათს ტორგები გვაქვს“ „აქ სად ვიშოვი მოჯამაგირეებს“, „გიგზავნი ორ წყვილს ბაშმაკს, რომელიც გნებავს, აიღე, თუნდა ორივე“, „გიგზავნი რვა ფუთს სახარნი პესოკს“, „ორი ლესნიჩი მოდის მანდ“, „სამი დუჟინი სკამი ვიყიდე. როცა საჭიროა, გამოვგზავნი“, კრამიტისათვის აქა ვყიდულობ თივას და ძვირადა ჯდება“, „კიტრი სულ თვლით გამოისტუმრონ ხოლმე“, „მე ვერ ამოვედი“, „ვექსელი დღესვე დამიბრუნე“, „დილის პოეზდისათვის მცხეთაში გამომიგზავნე ცხენები“, „დღეს ტორგებია“, „კუჩერს ვგზავნი, მგონი კაი კაცია. ჩააბარებინე ყველაფერი“, „მე დღეს ველარ ამოვედი“, „შაბადს ვერ ამოვალ“, „ორივე ცხენი გამოგზავნე შაბადს ქალაქს“, „ხუთშაბათს სალამოს გამომიგზავნე ქვემო ავჭალაში“, „მე დღესაც ვერ ამოვედი“, მისი მეუღლე კი - საგურამოში („ყოველ ღამე ჰკითხე ხოლმე ქაქუჩას, რამდენს ათეულს პურს თუ ქერს ლენავს“, „გედევანოვმა მითხრა, რომ ვაპირობთ შაბათს საგურამოში წასვლასო“, „თუ დღეს ვერ ამოვიდე“, „ცხენები გამომიგზავნე ავჭალაში“, „ჩვენს მოურავს უთხარი, რომ არამც და არამც კალო არ მოაცდინოს“, „მანდ რომ თევზი არის, ჩამოაღებინე და ხელით ან წმინდა ცოცხით დაანმენდინე“, „ინდაურები და გოჭი გამოგიგზავნია“, „მე რომ ტყეები ვიყიდე, ისინი გასინჯონ... შენი ტყე და სააპეკუნო, საჭირო არ არის“, „ფაეტონი გამომიგზავნე პარასკევს“, „გაბოს უბრძანე, რომ მეურმეებს ჩალა აძლიოს“, „მოურავს უბრძანე, ამ თათრებს კიტრის საზიდარად მიჰსცეს ტაჩკა“, „შეატყობინე შენს დას, რომ მისი სესხი ნებადართულია“, „ხვალ პოვოზკა გამოგზავნონ შაქ-

რისთვის“, „მე დილაზედ უსათუოდ ამოვალ“, „ხვალ საღამოზედ ფაეტონი და ორი ცხენი შეკაზმული გამოგზავნე“, „ცხენები დამახვედრე მცხეთას“, „კვირას გამომიგზავნე საჯდომი ცხენები“, „ხვალ დილის პოეზდისათვის ცხენები გამომიგზავნე მცხეთას“, „თუ შარაბანი გაკეთებულია, შაბათს ავჭალას გამოგზავნე“, „ორმოცი ბოთლი ღვინო მოგართვი... ნახევარი ბოთლი პროვანსკი ზეთი... 3 გეჯა კალატოზისთვის“, „ხვალ მოურავი ჩამოვიდეს“). ილია ჭავჭავაძის სტაბილური მოღვაწეობა ბანკში დაიწყო 1875 წელს. ამ წელსვე მიიღო მისმა მეუღლემ მემკვიდრეობით თადეოზ გურამიშვილისეული საგურამოს მამული. ამ წლიდან დაწყებული ყოველდღიურ გაზეთ „ივერიის“ გამოცემამდე მწერალი სამუშაო დღეებში ძირითადად თბილისში იყო, მისი მეუღლე კი - საგურამოში, სადაც ილია შაბათ-კვირას ადიოდა ხოლმე. დანარჩენ დღეებში მათ ჰქონდათ მიმონერა მეურნეობასთან და სხვა საოჯახო საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ოცდაერთივე ბარათს, რომლებიც ამ ვითარებას ასახავს და რომელთა ციტატებიც ზემოთ მოვიხმეთ, ვათარილებთ 1875 წლის შემდგომი პერიოდით.

ოცტომეულში 1875-1883 წლებით არის დათარიღებული წერილი მეუღლისადმი (გვ. 200), რომლიდანაც ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე უკვე ბანკში მსახურობს („ბანკში საქმეები არის“) და წერილის წერის დროს თბილისშია. თადეოზ გურამიშვილი გარდაცვლილია - ავჭალის სათიბებს მისი ქალიშვილების - ოლღასა და ეკატერინეს ოჯახები პატრონობენ („თუ ორშაბადასაო არ გათიბეთო, მერე ბალახი აღარ გაითიბებო ავჭალაში და დიდს ზარალში შეხვალთო. არ ვიცი, რა ვქნა. ძალიან ვიზარალებთ და სირცხვილიც იქნება, რომ გაუთიბავი დაგვრჩეს კორული.“). წერილის მიხედვით, ოლღა და მისი დის ოჯახი ერთად ან ტერიტორიულად ახლოს არიან ერთმანეთთან: („ანგარიშს გიგზავნი, დიმიტრის და კატოს უჩვენე“, „დიმიტრის უთხარ... დიმიტრის ჰკითხე“), მაგრამ ბაქოში არ უნდა იყვნენ. 1876 წლის 1 ივნისს დიმიტრი სტაროსელსკი

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს დეპარტამენტის უფროსად დანიშნეს და ბაქოდან საქართველოში გადმოვიდა. რამდენადაც 1 ივნისს თიბვა ჯერ ნაგვიანევი არ არის, წერილს ვათარილებთ 1876 წლის ივნისის შემდგომი პერიოდით.

ოცტომეულში ყოველგვარი არგუმენტირების გარეშე 1900-იანი წლებით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი მეუღლისადმი (ტ. 18, გვ. 226), რომლიდანაც ჩანს, რომ ადრესანტი თბილისშია და ზედამხედველობას უწევს სახლისა და რედაქციის მშენებლობას („ვის ანაბარას უნდა დავაგდო ამოდენა საქმე, ამოდენა მუშა“; „ორი ოთახი მზად არის რედაქციისა, თქვენ ჩამოდით, ამ ორ ოთახში როგორმე მოთავსდით ერთის კვირით, მერე სხვა ოთახებიც მომზადდება და იქ გადახვალთ...“). შეიძლება გვეფიქრა, რომ აქაც საუბარია 1889 წელს ნიკოლოზის ქუჩაზე აგებულ შენობაზე (ამჟამად ივანე ჯავახიშვილის ქუჩა, N7), მაგრამ წერილში ილიას დისწულის - 1877 წლის 3 ოქტომბერს დაღუპული სიმონ აფხაზის ცოცხლად მოხსენიება („გიგზავნი ჩემის დისწულის სენოს დეპეშას, საწყალი ძალიან ავად არის“) ამას სავსებით გამორიცხავს.

ყურნალ „საქართველოს მოამბის“ რედაქცია აქ ვერ იქნება ნაგულისხმევი, რადგან სიმონ აფხაზი იმ დროს 10 წელზე მეტისა არ იქნებოდა, ცალკე ვერ იცხოვრებდა და დეპეშას ვერ გაუგზავნიდა ბიძას, საგურამოში, თადეოზ გურამიშვილთან კი, რომელიც დიდად კმაყოფილი არ იყო მისი ქალიშვილის ილია ჭავჭავაძეზე გათხოვებით, ელისაბედი სტუმრად ვერ იქნებოდა, იგი თავისი ქმრის - ჯამბაკურ-ორბელიანის სახლში იცხოვრებდა. 1863 წლის შემდეგ (იმ დროს გამოსცემდა „საქართველოს მოამბეს“) ილია რედაქტორი მხოლოდ 1877 წლის 3 მარტიდან გახდა და სიმონ აფხაზის გარდაცვალებამდე, 1877 წლის 3 ოქტომბრამდე, გაზეთ „ივერიის“ რედაქცია მდებარეობდა მთანმინდის ქუჩაზე N5-ში. შესაბამისად, ამ წერილში მთანმინდის სახლის მშენებლობა-

ზე უნდა იყოს საუბარი და იგი დანერვილი უნდა იყოს „ივერიის“ 1877 წლის პირველი ნომრის გამოსვლამდე, 3 მარტამდე.

ოცტომეულში 1900-1901 წლებით არის დათარიღებული მეუღლისთვის თბილისიდან საგურამოში გაგზავნილი წერილი (ტ. 18, გვ. 223), რომელშიც ასევე სახლის მშენებლობაზეა საუბარი. მის კომენტარებში ვკითხულობთ (გვ. 376): „ლაპარაკია საგურამოს სახლის მშენებლობაზე, ამიტომ იგი პირობითად დათარიღდა“. აქ რომ მართლაც საგურამოს სახლის მშენებლობაზე იყოს საუბარი, 1900-1901 წლებით მაინც არ უნდა დათარიღებულიყო, რადგან ეს მშენებლობა 1895 წელს დასრულდა. წერილის შინაარსის მიხედვით, სოფელში ოღლა და ელისაბედი არიან (ლიზო მომიკითხე, ხომ არ სჯავრობს, რომ ქალაქში ჩამოსვლა ასე დაგვიგვიანდა“, „იმ კვირია, კი, იმედია დასრულდება და თქვენს წამოსაყვანად მოვალ“), ილია ჭავჭავაძე კი ქალაქშია და სახლებიც აქ შენდება. შესაბამისად, ეს უნდა იყოს ან 1877 წლის მშენებლობა მთაწმინდის ქუჩაზე ან 1889 წლისა - ნიკოლოზის ქუჩაზე. პირველის მშენებლობა ზამთარში მიმდინარეობდა, მეორისა კი - ზაფხულში. თუ გავითვალისწინებთ ბარათის ფრაზას: „წარმომიდგენია, რა სიცივეები იქნება მანდ და რარიგად მობუზულები იქნებით თქვენ თვითონ“, ეს უნდა იყოს 1877 წელი.

ამასვე ადასტურებს წერილის კიდევ ერთი ფრაზა: „მე ვერ ამოვედი ჯერ იმიტომ, რომ აქ ყოველ წუთს თავზედ დგომა უნდა. ერთი ბენო ხანს რომ მოვშორდე, მაშინვე წამიხდენენ ხოლმე საქმეს“. როგორც ცნობილია, ნიკოლოზის ქუჩაზე სახლების მშენებლობა ილიას არტელისთვის ჰქონდა ჩაბარებული, რომელიც თავის საქმეს არაჩვეულებრივად ასრულებდა. ამის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს: „მახსოვს, ილიამ გვიამბო, თუ რა შესანიშნავად, ღირსეულად აუშენა ქართველთა არტელმა ის ორი სახლი - სრულიად ყოველისფრით დამთავრებული - და ბინათა გასალელები ჩააბარა მას“.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: თუ წერილი 1877 წელს, ელისაბედის ქმრის - ალექსანდრე საგინაშვილის სიცოცხლეშია

დანერილი, რატომ არ იხსენიება იგი ბარათში. 1881 წლამდე ალექსანდრე საგინაშვილი აქტიურ სამხედრო მოღვაწეობას ეწეოდა, 1877 წლის აპრილიდან ოსმალთა წინააღმდეგ ადგილობრივი ჯარების თბილისის რაზმსაც კი ედგა სათავეში. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ მისი ცოლი - ელისაბედი ოლღასთან ერთად ყოფილიყო საგურამოში. რამდენადაც ცნობილია, სახლი, რომლის მშენებლობასაც თუ გადაკეთებასაც ილია ჭავჭავაძე ამ დროს უძღვევოდა, ალექსანდრე საგინაშვილს ეკუთვნოდა და იქ წლების მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ მისი და ცოლისძმის ოჯახები.

იმ ორი ბარათის შედარებამ, რომლებშიც ეს მშენებლობაა ნახსენები (გვ. 223, 226), დაგვარწმუნა, რომ ისინი დროის მოკლე ინტერვალშია დანერილი, მაგრამ ეს ბარათი უფრო ადრეულია. სახლებთან დაკავშირებით მასში ნათქვამია: „მგონია, ამ თვის დასასრულს ყველაფერი მომზადდეს“, მეორე ბარათიდან კი ჩანს, რომ რედაქციის ორი ოთახი უკვე დასრულებულია და დანარჩენიც ერთ კვირაში დასრულდება („აქ ორი ოთახი მზად არის რედაქციისა, თქვენ ჩამოდით, ამ ორ ოთახში როგორმე მოთავსდით ერთის კვირით, მე რე სხვა ოთახებიც მომზადდება“). შესაბამისად, ბარათი დაინერა 1877 წლის თებერვლის ბოლომდე.

1877 წლამდე უნდა იყოს დანერილი მეუღლისთვის თბილისიდან გაგზავნილი მოკლე ბარათი (ტ. 18, გვ. 244), რომელთან ერთადაც ილია მას უგზავნის „ლიზას და სენოს“ წერილს. ელისაბედმა პოლონეთში მოგზაურობის შემდეგ, 1889 წელს, შესაძლოა, ვორონეჟში გამოიარა და ინახულა თავისი ძმისწული სიმონ ჭავჭავაძე, მაგრამ აქ რომ რუსეთიდან გამოგზავნილ მათ ერთობლივ წერილზე იყოს საუბარი, ამ განსაკუთრებულ შემთხვევას (ისინი წლების განმავლობაში ვერ ნახულობდნენ ერთმანეთს) მწერალი რაღაც კომენტარს კიდევ გაუკეთებდა. ბარათში უნდა იგულისხმებოდეს ილია ჭავჭავაძის დისწული სიმონი, რომელსაც მიმონერა ჰქონდა თავის დეიდასთან. ცნობილია მის მიერ ვორონეჟიდან დეი-

დისტვის გაგზავნილი ერთი ბარათი, რომელშიც სწერდა თავისი წარმატებების შესახებ და სთხოვდა, რომ წერილი „ძია ილიასთვისაც“ წაეკითხებინა. ელისაბედმა ის წერილი მართლაც გადაუგზავნა ძმას და, სავარაუდოდ, თავისი ბარათიც დაურთო. შესაბამისად, ამ წერილშიც სიმონ ნიკოლოზის ძე აფხაზი უნდა იგულისხმებოდეს და იგი დანერგილი უნდა იყოს მის გარდაცვალებამდე, 1877 წლის 3 ოქტომბრამდე.

ოლღასადმი მიწერილ ბარათში, რომელშიც ნათქვამია: „საწყალი სენა სწორედ მოუკლავთ, კობტას ძმის წიგნი მოუვიდა და ისა ჰსწერს, რომ ჩემთან იდგაო და იქავ ტყვია მოხვდა და დაეცაო მკვდარი“ (გვ. 203) - საუბარია ილიას დისწულ - სიმონ ნიკოლოზის ძე აფხაზზე, რომელიც მოკლეს რუსეთ-თურქეთის ომის დროს, 1877 წლის 3 ოქტომბერს. შესაბამისად, წერილს ვათარილებთ ცოტა უფრო გვიანდელი დროით - 1877 ოქტომბრის შუა რიცხვებამდე.

ოცტომეულში 1875 წლით არასწორად არის დათარიღებული ის ხუთი წერილი, რომლებიც გაგზავნილია ილიას მიერ ოლღასათვის ყვარლიდან თბილისში (იხ.: „მინდა შენი ნახვა და ქალაქში ჩამოსვლა“, გვ. 196) და რომლებშიც აღწერილია ჭავჭავაძეთა მიწების გამიჯვნის და დაკანონების ამბები: იხ.: 28 ოქტომბრის წერილი (გვ. 193): „მე აქ იასესთანა ვარ ჩამომხტარი და ყოველს დღეს დილის რვა საათიდან საღამოს ექვს საათამდე ზემლემერს უკან დავსდევთ“, 9 ნოემბრისა (გვ. 194): „მელქისედეკის წილობამ და ჩვენმა წილობამ მამულებზედ წილი ვყარეთ“, 13 ნოემბრისა (გვ. 195): „ეხლა ტყესა ვყოფთ ერთმანეთში“, 25 ნოემბრისა (გვ. 196): „ახლა სახნავის გაყოფაზედა არის საქმე“ და 29 ნოემბრისა (გვ. 197): „ლამის ჩვენი „მეჟევანიე“ გათავდეს“.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ჭავჭავაძეთა მამულების აღწერისა და გაყოფის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები. ისინი 1884 წელს აუღია ილიას ნათესავს, ხსენებული მიწების ერთ-ერთ მესაკუთრეს - სოფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძეს,

რომელიც საბუთებში გარდაცვლილი მეუღლის გვარით - ბოგდანოვა-კასინსკიდ მოიხსენიება.¹ იხ. „ჭავჭავაძეების საკუთრებაში მყოფი ყვარლის აგარაკის აღწერისა და დახარისხების ოქმი“ (1878 წლის 1 ნოემბერი), „ილია ჭავჭავაძესა და სხვა თანამესაკუთრეთა შორის ყვარლის აგარაკის გაყოფის ოქმი“ (1878 წლის 14 ნოემბერი), „ილია ჭავჭავაძესა და სხვა თანამესაკუთრეთა შორის ყვარლის აგარაკის ტყის გამიჯვნის მორიგების სააღწერო ფურცელი“ (1878 წლის 16 ნოემბერი), და „თბილისის სასამართლო პალატის მიერ ილია ჭავჭავაძისა და მისი ყოფილი თანამესაკუთრეებისათვის მიწების დაკანონების დადგენილება“ (1878 წლის 29 ნოემბერი), რომელთა მიხედვითაც, ეს გაყოფა მოხდა 1878 წლის ნოემბრის პირველიდან 29-ის ჩათვლით და თითოეულ საბუთში დადასტურებულია, რომ ამ პროცესს ფიზიკურად ესწრებოდა ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე. შესაბამისად, ხუთივე წერილი დათარიღებული უნდა იყოს 1878 (და არა 1875) წლით.

ოცტომეულში უთარილოთა განყოფილებაშია დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის 16 სექტემბრის წერილი მეუღლისადმი (გვ. 230), რომელშიც სთხოვს, რომ მეორე დღისთვის ფაეტონი გაგზავნოს ავჭალაში ლიზას და მაკოს საგურამოში წასაყვანად. ამავე წერილში ნახსენებია, რომ სამშაბათი არის 22 სექტემბერი. კვირის დღისა და თარიღის დამთხვევის მიხედვით, წერილი შეიძლება დაწერილი იყოს 1881, 1887 ან 1892 წლებში. ტექსტში ნახსენები ილიას დისშვილი მაკო აფხაზი 1884 წელს გათხოვდა, 1894 წლის 21 მაისს კი გარდაიცვალა. სხვა წერილებიდან ვიცით, რომ 1878 წლიდან გათხოვებამდე იგი დიდხანს ცხოვრობდა ილიასთან და ოლღასთან საგურამოში და იქიდან თბილისშიც ჩადიოდა ხოლმე. შესაბამისად, ყველაზე ლოგიკურია, რომ ეს იყოს 1881 წლის 16 სექტემბერი.

1. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, N9599, N9608, N9615, N9602, N9603.

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს რამდენიმე გარემოება: ბანკში და გაზეთში სამსახურის პერიოდში, სანამ მეუღლეს თბილისში გადმოიყვანდა, ილია ჭავჭავაძე საგურამოში ყოველთვის შაბათ-კვირას ადიოდა. 16 სექტემბერს, ოთხშაბათს გაგზავნილ წერილში კი ნათქვამია, ორშაბათს, ანუ 21 სექტემბერს ამოვალ შუადღის მატარებლითო. სავარაუდოდ, ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ 1881 წელს ამ დროს თბილისში ტარდებოდა არქეოლოგთა სხდომები და მათ ილიაც ესწრებოდა. 16 სექტემბერს, როგორც ჩანს, მას ჯერ გადაწყვეტილი არ ჰქონდა სხდომის მონაწილეთა თავისთან მიწვევა და თბილისში მყოფი ლიზა და მაკოც, ჩვეულებრივ, ფაეტონით აპირებდნენ საგურამოში ასვლას 17-ში, მაგრამ, როგორც ჩანს იმის გამო, რომ 19 რიცხვისთვის ანა მუსხელიშვილისამ და პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა გადაწყვიტეს საგურამოს სწევოდნენ, გეგმები შეიცვალა და მაკოც მათ გაჰყვა შარაბნით (იხ.: 18 სექტემბრის წერილი). 19 სექტემბრის წერილიდან ჩანს, რომ იმ დროს ის უკვე საგურამოშია.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი დამთხვევა: 16 სექტემბრის წერილში ილია მეუღლეს უთვლის, რომ წინამურში რთველი 22 სექტემბერს დაინყონ, 1881 წლის 19 სექტემბრის წერილში კი, რომლითაც აცნობებს, რომ ხუთშაბათ საღამომდე (24 სექტემბრამდე) ვერ ჩავა, სთხოვს, მისწეროს „წინამურში ღვინო რა დადგა“. ამდენად, ბარათზე მიწერილი თარიღი - 16 სექტემბერი 1881 წელს უნდა შეესაბამებოდეს.

ოცტომეულში 1881 წლით არის დათარიღებული ილიას ორი წერილი ოლღასადმი (ტ. 18, გვ. 203, 204), რომლებშიც საგურამოში პროფესორ დავით ჩუბინაშვილის მოსალოდნელ სტუმრობაზეა საუბარი. წერილების კორპუსულმა კვლევამ საშუალება მოგვცა, დაგვეზუსტებინა მათი თარიღები. პირველი წერილიდან, რომელიც შაბათ დღეს არის დაწერილი (იხ.: „ხვალ, ესე იგი, კვირას საღამოსთვის“), ვიგებთ, რომ იმ დღეს ილია უნდა ასულიყო საგურამოში, მაგრამ არქეოლოგების საპატივცემულო წვეულება, რომელიც კვირას ჰქონ-

დათ დაგეგმილი, ორშაბათისთვის გადაიდო, ამ წვეულების სამზადისში იყო და ველარ წავიდა. არქეოლოგთა ყრილობა თბილისში ტარდებოდა 1881 წლის 8-დან 21 სექტემბრამდე. ამ ინტერვალში ორშაბათი დღე უწევს 14 და 21 სექტემბერს. რამდენადაც 14 სექტემბერი ყრილობის სამუშაო დღე იყო, 21 კი - მისი დახურვის დღე, ლოგიკურია, რომ ბანკეტი ბოლო დღეს დაენიშნათ. შესაბამისად, ილიას ეს ბარათი დაწერილი უნდა იყოს 19 სექტემბერს. რაც შეეხება მეორე წერილს, რომელიც აკადემიურ გამოცემაში ამის შემდეგ არის მოთავსებული, ის ქრონოლოგიურად უფრო ადრე უნდა იყოს დაწერილი. ეს არის სწორედ ის ბარათი, რომლითაც ილია ატყობინებდა ოლლას, რომ შაბათს ანა ლოლობერიძე მუსხელიშვილისასთან, პროფესორ ჩუბინაშვილთან და მაკოსთან (ილიას დისწული) ერთად აპირებდა საგურამოში ასვლას, და რაც გადაიფიქრა. ეს ბარათი პარასკევს არის დაწერილი (იხ. „ხვალ, ესე იგი, შაბათს“) და მას პირობითად ვათარილებთ 1881 წლის 18 სექტემბრით. რაც შეეხება შეხვედრის ორშაბათისთვის გადადებას, როგორც ჩანს, ბოლოს გეგმა ისევ შეიცვალა და შეხვედრა შაბათს, 19 სექტემბერს, ჩატარდა, როგორც ადრე იგეგმებოდა. ამის შესახებ ვრცელი ინფორმაცია დაიბეჭდა 20 სექტემბრის გაზეთ „დროებაში“.

ოცტომეულში უთარილოების განყოფილებაშია დაბეჭდილი წერილი (გვ. 235), რომელშიც ვკითხულობთ: „ველიკი კნიაზთან უნდა მივიდე ხვალზევით გამოსაცხადებლად“. ველიკი კნიაზს უწოდებდნენ 1862-1881 წლებში კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვს. ასე იხსენიება იგი ილია ჭავჭავაძის სხვა წერილებშიც (1864 წ. 22 მაისი, 2 ივნისი; 1874 წ. 8 იანვარი, 30 ოქტომბერი, 1884 წ. 21 იანვარი). უთარილო ბარათში გამოყენებული სიტყვა „გამოსაცხადებლად“ გვაფიქრებინებს, რომ მწერალი იმ დროს სახელმწიფო სამსახურში უნდა ყოფილიყო. ეს ფაქტი ბარათის დაწერის ინტერვალს შემოსაზღვრავს 1864-1873 წლებით, მაგრამ ტექსტის შინაარსის შედარება ჩვენ მიერ 1864 წლის 4-8 ნოემბრით დათარიღებულ მეუღლისთვის ქუთაისში გაგზავნილ

წერილთან, მისი დაწერის დროის კიდევ უფრო დაკონკრეტების საშუალებას ვვაძლევს.

4-8 ნოემბრის წერილიდან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე უკვე თბილისში იყო, ოღლა მის გარეშე უნდა გამომგზავრებულყო ქუთაისიდან და ამის გამო ძალიან ნუხდა („ძალიანაც ვნუხვარ, რომ... შენ უჩემოდ უნდა წამოხვიდე“; „შენ და დიმიტრი, ბიჭები და გოგო, ტარანტასით წამოდიო“). ის ფაქტი, რომ წერილში ორჯერ მეორდება თხოვნა, დეპეშით აცნობოს გამგზავრების დრო („შემატყობინე დეპეშით, როდის წამოხვალ“; „დეპეშით შემატყობინე მაშინვე წამოსვლა შენი“), გვაფიქრებინებს, რომ ილია ჭავჭავაძე მეუღლის დახვედრას აპირებდა.

განსახილველი უთარილო ბარათიდან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე აპირებს მეუღლის დახვედრას მცხეთაში („მე მცხეთის სტანციაში გელი დღესა და ხვალ“). ოღლა დასავლეთ საქართველოდან უნდა მოემგზავრებოდეს თბილისისკენ, რადგან მცხეთაში მისვლამდე გორი უნდა გაიაროს („თუ დღეს ან ხვალ გორის სტანციაში მოხვიდე, აქ, მცხეთაში ჩამომისწრობ“; „თუ თექვსმეტს მოხვედი გორს, ტელეგრაფით მაცნობე ქალაქს“).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ოღლა მეუღლის გარეშე იშვიათად მოგზაურობდა ხოლმე (მხოლოდ ბაქოში იყო ორჯერ თავის დასთან და იქიდან წამოსულს გორის გავლა არ დასჭირდებოდა), უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მოკლე ბარათშიც 1864 წელს მის ქუთაისიდან გამომგზავრებაზეა საუბარი. ემთხვევა ისიც, რომ უთარილო ბარათის მიხედვით, უკვე სიცოცხეები უნდა იყოს დაწყებული („თუ გიყვარდე, თავს გაუფრთხილდი, არ გაჰსცივდე“), ქუთაისიდან კი ოღლა ნოემბერში მოემგზავრებოდა. ასევე საგულისხმოა, რომ სიტყვას „გამოცხადდა“ უფრო ხშირად ხმარობენ ადამიანის მიერ სამსახურის დაწყებისას. ესეც მიგვანიშნებს 1864 წლის ნოემბერზე, როდესაც ილია ჭავჭავაძემ დაიწყო მომრიგებელ შუამავლად სამსახური. რამდენადაც წერილიდან ჩანს, რომ იმ თვის 16 რიცხვი, როცა ბარათი არის დაწერილი, ჯერ არ დამდგა-

რა, ოღლა კი ქუთაისიდან ნოემბრის პირველ ნახევარში უნდა გამომგზავრებულყო, ტექსტს ვათარილებთ 1864 წლის 16 ნოემბრამდე პერიოდით.

ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებაში ილია ჭავჭავაძის შესახებ ვკითხულობთ: „როგორც კი ამოიკითხავდა გაზეთში ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოღების შესახებ, უსათუოდ გამოინერდა...“. ილიას ამ მისწრაფებას ეხმიანება დაუთარილებელი წერილების მთელი სერია, რომლებშიც „მაშინებზეა“ საუბარი.

მეუღლისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილს (ტ. 18, გვ. 199, 200), რომელშიც ილია ჭავჭავაძე უხსნის წინა დღეს მისი ჩაუსვლელობის მიზეზს და აძლევს დარიგებას მეურნეობასთან დაკავშირებით („მომწერე, მაშინა მოიტანეს მუხრანიდამ თუ არა. თუ მოიტანეს, სადა მუშაობს. სტაროსელსკის რომ გაუთავონ, მერე გულამვილი თხოულობს. აქაც მეხვეწებიან, სადახლოში წავილოთო, მაგრამ ვერა ვბედავ...“) აწერია თარიღი და კვირის დღე - „23 ღვინობისთვე, შაბათი“, მაგრამ არ არის მითითებული წელი. თხზულებათა ოცტომეულის მე-18 ტომში იგი დათარიღებულია 1870-იანი წლებით, მაგრამ არგუმენტი ბუნდოვანია და წყარო არ არის დაზუსტებული. იმთავითვე ცხადი იყო, რომ წერილის დათარიღებაში გარკვეული დახმარების განევა შეეძლო რიცხვთან და თვესთან ერთად კვირის დღის მინიშნებას, მაგრამ, რამდენადაც ვიცოდით, რომ ასეთი დამთხვევა შეიძლება ხუთ წელიწადში ერთხელ გამეორდეს, შევეცადეთ, რომ ვიდრე წლის დასადგენად მუდმივ კალენდარს მივმართავდით, ცოტათი მაინც შეგვევიწროებინა წერილის დაწერის სავარაუდო დროითი ინტერვალი.

ტექსტის მიხედვით ჩანს, რომ თადეოზ გურამიშვილი უკვე გარდაცვლილია და საგურამოს მამულის პატრონობა ილიას აქვს ჩაბარებული („წინამურის დუქანთან ორი მუხის ხეა, ძალიან კარგია, თურმე, კოპიტებისათვის...“ „ჯერ არ დაათესინო...“ და სხვ. გვ. 199). თადეოზი გარდაიცვალა 1875 წელს. წერილის შინაარსიდან გამომდინარე, საწყისი თარი-

ლის კიდევ უფრო გადაწვევაც გახდა შესაძლებელი. 1878 წლის ნოემბრის ბოლოს, ყვარელში მამულების გაყოფას რომ ამთავრებდნენ, ილიამ ოლლას მისწერა, რომ მის დისშვილს - მაკო აფხაზს ილიას და - ნინო საგურამოში გაუშვებდა, თუ ოლლა თანახმა იქნებოდა, რომ მაკო მასთან დარჩენილიყო (ტ. 18, გვ. 198). რადგან ბარათის ბოლოს ილია წერს: „გაკოცებ შენცა და მაკოსაც“, ჩანს, რომ მისი დისშვილი უკვე საგურამოშია და, შესაბამისად, ეს ბარათი 1878 წლის ნოემბრის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

მაკოს საგურამოში ყოფნა მეორე ზღვრული თარიღის განსაზღვრაშიც დაგვეხმარა. 1884 წლის 19 თებერვალს ილიას მიერ ოლლასათვის პეტერბურგიდან გაგზავნილ წერილში მაკო უკვე გათხოვილი ჩანს („ძალიან მეამა მაკოს გათხოვება და კაი კაცთან შეერთება” - ტ. 18, გვ. 210). შესაბამისად, ეს ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1878 წლის ნოემბრის ბოლოდან 1884 წლის 19 თებერვლამდე, ხოლო, რადგან დროის ამ ინტერვალში 23 ოქტომბერი შაბათ დღეს ემთხვევა მხოლოდ 1882 წელს, შესაბამისად, წერილის თარიღი - 23 ოქტომბერი 1882 წელს გულისხმობს.

მეუღლისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში (გვ. 240) ილია მას ემადლიერება, რომ დროულად გაუგზავნა „მაშინის ფული” და სწერს, რომ სამკალ მანქანას მეორე დღეს გაგზავნის საგურამოში. 1882 წლის „ივერიის” ივლის-აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ შინაურ მიმოხილვაში, სადაც ილია ვინაობის გაუმხელელად წერს თავის მეურნეობაზე, ნათქვამია, რომ იმ წელს ანონიმმა მემამულემ, რომელსაც თბილისის ახლოს ჰქონდა მამული, ახალი მანქანით მომკა არა მხოლოდ თავისი ყანები, არამედ მოუშკო ახლომახლო სოფლების გლეხებსაც და თან ბევრად უფრო იაფად, ვიდრე მათ ჩვეულებრივ უჯდებოდათ. შესაბამისად, მანქანა 1882 წლის ივლისის დასაწყისშივე უნდა ჰქონოდა მას, რომ ამდენის მომკა მოესწრო, პირადი ბარათი კი ამ წლის ივლისამდე უნდა იყოს დაწერილი.

მეორე წერილში (გვ. 217-218) ილია ჭავჭავაძე მეუღლეს ატყობინებს, რომ მათ მიერ გამონერილი მარცვლეულის სალენი მანქანა 24 ივლისს გამოუგზავნიათ ოდესიდან. თუ გავითვალისწინებთ, რომ საგურამოში მყოფ ოლლას იგი, თუ თავადაც იქ არ იყო, რეგულარულად ეხმიანებოდა, ბარათი მანქანის გამოგზავნის შესახებ შეტყობინების მიღებიდან მალევე იქნება დანერილი, სავარაუდოდ, ივლისის ბოლოს.

ამავე წერილიდან ჩანს, რომ ილიას იმ დროს მექანიკური გუთანიც ჰქონია: „რა წამსაც გუთანი მოვიდეს, მეორე დღესვე გაგზავნე სახნავად... უბძანე ხოსეს, რომ ეკიპაჟის მაზი დღეში ორჯერ წაუსოს ხოლმე გუთვნის თვლებსა, თორემ ღერძს მოსჭამს ერთის დღის განმავლობაში“. ბარათში ნახსენებია სალენი მანქანის მწარმოებლის - ჯონ პიტის სახელი („ჯონ პიტის მაშინისტსაც მიგზავნის“) და ჩანს, თუ რა იმედებს ამყარებდა ილია ამ ტექნიკაზე: („ჩემო ოლიკო, თუ გავხდებით ამით რასმეს, ხომ რა კარგი, თუ არა, ნება ღვთისა აღსრულდეს...“).

ბარათის დანერის წლის დადგენაში დაგვეხმარა ჟურნალ „ივერიის“ 1882 წლის ივლის-აგვისტოს ნომერში ილია ჭავჭავაძის მიერ ხელმოუწერლად დაბეჭდილი იგივე „შინაური მიმოხილვა“, რომელშიც ის მესამე პირში მოგვითხრობს თბილისთან ახლოს მცხოვრებ მემამულეზე, რომელსაც თავის მეურნეობაში, გარდა იმისა, რომ მექანიკური გუთანი და სამკალი მანქანა ჰქონდა, დღე-დღეზე ელოდებოდა მარცვლეულის სალენი მანქანის ჩამოტანას: „იმ ზემოხსენებულს მემამულეს დაუბარებია სალენი მაშინა, ას ორმოცდაათ თუმნამდე უჯდება. ამასთანავე, ადგილიდამვე მემამუნიეც მოუწვევია და დღე-დღეზედ მოელის ერთსაც და მეორესაც“. წერილში ისეთი დეტალებია განხილული (როგორ გაერკვნენ გლეხები გუთნის სხვადასხვა ნაწილის ფუნქციებში, რა დამოკიდებულება ჰქონდათ თავდაპირველად ამ ტექნიკისადმი და როგორ შეეცვალათ განწყობა მას შემდეგ, რაც ისინი მოქმედებაში ნახეს), ამკარად ჩანს, რომ ილია თავისსავე მამულზე წერს. ეს სტატია ჟურნალ „ივერიის“ 1882 წლის ივლის-აგვისტოს

ნომერში გამოქვეყნდა. მანქანა ოდესიდან 1882 წლის 24 ივლისს გამოუგზავნიათ, შესაბამისად, ოლლასათვის მიწერილი ბარათი კი 1882 წლის ივლისის ბოლოს უნდა იყოს დაწერილი.

სალენი მანქანის შექმნის დროის დადგენა დაგვეხმარა კიდევ ერთი წერილის დათარიღებაში, რომელიც მე-18 ტომში უთარიღობის განყოფილებაშია დაბეჭდილი (გვ. 243). მასში ვკითხულობთ: „მომწერე, მაშინა ჩვენი როგორა ჰლენავს“. რადგან მანქანა ივლისის ბოლოს უკვე ჩამოსული იქნებოდა, ეს ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1882 წლის ივლისის შემდეგ.

ერთ-ერთ წერილში (ტ. 18. გვ. 240) ილია მეუღლეს აცობინებს, რომ მოჭრილი ხეების ანგარიში არასწორად იყო შედგენილი („არ ვიცი, როგორ დაჰსთვალეს. იქნება ერთი ხე სამათ არის გადახერხილი და სამად დათვალეს, მაშინ, როდესაც სამად გაჭრილი ხე ერთს ხედ უნდა ჩათვლილიყო. ამას გარდა, რაც წვრილი ხეა, არ უნდა დაეთვალათ.“). იმისათვის, რომ ანგარიში სწორად აწარმოოს, საზომს უგზავნის „ივანოვიჩს“ და მოურავ დათიას ავალებს, რომ თავადაც დათვალოს და ისე გაუგზავნოს ანგარიში.

წერილი უთარიღოა, მაგრამ მასში აღწერილი მოვლენები ეხმიანება ზემოთ ჩვენ მიერ დათარიღებული 1882 წლის ივლისის ბოლოს გაგზავნილი წერილისას, რომელშიც ივან ივანოვიჩს ავალებს ანგარიშის ჩაბარებას (გვ. 218) და რომლის ბოლოშიც არის ერთგვარი მინიშნება იმაზე, რომ მის დათხოვნას აპირებდეს: „ივან ივანოვიჩს კი ნუ ეტყვი და ჯონ პიტსი მაშინისტსაც მიგზავნის“. სავარაუდოდ, ივან ივანოვიჩს იმედი ჰქონდა, რომ სალენ მანქანაზე იმუშავებდა, მაგრამ, როგორც ხეების არასწორი დაანგარიშებიდან ჩანს, არ იყო სანდო მუშა და დაითხოვეს. იმავე წლის 23 ოქტომბრის წერილში ივან ივანოვიჩს ნაცვლად ილია ახსენებს ვილაც „ახალ რუსს“: „მაგ ახალ რუსისთვის უნდა ჩამოეტანათ ტყის მასალა, ჩამოუტანეს თუ არ ჩამოუტანიათ... უბძანე ტარკა გამართოს... მაგ ახალს რუსს უბძანე, გააკეთოს უსათუოდ ჩემს მოსვლამდე.

საჭირო მასალა ტყისა მოატანე” (გვ.199-200). შესაბამისად, ეს წერილი ივლისზე გვიან უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ არა დიდი ხნის შემდეგ. შესაბამისად, მას აგვისტოს პირველი ნახევრით ვათარილებთ.

კიდევ ერთი წერილი (ტ. 18, გვ. 215, 216) შინაარსობრივ კავშირშია 1882 წლის ივლისის ბოლოს (გვ. 217-218) დაწერილ ბარათთან. ორივეგან არის საუბარი ხე-ტყის დამზადებაზე („უბძანე, ყოველივე ღონისძიება იხმაროს, რომ ხეები ჩამოაზიდვინოს... რაც რამ იმედია, რომ კუტრობიდამ გამოვალთ, ეგ შეშების იმედია... დათიასაც ჩასჩიჩინე ყოველ წუთს და ყოველ წამს, რომ ხეები აზიდვინოს” / „თუ საქონელი და ბიჭები გუთანს გადარჩენენ, ტყიდან ხეები აზიდვინე”, ორივეგან არიან ნახსენები დისწული მაკო და ხელოსანი იოსება, მაგრამ ივან ივანიჩი ამ წერილში უკვე არ ჩანს. თანმიმდევრობის თვალსაზრისით ეს ბარათი უფრო გვიანდელია, რადგან პირველში საუბარია საქათმის დახურვაზე („რაც ფიცარი მორჩება ბალკონის ქერს, შეანახვინე, რომ საქათმე დაეხუროთ...”), მეორეში კი, როგორც ჩანს, საქათმე დახურული აქვთ, რადგან უკვე საუბარია მის შიგნიდან მოწყობაზე - ქანდარების გაკეთებაზე („საქათმეში ქანდარები გააკეთებინე, რომ ქათმებს დასასხდომი ჰქონდეთ) და თან ქათმები უკვე ნაყიდი ჰყავთ („ქათმები ვიყიდე, მაგრამ გაფრთხილება უნდა, იპარვენ”).

წერილი კიდევ უფრო ახლო შინაარსობრივ კავშირშია 1882 წლის 23 ოქტომბრის ბარათთან. წინამდებარე წერილში ნათქვამია, რომ მოურავის - დავით ციციშვილის დათხოვნას აპირებს, 23 ოქტომბრისაში კი უკვე ჩანს მოურავის ახალი კანდიდატურა: „დღეს საღამოზედ უნდა მომიყვანონ ერთი სანაქებო სამოურავო კაცი, ნასწავლი და მცოდნე... თუ ახალს მოურავს მოვურიგდი, იმასაც ამოვიყვან და ამიტომ ერთი ცხენი იმისთვისაც გამოგზავნე” (გვ.199). წინამდებარე ბარათის მიხედვით „იოსება რუსი” წასვლას აპირებდა: „თუ იოსება წავიდა, დავრჩები უპოვოსკებოდ და შეშას ველარ ჩამოვიტანთ და მაგოდენა ხარჯი ტყუილად ჩაგვივლის”, 23 ოქ-

ტომბრის ბარათის მიხედვით კი ეს იოსება წასულა და ილიას ისევ მოუბრუნებია: „ხვალ იოსება რუსი მანდ მოვა: ისევ დავიჭირე ორ თუმნად თვეში...“ (გვ. 200). შესაბამისად, ბარათი აგვისტოდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე ინტერვალშია დაწერილი, მაგრამ, რამდენადაც შინაარსის მიხედვით ის 23 ოქტომბრის წერილთან მეტ სიახლოვეს ავლენს, ვათარილბთ 1882 წლის ოქტომბრის დასაწყისით.

თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-18 ტომში 1884 წლამდე პერიოდით არის დათარიღებული მეუღლისთვის მიწერილი ბარათი (გვ. 217), რომელიც თბილისიდან საგურამოშია გაგზავნილი ილიას დისწულის - მაკო აფხაზის იქ ყოფნის პერიოდში (1878 წ. ნოემბრის შემდეგ). 1884 წლის 19 თებერვალს მაკო გათხოვდა და, ბუნებრივია, მეუღლესთან გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ, რამდენადაც წერილის მიხედვით იგი შემოდგომაზეა დაწერილი („მომწერე, რთველს როდის აპირებ“), ბარათს ვათარილბთ 1878 წლის ნოემბრიდან 1883 წლის ნოემბრის ჩათვლით.

ოცტომეულში 1884 წლამდე პერიოდით არის დათარიღებული მეუღლისთვის გაგზავნილი წერილი (გვ. 217), რომლიდანაც ჩანს, რომ ილიას და - ნინო, სავარაუდოდ, ოჯახის წევრებთან ერთად, თბილისშია. როგორც ჩანს, რომელიღაც მათგანს უავადმყოფია („იქნება შაბათს თვითონ ესენიც ჩამოვიდნენ საგურამოს, რადგანაც ექიმს ურჩევნია, ჰაერი გამოიცვალოს. ნინო კარგად არის“). ილია მეუღლეს ურჩევს, რომ არ იჩქაროს მათ სანახავად თბილისში ჩასვლა, რადგან შაბათს ან ისინი თავად ავლენ საგურამოში, ან თავად ააკითხავს ჩამოსაყვანად. რამდენადაც ილიას და - ნინო ჭავჭავაძე-აფხაზი გარდაიცვალა 1883 წლის 28 დეკემბერს, წერილი უნდა დავათარილოთ 1883 წლის 28 დეკემბრამდე პერიოდით.

ოცტომეულში 1870-იანი წლებით არის დათარიღებული ბარათი (გვ. 198), რომელსაც „13 ივნისი“ აწერია. შინაარსიდან გამომდინარე, იგი თბილისიდან საგურამოში უნდა იყოს გაგზავნილი („დილის პოეზდისთვის სამი შეკაზმული ცხენი

გამოგზავნეთ ავჭალაში“) იქაურ მამულში დავით ციციშვილის მოურავობის დროს. ეს გვაძლევს საშუალებას, დროითი ინტერვალი 1875-1887 წლებით შემოვსაზღვროთ. რამდენადაც წერილს აწერია 13 ივნისი, ტექსტში კი არის ფრაზა „ხვალ, ესე იგი, ხუთშაბათს“, მისი დანერის წელს 14 ივნისი უნდა დამთხვეოდა ხუთშაბათს. ზემოხსენებულ ინტერვალში ასეთი თანხვედრა გვხვდება 1879 და 1884 წლებში. 1879 წელს ილია და ოლლა ძირითადად ერთად იმყოფებოდნენ თბილისში და ამის გამო თბილისიდან საგურამოში მეუღლისთვის გაგზავნილი წერილებიც არ გვხვდება, ხოლო 1884 წელს საგურამოს მეურნეობას ოლლა უწევდა მეთვალყურეობას, ილია ჭავჭავაძე კი სამუშაო დღეებში თბილისში იმყოფებოდა. შესაბამისად, ბარათს ვათარილებთ 1884 წლის 13 ივნისით.

ორი წერილი, რომელთაგან ოცტომეულში ერთი 1901 წლით არის დათარიღებული (გვ. 224-225), მეორე კი უთარიღობშია დაბეჭდილი (გვ. 236), აშკარად ერთ პერიოდშია დაწერილი და ასეთივე თანმიმდევრობით. პირველ წერილში ნათქვამია, რომ ილია ჭავჭავაძე მოლაპარაკებას აწარმოებს ზუბალაშვილთან სახლის თაობაზე („მგონია, ზუბალოვის სახლებზედ მოვრიგდეთ და თუ მოვრიგდები, შენც ჩამოგიყვან, რომ დავბინავდეთ“), მეორეში ვკითხულობთ: „ზუბალოვთან საქმე გავაკეთე: ოცს ამ თვეს გადავალთ და შენც ჩამოხვალ, რომ გადავიდეთ“. პირველ წერილში ვრცლად არის საუბარი იმაზე, რომ ვასილ მაჩაბელი ბავშვის ნათლობას აპირებს, მეორე წერილში კი ვკითხულობთ: „მე ეს-ეს არის მივდივარ მაჩაბლისას“. პირველი წერილი 1901 წლით, როგორც ჩანს, იმიტომ დაათარიღეს, რომ მასში ნახსენებია საზღვარგარეთ წასვლა „თუ ცოცხლები ვიქნებით, კულავ სამზღვარგარედ წავიდეთ, რომ შენც ინამლო და მეც“. „კულავ გაზაფხულზედ ვახსენოთ ღმერთი და სამზღვარგარეთ წავიდეთ. მეც, ხომ იცი, ავადა ვარ და წამლობა მინდა“, „რაკი ეგრეა და ყურთა სმენის საქმე ეგრე განუხებს, მეტი გზა აღარ არის, კულავ გაზაფხულზედ ვახსენოთ ღმერთი და სამ-

ზღვარგარეთ წავიდეთ“. როგორც ვხედავთ, სამივე წინადადებაში მეორდება ერთი და იგივე სიტყვა „კულავ“, რომელიც თანამედროვე ქართულში გამოიყენება მნიშვნელობით „ისევ“. როგორც ჩანს, ამ მნიშვნელობით აღიქვეს იგი მეცნიერებმა და, რამდენადაც ილია ჭავჭავაძე და მისი მეუღლე საზღვარგარეთ 1900 წელს იყვნენ, ჩათვალეს, რომ იქ ისევ ნასვლაზე, 1901 წელს შეიძლებოდა ესაუბრათ.

რამდენადაც ამ წერილებში არის რამდენიმე რეალია, რომლებიც არ ესადაგება 1901 წელს, გადავწყვიტეთ დავკვირვებოდით, რა მნიშვნელობით იყენებს ილია სიტყვას „კულავ“ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ იგი მას იყენებს მნიშვნელობით „მომავალში“, „მომავალ“. „კულავ სამზღვარგარედ წავიდე“ ნიშნავს: მომავალში საზღვარგარეთ წავიდეთ, „კულავ გაზაფხულზედ“ - მომავალ გაზაფხულზე. მოვიხმობთ ამ სიტყვის გამოყენების მაგალითებს მისი სხვა პირადი წერილებიდან: „არა უშავს რა, თუ წელს არ მოვიგეთ, კულავ კი 200.000 მანეთი ჯიბეშია“ (მნიშვნელობით „მომავალში“). „კულავ თიბათვეს ის კურსს დაასრულებს და უნდა აქავ სამსახურში შევიდეს, რომ აკადემიისათვის მოემზადოს“ (ნიშნავს „მომავალ თიბათვეს“), „მე ვერა ვარ კარგად, ჩემი სიმრთელეც ძალიან დაშლილია. თუ ღმერთმა ბოლო არ მამილო, კულავ ამ დროს დავბრუნდები შინ კურს გათავებული (ნიშნავს „მომავალი წლის ამ დროს“). შესაბამისად, ის რეალია, რაც გვაფიქრებინებდა, რომ წერილი 1901 წელს არის დაწერილი, გამოირიცხა. დაგვრჩა ორსავე წერილში არსებული შეთანხმება ზუბალაშვილთან და ვასილ მაჩაბლის შვილის ნათლობა.

ვასილ მაჩაბელს პირველი შვილი - გიორგი 1885 წელს შეეძინა. შესაბამისად, წერილების დაწერის თარიღი ამ წლიდან არის სავარაუდო. მეორე წერილში ნახსენებია ჟურნალი „Изыщная литература“, რომელიც 1883-1885 წლებში გამოდიოდა და ნაკლებ სავარაუდოა, რომ ილია ჭავჭავაძეს მეუღლისთვის ჟურნალის რამდენიმე წლის წინ გამოსული ნომერი გაეგზავნა. შესაბამისად, ეს შეიძლება მაჩაბლის სწორედ

პირველი ბავშვის ნათლობა ყოფილიყო. ზემოხსენებული პირველი წერილიდან ჩანს, რომ იმ დროს არტურ ლაისტი საგურამოშია. მართალია, გერმანელი მწერალი 1892 წლიდან საბოლოოდ დასახლდა საქართველოში, მაგრამ მანამდე ბოლოს სწორედ 1885 წლის 5 აგვისტოს ჩამოვიდა და საგურამოში მუშაობდა ქართული პოეზიის თარგმანებზე.

1892 წელს ილია ჭავჭავაძისა და ვასილ მაჩაბლის ურთიერთობა იმდენად დაძაბული იყო, რომ ერთის მიერ მეორის ნათლობაზე მიწვევა ნაკლებ სავარაუდოა. პირველ წერილში ნათქვამია, რომ ვასილ მაჩაბელმა ნათლობაზე ქალებიდან მხოლოდ ელისაბედ საგინაშვილი დაპატიჟა („მარტო ჩემი და ლიზა მიუწვევია“). ალექსანდრე საგინაშვილი რომ იმ დროს ცოცხალი არ ყოფილიყო, ქვრივი ელისაბედის დაპატიჟება წვეულებაზე, სადაც ძირითადად მამაკაცები იყვნენ მიწვეულები, გასაკვირი იქნებოდა. ალექსანდრე საგინაშვილი კი გარდაიცვალა 1887 წლის აპრილში. ეს ფაქტიც მხარს უჭერს წერილის დათარიღებას 1885 წლით.

რაც შეეხება ზუბალაშვილთან მოლაპარაკებას სახლის თაობაზე, საუბარია ახალ-ბებუთოვის (ამჟამად ასათიანის) ქუჩაზე მდებარე სახლზე. ეს მისამართი უკვე მითითებულია ჟურნალ „ივერიის“ 1884 წლის ნოემბერ-დეკემბრის ნომერზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ილია და ოლღა ბინადაც მაშინვე იქ უნდა ყოფილიყვნენ, იმის შესახებ კი არაერთი მოგონება არსებობს, რომ 1885 წლის დასასრულს და ახალი წლის დადგომას ნამდვილად იქ შეხვდნენ. რამდენადაც არტურ ლაისტი საქართველოში 1885 წლის 5 აგვისტოს ჩამოვიდა, ორივე ბართი დაწერილი უნდა იყოს ამ თარიღის შემდეგ.

ერთ-ერთ უთარილო წერილში (გვ. 245), ჩანს, რომ სახლის გადახურვა ილია ჭავჭავაძეს ახალგადაწყვეტილი აქვს და ეძებს ხელოსანს. იგი მეუღლეს სწერს: წინამძღვაროვის სოფელში, საყდარსა ჰხურავენ ჟესტსა. ჩამოაყვანიე კროველჩიკი, ერთი ჩვენი კრიშა გასინჯონ და, სად რა მოუხდება, დაწეროს და შემატყობინოს“. მეორე უთარილო წერილიდან კი ჩანს, რომ სახლის გადასახურავ მასალას აგზავნის საგუ-

რამოში (გვ. 241-242), რაც, სავარაუდოდ, სწორედ ზემოხსენებული „კროველჩიკის“ მიერ იქნებოდა დაანგარიშებული. წინამძღვრიანთკარის უძველესი ეკლესიები თუნუქით („ჟემტით“) არ არის დახურული, მაგრამ ეს მასალა, სავარაუდოდ, გამოყენებული იქნებოდა 1887 წელს ილია წინამძღვრისშვილის მიერ გახსნილი სკოლის ეზოში აშენებული ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ქვის ეკლესიის გადასახურად. რამდენადაც ეკლესიის კურთხევა ჩატარდა 17 მაისს, ბარათი, რომელშიც მისი გადახურვაა ნახსენები, 1887 წლის 17 მაისამდე უნდა იყოს დაწერილი, მეორე კი - 17 მაისის შემდეგ, როდესაც ხელოსანს უკვე დამთავრებული ექნებოდა მასზე მუშაობა და შეძლებდა საგურამოს სახლის გადახურვაზე ემუშავა.

სავარაუდოდ, ამავე პერიოდში, ამ ბარათებს შორის უნდა იყოს დაწერილი კიდევ ერთი წერილი (გვ. 254-255), რომლიდანაც ჩანს, რომ სახურავების ხელოსნისგან მწერალს ჯერ არ ჩამოსვლია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის მასალა და რამდენი დასჭირდებოდა მისი სახლის გადახურვას („ძალიან კარგი იქნება, რომ კროველჩიკის ამბავიც ჩამომიტანოს, რას იტყვის, რის გაკეთება უნდა კრიშას და რამდენი ჟესტი მოუნდება.“). საგულისხმოა, რომ ამ წერილის შინაარსი ეხმიანება ჩვენ მიერ 1887 წლის 17 მაისის შემდგომი პერიოდით დათარიღებული ორი ბარათისას („თუ ჟესტი რამ დარჩეს, იქნება კროველჩიკს არაყის ქვაბის ტრუბა გააკეთებინოთ“ (გვ. 241-242).

ამასთან დაკავშირებით ამ ბარათში ვკითხულობთ: „უბძანე მოურავს... შემიტყოს მანდ, ან მცხეთაში კრამიტს და აგურს ვიშოვიო, რომ არაყის სახდელი ქვაბი გავმართოთ და არაყი ვხადოთ“. შინაარსიდან გამომდინარე, ეს ბარათი ზემოხსენებულ ორზე ადრე უნდა იყოს დაწერილი, რადგან მასში არაფერია ნათქვამი ავადმყოფობაზე, რომლის გამოც ილია ველარ ავიდა საგურამოში და არც მისი მეუღლის საგურამოდან გამგზავრებაზე. შესაბამისად, ამ ბარათსაც ვათარიღებთ 1887 წლის 17 მაისის შემდგომი პერიოდით.

ოცტომეულში უთარილოების განყოფილებაშია დაბეჭდილი წერილი (გვ. 241), რომლიდანაც ჩანს, რომ ოლლას დის-შვილმა რუსუდან (რუსია) სტაროსელსკაიამ იმჟამად ავად მყოფ დეიდას რალაც წამალი მოუმზადა და ილია ჭავჭავაძე უგზავნის მას თბილისიდან საგურამოში („გიგზავნი რალაც წამალს, თუ კიდევ გაციებს, რუსიამ გაგიკეთა“). რუსუდან სტაროსელსკაია დაიბადა 1870 წელს. თუ ჩავთვლით, რომ წამლის გასაკეთებლად 15 წლისა მაინც უნდა ყოფილიყო, ბარათი 1885 წლის შემდგომი პერიოდით უნდა დაგვეთარილებინა, მაგრამ ამ ბარათთან შინაარსობრივ სიახლოვეს ამჟღავნებს წერილები (გვ. 241-242 და 254-255), რომლებიც ჩვენ 1887 წლის 17 მაისის შემდგომი პერიოდით დავათარილეთ.

ამ ტექსტში, ისევე, როგორც 17 მაისის შემდგომი პერიოდით დათარილებულში (გვ. 254) საუბარია კომბოსტოს მოსავალზე (შდრ. „კომბოსტოს როგორ უპატრონეთ“ / „უბძანე მოურავს, გამოიკითხოს, სადა ჰდგას ის მედუქნე, რომელსაც კომბოსტო უვაჭრნია, რომ აქ ვიპოვო და მოველაპარაკოთ“) და აქაც, ისევე, როგორც 17 მაისის შემდგომი პერიოდით დათარილებულ მეორე წერილში, არის ნახსენები მებაღე ივანე (შდრ.: „უბძანე მოურავს, რომ ივანე მებაღე გამოგზავნოს აქ, რა წამსაც ამ წიგნს მიიღებს“, „თუ ივანე მებაღე მანდ არ არის, ყარამანას უბძანე, მოსესთან ერთად აქ ჩამოვიდეს“). თანმიმდევრობის თვალსაზრისით მეორე ბარათი (გვ. 241-242) უფრო ადრე ჩანს დაწერილი, ვიდრე მის წინ დაბეჭდილი (გვ. 241). იმ ბარათში, რომელიც უფრო ადრეულად მიგვაჩინია, ითხოვს, მებაღე ჩამოვიდესო, მეორეში კი წერს, თუ მებაღე მანდ არ არის, ყარამანა ჩამოვიდესო; ადრეულში წერს, სახლის გადასახურავ მასალას ვაგზავნიო, მეორეში კი მოურავს ავალეებს სამუშაო იარაღები სხვენში დატოვოს, მეუღლეს კი სთხოვს, რომ აიბარგოს და თბილისში გაემგზავროს. შესაბამისად, ეს უთარილო ბარათიც (გვ. 241) 1887 წლის 17 მაისის შემდგომ არის დაწერილი და თან მეორეზე (გვ. 241-241) უფრო ადრე.

ოცტომეულში უთარილოების განყოფილებაშია დაბეჭდილი ივნისით დათარიღებული წერილი (გვ. 232). ტექსტის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძის სიძე - ალექსანდრე საგინაშვილი დიდი ხნის გარდაცვლილი არ არის („ამ ქალაქს უნდა ლიზამ ხელი მოაწეროს, ძალიან საჭიროა. ესე უნდა მოაწეროს, საცა წითელ კარანდაშით არის დანიშნული: „ქვრივი გენერალ-ლეიტენანტისა ელისაბედ გრიგოლის ასული საგინოვისა“) და, თუმცა ალექსანდრე საგინაშვილი 6 აპრილს გარდაიცვალა და ორმოცი უკვე გავლილია (მას კოდაში, დასაფლავების ადგილას გადაიხდინენ), საგურამოში მის სახელზე კიდევ რაღაც მსახურების, სავარაუდოდ წირვის ჩატარებას („იქით ორშაბადს არქიელი მოდის მანდ“) და საალაპო სუფრის გაშლას აპირებენ („პარასკეებს დილით პოვოსკა, ან ფურგონი ჩამოვიდეს. მზვარეულიც თან გამოატანე, რომ ხორაგი, რაც საჭიროა, იყიდოს და წაიღოს. ხარჯი დიდი მოგვივა, მაგრამ რა გაეწყობა“). შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1887 წლის ივნისში.

რამდენადაც 1877 წელს თბილისში სახლების მშენებლობა ზამთარში მიმდინარეობდა, 1889 წელს კი - ზაფხულში, 1889 წელს უნდა იყოს დაწერილი თბილისიდან საგურამოში ოლღასთვის გაგზავნილი მოკლე უთარილო ბარათი (გვ. 18, გვ. 250), სადაც ნათქვამია: „ლამის ამ სახლებმა თან გამიტანოს ამ სიცხეში, ველარ დავალწიე თავი“. თუ გავითვალისწინებთ, რომ სექტემბერში ეს სახლები უკვე გაქირავებული იყო, ბარათი 1889 წლის ზაფხულში უნდა იყოს დაწერილი.

ილია ჭავჭავაძის მიერ მეუღლისთვის საგურამოში გაგზავნილ ოთხ წერილში, რომელთაგან ოცტომეულში ერთი 1900-იანი წლებით არის დათარიღებული (გვ. 227), სამი კი - უთარილოების განყოფილებაშია დაბეჭდილი (237, 242, 249), იხსენიება დავით ციციშვილი, რომელიც საგურამოს მოურავად მსახურობდა 1875-1887 წლებში¹. ერთ ბარათში ილია უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ მოურავმა დროზე არ ჩაა-

1. იხ.: აქვე, სტატია „პირთა იდენტიფიკაცია“.

კითხვა: „ციციანოვს უთხარი, მაშინა წამოსაღები იყო, გასაკეთებლად იმოდენა ფულს ვაძლევ, თითონ უნდა ჩამოსულიყო და მაშინა ჩაებარებინა; მე რომ მაგისტანაებისათვის მცალოდეს, ხომ მოურავიც საჭირო არ იქნებოდა“, მეორეში ილია მოურავს ორ რამეს ავალებს, ძველი ღვინის გაყიდვას და მეთვალყურეობას, რომ ქვევრები წესრიგში იყოს: „ციციანოვს უბძანე, რომ აქ ღვინოებს არა ყიდულობენ. ნავიდეს მცხეთაში და იქნება იქ გაჰყიდოს... ციციანოვმა გასინჯოს ქვევრები, კარგად არის გარეცხილი თუ არა“, მესამე წერილში მოურავი უკვე სახელით არის მოხსენიებული: „კნიაზ დავითს უბძანე, რომ სამი კოდი პური მიჰსცეს ზალიკას ყიდვით... გარდა ამისა, უბძანე, რომ კნიაზი დავითი შაბადს ჩამოვიდეს, სამი ბოჩკა ჩამოიტანოს ღვინისათვის და ერთი დიდი ჭურჭელი რამ მაშინის ზეთისათვის“. მეოთხე წერილში ამავე მოურავთან დაკავშირებით ნათქვამია: „ციციშვილს უბძანე, როცა სირაჯი ღვინოს ამოიღებს, ერთი ოთხი ბოჭკა წითელი ღვინო ჩვენთვის ამოიღოს“.

ამათგან ორ ბარათში არის ერთი დეტალი - „მაშინის“ ხსენება („მამიცადეთ მეთქი, რომ მაშინა ჩავიბარო და ჩემ თვალწინ დავუდო ურემსა...“, „ჩამოიტანოს... დიდი ჭურჭელი რამ მაშინის ზეთისათვის“), რაც დათარიღების ინტერვალის დადგინების საშუალებას გვაძლევს. ილია ჭავჭავაძის მექანიკური სახნავი, სათესი და საღენი მანქანებიდან არცერთი არ იხსენიება 1882 წელზე ადრე. შესაბამისად, ზემოხსენებული ოთხი ბარათიდან ორს (გვ. 237, 242) ვათარიღებთ 1875-1887 წლებით, ორს კი (გვ. 227, 249) 1882-1887-ით.

ოცტომეულში 1880-იანი წლებით არის დათარიღებული მეუღლისთვის გაგზავნილი წერილი (გვ. 221), რომლიდანაც ჩანს, რომ მეორე დღეს, ხუთშაბათს საგურამოში ელის ბევრ სტუმარს („ხვალ, ესე იგი, ხუთშაბადს... შეაბმევინე ეკიპაჟი და გამოგზავნე მცხეთის დუქნებთან ხვალ დილის პოეზდისათვის“, „კოკო თადეიჩი თავის სახლობით ხვალ მანდ გვეწვევა. ეკიპაჟი სერებრიაკოვისთვის მიწადა, იმის ცოლ-შვილი მოდის ვლადიკავკაზიდან“). აქვე ნახსენებია, ისიც, რომ

მცხეთიდან მიაქვს მუსიკა. ასეთი დიდი სამზადისი საგურამოში იყო ხოლმე ილიაობის დღესასწაულზე - 20 ივლისს, ეს თარიღი კი ხუთშაბათ დღეს ილია ოქრომჭედლიშვილის საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლიდან მის გარდაცვალებამდე (1898), ემთხვევა მხოლოდ 1889 და 1895 წლებს. მართალია, იგი საქართველოში რუსეთში სამსახურის დროსაც ჩამოდიოდა, მაგრამ ეს ვიზიტები არცერთხელ არ ემთხვევა 20 ივლისს. 1889 წლის 18 ივლისს ილია ქავჭავაძე იმჟამად საზღვარგარეთ მყოფ თავის დას - ელისაბედს იმ წლის ილიაობის შესახებ სწერდა: „ამბობენ, დიდი ხალხი აპირობს მოსვლასაო. მუზიკაც მოგვივიდა, ერთის სიტყვით, დიდის ზარითა და ზეიმით დავხვდებით ილიაობას“.

ილია ოქრომჭედლიშვილი 1889 წლის გაზაფხულზე გავიდა პენსიაზე და დაბრუნდა საქართველოში. თუ გავითვალისწინებთ მისი და ილიას ერთმანეთისადმი უაღრესად დიდ კეთილგანწყობას, ის ამ გრანდიოზულ ილიაობას არ გამოტოვებდა. იაკობ მანსვეტაშვილი ასე აღწერს ილიაობას, რომელსაც ილია ოქრომჭედლიშვილი ესწრებოდა: „თითქმის ასამდე იყვნენ ქალაქებიდან ჩამოსული ინტელიგენტი სტუმრები, მათ შორის მახსოვან: ნიკო ლოლობერიძე და პეტრე ნაკაშიძე იმერეთიდან, ანდრონიკაშვილი და შალიკაშვილი კახეთიდან, ჩვენი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, მოხუცი რ. ერისთავი, ილია ოქრომჭედლიშვილი, ლ. მაღალაშვილი, გ. ქართველიშვილი... და ბევრი სხვანი“. მართალია, მემუარისტს წელი ეშლება და წერს, 1886 თუ 1887-იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ამ წლებში არც ოქრომჭედლიშვილი იყო საქართველოში და ეს თარიღიც ხუთშაბათ დღეს არ ემთხვეოდა. შესაბამისად, მოყვანილი აღწერილობა 1889 წელს ასახავს. საგულისხმოა ისიც, რომ 1886-1887 წლები 1889 წელთან ბევრად უფრო ახლოსაა, ვიდრე 1895. შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1889 წლის 19 ივლისს.

ოცტომეულში უთარილოების განყოფილებაშია დაბეჭდილი მოკლე ბარათი (გვ. 233), რომელშიც ნათქვამია, რომ პავლე ანდრიას ძე კილდიშევი და თამარი საგურამოში აპი-

რებენ ასვლას. რუსი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე პავლე კილდიშევი იყო ოლღა გურამიშვილის დისწულის - თამარ სტაროსელსკაიას მეუღლე. ისინი დაქორწინდნენ 1881 წელს, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში მისი სამსახურის პერიოდში (1878-1891), მაგრამ 1891 წლიდან საცხოვრებლად გადავიდნენ ტამბოვის გუბერნიაში და 1891-1907 წლებში პავლე კილდიშევი იყო იქაური ერობის თავმჯდომარე. შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს მათი ქორწინებიდან ტამბოვში გადასვლამდე პერიოში - 1881-1891 წლებში.

თამარის საქართველოდან წასვლის დროით შეგვიძლია დავათარილოთ მეუღლისადმი კიდევ ერთი ბარათი, რომელიც თბილისიდან საგურამოშია გაგზავნილი და რომელთან ერთადაც ილია ჭავჭავაძე თამარს უგზავნის მის სახელზე მისულ ამანათს: „როსტომას ვატან ოთხს ხამუტს, ოთხს ალვირს და ერთს პატარა ამანათს თამარასათვის. მგონი, სტრელნისკისაგან არის“. რამდენადაც, 1891 წელს თამარი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ტამბოვში, დიდი ალბათობაა, რომ ეს ბარათი მანამდე იყოს დაწერილი.

ოცტომეულში უთარილოების განყოფილებაშია დაბეჭდილი წერილი (გვ. 234-235), რომლიდანაც ჩანს, რომ მწერლის და - ელისაბედი ავად გახდა და ილია ჭავჭავაძე ძალიან შეშინებულია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბარათის მიხედვით, ილიამ ავადმყოფთან მიიყვანა ექიმი ევგრაფი ივანეს ძე კრასნოგლიადოვი, რომელიც ეპიდემიური დაავადებების საუკეთესო სპეციალისტი იყო და 1892 წლის იანვარში „ივერიაში“ სტატია გამოაქვეყნა „ლონისძიებანი ხოლერის წინააღმდეგ“¹, საფიქრებელია, რომ ეჭვი იყო ავადმყოფის ხოლერით დაავადებაზე. უბრალო რამ სენი რომ ჰგონებოდათ, ილია ასე შეშინებული არ იქნებოდა თავისი დის ბედით და არ დაწერდა: „ჩემს ბედნიერებას ეგლა უნდა, რომ ამას აუტყდეს რამე...

1. გაზ. „ივერია“, 1892, 20 ივნისი, N128, გვ. 2.

რა წამსაც ფაეტონი მოგივიდეს, პირდაპირ ლიზოსთან მოდი. მეც აქა ვარ, ჩემის გაჩენის დღის მანყევარი“. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1892 წლის ზაფხულში, ხოლერის ეპიდემიის პერიოდში.

ოცტომეულში დაუთარილებლად არის დაბეჭდილი თბილისიდან საგურამოში მეუღლისთვის გაგზავნილი წერილი (ტ. 18, გვ. 239). ბარათში საუბარია პანაშვიდზე, რომლის სამზადისის გამოც ვერ ახერხებს საგურამოში ასვლას. იქვე ნახსენებია ცხენების დაკარგვა („ამ კუთრობაში ეგ ცხენების დაკარგვალა გვაკლდა“). თუ ამ ბარათის შინაარსს შევადარებთ 1895 წლის სექტემბერში გაგზავნილ მეორე ბარათს (ტ. 18, გვ. 222), სადაც დაკონკრეტებულია, თუ რა პანაშვიდზეა საუბარი („პანაშვიდი აქ იქნება, კრწანისის მინდორზე 11 ამ თვეს, ორშაბათს, დილის ცხრა საათზე“) და საუბარია ცხენების პოვნაზე („რატომ არა მწერ, ცხენები როგორ იპოვეთ“), ცხადი გახდება, რომ ეს უთარილო წერილიც 1895 წლისაა. ის ბარათი, რომელშიც დაკონკრეტებულია, რა პანაშვიდზეა საუბარი და რომელზე დასასწრებადაც ილია ოლღასაც სთავაზობს ჩასვლას, ოცტომეულში 10 სექტემბრით არის დათარიღებული, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ წერილის ფრაზებს „11 ამ თვეს“ და „თუ გინდა, კვირას დილით ჩამოდი ეკიპაჟით“, ეს წერილი ცოტა უფრო ადრე უნდა იყოს დაწერილი, თორემ კვირა დღეს ილია ვერ მისწერდა ოლღას - თუ გინდა, კვირას დილით ჩამოდიო. ასევე უცნაური იქნებოდა ფრაზის დაწერა „11 ამ თვეს“ „ხვალეს“ ნაცვლად. შესაბამისად, ამ ბარათს ვათარილებთ ასე - 1895 წლის 10 სექტემბრამდე.

მეორე ბარათიდან, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრეულია, ჩანს, რომ პანაშვიდის წინა პარასკევი ჯერ არ დამდგარა „პარასკებს უქმეა და კალიასკა გამოუგზავნე სამის საათის პოეზდისათვის“. შესაბამისად, ეს წერილი იმავე კვირის პარასკევამდე, ე. ი. 1895 წლის 8 სექტემბრამდე უნდა იყოს დაწერილი.

ოცტომეულში დაუთარილებლად არის დაბეჭდილი თბილისიდან საგურამოში გაგზავნილი წერილი ოლღასათვის

(ტ. 18, გვ. 252), რომელშიც ილია მეუღლეს სთხოვს მცხეთაში ცხენის, მსახურის და მეზალის „პოვოსკის“ გაგზავნას, რადგან „აბოები“ უნდა ჩაეტანა და თან კაცი მიჰყავდა ოთახებში მათ გასაკრავად. თუ შპალერი იმდენი იყო, რომ მის ჩატანას საგანგებო „პოვოსკა“ სჭირდებოდა, საქმე უნდა ეხებოდეს საგურამოს ახალ სახლს, რომლის მშენებლობაც ილია ჭავჭავაძემ 1895 წელს დაასრულა და, რამდენადაც შპალერის გაკვრა მშენებლობის ბოლო ეტაპზე ხდება, ბარათიც 1895 წელს უნდა იყოს დაწერილი.

აკადემიურ გამოცემაში დაუთარილებელ წერილებთან არის დაბეჭდილი მეუღლისთვის თბილისიდან საგურამოში გაგზავნილი ბარათი, რომელსაც აწერია: „6 სექტემბერი, კვირა“ (ტ. 18, გვ. 229) და რომლის მიხედვითაც არტურ ლაისტი იმ დროს ილიასთან საგურამოში იმყოფება. არტურ ლაისტის საქართველოში პირველ და მეორე ჩამოსვლისას 6 სექტემბერი კვირა დღეს არ ემთხვევა. ამიტომ საფიქრებელია, რომ წერილი დაწერილი იყოს 1892 წლის შემდეგ, როცა იგი საბოლოოდ დამკვიდრდა საქართველოში. ამ პერიოდში 6 სექტემბერი კვირა დღეს უწევს 1892 და 1898 წლებში. ბარათის უფრო ზუსტად დათარილებაში დაგვეხმარა წერილის ერთი ფრაზა: „რკინიგზის მისვლა-მოსვლის დრო შეცვალეს. ასე რომ, სამ საათზე აღარ გამოდის აქედამ საღამოს პოეზდი“. წერილების კორპუსის კვლევამ გვაჩვენა, რომ სამსაათიან მატარებელს ილია ახსენებს 1895 წლის ჩათვლით (ტ. 18, გვ. 239, 252). შესაბამისად, ბარათი 1895 წლის შემდეგ - 1898 წლის 6 სექტემბერს უნდა იყოს დაწერილი.

მე-18 ტომში უთარილოების განყოფილებაშია დაბეჭდილი წერილი (გვ. 234), რომლიდანაც ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე, სავარაუდოდ, თბილისიდან საგურამოში უგზავნის მეუღლეს მისი და მისი დისშვილის - ნინო სტაროსელსკაიას თბილ ჩასაცემელს („გიგზავნი შუბას შენსას, ნინიჩკას შლიაპას, ქუდსა და ჩასაცემელს ტყავისას“...). ბარათიდან ასევე ჩანს, რომ მათთან ერთად საგურამოში არის მწერლის და - ელისა-

ბედიც, რომელიც ავადმყოფობს („ფეხის გულზედ ბოთლში გაცხელებული წყალი დაიდვას და ფეხები, როგორც დღისით, ისეც ღამე ძალიან თბილადა ჰქონდეს და არამც და არამც ფეხშიშველა არ იაროს“). რამდენადაც წერილში ნახსენებია ექიმი პავლოვსკი, სავარაუდოდ, ალექსანდრე ანდრიას ძე, რომელიც 1898 წელს გარდაიცვალა, ბარათს ვათარილებთ 1898 წლამდე პერიოდით.

ოცტომეულში უთარილოების განყოფილებაშია დაბეჭდილი 23 ივნისით დათარილებული წერილი (გვ. 231). მასში ნახსენებია გიორგი ქართველიშვილის მიერ გამოგზავნილი ძღვენი („გიგზავნი ქართველოვისაგან გამოგზავნილს ხუთს მთელს დოშს, ერთს მთელს ზურგიელს, ხუთს ყუთს ხიზილას“). თუ გავითვალისწინებთ, რომ ილია ჭავჭავაძის ახლობელი, ცნობილი ქართველი მეწარმე და ქველმოქმედი გიორგი ქართველიშვილი გარდაიცვალა 1901 წლის სექტემბერში, ბარათი არაუგვიანეს 1901 წლის 23 ივნისისა უნდა იყოს დაწერილი.

ოცტომეულში უთარილოების განყოფილებაშია დაბეჭდილი მოკლე ბარათი (გვ. 233), რომელშიც ნათქვამია: „ქართველოვმა ფული მოიტანა და მე ამოგიტან“. რამდენადაც, საუბარი უნდა იყოს გიორგი ქართველიშვილზე, რომელიც გარდაიცვალა 1901 წლის 26 სექტემბერს¹, ბარათი დაწერილი უნდა იყოს მანამდე - 1901 წლის 26 სექტემბრამდე. წერილში ასევე ნახსენებია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. შესაბამისად, ბარათის დაწერის საწყის ზღვრად მივიჩნევთ მისი დაფუძნების თარიღს - 1879 წლის 15 მაისს.

1. გაზ. „ივერია“, 1901, 28 სექტ, N210, გვ. 1.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისეულ მოვლენათა დათარიღება

მწერლის ბიოგრაფიული ფაქტების დროის დაზუსტება: ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღთან დაკავშირებით განსხვავებული მონაცემები არსებობს. ყვარლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ჩანაწერისა და მის საფუძველზე 1841 წლის 31 იანვარს გაცემული მოწმობის მიხედვით, იგი დაიბადა 1837 წლის 20 იანვარს და მოინათლა იმავე თვის 26 რიცხვში¹, მაგრამ თავად მწერალი თავის ავტობიოგრაფიაში წერს, რომ დაიბადა 27 ოქტომბერს („დავებადე 27 ოქტომბერს 1837 წელს, სოფელ ყვარელში...“²). მისი გარდაცვალების შემდეგ, ამ შეუსაბამობის გასარკვევად კითხვით მიმართეს ილიას დას - ელისაბედს, რომელმაც უპასუხა: „ტყუილია, ვითომ განსვენებული ჩემი ძმა დაბადებულიყვეს იანვარში, მე კარგად მახსოვს, ჩვენს ოჯახში იყო სახარება, რომელშიაც მამაჩემისაგან საკუთარის ხელით იყო აღნიშნული ყველა მისი შვილის დაბადების დღე. კარგად მახსოვს, ჩემი ძმის ი. ჭ. შესახებ ენერა, რომ დაიბადა 27 ოქტომბერსაო.“³

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ, მისი თხზულებათა კრებულის გამოცემის მზადების პერიოდში, გამომცემელ მიხეილ გედევანიშვილს, იმის გასარკვევად, თუ როგორ შეიძლებოდა საეკლესიო ჩანაწერს ერვენებიან რეალურზე უფრო ადრეული თარიღი, კითხვით მიუმართავს ისეთი პირისთვის, რომელიც ამ საკითხში, როგორც ჩანს, ერკვეოდა

1. საქართველოს ეროვნული არქივი, სინოდალური კანტორის ფონდი, 489, აღწერა 6, საქმე 301, ფურც. 16; საისტორიო მოამბე, ტ. 3. 1947, გვ. 162.

2. „ავტობიოგრაფია“, ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული (ოცტომად), ტ.14, თბილისი, 2007, გვ. 443;

3. ელისაბედ ჭავჭავაძის მოგონება, ლიტერატურული მემკვიდრეობა, ნ. 1, 1935, გვ. 552, 555.

და პასუხიც მიუღია. მღვდლის ოჯახში გაზრდილმა აპოლონ ნულაძემ მას მისწერა: „წინად მეტრიკულ წიგნებს მღვდლები ადგენდნენ წლის ბოლოს, დეკემბერში, ოღონდ კი ჩაენერათ იანვრიდან მოკიდებული იანვრამდე ვინ დაბადებულა და მონათლულა და მათთვის სულერთი იყო, როგორ ჩაწერდნენ“¹. აპოლონ ნულაძის განმარტებით, ნათლობის დღესაც ასევე პირობითად უთითებდნენ. ეს წერილი დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში. რამდენადაც იმ მეტრიკულ წიგნში, რომელშიც არის ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის დაბადებისა და ნათლობის შესახებ, სხვადასხვა თვეების ჩანაწერები შესრულებულია ზუსტად ერთნაირი ხელითა და მელნით, ვფიქრობთ, რომ შესაძლოა ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციაც ამ პრინციპით იყოს ჩაწერილი, სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს და დაბადების თარიღი უნდა იყოს 1837 წლის 27 ოქტომბერი, ნათლობა კი, ბუნებრივია, მოგვიანებით ჩატარდებოდა.

ლიტერატურის მუზეუმში დაცული მარიამ მელიქიშვილ-ლოლობერიძის მოგონებებიდან საშუალება მოგვეცა ადგვედგინა ორი ფაქტი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან; კერძოდ, გავიგეთ, რომ იგი ესწრებოდა ამ მოგონების ავტორისა და დავით ნიკოლოზის ძე ლოლობერიძის ქორწილს და უხაროდა, რომ რუსეთში ხანგრძლივად მცხოვრები დავითი საბოლოოდ დაბრუნდა სამშობლოში. ამავე მოგონებაში ნახსენებია მწერლის სტუმრობა მათ ოჯახში გიორგი წერეთლის გარდაცვალების მეორე დღეს. თარიღები მოგონებაში მითითებული არ არის, მაგრამ გიორგი წერეთლის გარდაცვალების მეორე დღის ხსენება საშუალებას გვაძლევს, რომ ქორწილის დროც და ამ სტუმრობის თარიღიც უფრო დავაზუსტოთ. რადგან ამ სტუმრობის დროს მარიამი უკვე დავით ლოლობერიძის ცოლი იყო, მათი ჯვრისწერა გიორგი წერეთლის გარ-

1. აპოლონ ნულაძის წერილი, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, N8590/49-50.

დაცვალებამდე - 1900 წლის 12 იანვრამდე უნდა მომხდარიყო, დავით ლოღობერიძის ოჯახში ილიას მეორე სტუმრობა კი, რაკი იგი გიორგი წერეთლის გარდაცვალების მეორე დღეს მოხდა - 1900 წლის 13 იანვარს.

საქართველოს ეროვნულ არქივსა და ლიტერატურის მუზეუმში დაცულია ილია ჭავჭავაძის ორი ერთნაირი ფოტო სხვადასხვა აღწერილობითა და დათარიღებით. პირველი დაცულია, როგორც „ილია სტუდენტობისას (ფრაგმენტი პოლონელ სტუდენტებთან ერთად)“¹, მეორეგან კი როგორც „გიმნაზიელი ილია პოლონელ მოსწავლეთა შორის“ და თარიღად აღნიშნულია 1854 წელი. არის რამდენიმე გარემოება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ფოტო პეტერბურგის პერიოდშია გადაღებული და არა 1857 წლამდე, გიმნაზიელობისას. 1. მართალია, ფოტოზე ილია საკმაოდ განსხვავებულად გამოიყურება, ვიდრე პეტერბურგში ჩასვლიდან ერთი-ორი წლის შემდეგ გადაღებულ ფოტოებზე, მას არა აქვს წვერ-ულვაში და თმის ვარცხნილობაც განსხვავებულია, მაგრამ ის 7 ადამიანი, რომლებიც მასთან ერთად არიან გადაღებული, აშკარად არ არიან საგიმნაზიო ასაკის. 2. არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მე-19 საუკუნის 50-იან წლებში თბილისის გიმნაზიაში ესწავლოს პოლონელთა ჯგუფებს. 3. ნაკლებ დამაჯერებელია, რომ თბილისის გიმნაზიის მოსწავლეებს ფოტოს გადაღებისას ანტურაჟად აერჩიათ სამოვარი, რომელიც ფოტოს წინა პლანზეა. 4. ორბორტიანი მუნდირი, ღილების ორმხრივი წყებით, როგორიც აცვიათ ილიას და მის მეგობრებს, გვხვდება სხვა ფოტოებზე, რომლებზეც გამოსახულები არიან პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები; თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა ფორმას კი, თუ ციფრული ფოტოკოლექციების მიხედვით ვიმსჯელებთ, ღილების ერთი წყება ჰქონდა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ეს ფოტო გადაღებული უნდა იყოს 1857 წლის 15 ოქტომბრის შემდეგ, ილიას სტუდენტობის დასაწყისში, პეტერბურგში.

1. საქართველოს ეროვნული არქივი, N0-42384.

1881 წლის 16 ივნისს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის მიმართვა თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულებისადმი¹, მაგრამ მიმართვის ფორმები: „დღეს შეასრულეთ თქვენ...“, „ამ იმედით მოგესალმებით“ და „გზას დაგილოცავთ...“ გვაფიქრებინებს, რომ იგი საზეიმო შეხვედრაზე უნდა ყოფილიყო წარმოთქმული, ეს შეხვედრა კი შედგა 1881 წლის 13 ივნისს.

დავით ერისთავის მოგონებების მიხედვით², ილია დაესწრო ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის სპექტაკლს თბილისის რუსული დრამატული თეატრის სცენაზე, შესთავაზა მას ქართულის შესწავლა და ქართულ დასში გადასვლა. ვინაიდან 1881 წლის ოქტომბრიდან მსახიობი უკვე თამაშობდა ქართულ წარმოდგენებში, ფაქტს ვათარიღებთ 1881 წლის ოქტომბრამდე პერიოდით.

ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებში აღწერილია დავით სარაჯიშვილის ოჯახში შეხვედრის შემდეგ ილია ჭავჭავაძეს, ექვთიმე თაყაიშვილსა და ნიკო ლოლობერიძეს შორის გამართული საუბარი ალექსანდრე ცაგარლის შესახებ. შინაარსიდან ჩანს, რომ უკვე გამოქვეყნებულია ცაგარლის წიგნი „Мингрельские этюды“, რუს მოხელეებს ეს ფაქტი გამოყენებული აქვთ მეგრული სეპარატიზმის გასაღვივებლად და ქართულ პრესაში მიმდინარეობს ამ მოვლენების კრიტიკული შეფასება. ცაგარლის წიგნი გამოვიდა 1880 წელს, ცირკულარი, რომლის საფუძველზეც სამეგრელოს სკოლებში სწავლა ქართულის ნაცვლად მეგრულ ენაზე უნდა დაწყებულიყო, გამოიცა 1885 წლის 11 იანვარს, ალექსანდრე ცაგარლის ნაშრომის კრიტიკა კი გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა იმავე წლის 6 მარტს³. შესაბამისად, მოგონებაში აღწერილი დიალოგი უნდა გამართულიყო 1885 წლის 6 მარტის შემდეგ.

1. გაზ. „დროება“, 1881, N123, 16 ივნისი, გვ.1-2.

2. აღმანახი „ციცინათელა“, 1996, N11.

3. „მეგრელებისთვის ძალად „მზრუნველი“, გაზ. „დროება“, 1885, N49, გვ.1-2.

სხვა პირთა ბიოგრაფიული ფაქტების დროის დაზუსტება: თავისი დის - ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილისთვის მიწერილი ერთი ბარათიდან, რომელიც 1907 წლის 24 აპრილს არის გაგზავნილი, ვიგებთ, რომ იმ დროს ახალგარდაცვლილი იყო ილიას მეორე დის - ნინოს ქმარი ნიკოლოზ შერმაზანის ძე აფხაზი. ისტორიული დოკუმენტებიდან ცნობილი იყო ამ პიროვნების გარდაცვალების მხოლოდ წელი, ეს ბარათი კი დაგვეხმარა დროის დაზუსტებაში. იგი გარდაცვლილა 1907 წლის 24 აპრილამდე.

ილია ჭავჭავაძის მიერ 1875 წლის 4 მარტს მეუღლისთვის გაგზავნილი წერილი საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ მისი სიმამრის - თადეოზ გურამიშვილის გარდაცვალების დღე, რაც ჩვენს ხელთ არსებულ ისტორიულ დოკუმენტებში მითითებული არ არის. ბარათის იმ მონაკვეთში, სადაც ილია საუბრობს თადეოზის შემოსავალ-გასავლის წიგნზე, იგი წერს, რომ „ექვს იანვარს კნიაზს ჯიბეში ჰქონია ოთხმოცდაათ თუმნამდე ნალდი ფული“, რომელიც დაიკარგა. ასეთ კონტექსტში 6 იანვრის ხსენება აშკარად მიგვანიშნებს, რომ 1875 წლის 6 იანვარი თადეოზ გურამიშვილის გარდაცვალების დღეა.

ოფიციალური დოკუმენტები არაფერს გვეუბნება ილია ჭავჭავაძის სიძის - **ალექსანდრე საგინაშვილის გარდაცვალების** ზუსტი დროის შესახებ. გაზეთ „ივერიის“ 1887 წლის 14 აპრილის ნომრიდან ვიგებთ, რომ 11 აპრილს გადაასვენეს კოდაში და გზაზე მოხდა უბედური შემთხვევა, ერთ-ერთ ფაეტონში შებმული ცხენები დაფრთხნენ და მგზავრები ეტლიდან გადმოცვივდნენ, რასაც მოჰყვა ერთი მათგანის სიკვდილი და მეორის მძიმედ დაშავება. შესაბამისად, საგინაშვილი 11 აპრილამდე უნდა გარდაცვლილიყო, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ივერიის“ 71-ე ნომერი, რომელიც 7 აპრილს უნდა გამოსულიყო, გამოვიდა მხოლოდ 14 აპრილს, საფიქრებელია, რომ 1887 წლის 6 აპრილს ილიას უკვე არ ეცალა გაზეთის მოსამზადებლად და, შესაბამისად, ამ დროს საგინაშვილი უკვე გარდაცვლილი იყო.

ილია ჭავჭავაძისთვის გაგზავნილი წერილების დათარიღება: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია გიგლო ყარალაშვილის მოკლე ბარათი¹ ილია ჭავჭავაძისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ უგზავნის ლევან ჯანდიერის მიერ შედგენილ პირობის ოთხ წერილს. გიგლო (გიორგი) მიხეილის ძე ყარალაშვილი იყო ილიას ნათესავის - ალექსანდრე ლუარსაბის ძე მაცაშვილის მეუღლის - ბარბარე მიხეილის ასულ ყარალაშვილის ძმა. ბარბარე დაიბადა 1865 წელს, 80-იან წლებამდე, მცირეწლოვანების გამო, იგი ვერ გათხოვდებოდა და ილიას ვერ დაუნათესავდებოდა. წერილში ნახსენები ლევან ჯანდიერი 1880 წელს თიანეთის მაზრის უფროსი გახდა, 1889 წელს კი - თბილისისა. საბანკო საკითხებით იგი ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან იყო დაინტერესებული. 1875 წელს დროებაში გამოქვეყნდა მის მიერ თარგმნილი თიანეთის გამსახებელ-შემნახველი ამხანაგობის წესდება². ყარალაშვილიც და ჯანდიერიც ილია ჭავჭავაძეზე გვიან გარდაიცვალნენ და მათთან ურთიერთობა მწერალს სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდა. შესაბამისად, წერილი 1880 წლის შემდეგ ნებისმიერ დროს შეიძლება იყოს დაწერილი და ასეც ვათარიღებთ.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ილია ოქრომჭედლიშვილის წერილი ილია ჭავჭავაძისადმი, რომლის წერაც ადრესანტს 30 იანვარს დაუწყია და 11 თებერვალს გაუგრძელებია, მაგრამ წელი არ მიუთითებია. რამდენადაც ბარათიდან ჩანს, რომ „ვისრამიანის“ დაბეჭდვის საქმე გადაწყვეტილია და იქამდეც არის მისული, რომ საუბარია სტამბაში ტექსტის აწყობაზე, ვფიქრობთ, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1884 წლის იანვარ-თებერვალში. მართალია, „ვისრამიანის“ გამოცემაზე მუშაობა ილიამ და სარედაქციო ჯგუფმა 1881 წელს დაიწყო, მაგრამ, ვფიქრობთ, 1884 წლამდე მათ განსაზღ-

1. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის არქ. N 627.

2. გაზ. „დროება“, 1875, 28 მარტი, N37, N39, N41, N42, N46.

ვრული არ ექნებოდათ, ვარიანტებიდან რომლის აკრეფას და გამოცემას დააპირებდნენ. შესაბამისად, ბარათს ვათარილებთ 1884 წლის 30 იანვრითა და 11 თებერვლით, მწერალი კი მას მიიღებდა თებერვლის შუა რიცხვების შემდეგ.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის ილია ჭავჭავაძის არქივში დაცულია მისთვის გაგზავნილი ერთი უთარილო წერილი, რომელიც ვინმე ივანე ბახუტაშვილს ეკუთვნის (N470). წერილში დიდი საყვედურია გამოთქმული ილიას მიმართ („ღმერთისა მანაც არ გეშინიან, რომ ესე მომსპე“, „ისეთი შემწეობა მომეცი, რომ სომხებიც აღარ მიკარებენ“). ბარათის ტონმა გაგვაოცა და შევეცადეთ გაგვერკვია, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ავტორი და რა პრეტენზია უნდა ჰქონდა ილიას მიმართ. პასუხი ამ კითხვაზე ვიპოვეთ გაზეთ „ივერიის“ 1887 წლის 8 ნოემბრის ერთ პუბლიკაციაში. მასში საუბარია ქალაქის საბჭოს მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტ ბახუტაშვილისთვის ლორის მელიქოვის სახელობის სტიპენდიის წინდაუხედავად დანიშვნაზე. სტატიის ავტორი აღნიშნავდა, რომ ბახუტაშვილს ორი ექიმი ძმა ჰყავს და უმჯობესი იქნებოდა, რომ სტიპენდია ბევრად უფრო ხელმოკლე სტუდენტისთვის მიეცათ, ბახუტაშვილის განათლებაზე კი მის უფროს ძმებს ეზრუნათ.

როგორც ჩანს, ამ პუბლიკაციის შემდეგ ბახუტაშვილს გაუნაწყენდა ქალაქის საბჭო, რომლის წევრებმაც, შესაძლოა, არ იცოდნენ მისი ძმების შესახებ საბჭოს წევრთა აბსოლუტურ უმრავლესობას კი სომხები წარმოადგენდნენ. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ არის ნათქვამი წერილში, სომხებიც აღარ მიკარებენო. მართალია, საგაზეთო პუბლიკაცია ილიას არ ეკუთვნის, მაგრამ ბახუტაშვილი, სავარაუდოდ, მას პრეტენზიას უყენებს როგორც რედაქტორს. წერილი რომ ამ ჭაბუკის მიერ უნდა იყოს დაწერილი, ამაზე მეტყველებს მისი სტილი და ერთი ფრაზა: „განა წვრილს შვილს ესე გაიმეტებდნენ“. ეს წერილი მრავალთაგან ერთი მაგალითია იმისა, თუ სამართლიანი აზრის გამოთქმის ან მხარდაჭერისთვის რამდენი უსამართლო ლანძღვა ხვდებოდა ილია ჭავჭავაძეს. ბარათს ვათარი-

ლებთ გაზეთ „ივერიის“ პუბლიკაციის საფუძველზე - 1887 წლის 8 ნოემბრის შემდეგ.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ილია ჭავჭავაძის საარქივო ფონდში დაცულია მის მიერ მიღებული ვრცელი ანონიმური წერილი (N449), რომელსაც ხელს აწერს „ერთი ქართველთაგანი“. მისი შინაარსიდან ჩანს, რომ დავით მიქელაძე გაზეთ „ივერიის“ აქტიური თანამშრომელია, ხოლო ალექსანდრე ნიკიტინი უკვე აღარ თანამშრომლობს ამ გაზეთში. ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის კვლევის შედეგად იკვეთება, რომ დავით მიქელაძის წერილები „ივერიაში“ ინტენსიურად იბეჭდებოდა 1893 წლის 15 აპრილის შემდეგ, ალექსანდრე ნიკიტინისა კი წყდება 1893 წლის 15 აგვისტოს შემდეგ. ამ ინფორმაციის მიხედვით, ტექსტი დაწერილი უნდა იყოს 1893 წლის 15 აგვისტოს შემდეგ, ხოლო რაც შეეხება ქრონოლოგიური ჩარჩოების ზედა ზღვარს, შინაარსიდან ჩანს, რომ იგი თბილისის საადგილმამულო ბანკის კრებების დაწყებამდე, და თავმჯდომარის არჩევნებამდეა დაწერილი. ეს კრებები დაიწყო 12 მაისს. შესაბამისად, წერილს ვათარილებთ ასე: 1893 წლის 15 აგვისტოდან 1894 წლის 12 მაისამდე.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ყვარლის მამასახლისის - **სპირიდონ ჭიბოშვილის** უთარილო წერილი ილიასადმი, რომელშიც სთხოვს, რომ თავი არ დაზოგოს საკუთარი სოფლისთვის და გადაასინჯინოს დურუჯის საქმე. მდინარე დურუჯის ადიდებით გამოწვეული ზარალი ყველაზე დიდი იყო 1906 წლის აგვისტოში¹. იმავე წლის დეკემბერში ილია ჭავჭავაძემ უკვე მოახერხა მეფისნაცვლის დათანხმება, რომ თანხა გამოყოფილიყო მდინარე დურუჯზე ჯებირების ასაშენებლად. რამდენადაც ბარათიდან არ ჩანს, რომ მწერალს უკვე ასეთი მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საკითხის მოგვარებაში, ფაქტს ვათარილებთ 1906 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე პერიოდით.

1. გაზ. „შრომა“, ტფილისი, 1906, 23 აგვისტო, N113, გვ. 2; გაზ. „ჩვენი ცხოვრება“, ტფილისი, 1906, 23 აგვისტო, N3, გვ. 2.

რამდენიმე არაზუსტი ინფორმაცია და წყარო ილია ჭავჭავაძის შესახებ

მკვლევარ ალექსანდრე კალანდაძის აზრით¹, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის და მისი ცხოვრებისა და შემოქმედების“ 1987 წლის მატთანეშიც იყო შეტანილი, 1877 წელს „ვაკელის“ ფსევდონიმით გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილი „კუთული ქართველთ ყლაპია“². ამ ინფორმაციის ახალ მატთანეში შეტანამდე გადაწყვეტიტ ჩაგვეტარებინა დამატებითი მოკვლევა. წერილი წარმოადგენს ფრანგულ გაზეთ „ტემპსში“ (Temps) მისი კორესპოდენტის - კუტულის მიერ საქართველოსა და სომხეთის შესახებ გამოქვეყნებული წერილების მიმოხილვის თარგმანს. მართალია, თემა - სომეხთა ინტელიგენციის მიერ ქართული კულტურის თავისად დაჩემება - ილიასთვის მნიშვნელოვანია და არაერთხელ შეხებია მას, მაგრამ წერილი ატარებს მხოლოდ მიმოხილვით ხასიათს და მოკლებულია იმ არგუმენტირებულ განსჯასა და ანალიზს, რაც მის სტატიებს ახასიათებს. სავარაუდოდ, ეს წერილები პირდაპირ ფრანგულიდან არის თარგმნილი. მისი ავტორის ფრანგულის ცოდნაზე მეტყველებს ისიც, რომ ერთგან ფრანგულადვე არის ციტირებული ანდაზა. წერილის ლექსიკასა და ენობრივ ფორმებში არ დასტურდება ილია ჭავჭავაძისთვის დამახასიათებელი ნიშნები. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ იგი მას არ უნდა ეკუთვნოდეს. გარდა ამისა, საგულისხმოა ისიც, რომ ქართულ ფსევდონიმთა ლექსიკონის მიხედვით, „ვაკელის“ ფსევდონიმით წერდა სიმონ ლოლობერიძე.

1. ალ. კალანდაძე, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, 1986, გვ. 279

2. გაზ. „ივერია“, 1877, N30, 31.

შესაბამისად, ზემოხსენებული სტატია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეში არ შეგვაქვს.

„ახალი ამბები“: ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანის 1987 წლის გამოცემაში ეწერა, რომ 1880 წელს გაზეთ „დროების“ N77 და N83-ში „ახალი ამბების“ რუბრიკაში დაბეჭდილი შენიშვნები, რომლებიც ეხება ხიზნების თაობაზე გაზეთ „ობზორის“ პუბლიკაციებს, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. მართალია, „ობზორთან“ პოლემიკა სწორედ ილია ჭავჭავაძის წერილებმა გამოიწვია (იხ. ამავე გაზეთის N60 და 65), მაგრამ „ახალი ამბების“ რუბრიკაში დაბეჭდილი ტექსტები მას არ უნდა ეკუთვნოდეს.

ამ ორ ტექსტში დიდი რაოდენობით გვხვდება ილია ჭავჭავაძისთვის უჩვეულო ლექსიკა და სიტყვათა ფორმები: „იმდენათ, რამდენათაც“, „უნამყოფო“, „ჯღაბნა“, „ცილი შესწამოს“, „შეცდომილი“ (ორჯერ), „ყოველთვინ“ და სხვ. გარდა ამისა, N83-ში ვკითხულობთ: „დღევანდელს „ობზორის“ ნომერში მოყვანილია რამდენიმე სტრიქონი, ხიზნების შესახებ, ჩვენი საკვირაო საუბრიდამ“. „საკვირაო საუბრები“, მათ შორის 1880 წლის 13 აპრილის (კვირა) N81-ისაც, პეტრე უმიკაშვილს ეკუთვნის. გარდა ამისა, აშკარაა, რომ ორივე ტექსტი ერთი და იმავე ავტორის მიერ არის დაწერილი (შდრ.: „უმორჩილესად ვსთხოვთ, პატივცემულ „ობზორის“ რედაქციას, გვჩვენოს, მიგვითითოს ის ადგილი ამ სტატიისა, სადაც თქმული იყოს, რომ ხიზნებსა და არენდატორებს შუა არავითარი განსხვავება არ არისო“ (N 77) / „ჩვენ ვთხოვეთ ამ პატივცემულ გაზეთს: გვიჩვენოს, მიგვითითოს ის ადგილი ჩვენის სტატიებისა, საცა ეს აზრია გამოთქმული“ (N83). შესაბამისად, ამ ტექსტების ავტორი არის პეტრე უმიკაშვილი და არა ილია ჭავჭავაძე და ეს ინფორმაცია ახალ მატრიანეში შესაბამისად აისახება.

იონა მეუნარგიას მოგონებებში არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 1857 წელს, როდესაც ილია ჭავჭავაძე რუსეთში მიემგზავრებოდა, თითქოს ვლადიკავკასთან შეხვდა რუ-

სეთიდან საქართველოსკენ მომავალ გრიგოლ ორბელიანს. ამ უკანასკნელის 1857 წლის ზაფხულის პერიოდის პირადი წერილების გადამონშებამ დაგვარწმუნა, რომ იმ დროს იგი რუსეთში არ ყოფილა, ცხარე ბრძოლებში იყო ჩაბმული მთიელთა წინააღმდეგ. შესაბამისად, ეს ინფორმაცია, რომელიც იონა მეუნარგიას შემდეგ სხვებმაც გაიმეორეს, არ დასტურდება.

ასევე, არ დასტურდება კოხტა აფხაზის მოგონება, თითქოს 1861 წლის ზაფხულში საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ილია ისევ დაბრუნებულიყოს პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად¹. ამ მოგონების გარდა, ვერცერთ სხვა გადმოცემასა და დოკუმენტში ვერ მივაგენით 1861 წელს ილია ჭავჭავაძის პეტერბურგში დაბრუნების კვალს. ამ წლის 6 აგვისტოს ის ყვარელში წერს ლექსს „მას აქეთ, რაკი...“ (6 აგვისტოს, 1861 წ.) და ოქტომბერში ყვარელშივე წერს მეორე ლექსს „ჩემო კალამო...“ („1861, ოქტომბერი, ს. ყვარელი“). გარდა ამისა, როდესაც იგი სადმე მიემგზავრებოდა, აუცილებლად სწერდა წერილებს თავის ახლობლებს, ამ პერიოდში კი არცერთი მისი ბარათი არ არის დაწერილი.

თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-17 ტომში დაბეჭდილია „დეპეშა“, რომელიც თითქოს გამოგზავნილია ბერლინიდან და აწერია 1901 წლის 25 ივლისი (გვ. 221). წყაროდ მითითებულია გაზეთი „ივერია“, 1901, N106. რეალურად, ეს ტექსტი გამოქვეყნდა „ივერიის“ არა 1901 წლის, არამედ 1900 წლის N106-ში, თან იგი არ არის დათარიღებული 25 ივლისით და არ არის გამოგზავნილი გერმანიიდან. მართალია, 1900 წელს ილია ჭავჭავაძე იმყოფებოდა სამკურნალოდ გერმანიაში, მაგრამ ეს არის არა იქიდან გამოგზავნილი დეპეშა, არამედ მისი ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს გაზეთში მოთავსებული განცხადება. 1901 წელს მწერალი

1. კოხტა აფხაზის მოგონებანი ილია ჭავჭავაძის შესახებ. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წ. 1, 1935, გვ. 563-564.

გერმანიაში არ ყოფილა. როგორც ჩანს, აკადემიურ გამოცემაში დაშვებული მსგავსი შეცდომების საფუძველზე გაჩნდა მოსაზრება, თითქოს ილია ჭავჭავაძე 1901 წლის ივლისშიც იყო საზღვარგარეთ. ამ ვარაუდის წინააღმდეგ, მის საზღვარგარეთის პასპორტში შესაბამისი ჩანაწერების არარებობის გარდა, შეგვიძლია მოვიხმოთ 1901 წლის 28 ივლისის „ივერიაში“ გამოქვეყნებული სამადლობელი განცხადებაც: „გულითადის პატივისცემით მადლობას მოვახსენებ ყოველი იმათ, ვინც ღირს მყო და ჩემის სახელწოდების დღე მომილოცა დეპეშით თუ წერილებითა“. ეს ტექსტიც ასევე არის განცხადება და არა ბერლინიდან გამოგზავნილი დეპეშა. 1900 წელს, როდესაც ილია საზღვარგარეთ იყო წასული, მან რედაქტორობა დროებით ვასილ სულხანიშვილს გადააბარა და გაზეთს ხელს არ აწერდა როგორც რედაქტორი. 1901 წლის 28 ივლისის ნომერს კი ის ხელს აწერს, როგორც რედაქტორ-გამომცემელი. შესაბამისად, ოცტომეულში დაბეჭდილი ზემოხსენებული ტექსტი არის არა დეპეშა, არამედ განცხადება. ის არ არის გამოგზავნილი ბერლინიდან და უნდა დათარიღდეს არა 1901 წლის 25 ივლისით, არამედ 1900 წლის 18 მაისით, რადგან იგი 18 მაისის „ივერიაში“ გამოქვეყნდა. მეორე მხრივ, აკადემიური გამოცემიდან გამორჩენილია 1901 წლის 28 ივლისის გამოქვეყნებული ზემოხსენებული განცხადება.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ქართული ლიტერატურის მუზეუმის საარქივო გამოცემაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთსტროფიანმა ლექსმა „**დათა ბაგრატიონს**“, რომელიც ილიას თხზულებათა სრულ კრებულში (ოცტომეული) არ იყო დაბეჭდილი და გადაწვევით გადამოწმება. ძიების შედეგად მოვიპოვეთ ინფორმაცია, რომ ეს ლექსი დაბეჭდილია აკაკი წერეთლის თხზულებათა კრებულშიც (იხ. თხზულებანი 20 ტომად, ტ. 3), სადაც იგი ორსტროფიანია და სათაურად აქვს „დ. ბაგრატიონის ხმალზე წაწერილი“. ლიტერატურის მუზეუმში დაცული ხელნაწერის კვლევამ დაადასტურა, რომ ტექსტი, რომელიც ილია ჭავჭავაძისეულად ინახე-

ბოდა მუზეუმში, მას არ ეკუთვნის. შეცდომა გასწორდა - ლექსი გადატანილია აკაკი წერეთლის საარქივო ფონდში.

საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბის დამატებაში წერია¹ და „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანის“ 1987 წლის გამოცემაშიც გამეორებულია ინფორმაცია, თითქოს ილია ჭავჭავაძე დაესწრო დავით ჩუბინაშვილის დაკრძალვას პეტერბურგში. ეს გაუგებრობა, სავარაუდოდ, გამოიწვია იმან, რომ მიცვალებულის ცხედართან იყო ილია ჭავჭავაძის სახელით მიტანილი გვირგვინი წარწერით: „ღრმად მოხუცებულს მასწავლებელს და დამრიგებელს დ. ი—ძეს ჩუბინაშვილს მისის მადლობელის შეგირდის თავ. ი. გრ—ძის ჭავჭავაძისაგან“. რეალურად, ეს გვირგვინი ალექსანდრე ცაგარელმა მიიტანა, რადგან ილია ჭავჭავაძემ თბილისიდან დეპეშა გაუგზავნა ასეთი თხოვნით. შესაბამისად, ინფორმაცია, თითქოს ილია ჭავჭავაძე დაესწრო დავით ჩუბინაშვილის დაკრძალვას, მატიანიდან ამოვიღეთ.

შეცდომები სიცოცხლისდროინდელ წყაროებში: „ბედა მქადაგებლის“ თარგმნის თარიღად ავტოგრაფში მითითებულია „1858 მარიამოხისთვის 25-ს. ს. პეტერბურდი“. ამავე თარიღით დაიბეჭდა იგი „ცისკრის“ 1859 წლის პირველ ნომერში. 1892 წელს გამოსულ კრებულში „ვ. აბაშიძე, „ჩანგი“, გამოცემა მე-2, ტფილისი, 1892, გვ. 311 — 314“ კი მითითებულია, რომ ლექსი დაიწერა „1857-სა წელსა 23 აღვისტოს, ს. პეტერბურდი“. ლექსის ამ ვარიანტებს შორის არსებითი განსხვავება არ არის. წყაროთაგან ყველაზე ადრეულებია ავტოგრაფი და „ცისკრის“ პუბლიკაცია. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ვასო აბაშიძის მიერ 1892 წელს გამოცემულ კრებულში მითითებული თარიღი, რომლის მიხედვითაც ტექსტი 1 წლით ადრე დაწერილად არის მიჩნეული („1857-სა წელსა 23 აღვისტოს, ს. პეტერბურდი“), მცდარია.

1. საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბის დამატება, რუს. ენ; N8, გვ. 19-20.

ასეთივე ვითარება გვაქვს ლექსთან „**ხმა სამარიდამ**“ დაკავშირებითაც. ერთადერთ ავტოგრაფში თარიღად მითითებულია „1857-სა წელსა, 27-ს დეკემბერს, ს. პეტერბურლი“ კრებულებში კი - („ჩონგური“, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან, ს. პეტერბურლი, 1864, გვ. 40 და „დედა და შვილი“ და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამოც., ტფილისი, 1882, გვ.11) თარიღად წერია „13 დეკემბერს, 1857წ.“ კვლევის შედეგად იკვეთება, რომ რედაქციული განსხვავება ამ ტექსტებს შორის არ არსებობს, გვაქვს მხოლოდ უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობები და თან ხელნაწერი უფრო ადრეულია. შესაბამისად, ხსენებულ ორ კრებულში მითითებული თარიღი არასწორად მიგვაჩნია და მათიანეში არ ვითვალისწინებთ.

ლექსს „**სიმღერა**“ 1892 წლის გამოცემაში მიწერილი აქვს 1857 წელი. ავტოგრაფის მიხედვით კი დაიწერა „1858-სა წელსა, 4-სა ივნისს“. ამ შემთხვევაშიც სწორად მიგვაჩნია ავტოგრაფის დათარიღება და 1892 წლის გამოცემის მონაცემებს არ ვითვალისწინებთ. „ჩემი თარიარალის“ უცნობი პირის მიერ გადაწერილ ასლს მიწერილი აქვს 1857 წელი, მაგრამ მას ვერ დავეყრდნობით, რადგან ავტოგრაფში ტექსტს მითითებული აქვს 1858 წელი.

არსებობს ლექსის - „**მთვარეს**“ (იგივე „უცხოეთში“) ორი ავტოგრაფი, რომელთაგან დაწერის თარიღად ერთში 23 ივნისია მითითებული¹, მეორეში კი - 23 ივლისი². რიცხვის „23“ დამთხვევამ ამ ლექსის ორი ავტოგრაფის თარიღებში გვაფიქრებინა, ხომ არ იყო ეს მექანიკური შეცდომა და ორივეგან ერთი თარიღი ხომ არ მოიაზრებოდა.

ამის დასადგენად და ორი ავტოგრაფის შედარებითი დროითი თანმიმდევრობის გასარკვევად ჩავატარეთ საგანგე-

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, ავტოგრაფი N108.

2. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, N17501

ბო კვლევა. მოვნიშნეთ ვარიანტებში განსხვავებული ადგილები და შევამოწმეთ, რომელი მათგანი იყო გათვალისწინებული 1892 წლის გამოცემაში (რადგან ტექსტების მხრივ, ეს გამოცემა ითვლება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ერთ-ერთ ყველაზე სარწმუნო წყაროდ). კვლევამ გამოავლინა, რომ დასახელებული ორი ავტოგრაფიდან ის, რომელიც 23 ივნისით არის დათარიღებული, 23 ივლისით დათარიღებულზე უფრო გვიანდელია. 23 ივლისით დათარიღებულში მწერალს ჰქონდა ისეთი ვარიანტები, რომლებიც ბეჭდურ წყაროში აღარ გაუთვალისწინებია. ნაკითხვები: „სძინავთ ნიავთა“, „სულ სხვაფრად გაბრწყინებული“, „და სულ სხვარიგად დამშვიდებული“ მწერლის თხზულებათა სიცოცხლისდროინდელ კრებულში შევიდა „23 ივნისით“ დათარიღებული ავტოგრაფიდან. „23 ივლისით“ დათარიღებულში ამ ნაკითხვების ნაცვლად წერია: „სძინავს ნიავსა“, „სხვა რიგათ დამშვიდებული“ და „ზეცა სულ სხვა ფრათ გაბრწყინებული“. შესაბამისად, რამდენადაც „23 ივნისით“ დათარიღებული ავტოგრაფი „23 ივლისით“ დათარიღებულზე გვიანდელი არ უნდა იყოს, აშკარაა, რომ ამ ორიდან ერთ-ერთ თარიღში შეცდომაა.

მსგავსი ვითარება აღმოჩნდა ლექსთან - „**მწუხარება**“ დაკავშირებითაც. ლიტერატურის მუზეუმში დაცულ, უფრო ადრე გადაწერილ რვეულში შეტანილ ავტოგრაფს აწერია „11 ივლისი“, ხელნაწერთა ცენტრში დაცულ უფრო გვიანდელ რვეულში ჩაწერილს კი - 11 ივნისი“. ამას გარდა, საგულისხმოა, რომ ლექსის „**მეც შავს თვალებს...**“ ერთადერთ ხელნაწერში თარიღად წერია „20 ივლისი“, ე. წ. „ცისკრის“ ნაბეჭდ წყაროში კი, რომელიც ერთი წლის შემდეგ გამოვიდა, „20 ივნისი“.

ვერ გავიზიარებთ თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველ ტომში გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოს შეცდომა გვიანდელ წყაროში უფრო საფიქრებელია და ის არის „ნაკლებად სანდო დათარიღების მხრივ“ (ტ.1, გვ. 338). თუ საუბარი გვაქვს მექანიკურ შეცდომაზე, აქ არავითარი მნიშვნელობა

არა აქვს იმას, ადრინდელია ავტოგრაფი, თუ გვიანდელი, მაგრამ როდესაც სამ მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე და არა ერთთან, კალმისმიერი ლაფსუსი ნაკლებად არის სავარაუდო.

თვეთა სახელები „ივნისი“ და „ივლისი“ იმ პერიოდში საბოლოოდ დამკვიდრებული არ იყო და უფრო ხშირად ძველ სახელებს ხმარობდნენ - „თიბათვე“ და „მკათათვე“. ათწლეულების შემდეგაც კი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოქმებში თარიღები ყველგან ასეა ჩანერილი და სრულიად არ არის გამორიცხული, რომ ახალგაზრდა პოეტს ლექსების წერის დროს ზაფხულის თვეები ერთმანეთში არეოდა, მაგრამ გადანერისას შეენიშნა ეს შეუსაბამობა (ენახა, რომ იმ ლექსს, რომელიც თიბათვეში აქვს შექმნილი, „ივლისი“ აწერია) და ახალ რვეულში, ან პუბლიკაციაში თვეთა სახელები ჩაესწორებინა.

ფაქტია, რომ სამივე შემთხვევაში, იქ სადაც ადრეულ წყაროში „ივლისია“, შემდეგ „ივნისით“ არის ჩასწორებული. იმას, რომ გვიანდელ რვეულში ლექსის გადანერისას ავტორს მექანიკურად კი არ გადააჭყონდა თარიღები, არამედ გააზრებულად, ისიც მონიშნავს, რომ იგი ცვლიდა თარიღის ჩანერის სტილს. „23-სა ივლისს, 1858 წელსა, სოფელი ტიარლევო“ / „1858 -სა წელსა, 23-სა ივნისს, სოფ. ტიარლევო“; „ივლისის 20-სა დღესა, 1858 წელსა, სოფ. ტიარლევო“ / „1858-სა წელსა, 20-სა ივნისსა, სოფ. ტიარლევო“; „1860, 11 ივლისსა“ / „11 ივნისი, 1860 წ.“ და სხვ.

იმას, რომ ილია ჭავჭავაძეს ზაფხულის თვეების ახალი სახელები ერთმანეთში ერეოდა, მონიშნავს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცული პირადი წერილი ნენე ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილისადმი¹, რომელსაც დასაწყისში აწერია „13-სა მარიამობის თვეს“ და ბო-

1. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, ავტოგრაფი N17519

ლოში ავტორისავე ხელით, იმავე მელნით - „13-სა ივლისს“. აშკარაა, რომ 13 მარიაშობისთვე და 13 ივლისი წერის მომენტში ავტორს ერთი და იგივე ეგონა.

ამ შეუსაბამობის გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია ის, რომ მის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში „მწუხარების“ ძირითადი ტექსტი დათარიღებულია 1860 წლის 11 ივნისით (სარჩევში, გვ. II), ხოლო ვარიანტების განყოფილებაში დაბეჭდილი უფრო ადრეული სამსტროფიანი ვარიანტი ლექსისა — 1860 წლის 11 ივლისით (სარჩევში, გვ. V)”, ანუ ადრეულ ვარიანტს გვიანდელი თარიღი მიეცა, გვიანდელს კი - ადრეული.

ილია ჭავჭავაძის ერთი ცნობილი ლექსის სათაურია „1871 წლის 23 მაისი“. ერთადერთ ავტოგრაფში¹ მას აქვს ქვეშ მინანერი „კომუნის დაცემის დღე“, მაგრამ მწერლის სიცოცხლეში ტექსტი ყველგან იბეჭდებოდა სათაურით „პარიჟი“, ქვეშ მინანერის გარეშე. შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ პარიზის კომუნა 23 მაისს არ დაცემულა, ეს მოხდა 28 მაისს. ეს სათაური რომ ნაბეჭდ წყაროებში ყოფილიყო, ვიფიქრებდით, რომ ცენზურის თვალის ასახვევად შეცვალა ავტორმა, მაგრამ ის არის ხელნაწერ რვეულში, მკაფიოდ გამოყვანილი და ქვეშ აქვს მინანერი, რომელიც ისედაც ააშკარავებს, რა თარიღს ეძღვნება. რამდენადაც ციფრები „3“ და „8“ მოხაზულობით ახლოსაა ერთმანეთთან, ვფიქრობთ, რომ ლექსის ავტორმა შეცდომა შავი ავტოგრაფიდან რვეულში მისი გადანერისას დაუშვა და შემდეგ აქედან გავრცელდა.

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, ავტოგრაფი N108, გვ. 167.

მნიშვნელოვანი პუბლიკაციები და სასოფლო-სამეურნეო მასალა

მხატვრული ლიტერატურის ანალიზისას მკვლევარი ეძებს ყოველგვარ ინფორმაციას შესასწავლი საკითხის შესახებ, რისთვისაც მეტწილად ეყრდნობა აკადემიურ გამოცემებს და ბიბლიოგრაფიულ ცნობარებს. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ორი ტიპის გამოცემის აკადემიური სიზუსტით მომზადებას და სისრულეს. ცალკეული, ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტები მწერლის ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო, გამორჩენილი იყო აკადემიური გამოცემიდან და მათიანიდან, არ გვხვდება არც სამეცნიერო მიმოქცევაში. ერთ-ერთი ასეთი ფაქტი, ერთ-ერთი ასეთი უცნობი წყაროა, ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილის“ გამოსვლიდან ექვსი წლის შემდეგ, 1889 წელს ილია ბახტაძის მიერ გამოქვეყნებული წერილი „Легенда о „Гандегили“¹.

ილია ჭავჭავაძემ თავადვე მიაწერა თავის პოემას „ლეგენდა“, მაგრამ რა ლეგენდა იყო ეს, რა გადმოიღო პირდაპირ, რა დაამატა და როგორი ინტერპრეტაცია გაუკეთა, თხზულების გამოცემიდან საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, თუ წყარო არ არსებობს, ძნელი გასარკვევია. მართალია, მე-20 საუკუნეში იყო მცდელობა, მოხვევებისგან ჩაენერათ ლეგენდა მყინვარზე მოღვაწე ბერის შესახებ და შეედარებინათ პოემისთვის, მაგრამ, როდესაც პოემას და ზეპირი გადმოცემის ჩანაწერს შორის დროის დიდი ინტერვალია, ლეგენდისა და

1. "Новое обозрение", 1889, N1968, 1-2.

ლიტერატურული თხზულების ურთიერთმიმართების გარკვევა შეუძლებელია.

ზეპირსიტყვიერებისა და ლიტერატურის კავშირი და გავლენა ორმხრივია. არა მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოებები იქმნება ლეგენდების საფუძველზე, არამედ ლეგენდებიც საზრდოობს და ივსება ლიტერატურიდან. ამიტომ, ვერ ვიტყვით, რომ მე-20 საუკუნეში ჩანერილ ლეგენდას არ განუცდია მე-19 საუკუნეში უაღრესად პოპულარული ამ თხზულების გავლენა. ილია ბახტაძის პუბლიკაციის შესახებ რომ სცოდნოდათ, მეცნიერები აღარ იკამათებდნენ ზემოხსენებულ საკითხებზე და უკეთ ჩანვდებოდნენ ამ პოემის არაერთ მნიშვნელოვან ასპექტს. უფრო მეტიც, ბახტაძის პუბლიკაციიდან ირკვევა ისიც, თუ საიდან გაჩნდა მწერლის მეორე პოემაში - „აჩრდილი“ მყინვარზე მდგომი მოხუცის სახე.

წარმოგიდგინთ იმ ძირითად ინფორმაციას, რაც არის ბახტაძის სტატიაში: 1. ილია ჭავჭავაძემ თავისი პოემა სწორედ ამ ლეგენდის საფუძველზე შექმნა. 2. ლეგენდა მოგვითხრობს მყინვარზე დაყუდებული ბერის ისტორიას, რომელიც იქ საძმოსთან ერთად მივიდა, მაგრამ ცალკე სენაკში განმარტოვდა და განსაკუთრებულ სულიერ სიმაღლეს მიაღწია. ღვთისთვის მისი ღვანლის სათნოობის გამომხატველი იყო სასწაული - დილის ლოცვისას სენაკში შემოსულ მზის სხივზე ბერი წმინდა წიგნებით სავსე აბგას ჰკიდებდა. ამ საღვთო ნიშნით გამხნეებულ და ღვთისადმი მადლიერებით აღსავსე ბერს სურვილი ჰქონდა, რომ მის საძმოსაც მიეღწია იმავე სიმაღლეებისთვის და მონასტერს მკაცრი შინაგანანენი დაუდგინა.

საძმოს წევრებს, განდევილისგან განსხვავებით, ამძიმებლათ მუდმივი ლოცვა და მარხვა და გადაწყვიტეს, რომ მონასტრის შინაგანანენის შესამსუბუქებლად რაიმე მოეფიქრებინათ. ბერების აზრით, განდევილი იმიტომ იყო მომ-

თხოვნი, რომ წმინდად ცხოვრობდა. ამიტომ გადაწყვიტეს მისი ცდუნება გერგეთში მცხოვრები ერთი ულამაზესი ქალის - დორას დახმარებით, რომლისთვისაც „ცოდვა ცხოვრების მოწოდებას წარმოადგენდა“ და არაფერი იყო შეუძლებელი. ერთ ღამეს, საშინელ ქარბუქში დორა ავიდა განდეგილის სენაკთან, დაარწმუნა, რომ მონადირე იყო და თუ არ შეუშვებდა, გაიყინებოდა.

ლეგენდის მიხედვითაც, განდეგილმა ისე გაალო კარი, ვერ ხვდებოდა, რომ სენაკში შეშვებას ქალი ითხოვდა. ქალთან საუბრის და ღვთისადმი უმადურობის გამომხატველი სიტყვების წამოცდენის შესახებ ლეგენდაში არაფერია ნათქვამი, უბრალოდ, წერია, რომ პატარა, ბნელ სენაკში ქალს და ბერს გვერდი-გვერდ ეძინათ. დილით, როდესაც განდეგილს გაეღვიძა, უცხო სტუმარი აღარსად იყო, მაგრამ მას რაღაც უცნაური მიწიერი სიამის განცდასთან ერთად დანაშაულის და ეჭვის გრძნობა ჰქონდა გაჩენილი - ხომ არ შესცოდა უცნობის სენაკში შეშვებით და ხომ არ განარისხა ღვთისმშობელი? ამის შესამოწმებლად მეუდაბნოე გათენებას დაელოდა, სალოცავად დადგა და აბგა მზის სხივზე დაჰკიდა, მაგრამ წმინდა წიგნებით სავსე აბგა ხმაურით დაეშვა ძირს. მეორე-ჯერაც სცადა, მაგრამ იგივე განმეორდა.

დილით განდეგილმა სენაკი დატოვა და მყინვარის მწვერვალისკენ გაუყვა ბილიკს. ლეგენდა არაფერს ამბობს იმის შესახებ, როგორ დაასრულა მან სიცოცხლე, ქარაფიდან ძირს გადაეშვა, თუ ღვანლი განაგრძო და მისმა სინანულმა კეთილი ნაყოფი გამოიღო.

ილია ჭავჭავაძის მეორე პოემასთან - „აჩრდილთან“ ლეგენდის მიმართების შესახებ მნიშვნელოვანია ზემოხსენებული განდეგილი ბერის ისტორიასთან დაკავშირებით ხალხში გავრცელებული კიდევ ერთი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, მყინვარისკენ მიმავალი მონანული მეუდაბნოე უფალმა აამაღლა და თითქოს უნახავთ კიდევ მისი სასწაულებრივი

ხილვა - მცინვარის თავზე ბურუსში ხელაპყრობით მდგარი. სტატიაში მოხმობილია ციტატა რუსი პოეტის - სიმონ იაკობის ძე ნადსონის მიერ 1879 წლის ნოემბერში დაწერილი ლექსიდან „В горах“, რომელიც მოწმობს, რომ ასეთი გადმოცემები მართლაც არსებულა ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ დაწერამდე (1883 წლამდე) და იგი 17 წლის ახალგაზრდა რუს პოეტსაც ჰქონია მოსმენილი 1879 წელს საქართველოში ყოფნის დროს: „А там, где диадемой снежной / Казбек задумчивый сиял./ С рукой подъятой ангел нежный, / Казалось, в сумраке стоял...“.

ბახტაძის პუბლიკაციის მიხედვით, ილიას მიერ „განდეგილის“ დაწერას წინ უსწრებდა ალპინისტის ასვლა ყაზბეგის მწვერვალზე. საგულისხმოა, რომ 1883 წლამდე ეს მთა ალპინისტებმა ორჯერ დალაშქრეს. 1868 წელს მწვერვალი დაიპყრო ინგლისელმა დუგლას ფრეშფილდმა, 1873 წელს კი - რუსმა ვლადიმერ კოზმინმა. ასეთ დროს ხდება ხოლმე ყურადღების გააქტიურება მოვლენათა ეპიცენტრზე. შესაბამისად, საზოგადოებაშიც და ბეჭდურ გამოცემებშიც აუცილებლად იქნებოდა საუბარი ამ მთასთან დაკავშირებულ ყოველგვარ გადმოცემებზე. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ამის შესახებ გაეგო სიმონ ნადსონს და, მით უფრო, ილია ჭავჭავაძეს.

პოემა „განდეგილთან“ არის დაკავშირებული კიდევ ერთი საინტერესო პუბლიკაცია - ალექსანდრე ხახანაშვილის სტატია „Русско-грузинские параллели в поэзии“, რომელიც დაიბაჭდა ასევე „Новое обозрение“-ში 1893 წელს (N3265). ავტორი გვთავაზობს ილია ჭავჭავაძის „განდეგილისა“ და შილერის „ორლეანელი ქალწულის“, როგორც ორი რომანტიკული სიუჟეტის, პარალელურ ანალიზს ერთი ნიშნით - აუსრულებელი აღთქმა და ღვთიური მადლის დაკარგვა. ჟანა დ'არკს უფლისგან ჰქონდა დაკისრებული საფრანგეთის ტახტზე კანონიერი მემკვიდრის - კარლოს მეშვიდის აღსაყდრება, ამ მიზნის მიღწევაში მას უნდა დახმარებოდა თავისივე

აღთქმა - არავინ შეჰყვარებოდა მიწიერი სიყვარულით, მაგრამ შეუყვარდა და თან არა ნებისმიერი ვინმე, არამედ მტერი - ინგლისელი რაინდი ლიონელი. ამიტომ მან დაკარგა ღვთის მადლი. ბერის აღთქმა იყო მუდმივ ღვთისმჭვრეტელობაში ყოფნა, მაგრამ ნუთიერად გაექცა თვალი ამქვეყნიურისკენ, გულში ვნება შეეპარა, სასონარკვეთილებაში ჩააგდო და მადლი დააკარგინა.

სტატიის ავტორი არაჩვეულებრივად აანალიზებს იმას, თუ რა იყო ისტორიული მოცემულობა („ორღეანელი ქალწულის“ შემთხვევაში) და ზეპირსიტყვიერებითი საფუძველი („განდეგილის“ შემთხვევაში) და რა დაამატეს ავტორებმა. იგი განმარტავს, რომ ტრაგედიის შესაქმნელად აუცილებელია გმირის შინაგანი ბრძოლა. ამიტომ შილერის პიესაში, ისტორიული რეალობისგან განსხვავებით, ჟანა დ'არკი აღთქმას დებს, რომ არავის შეეყვარებს და ეს წარმოშობს შინაგან ჭიდილს აღთქმასა და გრძნობას შორის.

განდეგილიც ერთი გულისთქმის გაელვების გამო განიცდის ჯერ შინაგან ბრძოლას, შემდეგ ვარდება სასონარკვეთილებაში და კარგავს ღვთის წინაშე მოპოვებულ სათნოებას. საკოცნელად დახრილმა თავი შეიკავა, მაგრამ ესეც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ მის არსებაში მინავლებული ცოდვა ისევ აღგზნებულიყო. ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერისაგან განსხვავებით, ალექსანდრე ხახანაშვილს არ ეეჭვება, რომ მზის სხივზე დაყრდნობილი ლოცვანის ძირს დავარდნა მარცხის ნიშანია, მაგრამ არ აკავშირებს ამას ზოგადად განდეგილობის, როგორც სულიერი მოღვაწეობის მარცხთან და არ ფიქრობს, რომ მწერალი ამ პოემით განდეგილობას უპირისპირდება.

ვფიქრობთ, ეს ორი წყარო მნიშვნელოვანი რესურსია „განდეგილისა“ და „აჩრდილის“ შემოქმედებითი ისტორიების შესასწავლად და აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ, რომ მე-19 საუკუნის ჟურნალ-გაზეთებში მიკარგული მსგავსი მასალები ტექსტოლოგიური კვლევის არეალში შემოვიტანოთ.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში, სპეციალურ სამეცნიერო ნაშრომებსა და წინა მათიანეშიც დაბეჭდილი იყო, რომ 1861 წლის „ცისკრის“ N6-ში გამოქვეყნებული სტატია არის გამომხაურება ბ. ჯორჯაძის, რევაზ ერისთავის და გ. ბარათაშვილის წერილებზე, რომლებიც ამავე ჟურნალის წინა ნომერში დაიბეჭდა, მაგრამ არავინ აქცევდა ყურადღებას ამ სტატიის სრულ სათაურს „პასუხი, უძღვნი თ. ალ. ვახტანგის ძე ორბელიანს და იმ პირთა, ვინც ყურადღება აღირსეს ამ სტატიასა“. ჩვენ დავინტერესდით, რა შუაში იყო აქ ალექსანდრე ორბელიანის ხსენება. თავდაპირველად ვიფიქრეთ, რომ ილიას წერილს ისიც გამოეხმაურა, მაგრამ „ცისკრის“ იმ ნომერში, რომელიც მისი სტატიის გამოქვეყნების შემდეგ დაიბეჭდა და რომელშიც ასევე გამოქვეყნდა მასზე საპასუხო სამი წერილი, ალექსანდრე ორბელიანს არაფერი დაუბეჭდავს. მეორე მხრივ, მასა და დიმიტრი ბაქრაძეს შორის წინა წლის ნომერებში გამართული იყო პაექრობა ქართული სალიტერატურო ენის საკითხებთან დაკავშირებით¹. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ, გარდა პირადად მისი სტატიის ოპონენტებისა, ილია ეხმიანება მის ამ სტატიებსაც. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება, თუ ეს საკითხი საგანგებო კვლევის საგანი გახდება.

1873 წლის 21 აგვისტოს მოსკოვიდან პეტერბურგში ვასილ მაჩაბლისთვის გაგზავნილ წერილში ილია ჭავჭავაძე მას სთხოვს გაზეთ „დროების“ 6 ივლისის ნომრის (N26) გაგზავნას, რომ თავადაც ჩაერთოს ნიკო ნიკოლაძისა და ბესარიონ ლოლობერიძის პაექრობაში. ქუთაისის ბანკის წესდებასთან

1. ჯ.-ორბელიანი, ალექსანდრე ვახტანგის ძე, ქართული უბნობა ანუ წერა, „ცისკარი“, 1860, N6, გვ.90-104; ბაქრაძე, დიმიტრი, ნიგნი მონერილი თ. ალექსანდრე ჯამბაკურ ორბელიანისადმი შესახებ მისის „ქართულის უბნობისა ანუ წერისა“, „ცისკარი“, 1860, N8, გვ.318-333; ჯ.-ორბელიანი, ალექსანდრე ვახტანგის ძე, პასუხი დიმიტრი ბაქრაძესთან შესახებ იმისგნით მონერილის ნიგნისა, „ცისკარი“, 1860, N9, გვ.124.

დაკავშირებით პოლემიკა ნიკო ნიკოლაძემ 1873 წლის იანვარში დაიწყო სტატიით „საწყალი ბანკი“¹ და შემდეგ განაგრძო წერილით „ქუთაისის ბანკი“². ვასილ მაჩაბლისადმი მის მიერ ამ წერილის მიწერამდე ასევე გამოქვეყნებული იყო ნ. ნიკოლაძის წერილები: „პასუხი იაკინთე ყიფიანს“³ და „ორიოდე კითხვას მივსცემთ უფ. ყიფიანს...“, მის წინააღმდეგ კი დაბეჭდილი იყო ქუთაისის ბანკის წესდების ავტორის, მისი დამფუძნებლისა და შემდგომში პირველი თავმჯდომარის - ბესარიონ ლოლობერიძის სტატიები: „მოთხრობა ჩემის „ონონობისა“⁴ და „ქუთაისის ბანკის საქმე“⁵. საინტერესოა, რომ ილია ჭავჭავაძე გაზეთის იმ ნომრის გაგზავნას სთხოვდა ვასილ მაჩაბელს, რომელშიც ქუთაისის ბანკის საქმესთან დაკავშირებით აკაკი წერეთლის სტატია იყო დაბეჭდილი - „ნურაფერს - უკაცრავად“⁶. ვერ ვიტყვით, სხვა ნომრები უკვე ჰქონდა და ესლა აკლდა, თუ კონკრეტულად ამ სტატიით იყო დაინტერესებული.

ილია ჭავჭავაძეს ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი პოლემიკის დროს წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით და ამიტომაც სავსებით ბუნებრივია მასში ჩართვის სურვილი, მაგრამ ვერ ვიტყვით, მოუცლელობის გამო (სწორედ იმ დღეებში დაიწყო მან საბანკო საქმის პრაქტიკული შესწავლა მოსკოვის ბანკში), თუ იმის გამო, რომ მდგომარეობა ძალიან დაიძაბა და ნ. ნიკოლაძემ ქვეყნიდან წასვლა გადაწყვიტა⁷, ვერ მივა-

1. „დროება“ 1873, 9 იანვარი, N1, გვ.1-2.

2. „დროება“ 1873, 1 ივნისი, N21, გვ.1-2.

3. „დროება“, 1873, 20 ივლისი, N28, გვ.3-4.

4. „დროება“, 1873, 20 ივლისი, N28.

5. „დროება“ 1873, 27 ივლისი, N29, გვ.1.

6. „დროება“, 1873, 6 ივლისი, N26, გვ.1.

7. იხ.: 1873 წლის 16 ნოემბერს დაბეჭდილი მისი გამოსათხოვარი წერილი („დროება“, N45) და იმავე წლის 6 დეკემბრით დათარიღებული ილია ჭავჭავაძის პირადი წერილი მისდამი.

გენით რაიმე კვალს იმისას, რომ იგი 1873 წელს პოლემიკაში ჩართულიყოს. მოგვიანებით, 1876 წელს, როდესაც ნ. ნიკოლაძემ განაახლა პოლემიკური წერილები ქუთაისის ბანკზე¹, ილია ჭავჭავაძემ ვრცელი წერილით გასცა პასუხი - „უ. ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულებები ბანკზე“², რომელსაც ასე ამთავრებდა: „მე რომ უფალ ნიკოლაძის ადგილას ვყოფილიყავ, ხელს მოვიჭრიდი და იმისთანა სტატიას არ დავსწერდი, რომელიც უმეცრებასა და უვიცობას საღერღელს უხსნის და ფრთას ასხამს“³.

1873 წლის 23 თებერვლისა და 26 აპრილის წერილებში მეუღლისადმი მწერალი ახსენებს „მოზდოკის საქმეს“, რომელიც უკავშირდება რაღაც მამულებს და სასამართლოს მიერ მიღებულ დადგენილებას („შენი „ისპოლნიტელნი ლისტი“ თან წაუღია“). ჩანს ისიც, რომ ამ საქმეს ოლღასა და ილიასთვის მატერიალური შემოსავალი უნდა მოეტანა, მაგრამ ვინმე მიაკიშევი, რომელსაც ეს საქმე უნდა მოეგვარებინა, ოლღას სახელზე გაკეთებულ სააღმსრულებლო ფურცელთან ერთად დაკარგულა. სავარაუდოდ, საქმე ეხება მოზდოკის მამულებს, რომლებიც ოლღას თავისი მამიდის - სიდონია ზაალის ასულ გურამიშვილ-სავარსამიძის გარდაცვალების შემდეგ ერგო მემკვიდრეობით. სიდონიას ქმარი - ლეონტი იაკობის ძე სავარსამიძე მოზდოკელი თავადის შვილი იყო და ბუნებრივია, რომ მას მამულები ჰქონოდა იქ, მემკვიდრე კი არ ჰყავდა.

23 თებერვლის ბარათში ილია ჭავჭავაძე მეუღლეს სთხოვს, რომ მოზდოკის მამულებთან და ოლღას სახელზე გაფორმებულ სახლებთან (სავარაუდოდ, საუბარია თბილი-

1. „ქუთაისის ბანკის საქმე“, „დროება“, 1876, 2 აპრილი, N35, გვ.1-4.

2. „დროება“, 1876, 21 ივნისი, N39, გვ.1-4.

3. ილია ჭავჭავაძე, იხ.: თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ.6, გვ. 34.

სის სახლზე) დაკავშირებით იურიდიული საქმეების საწარმოებლად გაუგზავნოს მინდობილობა. ამ წერილებში ნახსენები მიაკიშევი შესაძლოა იყოს რუსეთის არმიის კაპიტანი, ტოპოგრაფი ევგრაფი ივანეს ძე მიაკიშევი, რადგან იგი თბილისში ცხოვრობდა, ოჯახიც აქ ჰყავდა, თავად კი არმიაში მსახურობდა. შესაძლოა მამულებთან დაკავშირებით სწორედ ტოპოგრაფის დახმარება დასჭირვებოდათ აზომვებისთვის და იმიტომ მიმართეს მას. მიაკიშევის ვაჟებიც სამხედრო პირები იყვნენ და ვლადიკავკაზის გიმნაზიაში სწავლობდნენ, მაგრამ 1873 წელს ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ იმ ასაკში, რომ სამემკვიდრეო საქმისთვის მოეკიდათ ხელი.

მეუღლისთვის 1873 წლის 31 აგვისტოს გაგზავნილ წერილში ილია ჭავჭავაძე ორჯერ ახსენებს „მირზოევის კანტორას“ („მირზოევის კანტორიდან მომივიდა ათი თუმანი“, „მირზოევის კანტორით ფული გზისა და ორიოდე თვის ჯამაგირი გუვერნანტკისათვის გამოგზავნონ“). კონტექსტიდან ჩანს, რომ ამ თანხებს გასცემს არა ეს კანტორა, არამედ მოქალაქეები. შესაბამისად, ეს უნდა ყოფილიყო კანტორა, რომელიც უზრუნველყოფდა ფულის მიწოდებას სხვადასხვა ქალაქებში.

1873 წლის 19 ივლისს მეუღლისთვის გაგზავნილი წერილის ბოლოს (ტ. 18, გვ. 124) ილია ჭავჭავაძე წერს: „Передай по секрету Дмитрию, что я насчет статьи о красноводском отряде веду переговоры с редакцией Московских ведомостей. Переговоры ещё не окончены“. ხსენებული რაზმის ისტორიის შესწავლამ გამოავლინა საინტერესო ფაქტები, რომლებიც უკავშირდება 1873 წლის მოვლენებს და დიმიტრი სტაროსელკის კავშირს მათთან. 1873 წლის თებერვლიდან კრასნოვოდსკის რაზმი, რომლის მეთაურიც იყო ვასილი ივანეს ძე მარკოზოვი, მონაწილეობდა რუსეთის იმპერიის მიერ შუა აზიის დაპყ-

რობაში, კერძოდ ხივის ექსპედიციაში, მაგრამ დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწია. მეთაურს ბრალი დასდეს, რომ წინასწარ არ შეისწავლა ყარაყუმის უდაბნოს ქეზი, მეომრები უწყლოდ დატოვა და იძულებული გახდა 22 აპრილს უკან დაბრუნებულიყო. 1873 წლის 25 მაისიდან 8 ივნისამდე ბაქოს გუბერნატორი დიმიტრი სტაროსელსკი კავკასიის მეფისნაცვლმა - მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა საგანგებოდ მიავლინა კრასნოვოდსკში ამ საქმის დეტალების გასარკვევად. საკითხის შესწავლის შემდეგ მარკოზოვს მოუხსნეს ბრალდება და მიიჩნიეს, რომ უკან დახევის ბრძანებით მან მეომრები სიკვდილს გადაარჩინა.

შინაარსი

რედაქტორისაგან ----- 3

ქეთევან ხითარიშვილი

მასალები ილია ჭავჭავაძის შესახებ ქართველთა შორის
წერა-კითხვის საზოგადოების სხდომის ოქმებიდან ----- 6
საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტები
ილია ჭავჭავაძის შესახებ ----- 13
ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალის
ტექსტოლოგიური კვლევები ----- 21

ზარლოტა კვანტალიანი

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა დუშეთის
მომრიგებელ მოსამართლედ ----- 31
ყურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიების
კვლევის მასალები ----- 37
მასალები ილია ჭავჭავაძის შესახებ XX საუკუნის
პრესიდან ----- 45

ნანა ფრუიძე

რას გვიამბობს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და
შემოქმედების მათიანე (მასალები თხზულებათა
ოცტომეულის I-VII ტომებიდან) ----- 51
მასალები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების
მატიანისათვის (თხზულებათა ოცტომეულის
VIII-XIV ტომებიდან) ----- 62

მასალები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანისათვის (თხზულებათა ოცტომეულის XV-XVIII ტომებიდან) -----	69
ილია ჭავჭავაძის ერთი უცნობი წერილის გამო -----	76
კვლავ ილია ჭავჭავაძის სავარაუდო თხზულებათა შესახებ -----	89

მ ა ი ა ნ ი ნ ი ძ ე

ილია ჭავჭავაძის ორი თხზულების ატრიბუცია -----	96
ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ნოველის უცნობი ავტორი - ჯორჯ პარსონს ლეთროპი -----	106
ილია ჭავჭავაძის თხზულებების ადრესატთა იდენტიფიკაცია -----	128
ილია ჭავჭავაძის თხზულებებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია -----	148
ილია ჭავჭავაძის ლექსების დათარიღება -----	168
ილია ჭავჭავაძის მიერ სხვადასხვა პირთათვის გაგზავნილი წერილების დათარიღება -----	179
ილია ჭავჭავაძის მიერ მეუღლისთვის გაგზავნილი წერილების დათარიღება -----	224
ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისეულ მოვლენათა დათარიღება -----	276
რამდენიმე არაზუსტი ინფორმაცია და წყარო ილია ჭავჭავაძის შესახებ -----	284
ილია ჭავჭავაძის თხზულებებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პუბლიკაციები და საკომენტარო მასალა -----	293